ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ევოლუცია და პრობლემური ასპექტები საქართველოში

დავით მაისურაძე, მაგდა ლაზიშვილი, ირაკლი შაკიაშვილი,
ირინა იამანიძე, ლუკა კოდუა

PUBLICA HELIAE UNIVERSITAS
IOAMUC

გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ევოლუცია და პრობლემური ასპექტები საქართველოში

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: YS-2016-50; პროექტის სახელწოდება: „ინვესტიციის დაცვის მექანიზმები საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საკორპორაციო სამართლის მიხედვით“]. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [Grant Number: YS-2016-50; Project Title: Investment Protection Mechanisms according to Market Regulated Corporate Law].

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“
სამართლის სკოლა
კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრი

ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ევოლუცია და პრობლემური ასპექტები საქართველოში*

დავით მაისურაძე,* მაგდა ლაზიშვილი,* ირაკლი შაკიაშვილი,*
ირინა იამანიძე,* ლუკა კოდუა*

რედაქტორი: შალვა პაპუაშვილი

2019
თბილისი

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: YS-2016-50; პროექტის სახელწოდება: „ინვესტიციის დაცვის მექანიზმები საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საკორპორაციო სამართლის მიხედვით“]. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [Grant Number: YS-2016-50; Project Title: Investment Protection Mechanisms according to Market Regulated Corporate Law].

* დავით მაისურაძე, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის დირექტორი, მკვლევარი.

* მაგდა ლაზიშვილი, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლა, მკვლევარი.

* ირაკლი შაკიაშვილი, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლა, მკვლევარი.

* ირინა იამანიძე, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლა, მკვლევარი.

* ლუკა კოდუა, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლა, მკვლევარი.

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

რედაქტორი: შალვა პაპუაშვილი
ენობრივი რედაქტორი: თამარ გაბელაია
ტექნიკური უზრუნველყოფა: გვანცა მახათაძე
ყდის დიზაინი: ელენე კავთელაძე

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019
© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019
გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge

ISBN 978-9941-8-1949-0

წინასიტყვაობა

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი წლები თამამად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისათვის ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს გარდაქმნის წლებად. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკისთვის, ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა არის სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობა. გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველო იმყოფება, აუცილებელს ხდის ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით კიდევ უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნას. აღსანიშნავია საკანონმდებლო გარემოს შეფასების საერთაშორისო ინდიკატორები, მათ შორის, Doing Business, რომელსაც როგორც წესი, ინვესტორები გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ინვესტიციების განხორციელების ხელშემწყობი გარემოს შეფასების საერთაშორისო მაჩვენებელში საქართველოს მოწინავე პოზიცია ჰქონდეს.

ინვესტიციების დაცვის ხელშემწყობი საკანონმდებლო გარემო როგორც სტაბილურობას, ისე მუდმივ განვითარებას მოითხოვს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა მოექცა როგორც გერმანული, ასევე, ამერიკული სამართლის ზეგავლენის ქვეშ და ქართულ სასამართლო პრაქტიკაში აქტიურად მოხდა ევროპისა და აშშ-ს სასამართლოების წამყვანი პრაქტიკის რეცეფცია. ინვესტიციების დაცვის ქართულმა სამართლებრივმა პრაქტიკამ და საკანონმდებლო ნორმებმა განიცადეს ბიზნეს სამართლის საუკეთესო საერთაშორისო პრინციპების ზეგავლენა, და აღნიშნულმა ტენდენციამ პრაქტიკული დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ინვესტიციების მოზიდვაზე.

ინვესტიციების დაცვის კონტექსტში წინამდებარე წიგნი წარმოადგენს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს, რადგან განიხილავს ინვესტორის, როგორც კრედიტორისა და აქციონერის სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ამავდროულად, აანალიზებს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის გამოწვევებს და განიხილავს სასამართლო პრაქტიკის მაგალითებს.

წიგნი აქტიურად იყენებს შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდებს, განიხილავს სამეწარმეო-სამართლებრივი ინსტიტუტების ევოლუციას, საუბრობს მათი ჩამოყალიბების საფუძვლებზე და განვითარების სავარაუდო პერსპექტივებზე. წიგნი, გამოჰყოფს ინვესტიციების დაცვის სფეროში არსებულ სხვადასხვა გამოწვევებს, რაც სამომავლო კვლევების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ნაშრომი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო იქნება როგორც პრაქტიკოსი, ასევე, თეორეტიკოსი იურისტებისთვის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

შალვა პაპუაშვილი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

1. შესავალი 11

2. მინიმალური საწესდებო კაპიტალის ინსტიტუტის ევოლუცია საქართველოში 16

2.1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2008 წლის 14 მარტის რეფორმა და შემდგომი პერიოდი 16

2.2. მინიმალური საწესდებო კაპიტალის განვითარების შემდგომი პერსპექტივა 20

3. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის პრაქტიკა ქართულ საკორპორაციო სამართალში 22

3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის ევოლუცია საქართველოს საკორპორაციო სამართალში . 24

4. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება, როგორც ინვესტიციის დაცვის საშუალება . . 27

4.1. უპირატესი შესყიდვის უფლების ევოლუცია საქართველოში 28

4.2. უპირატესი შესყიდვის უფლება ევროპის ქვეყნების სამართლის მიხედვით 31

4.3. უპირატესი შესყიდვის უფლება ევროკავშირის დირექტივების მიხედვით 32

4.4. უპირატესი შესყიდვის უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში 35

4.4.1. მოდელური კანონი 35

4.4.2. დელავერის საკორპორაციო სამართალი 36

4.5. უპირატესი შესყიდვის უფლების განვითარების პერსპექტივა ქართულ საკორპორაციო სამართალში 37

5. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებების დაცვა Doing Business-ის მიხედვით 41

5.1. მოკლედ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საქართველოს საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად 43

5.2. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – ღიაობის ინდექსი Doing Business-ის მიხედვით 46

5.3. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – დირექტორების პასუხისმგებლობის ინდექსი Doing Business-ის მიხედვით 47

5.4. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – აქციონერების მიერ სასამართლო პროცედურების დაწყების სიმარტივის ინდექსი Doing Business-ის მიხედვით 49

5.5. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – აქციონერების უფლებების ინდექსი Doing Business-ის მიხედვით 50

5.6. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – საკუთრებისა და კონტროლის განხორციელების ინდექსი Doing Business-ის მიხედვით 52

5.7. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – კორპორაციაში გამჭვირვალობის ინდექსი Doing Business-ის მიხედვით . . . 53
5.8. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – აქციონერთა მმართველობის ინდექსი Doing Business-ის მიხედვით . . . 54
5.9. დასკვნა . . . 54

6. დირექტორის ხელმძღვანელობის მოვალეობა, როგორც ინვესტიციის დაცვის ვალდებულება . . . 56
6.1. ხელმძღვანელობის მოვალეობების ძველი და ახალი სტანდარტის ზოგადი მიმოხილვა . . . 56
6.2. საზოგადოების დაუფლება ხელმძღვანელობის მოვალეობის ძველი და ახალი დაყოფის ჭრილში . . . 59
6.3. შორსმიმავალ პერსპექტივაზე ორიენტირებული კომერსანტი და ერთგულების მოვალეობა . . . 61
6.4. ხელმძღვანელობის მოვალეობის სამომავლო დეფინიცია ქართულ საკორპორაციო სამართალში . . . 62

7. ინვესტიციების დაცულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას . . . 63
7.1. შესავალი . . . 63
7.2. გაკოტრების მასა, როგორც კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება . . . 65
7.3. აქციონერი, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი . . . 72
7.4. კრედიტორის ინფორმირება . . . 75
7.5. აქციონერის და კრედიტორის უფლებრივი მდგომარეობა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით . . . 78
7.5.1. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვა Doing Business-ის კრიტერიუმებით . . . 80
7.5.2. „გაკოტრების საქმეთაწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის კვლევა Doing Business-ის ინდიკატორების მიხედვით . . . 86
7.6. ინვესტიციების დაცულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ევროპაში . . . 96
7.7. ინვესტიციების დაცულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას აშშ-ში . . . 103
7.8. დასკვნა . . . 105

8. დასკვნა . . . 107

დანართი – სასამართლო გადაწყვეტილებები . . . 108
სამეწარმეო სამართალი . . . 108
აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალება . . . 108
ქმედების განხორციელების დავალდებულება . . . 110
საწარმოს საბუღალტრო და სხვა დოკუმენტების გადაცემა . . . 111
პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა . . . 113
აქციათა სავალდებულო მიყიდვა . . . 114
აქციათა სავალდებულო მიყიდვა . . . 115
საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა . . . 116

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამუშაოზე ან ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, მიუღებელი ხელფასის, იძულებითი განაცდურის, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება . . . 118

პარტნიორთა კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა . . . 121

დივიდენდის მიღება . . . 125

საწარმოს გამოყოფა . . . 127

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა . . . 128

მიუღებელი დივიდენდის გაცემა . . . 130

პარტნიორისთვის კომპანიის დოკუმენტის გაცნობა-გადაცემა . . . 132

აქციონერთა სხდომის ოქმის გაუქმება . . . 134

საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა . . . 135

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა . . . 137

დირექტორის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება . . . 140

დირექტორის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება . . . 142

საწარმოს სახელით დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა . . . 144

მეპაიეთა კრების და კრების შედეგების ბათილად ცნობა . . . 145

კრების ოქმის ბათილად ცნობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა . . . 147

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება . . . 150

საწარმოს დირექტორის მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება . . . 152

პარტნიორის გარიცხვა . . . 153

კრების ოქმის ბათილად ცნობა, საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობა . . . 155

აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა; საწარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვა . . . 157

კრების ოქმის ბათილად ცნობა . . . 158

თანხის დაკისრება . . . 159

თანხის გადახდის დაკისრება . . . 160

პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობა . . . 163

პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა . . . 165

თანხის დაკისრება (დივიდენდის მიღება), კრების ოქმის ბათილად ცნობა . . . 167

კომპენსაციის დაკისრება . . . 173

სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, პარტნიორად აღდგენა . . . 175

აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალება . . . 177

კრების ოქმებით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობა . . . 178

ხელფასის ანაზღაურება . . . 181

საზოგადოების კაპიტალში შენატანის განხორციელება . . . 182

პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, საწარმოს დირექტორის გათავისუფლება . . . 184

სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება . . . 186

მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ბათილობა და რეესტრის მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია . . . 188

გარიგების ბათილად ცნობა, წილის მესაკუთრედ ცნობა 189
საზოგადოებიდან გასვლა და წილის მიხედვით კომპენსაციის დაკისრება 191
გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა 192
ზიანის ანაზღაურება (კორპორაციული საფარველის გაჭოლვა) 195

გადახდისუუნარობის სამართალი 201

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „არენა მშენი“) . . 202
კრედიტორთა კრების მოწვევა (შპს „არენა მშენი“) 205
გაკოტრების მმართველის დანიშვნა (სს „გზის მშენებელი“) 207
კრედიტორთა პირველი კრების შეწყვეტა-გაგრძელება (შპს „გუდვილი“) 208
მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება (შპს „გუდვილი“) 210
კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევა (შპს „გუდვილი“) 212
უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (შპს „ზუგომშენი“) 214
გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება (შპს-ს „მაგნატი 2006“ საქმე) 216
გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „მარშე“) 219
გაკოტრების მმართველის დანიშვნა (სს „პარკ-პლეისი“) 221
საწარმოს რეაბილიტაციის დაწყება (შპს „არენა მშენი“) 223
საწარმოს რეაბილიტაციის დაწყება (შპს „მარშე“) 225
გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (სს „საქგაზი“) 226
უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (სს „საქგაზი“) 229
გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება (სს „ენერგია XXI“) 231
გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „ქედის სატყეო მეურნეობა“) . 233
უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (შპს „ქედის ჩაი“) 235
გაკოტრების მმართველის დანიშვნა (შპს „ნიუ სითი“) 237
გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება (შპს „სალთვისი-2“) 239
უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (სს „ხორშის ეთერზეთი“) 242
მოვალის გაკოტრებულად გამოცხადება და რეგისტრაციის გაუქმება
(სს „ხორშის ეთერზეთი“) 244
გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „ჰოდიდო“) 246

გამოყენებული ლიტერატურა 248

1 შესავალი

საბაზრო ეკონომიკა რამდენიმე ფუნდამენტურ ასპექტზეა დაფუძნებული, რომელთაგან ინვესტიციების დაცვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სანდოობისა და საიმედოობის გარანტიაა. ინვესტიციების დაცვა მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარებისთვის. სახელმწიფოებში, სადაც ინვესტიციები უკეთესად არის დაცული, სასესხო თუ ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების შესაძენად ინვესტორებს მეტი მოტივაცია აქვთ.[1] მოზიდულ ინვესტიციებზეა დამოკიდებული როგორც ცალკეული საწარმოების, ასევე, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოების წარმატებაც. როდესაც ინვესტორი ყიდულობს წილს ან აქციებს კორპორაციაში, ან ასესხებს კორპორაციას ფულს, ასეთ ინვესტორს, უკვე განხორციელებული ინვესტიციის სამართლებრივი და ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, წარმოეშობა აქციონერის ან კრედიტორის უფლებები. ეს უფლებები შეიძლება მოიცავდეს ხმის, უპირატესი შესყიდვის, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების, დირექტორის არჩევის, გადახდისუუნარობის შემთხვევაში, კომპანიის ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებას და ასე შემდეგ... თავის მხრივ, კორპორაციასაც წარმოეშობა ვალდებულებები, მათ შორის, უნდა უზრუნველყოს აქციონერების უფლებების დაცვა, კორპორაციის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. კორპორაციის დირექტორები, ხელმძღვანელობის მოვალეობიდან გამომდინარე, უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, იმისათვის, რომ არ დაირღვეს ინვესტორების უფლებები. აქედან გამომდინარე, აქციონერების და კრედიტორების უფლებების დაცვა დაყრდნობილია საკორპორაციო სამართალზე, გაკოტრების სამართალზე, ფასიანი ქაღალდების სამართალზე და სამართლის სხვა დარგებზე.[2]

საქართველოსთვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების ჯერ კიდევ გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და მაქსიმალურად ცდილობს ინვესტიციების მოზიდვის გზით საბაზრო ურთიერთობები გააძლიეროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქციონერების და კრედიტორების დაცვის მყარი სამართლებრივი გარემოს შექმნა. ამ მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლის სხვა დარგებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკორპორაციო სამართალი.

წიგნის ერთ-ერთი მიზანია განიხილოს საქართველოს საკორპორაციო სამართლის ევოლუცია საბჭოთა რუსეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინვესტიციების დაცვის მექა-

---

1 PortaL. R and others, “Investor Protection and Corporate Valuation” (2002) LVII The Journal of Finance 1147.

2 Porta L. R and others, “Investor Protection and Corporate Governance” (2000) 58 Journal of Financial Economics 4-7.

ნიზმების მაგალითზე. ევოლუცია განხილულ იქნება როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ჭრილში. ამ ორივე სისტემამ გავლენა მოახდინა საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარებაზე. როგორც ცნობილია, ანგლო-ამერიკული სამართალი, კონტინენტური ევროპის სამართლისგან განსხვავებით, ინვესტორების და მათი უფლებების მიმართ უფრო ლოიალურად არის განწყობილი.[3]

საქართველოში დამოუკიდებელი საკორპორაციო სამართლის განვითარებას საფუძველი დაუდო 1994 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის[4] მიღებამ, რომელიც ძირითადად გერმანელი მეცნიერების მხარდაჭერით იქნა მიღებული, რადგან საქართველო ტრადიციულად მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს.[5] შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უფრო მეტად იყო კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ზეგავლენის ქვეშ. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შემუშავების პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის კონსულტანტებად გერმანელი სპეციალისტების მოწვევა – მაგალითად, ბატონი *როლფ კნიპერის,* რაც აღნიშნულია კიდეც ამ კანონის განმარტებით ბარათში.

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს სათავეში მოვიდნენ აშშ-ში განათლებამიღებული იურისტები, რომლებმაც ფართოდ დაიწყეს საკანონმდებლო აქტების ლიბერალიზაცია. საკანონმდებლო აქტების გათავისუფლება ხისტი მიდგომებისგან განხილულ იყო, როგორც შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი. კანონების ლიბერალიზაცია ქვეყანას შესაძლებლობას მისცემდა ხელი შეეწყო ინვესტიციების მოზიდვისთვის და მეწარმეებისთვის ბიზნესსაქმიანობის დაწყება გაეადვილებინა. მათ შორის, ცვლილებები შეეხო „მეწარმეთა შესახებ“საქართველოს კანონს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი რედაქცია სამეწარმეო საზოგადოებების შექმნისა და განვითარების ფართო რეგულირებებს შეიცავდა. მაგალითად, ითვალისწინებდა კაპიტალური საზოგადოებებისთვის (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი) მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, როგორც კრედიტორების დაკმაყოფილების და კაპიტალური საზოგადოებების პასუხისმგებლობის დაზღვევის საფუძველს. საწესდებო კაპიტალი სარეგისტრაციო მონაცემების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

2008 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა, კერძოდ, გაუქმდა სხვადასხვა ფორმალური მოთხოვნები, მათ შორის, რეგისტრაციისას სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა და კომპანიების დარეგისტრირება უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი გახდა. ცვლილებე-

---

3 იქვე 8-9.

4 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

5 ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, *„მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი* (მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“ 2002) VI-XII.

ბის მიზანი იყო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე, უცხოეთიდან. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ *DoingBusiness-ის* რეიტინგში საქართველომ ბიზნესის მარტივად დაწყების თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა.[6] თეორიული თვალსაზრისით ითვლება, რომ კაპიტალურ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება კაპიტალი, რადგან კრედიტორების წინაშე სწორედ კომპანიის კაპიტალით უნდა აგოს პასუხი, თუმცა ქართულ სამეწარმეო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელი გახდა კაპიტალური საზოგადოების დაფუძნება საწყისი კაპიტალის გარეშე.[7] განხორციელებული რეფორმით საქართველო დაშორდა ტრადიციული კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მიდგომებს და უფრო მეტად ამერიკულს დაუხლოვდა, სადაც კომპანიების რეგისტრაციისას მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნები ნაკლებად გვხვდება. [8]

2016 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს და ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებას, მოახდინოს ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში და ქართული საკანონმდებლო აქტები ევროპულს დაუახლოვოს. მაგალითისთვის, უკვე მომზადებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნები, მათ შორის, მინიმალურ საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით.[9] კერძოდ, სააქციო საზოგადოების დაფუძნების დროს გათვალისწინებულ იქნება მინიმალური საწესდებო კაპიტალი 25 000 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით.[10]

გარდა სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალისა, რომელიც შეიძლება კრედიტორებისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება გახდეს, ინვესტიციების დაცვის თვალსაზრისით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, სადაც ინვესტიციების დაცვის საკანონმდებლო მექანიზმი პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების გამო *(Piercing the Corporate Veil)* პარტნიორების პირადი ქონებით პასუხისმგებლობის საკითხს ითვალისწინებს. [11] კორპორაციული საფარველის გაჭოლვა მნიშვნელოვანია როგორც კრედიტორის, ასევე კომპანიის პარტნიორის პერსპექტივიდან გამომდინარე, რადგან ერთი მხრივ, პარტნიორს უნდა, რომ კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმამ მისი პირადი ქო-

---

6 Doing Business, The World Bank. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia>.

7 ბურდული, „სააქციო სამართლის საფუძვლები“ ტომი I *(გამომცემლობა „მერიდიანი“ 2010)* 142-144.

8 იქვე.

9 European Parliament and Council Directive (EU) 2017/1132 relating to certain aspects of company law (codification) [2017] OJ L169/46.

10 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლი 161, ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_Bl0VP94JAElEY.

11 O'Kelley R.T. C and Thompson B. R, Corporations and other Business Associations, 5th edn, Aspen Publishers 2006, 541-542.

ნების დაცვა კრედიტორების მოთხოვნებისგან უზრუნველყოს, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორის მიზანია, რომ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, კომპანიის პარტნიორების ქონების ხარჯზე, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდეს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირვანდელი რედაქციით, ძირითადად საზოგადოების ქონების სხვა ქონებასთან შერევისა და/ან საწარმოს ფუნქციონირებისათვის არასრული კაპიტალის ფორმირების გამო, პარტნიორის პირადი ქონებით პასუხისმგებლობის დადგომა იყო შესაძლებელი. 2008 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საფარველის გაჭოლვის ზოგად ჩანაწერს.[12] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვასთან დაკავშირებით პირველი გადაწყვეტილება 2015 წელს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოდიფიცირებული რედაქციის საფუძველზე მიიღო. [13] ამავდროულად, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ფართოდ არის გამოყენებული კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შესახებ ამერიკული მასალები, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

დასახელებული საკითხების გარდა, წიგნი განიხილავს ამერიკული და ევროპული სამართლის ზეგავლენას ინვესტიციების დაცვის კიდევ ორ მექანიზმზე, ესენია: უპირატესი შესყიდვის უფლება და ხელმძღვანელობის მოვალეობები. უპირატესი შესყიდვის უფლება განიხილება როგორც პარტნიორის წილობრივი მონაწილეობისა და განხორციელებული ინვესტიციის შენარჩუნების საშუალება. საკუთრივ ხელმძღვანელობის მოვალეობა და მის საფუძველზე აღმოცენებული სამართლებრივი ინსტიტუტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ინვესტიციის დაცვის მექანიზმები, რასთან დაკავშირებითაც შესაბამის თავში იქნება მსჯელობა.

წიგნის ბოლო თავი ქართულ სამართალში გადახდისუუნარობის საკითხებს განიხილავს. გადახდისუუნარობა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და, ამავდროულად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემატიკაა, რომელიც თანაბრად აქტუალურია როგორც აქციონერებისათვის, ასევე, კრედიტორებისათვის და კომპანიის საქმიანობით სხვა დაინტერესებული პირებისთვის (ე.წ. სტეიკჰოლდერებისათვის [14]). ამავდროულად, *DoingBusiness-ის* რეიტინგში, გადახდისუუნარობის თვალსაზრისით, საქართველოს სხვა კრიტერიუმებთან შედარებით ცუდი პოზიციები აქვს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის შესწავლა და განხილვა უშუალოდ *DoingBusiness-ის* ინდიკატორების მიხედვით.

---

[12] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 3.6, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05. 001.000.087.

[13] სსიპ შემოსავლების სამსახური შპს „ლ. 2009“-ის წინააღმდეგ [2015] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე #ას-1307-1245-2014; ასევე, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება სსიპ შემოსავლების სამსახური მ. და გ. კ-ების წინააღმდეგ [2015] საქმე #ას-1158-1104-2014.

[14] Greenfield K., There’s a Forest in Those Trees: Teaching About the Role of Corporations in Society, Corporate Governance, Law, Theory and Policy, edited by Joo W. T., Carolina Academic Press, 2nd ed., Durham, 2010, 12-17.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციის დაცვის მექანიზმების განხილვისას გამოყენებულ იქნება სხვადასხვა სამეცნიერო მეთოდები, როგორიცაა შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, სამეცნიერო დოქტრინების ანალიზი, სამართლის ნორმათა სისტემური ანალიზი და ჩამოყალიბდა ინვესტიციის დაცვის მექანიზმების განვითარების სავარაუდო პერსპექტივები.

თეორიულ საკითხებთან ერთად წიგნი მოიცავს დაახლოებით 70 სასამართლო გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვას, რომელიც ინვესტიციის დაცვასთან და აქციონერისა და კრედიტორის უფლებებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს, როგორიცაა უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვა, ხელმძღვანელობის მოვალეობაები, გადახდისუუნარობა, საწარმოთა რეორგანიზაცია, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა და უპირატესი შესყიდვის უფლება. აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები წიგნში განხილულ თეორიულ თემატიკას სცდება და ინვესტიციების დაცვის ზოგად ასპექტებს პასუხობს.

2 მინიმალური საწესდებო კაპიტალის ინსტიტუტის ევოლუცია საქართველოში

როგორც შესავალში აღინიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ზეგავლენის ქვეშ იყო.

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, დაიწყო საკანონმდებლო აქტების ლიბერალიზაცია, იმისათვის, რომ ინვესტიციების მოზიდვა გაუმჯობესებულიყო და მეწარმეებისთვის ბიზნესსაქმიანობის დაწყება გაადვილებულიყო. მათ შორის, ცვლილებები შეეხო საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ“. შედეგად, გამარტივდა კომპანიების რეგისტრაცია, რაც ადრე 30 დღის განმავლობაში იყო შესაძლებელი. შემცირდა რეგისტრაციის ფორმალური მოთხოვნები, გამარტივდა ლიკვიდაცია და გატარდა სხვა ცვლილებები, რომელთა მიზანი ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა იყო.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განსაკუთრებული ცვლილებები 2008 წლის 14 მარტს შევიდა, კერძოდ, ამ ცვლილებების შედეგად განხორციელდა ყველაზე მეტი დერეგულაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცვლილებით გაუქმდა მინიმალური საწესდებო კაპიტალი, როგორც კომპანიის რეგისტრაციისთვის ფორმალური პროცედურული მოთხოვნა და კრედიტორის ინტერესების დაცვის საკანონმდებლო საშუალება.[15] შესაბამისად, შესაძლებელი გახდა კაპიტალური ტიპის საზოგადოების შექმნა კაპიტალის გარეშე, რაც, გარკვეულწილად, ნოვაციას წარმოადგენდა.

2.1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2008 წლის 14 მარტის რეფორმა და შემდგომი პერიოდი

2008 წლის 14 მარტს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით შესაძლებელი გახდა კომპანიის რეგისტრაცია მინიმალური საწესდებო კაპიტალის გარეშე. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომელმაც საკუთარი კაპიტალით პასუხი უნდა აგოს კრედიტორების წინაშე, კაპიტალის გარეშე. შესაბამისად, ხდება საკანონმდებლო დაცვის გარანტიის დერეგულირება კერძო სამართლებრივი დაცვის მექნიზმამდე. ინვესტორი, რომელიც ასეთ კომპანიასთან აფორმებს ხელშეკრულებას, ვეღარ დაეყრდნობა საკანონმდებლო დაცვის

[15] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, „საკანონმდებლო მაცნე“, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087. 14/03/2008 წლის რედაქცია.

სამართლებრივ საშუალებას და დამოუკიდებლად უნდა მიმართოს კერძო სამართლებრივ დაცვის მექანიზმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე საკითხი:

(1) თავდაპირველად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მინიმალური საწესდებო კაპიტალი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, შეადგენდა 1 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში,[16] შემდეგ კანონში შევიდა ცვლილება და შეადგენდა 2000 ლარს,[17] შემდეგ შემცირდა 200 ლარამდე[18] და ბოლოს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთოდ გაუქმდა. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში,[19] შემდეგ შეიცვალა და შეადგენდა 15 000 ლარს[20] და შემდეგ უკვე ნახსენები 2008 წლის 14 მარტის ცვლილებით გაუქმდა. რამდენად ღირებულია კრედიტორისთვის საკანონმდებლო დაცვის გარანტია, როდესაც უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს 15000 ან 200 ლარი? მეორე მხრივ, რამდენად ხელის შემშლელია ინვესტორისთვის დაიწყოს ბიზნესსაქმიანობა, როდესაც რეგისტრაციის დროს უკვე მოითხოვება საწყისი კაპიტალის არსებობა?

(2) მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაუქმებამ შესაძლებელი გახადა *Doing Business-ის* რეიტინგში, ბიზნესის დაწყების სიმარტივის თვალსაზრისით, კიდევ უფრო დაწინაურება, რითაც უფრო გაუმჯობესდა ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა. შედარებისთვის, საქართველოში, ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით 2004 წელს *Doing Business-ის* რეიტინგით, გათვალისწინებული იყო 9 პროცედურა.[21] 2006-2007 წლებში საქართველო შევიდა ყველაზე რეფორმატორი ქვეყნების ათეულში და 2008 წელს რეიტინგში *Doing Business-ის* რეიტინგში უკვე მე-18 ადგილზე იყო.[22] 2010 წელს კი საქარ-

---

16 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 45, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087. 28/10/1994 წლის რედაქცია.

17 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 45, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087. 13/12/1996 წლის რედაქცია.

18 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 45, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087. 24/06/2005 წლის რედაქცია.

19 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 51, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087. 28/10/1994 წლის რედაქცია.

20 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 51, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087. 13/12/1996 წლის რედაქცია.

21 Doing Business in 2004 – Understanding Regulation (2004) Copublication of the World Bank the International Finance Corporation and Oxford University Press. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB04-FullReport.pdf>.

22 Doing Business 2008 (2007) Copublication of the World Bank and International Finance Corporation. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB08-FullReport.pdf>.

თველომ *Doing Business-ის* რეიტინგში მე-11 ადგილზე გადაინაცვლა და ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით 3 პროცედურა ჰქონდა გათვალისწინებული.[23]*Doing Business-ის* ბოლო შეფასებით საქართველო მე-6 ადგილზეა, ხოლო ბიზნესის დასაწყებად ორი პროცედურაა საჭირო.[24]

(3) ბოლოს, კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ, თავისუფალი კონკურენციის პირობებში დააგროვონ ქონება, ხოლო კრედიტორი ურთიერთობაში შევა იმ კომპანიასთან, რომელსაც უფრო მეტი ქონება, უკეთესი რეპუტაცია და/ან საქმიანი კავშირები აქვს. ამ შემთხვევაში მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა ვერ იქცევა წარმატების თუ დადებული გარიგების უზრუნველყოფის საშუალებად. ანგლო-ამერიკული სამართლის მიდგომების გამოყენებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა გადაუხვია კაპიტალური საზოგადოების კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემისეულ განმარტებას და შედეგად კომპანიების რეგისტრაცია გამარტივდა, რამაც ფართო გამოყენება ჰპოვა როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი ინვესტორების მხრიდან.

დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობის შესახებ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული საagენტოდან“, რომლის 2017 წლის 14 სექტემბრის #380073 წერილის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ 1994 წლის 28 ოქტომბრიდან („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თარიღი) 2008 წლის 10 მაისამდე (2008 წლის 14 მარტის ცვლილების ამოქმედების თარიღი) პერიოდში სულ დარეგისტრირდა 70104 მეწარმე სუბიექტი (აღნიშნულ რაოდენობაში არ შედის ინდივიდუალური მეწარმე). აქედან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რაოდენობამ შეადგინა 63590 საწარმო. 2008 წლის 10 მაისიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით დარეგისტრირდა 146430 მეწარმე-სუბიექტი (აღნიშნულ რაოდენობაში არ შედის ინდივიდუალური მეწარმე). აქედან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რაოდენობამ 143395 საწარმო შეადგინა. 2008 წლამდე პერიოდში, საშუალოდ ყოველწლიურად რეგისტრირდებოდა 4542 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო 2008 წლის შემდეგ (ანუ მას მერე, რაც კომპანიების რეგისტრაცია გამარტივდა და მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა გაუქმდა) საშუალოდ ყოველწლიურად რეგისტრირდებოდა 14339 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია აღნიშნული მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს დავაბრალოთ (ან მხოლოდ მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაუქმებას), ეს ძალიან ბევრმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა, თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა საწარმოების რეგისტრაციის მატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

---

[23] Doing Business 2010 (2009) Copublication of the World Bank, IFC and Palgrave MacMillan. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB10-FullReport.pdf>.

[24] Doing Business 2018, ხემისაწვდომია: <https://www.doingbusiness.org/en/rankings>.

დამატებით ხაზი უნდა გაესვას სასამართლო სტატისტიკასაც. კერძოდ, ქუთაისის საააპელაციო სასამართლოს 12.09.2017 წლის #458/2-10 წერილის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირების (სავარაუდოდ აღნიშნულში იგულისხმება არასამეწარმეო იურიდიული პირებიც) რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბოლო დავა იყო 2008 წელს. 2008 წლის დასახელებული საქმის შემდეგ, 2017 წლის მე-2 კვარტალის ჩათვლით, ქუთაისის საააპელაციო სასამართლოს საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავა არ განუხილავს.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2005 წელს კერძო სამართლის იურიდიული პირების (როგორც სამეწარმეო, ასევე, არასამეწარმეო იურიდიული პირების, ასევე, ინდივიდუალური მეწარმეების) რეგისტრაციასთან დაკავშირებით დასრულდა 1 დავა, 2006 წელს – 3 დავა, 2007 წელს – 4 დავა, 2008 წელს – 9 დავა, 2009 წელს – 3 დავა, 2010 წელს – 12 დავა, 2011 წელს – 12 დავა, 2012 წელს – 4 დავა, 2013 წელს დავა არ ყოფილა, 2014 წელს დასრულდა 1 დავა (სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული), 2015 წელს დავა არ ყოფილა, 2016 წელს დავა არ ყოფილა, 2017 წელს დასრულდა 3 დავა.[25]

სასამართლო მონაცემები ასახავს კომპანიების რეგისტრაციასთან დაკავშირებით დავების შემცირების სტატისტიკას. აღნიშნულ საკითხს აქვს მეორე მხარეც, მართალია რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები შემცირდა, მაგრამ შესაძლოა რეგისტრაციის გამარტივებამ სხვა დავების რაოდენობა გაზარდა, რასაც წინამდებარე ნაშრომი არ განიხილავს და ის დამატებით შესწავლას მოითხოვს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა დაკავშირებულია კონტინენტური ევროპის სამართალთან, ხოლო ანგლო-ამერიკულ ქვეყნების სამართალში ის შედარებით ნაკლებად გვხვდება. ყველა სხვა რეფორმასთან ერთად, საკორპორაციო სამართალში შეტანილმა ამ ცვლილებამ საქართველოს შესაძლებლობა მისცა ეკონომიკური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის 14 მარტის ცვლილებით ჩამოყალიბდა კანონის ამჟამინდელი რედაქცია პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების (Piercing the Corporate Veil) შესახებ, რომელიც ბევრად უფრო ზოგადია, ვიდრე აქამდე არსებული რედაქცია. შეიძლება ითქვას, რომ კანონმა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების ცნების გაფართოებით, მინიმალური საწესდებო კაპიტალის არარსებობის, მათ შორის, დეკაპიტალიზაციის გამო, კრედიტორებისთვის სავარაუდო ფინანსური პრობლემები გარკვეულწილად დააბალანსა.

ძველი რედაქციით, თუ არ იქნებოდა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობდა, რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რა – არა, კაპიტალური საზოგადო-

[25] თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკა. ხელმისაწვდომია: <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=534&newsid=179&lng=geo>.

ების პარტნიორი პირადი ქონებით აგებდა პასუხს.[26] კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, რომელიც ამ ცვლილების შემდეგ დამკვიდრდა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების საფუძვლები ზოგადია და კონკრეტულად არ არის მითითებული – კერძოდ, პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს ბოროტად გამოიყენებენ.[27] პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების საფუძვლები განმარტებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

2.2. მინიმალური საწესდებო კაპიტალის განვითარების შემდგომი პერსპექტივა

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ერთ-ერთი მთავარი და გაცხადებული ამბიციაა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. 2016 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომელიც ძალიან ბევრ საკითხთან ერთად ითვალისწინებს საკორპორაციო სამართლის ნორმების დაახლოებას ევროპულ კანონმდებლობასთან. აღნიშნული თვალსაზრისით საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ“ გარკვეულწილად წარსული გამოცდილების გაზიარება უწევს, თუმცა უკვე თანამედროვე და ახალ გარემოში. შესაბამისად, საკორპორაციო სამართლის ნორმების დაახლოების კვალდაკვალ გაძლიერდება ინვესტორების დაცვის კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლები. მაგალითად, 2017 წლის 14 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017/1132 კოდიფიცირებული დირექტივა „სამეწარმეო სამართლის სხვადასხვა ასპექტის შესახებ“ ითვალისწინებს სავალდებულო საწესდებო კაპიტალის შემოღებას კომპანიებისთვის, კერძოდ, 25 000 ევროს ან სხვა ვალუტას მისი ეკვივალენტის ოდენობით.[28]

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტმა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნა მინიმალურ საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოებებზე გაავრცელა. დასახელებული კანონის პროექტი სააქციო საზოგადოებებისთვის სავალდებულო სარეგისტრაციო მოთხოვნად ითვალისწინებს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს 25000 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით.[29] კანონის პროექტით მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული შეზღუდული პასუ-

[26] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 3.4, „საკანონმდებლო მაცნე“, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087. 11/07/2007 წლის რედაქცია.

[27] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 3.6, „საკანონმდებლო მაცნე“, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

[28] European Parliament and Council Directive (EU) 2017/1132 relating to certain aspects of company law (codification) [2017] OJ L169/46, art 45.

[29] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისპროექტი, მუხლი 161, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_BI0VP94JAElEY>.

ხისმგებლობის საზოგადოებისთვის. შესაბამისად, თუ სააქციო საზოგადოება ვერ შეძლებს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მას შეუძლია რეორგანიზაცია განახორციელოს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაიქმნას. ამით, ერთი მხრივ, დაკმაყოფილდება ევროკავშირის ჰარმონიზების მოთხოვნა და, მეორე მხრივ, სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობები შენარჩუნდება, რადგან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების რაოდენობა თითქმის 50-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე სააქციო საზოგადოებების. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად,[30] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი შესაძლებლობას იძლევა, რომ პარტნიორებმა შენატანები განახორციელონ კორპორაციის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში.[31] შესაბამისად, ეს არ იქნება დარტყმა სააქციო საზოგადოებებისთვისაც, რადგან კომპანიებად მხოლოდ შედარებით დაბალი ლიკვიდურობის მქონე კორპორაციების გარდაქმნა მოხდება.

ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, საწარმოების რეგისტრაციის პროცესი უფრო ფორმალური გახდება, ვიდრე ეს დღეს მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მაგალითად, მიეთითება კომპანიის საქმიანობის მიზანი, ხანგრძლივობა და ნებადართული კაპიტალის ოდენობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[32] მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა და რეგისტრაციის პროცესის უფრო მეტი ფორმალურობა, სავარაუდოდ, კომპანიების რეგისტრაციაზე მოახდენს გავლენას, თუმცა კრედიტორების/ინვესტორების დაცულობისა და ინფორმირებულობის საკანონმდებლო ფარგლებს გაზრდის.

შესაბამისად, საბოლოო ჯამში, მივიღებთ ანგლო-ამერიკული და კონტინეტური ევროპის სამართლის გავლენების კომბინაციას, რადგან ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნა დაკმაყოფილდება და სააქციო საზოგადოებისთვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა სავალდებულო იქნება, ხოლო სხვა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების შემთხვევაში ლიბერალური და თავისუფალი მიდგომა შენარჩუნდება.

მომავალი წლების განმავლობაში გამოჩნდება, ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზება ქართულ სამეწარმეო სამართლებრივ ურთიერთობებზე რა პრაქტიკულ გავლენას მოახდენს.

---

30 European Parliament and Council Directive (EU) 2017/1132 relating to certain aspects of company law (codification) [2017] OJ L169/46, art 48.

31 „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონისპროექტი, მუხლი158, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_Bl0VP94JAElEY>.

32 European Parliament and Council Directive (EU) 2017/1132 relating to certain aspects of company law (codification) [2017] OJ L169/46, art 2-3.

3 კორპორაციული საფარველის გაჭოლვის პრაქტიკა ქართულ საკორპორაციო სამართალში

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონი ითვალისწინებს კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისთვის პასუხისმგებლობის შეზღუდულ ფორმას. კერძოდ, კაპიტალური ტიპის საზოგადოებები მესამე პირთა წინაშე პასუხს აგებენ კომპანიის მთელი აქტივით. კორპორაციის პარტნიორად გახდომის შემდეგ, ინვესტორზე ვრცელდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, იგი იმოსება ე.წ. კორპორაციული საფარველით, რაც წარმოადგენს პირადი პასუხისმგებლობისგან დაცვას, „იმუნიტეტს“ პარტნიორისთვის გარესამართლებრივ ურთიერთობებში. შედეგად, პარტნიორის/ინვესტორის პირადი ქონება ხელმიუწვდომელია კორპორაციის კრედიტორებისთვის/ინვესტორებისთვის, ხოლო კორპორაციის ქონება ხელმიუწვდომელია პარტნიორის პირადი კრედიტორებისთვის. [33]

კორპორაციული საფარველის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული ინვესტორებისთვის, რადგან მათ ბიზნესტრანზაქციების განხორციელების და რისკიანი გადაწყვეტილებების მიღების ფართო შესაძლებლობა ეძლევათ, რადგან პირადი ქონება, საკანონმდებლო თვალსაზრისით, კრედიტორების მოთხოვნებისგან დაცულია.

თუმცა, კანონით გარანტირებული პირადი ქონების ხელშეუხებლობის მიუხედავად, სამეწარმეო კანონმდებლობა იცნობს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა არსებობდეს პარტნიორის პირადი ქონებით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ კრედიტორთა მოთხოვნა წაყენებულ იქნეს პირადად პარტნიორთა მიმართ. აღნიშნული წარმოადგენს კორპორაციული საფარველის გაჭოლვას, კერძოდ, სასამართლო კრედიტორს შესაძლებლობას აძლევს მოთხოვნები პარტნიორის პირადი ქონებით დაიკმაყოფილოს. ამ ინსტიტუტს „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ ეწოდება[34].

ტერმინი „გამჭოლი პასუხისმგებლობა“' (piercing the corporate veil) თავდაპირველად, 1912 წელს გამოიყენა მორის ვორმსერმა თავის სტატიაში „კორპორაციის ორგანიზაციული საფარველის გაჭოლვა“. ვორმსერის განმარტებით, კორპორაციული ორგანიზაციის კონცეფცია მოწოდებულია გამოამჟღავნოს კრედიტორების თაღლითობა, რომელთა მიზანია თავი აარიდონ პასუხისმგებლობას იმისთვის, რომ მიაღწიონ მონოპოლიას, ან დაფარონ დანაშაული. ასეთ შემთხვევაში სასამართლო სისტემა ხსენებულ

---

[33] Cox D. J and Hazen L. T, *Business Organizations Law,* 4th edn,West Academic Publishing 2016, 33.

[34] იქვე, 135-137.

კომპანიას განიხილავს, როგორც ქალთა და მამაკაცთა აქციონერების ცოცხალ, აქტიურ ასოციაციას და დაადგენს სამართალს რეალურ პიროვნებათა შორის.[35]

ადრეული გამჭოლი პასუხისმგებლობის საქმეებში, როგორც წესი, აუცილებელი იყო თაღლითობის ელემენტების არსებობა,[36] თუმცა შემდგომში ჩამოყალიბდა ინსტრუმენტულობის და ალტერ ეგოს დოქტრინები, რომელთა განვითარებამ გამჭოლი პასუხისმგებლობის განვითარების ფოკუსი კორპორაციას, აქციონერსა და კრედიტორს შორის სამკუთხა ურთიერთობებზე გადაიტანა. აღსანიშნავია, რომ ორივე დოქტრინა 3 ძირითად ფაქტორს მოითხოვს: 1) კორპორაციას არ გააჩნია დამოუკიდებლობის არანაირი ხარისხი და წარმოადგენს აქციონერის ინსტრუმენტს ან ალტერ ეგოს. 2) კორპორაცია გამოყენებულ უნდა იქნეს არადანიშნულებისამებრ თაღლითური, არასამართლიანი მიზნისთვის აქციონერის მიერ. 3) სახეზე უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქციონერის ქმედებასა და კრედიტორის ზიანს შორის.[37] მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ორივე დოქტრინა ცალ-ცალკე არსებობს, ისინი ურთიერთჩანაცვლებადია და, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოების მიერ გამოიყენება როგორც ერთმანეთის ალტერნატივა.[38]

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის კონტექსტში მნიშვნელოვანია ჰოლდინგური კომპანიის, დედა კომპანიის, შვილობილი და დაკავშირებული კომპანიების განმარტება და მონაწილეობა, რადგან ასეთ კომპანიათა ჯგუფებში, როგორც წესი, კონტროლს ერთი კომპანია ახორციელებს ან სახეზეა აქციონერი და/ან აქციონერთა ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მმართველობით უფლებებს, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების მიზნებისთვის, ასეთი დაკავშირებული ორგანიზაციები ერთ ორგანიზაციად იქნება განხილული.[39] პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების მიზნებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და მნიშვნელოვანი კორპორაციული საფარველის გაჭოლვის პრეცედენტი აშშ-ში არის საქმე *United States VS Reading Co*.[40] ხსენებულ საქმეში შეერთებულმა შტატებმა სარჩელი აღძრა რიდინგის სარკინიგზო კომპანიის წინააღმდეგ. ქვანახშირის მომპოვებელი კომპანია, რომელიც დაფუძნებული იყო *რიდინგის* მიერ, იმ ჰოლდინგის 100%-იანი შვილობილი გახდა, რომელიც ასევე ფლობდა *რიდინგის* კომპანიას. სასამართლომ გამოიყენა გამჭოლი პასუხისმგებლობის კონცეფცია და არსებული სამი კომპანია ერთ პირად განიხილა.[41]

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, მნიშვნელოვანია საქართველოს საკორპორაციო სამართალში აღნიშნული ინსტიტუტის განივთარების საკითხებს შევეხოთ.

---

35 Vormserl. M, “Piercing the Veil of Corporate Entity” [1912] 12 Columbia Law Review <https://ia801901.us.archive.org/8/items/jstor-1110931/1110931.pdf>.

36 იხ. Booth v Bunce [1865] 33 N.Y. 139 [160].

37 Bainbridge M. S, *Corporate Law* (2nd edn, Thomson Reuters/Foundation Press 2009) 53-54.

38 Cox D. J and Hazen L. T (n39) 135-140.

39 Ibid 142-143.

40 [1920] 253 U.S. 26.

41 Krendl S. C and Krendl R. J, “Piercing The Corporate Veil:Focusing The Inquiry” [1978] 55(1) Denver Law Journal, 42.

3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის ევოლუცია საქართველოს საკორპორაციო სამართალში

ქართულ სამართლებრივ სისტემაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მაგალითია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში მოქცეული ნორმა, რომლის თანახმადაც, პარტნიორები კორპორაციის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.[42] აღნიშნული ნორმა პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს და, შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის კანონისმიერი გამოხატულებაა.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანამდე, კორპორაციული საფარველის გაჭოლვას კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი არეგულირებდა, რომლის თანახმადაც „შესატანის სრულად შეტანა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად გამოიყენა. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა“.[43] აღნიშნულ ჩანაწერში კანონმდებელს დაკონკრეტებული ჰქონდა პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების საფუძველი, თუმცა დღეს მოქმედი კანონმდებლობით, პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული საფუძველი მითითებული არ არის, რაც საბაზრო ეკონომიკიდან და სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების ფართო საფუძველს მოიზარებდეს. ამავდროულდ, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ნორმის დღეს მოქმედი განმარტებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების ის საფუძვლები მოვიაზროთ, რომლებზეც ზემოთ ვიმსჯელეთ.

საქართველოში კორპორაციული საფარველის გაჭოლვასთან დაკავშირებით პირველი ორი გადაწყვეტილება (სსიპ შემოსავლების სამსახური შპს „ლ. 2009“-ის წინააღმდეგ[44] და სსიპ შემოსავლების სამსახური მ. და გ. კ-ების წინააღმდეგ[45]) უზენაესმა სასამართლომ 2015 წელს მიიღო. ორივე საქმეში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს ეკისრებათ თუ არა და რა საფუძვ-

[42] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 3.6, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

[43] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 3.4, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087. 11/07/2007 წლის რედაქცია.

[44] სსიპ შემოსავლების სამსახური შპს „ლ. 2009“-ის წინააღმდეგ [2015] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-1307-1245-2014.

[45] სსიპ შემოსავლების სამსახური მ. და გ. კ-ების წინააღმდეგ [2015] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-1158-1104-2014.

ლით, პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისთვის იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისთვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო, დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.[46] თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, როცა კომპანიის ვალდებულებებისთვის შესაძლებელია პასუხისმგებლობა კომპანიის დირექტორებს და პარტნიორებსაც დაეკისროთ. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც პარტნიორების პირადი ქონებით პასუხისმგებლობის საკითხს ეხება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ორივე გადაწყვეტილებაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვის განმარტებისთვის ამერიკული და გერმანული საკორპორაციო სამართლის მიღწევები გამოიყენა, ასევე, აღნიშნა, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დეფინიცია პირველად აშშ-ში იქნა ჩამოყალიბებული.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

---

[46] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 44, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

ორივე სასამართლო გადაწყვეტილებაში გაიმარჯვა მოსარჩელე მხარემ – სსიპ შემოსავლების სამსახურმა. სასამართლომ განმარტა პარტნიორის პირადი ქონებით პასუხისმგებლობის საკითხი და ორივე შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან პარტნიორების პირადი ქონებით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება გახდა, რაც გადასახადების გადაუხდელობაში გამოიხატა – პარტნიორმა საზოგადოება გამოიყენა არადეკლარირებული შემოსავლის მიღების წყაროდ. ამავდროულად, საქართველოს უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას და პარტნიორის პირადი ქონებით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად არ მიუთითა დელიქტური ვალდებულება, რაც საქართველოში კორპორაციული გაჭოლვის ფორმის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

რაც შეეხება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს, აღნიშნული პროექტის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „გადახდისუუნარო კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის პარტნიორი, რომლის მიმართაც არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, სამეწარმეო საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად გამოიყენებს და მისი პასუხისმგებლობა აუცილებელია სამეწარმეო საზოგადოების კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად“.[47]

შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი მომავალში კვლავ ზოგადი იქნება, თუმცა სავალდებულო კრიტერიუმად ორგანიზაციის გადახდისუუნარობა დაემატა.

[47] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლი 27.2, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_BI0VP94JAElEY>.

4 აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება, როგორც ინვესტიციის დაცვის საშუალება[48]

კაპიტალურ საზოგადოებებში აქციების ან წილის უპირატესი შესყიდვის უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია აქციონერისთვის/პარტნიორისთვის. სხვადასხვა იურისდიქციებსა და სამართლის სისტემებში უპირატესი შესყიდვის უფლება განსხვავებულად არის დარეგულირებული. ამერიკულ იურისდიქციაში, კერძოდ კი დელავერის საკორპორაციო სამართლის კანონისა (DGCL) და მოდელური კანონის (MBCA) მიხედვით, უპირატესი შესყიდვის უფლება არ არის აბსოლუტური და მისი გამოყენება საწესდებო ავტონომიურობას და საზოგადოების მმართველი ორგანოების დისკრეციას განეკუთვნება. ევროპულ ქვეყნებს შედარებით მკაცრი მიდგომა აქვთ და ძირითადად უპირატესი შესყიდვის უფლება კანონითაა განმტკიცებული, თუმცა იგი იმპერატიულად არც ევროპულ იურისდიქციებში რეგულირდება. ევროპულ იურისდიქციებში აღნიშნული უფლების შეზღუდვა შეიძლება აქციონერთა საერთო კრების მიერ.[49]

აქციონერთა უპირატესი შესყიდვის მომწესრიგებელმა ნორმებმა საზოგადოების აქციონერების უფლებებსა და საზოგადოების ოპტიმალური ფინანსური სტრუქტურის ჩამოყალიბებას შორის უნდა დაიცვას ბალანსი.[50] ამ ბალანსის მისაღწევად სამი ძირითადი პრინციპი არსებობს: უნდა იყოს წესები, რომლებიც ანაწილებს ახალი აქციების გამოშვების უფლებებს დირექტორებსა და აქციონერებს შორის; უნდა გაითვალისწინონ წილის უპირატესი შესყიდვის არსებობა, როდესაც ახალი აქციები იყიდება; და ახალი აქციების რეალიზაციის დროს დირექტორებს უნდა ეკისრებოდეთ ხელმძღვანელობის მოვალეობები. [51]

თუ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებას აქციონერების ქონებრივი უფლებების დაცულობის ჭრილში განვიხილავთ, აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება აქციონერის, როგორც ინვესტორის, კორპორაციულ-ქონებრივი ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, დივიდენდის მიღების, საზოგადოების ლიკვიდაციაში მონაწილეობის და საზოგადოებიდან განდევნისას სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლებებთან ერთად.[52] სწორედ

---

48 Pre-emptive rights, Subscription rights, Preemption rights (ანგლო-ამერიკული), Bezugsrecht (გერმანული).

49 Awwad A. A, "Shareholders Preemptive Rights in Listed and Closely-Held Corporations and Shareholders' Protection Methods" [2017] ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2739375>.

50 Ventoruzzo M, "Issuing New Shares and Preemptive Rights: A Comparative Analysis" [2013] 12 Rich. J. Global L. & Bus, 517-518.

51 იქვე.

52 ირაკლი ბურდული, „სააქციო სამართლის საფუძვლები" ტომი II (გამომცემლობა „მერიდიანი" 2013) 247-258.

ამიტომ, მნიშვნელოვანია უპირატესი შესყიდვის უფლების განხილვა აქციონერთა, როგორც ინვესტორთა, დაცულობის ჭრილში.

როგორც აღინიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა იურისდიქციებს განსხვავებული მიდგომები აქვთ. აშშ-ში მმართველობით ორგანოებს ფართო უფლებები აქვთ ახალი აქციების გამოშვებისას. აშშ-ში ახალი აქციების გამოშვებისას, აქციონერები დაცულები არიან ბორდის ხელმძღვანელობის მოვალეობებით. ევროპაში აქციონერები დაცულები არიან საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მანდატირებას უწევენ უპირატესი შესყიდვის უფლებებს. აქციონერებს შეუძლიათ უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება, მაგრამ მხოლოდ ლიმიტირებულ შემთხვევებში.[53] სხვადასხვა იურისდიქციებში აქციონერები დაცვის სხვადასხვა ხარისხით სარგებლობენ. ეს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური და იურისდიქციული თავისებურებებით, მაგალითად, აშშ-ში ზოგადად მენეჯმენტი ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს, ხოლო საწესდებო ავტონომიურობას უფრო დიდი ყურადღება ექცევა.

აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში უპირატესი შესყიდვის უფლების განვითარების საკანონმდებლო ჩარჩო და სასამართლო საქმეები, ასევე, გავაანალიზოთ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლები უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებით და რელევანტური სასამართლო საქმეები. ძირითადი აქცენტი სააქციო საზოგადოებაზე იქნება გაკეთებული, თუმცა, ამავდროულად, განხილულ იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის უპირატესი შესყიდვის უფლებაც.

4.1. უპირატესი შესყიდვის უფლების ევოლუცია საქართველოში

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46[1]-ე მუხლი არეგულირებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (შემდგომში – შპს) პარტნიორის მიერ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას.[54] პარტნიორს აქვს თავისი წილის პროპორციულად უპირატესი შესყიდვის უფლება და გამყიდველი პარტნიორი ვალდებულია მყიდველ პარტნიორს იგივე ფასად და იგივე პირობებით შესთავაზოს წილი, როგორც იგი მესამე პირს სთავაზობს. შპს-ში წილის უპირატესი შესყიდვის გაუქმება შესაძლებელია წესდებით, წესდების ცვლილებას უპირატესი შესყიდვის უფლების გასაუქმებლად სჭირდება პარტნიორთა კრების დამსწრეთა უბრალო უმრავლესობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.[55]

---

53 Ventoruzzo M, “Issuing New Shares and Preemptive Rights: A Comparative Analysis” [2013] 12 Rich. J. Global L. & Bus,518.

54 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 46[1], საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087.

55 საქართველოსკანონი „მეწარმეთაშესახებ“,მუხლი 46[1], საკანონმდებლომაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნებისთარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციოკოდი 240.000.000.05.001. 000.087.

თუ პარტნიორს წილის გაყიდვა სურს და წილის უპირატესი შესყიდვის უფლება არ არის წესდებით შეზღუდული, იგი ვალდებულია ამის შესახებ დანარჩენ პარტნიორებს გაუგზავნოს შეტყობინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წილის მოცულობა, ნასყიდობის ფასი და ვადა, ასევე უნდა მიეთითოს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა, რომელიც 10 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს.[56]

აღსანიშნავია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში, დახურული ტიპის კაპიტალურ საზოგადოებაში, ამ შემთხვევაში შპს-ში წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დღევანდელი ფორმულირება 2017 წლის 4 მაისის ცვლილების შემდეგ დაინერგა. დღევანდელი ფორმულირებით უპირატესი შესყიდვის უფლება სავალდებულო წესით მოქმედებს თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულ ცვლილებამდე უპირატესი შესყიდვის უფლება სავალდებულო წესით არ მოქმედებდა, თუ წესდებით პარტნიორები სხვა რამეს არ გაითვალისწინებდნენ.

ქართული სასამართლო პრაქტიკა შპს-ში წილის უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებით მწირია და შინაარსობრივ საკითხებს ნაკლებად ეხება, თუმცა არსებობს რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილებაც. მაგალითად, კასატორი ითხოვდა წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას, რომლითაც ერთმა პარტნიორმა წილი მეორე, იმავე საზოგადოების პარტნიორზე გაასხვისა ისე, რომ კასატორისთვის არ უცნობებია. ამ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს შემდეგი განმარტება გაიზიარა: „წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ინტერესების დაცვის მექანიზმია, რათა თავიდან აცილებულ იქნეს პარტნიორად არასასურველი პირის მიღება. ვინაიდან წილი ასევე იმავე საზოგადოების პარტნიორზე გასხვისდა, უპირატესი შესყიდვის უფლება არ მოქმედებდა ამ გარიგების მიმართ“. [57]

აქედან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის უფლების მიზანი არა მხოლოდ პარტნიორის ქონებირივი უფლებების დაცვაა, არამედ უპირატესი შესყიდვის უფლება არის დამცავი მექანიზმი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკის პატნიორების სტრატეგიისა და გეგმის მიხედვით ფორმირებას უწყობს ხელს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ სააქციო საზოგადოება უშვებს ახალ აქციებს, აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს. მისი გაუქმება შესაძლებელია აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუმცა, საერთო კრებას აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება შეუძლია მხოლოდ მენეჯმენტის (დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს) წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც უფლების გაუქმების მიზეზები უნდა იყოს მითითებული.[58] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6

---

[56] იქვე.

[57] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ას-1344-1362-2011, 12/12/2011.

[58] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 53, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

პუნქტშიც აქციონერთა გადასაწყვეტ საკითხად გვხვდება ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება, თუმცა, მე-6 პუნქტის ბოლოს გვხვდება ასევე ჩანაწერი, რომ ჩამოთვლილი უფლებამოსილებები წესდებით შეიძლება განაწილდეს მმართველობის სხვა ორგანოებზე (დირექტორები ან სამეთვალყურეო საბჭო).[59] ამ შინაარსიდან გამომდინარე, აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება ან შეცვლა შესაძლებელია აქციონერთა საერთო კრების ნაცვლად მენეჯმენტის უფლებამოსილებაში შევიდეს, რაც გარკვეულწილად ამერიკულ მიდგომას იზიარებს და აქციონერების (ინვესტორების) ინტერესი მენეჯმენტის ფიდუციური ვალდებულებების დაცვის ქვეშ ხვდება.[60]

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებები მოქმედებს სს-ს მიერ აქციებში კონვერტაციის ან აქციებზე გადაცვლის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე/სასესხო ვალდებულებების აღებაზე, თუმცა არა ამ ფასიანი ქაღალდებიდან/სასესხო ვალდებულებებიდან გამომდინარე კონვერტაციის ან გადაცვლის უფლების გამოყენებაზე[61].

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უპირატესი შესყიდვის უფლების მოქმედებას არ ავრცელებს:[62]

- იმ აქციების მიმართ, რომლებიც გამოშვებულია საწარმოს ან შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელების, წარმომადგენლების, დასაქმებულების ან დაკავშირებული პირებისადმი ანაზღაურების გაცემის მიზნით (თუ ამ მიზნით არ იქნა გამოყენებული, მაშინ მათზე აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება ვრცელდება);
- არაფულადი შესატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების მიმართ;
- საზოგადოების მიერ გამოსყიდული საკუთარი აქციების მიმართ, თუ მათი ხელახალი განთავსება/გაყიდვა ხდება.

კანონით გათვალისწინებული აკრალვის მიუხედავად, საზოგადოებას შეუძლია საწესდებო ავტონომიურობის ფარგლებში ჩამოთვლილი ტიპის აქციებზეც გაავრცელოს უპირატესი შესყიდვის უფლება.[63]

როგორც ნორმების ანალიზიდან ჩანს, კანონით გათვალისწინებულია უპირატესი შესყიდვის უფლება, თუმცა მისი გაუქმება შესაძლებელია,როგორც აქციონერთა საერთო კრების, ასევე, განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტის მეშ-

---

59 იქვე, მუხლი 54.6.

60 Morawetz V, “The Preemptive Rights of Shareholders” [1928]42(2) Harvard Law Review 186.

61 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 53.1[3], საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

62 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 53.1[4], საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

63 იქვე.

ვეობითაც. ქართული სასამართლო პრაქტიკის არარსებობის გამო რთულია გაგება, რამდენად გამოყენებადია ეს ნორმები და რამდენად ხშირად ხდება დავის საგანი ზოგადად უპირატესი შესყიდვის უფლება.

ქვემოთ მოკლედ გავნიხილავთ უპირატესი შესყიდვის უფლების განვითარების ევროპულ და ამერიკულ მიდგომებს და ჩამოვაყალიბებთ ქართულ საკორპორაციო სამართალში უპირატესი შესყიდვის უფლების განვითარების სავარაუდო პერსპექტივას.

4.2. უპირატესი შესყიდვის უფლება ევროპის ქვეყნების სამართლის მიხედვით

ქართულ კანონმდებლობაზე კონტინენტური ევროპის სამართლის გავლენის დასადგენად მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩო, კერძოდ, რელევანტური დირექტივები და წევრი (ასევე არაწევრი) ქვეყნების კომერციულ-კორპორაციულ აქტებში უპირატეს შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, რაც დაგვეხმარება ძირითადი გავლენებისა და კონტრასტის დასანახად, როგორც ქართულ, ისე ამერიკულ იურისდიქციასთან მიმართებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის ძირითად დირექტივებში ხაზგასმულია აქციონერებისთვის უპირატესი შესყიდვის უფლება იმპერატიულად, რის წარმატებით იმპლემენტირებასაც წევრი სახელმწიფოები ახდენენ.

გერმანიის კანონის „სააქციო საზოგადოებების შესახებ“ (Aktiengesetz, შემდგომში AKTG), თანახმად, აქციონერები სარგებლობენ უპირატესი შესყიდვის უფლებით საზოგადოების მიერ ახალი აქციების გამოშვებისას, იქნება ეს ფულადი შესატანის თუ არაფულადი შესატანების სანაცვლოდ. აქციონერებისთვის განსაზღვრულია ორკვირიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მათ უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა გამოიყენონ. [64]

უპირატესი შესყიდვის უფლება ახალი აქციების გამოშვებისას შეიძლება შეიზღუდოს მთლიანად ან ნაწილობრივ. მისი შეზღუდვისთვის საჭიროა აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც უნდა ესწრებოდეს მინიმუმ კაპიტალის ¾-ის მფლობელები მაინც. ამ გადაწყვეტილებას უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით უნდა უსწრებდეს სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს რეკომენდაცია, რომელშიც მითითებული უნდა იყოს რატომაა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება საზოგადოებისთვის საჭირო.[65] გერმანული სასამართლო პრაქტიკა მენეჯმენტს მაინც ავალდებულებს, რომ მათ დაასაბუთონ კორპორაციის ინტერესების უპირატესობა აქციონერის ინტერესების უპირატესობასთან შედარებით.[66] უპირატესი შეს-

[64] Stock Corporation Act, September 6 1965 (Federal Law Gazette I), art 186.1. ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aktg/englisch_aktg.html#p0981>.

[65] იქვე, მუხლები 186.3 და 186.4.

[66] Cahn Aand Donald C. D, Comparative Company Law (Cambridge University Press 2010) 201-202.See alsoMarco Ventoruzzo, “Issuing New Shares and Preemptive Rights: A Comparative Analysis” [2013] 12 Rich. J. Global L. & Bus, 536-537.

ყიდვის გაუქმებისას ახალი აქციების გამოშვების ფასი ადეკვატური უნდა იყოს და აქციონერებს ამასთან დაკავშირებით სასამართლოში დავის უფლება აქვთ.[67]

საფრანგეთში სავალდებულოა აქციათა უპირატესი შესყიდვა. მისი გაუქმება შესაძლებელია აქციონერთა კრების მიერ, თუმცა ამ დროს საერთო კრების გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყვნენ ის პირები, რომლებიც ამ აქციებს მიიღებენ, ან დაზუსტებული უნდა იყოს პირთა წრე. ეს შეზღუდვები ბენეფიციარების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით არ ეხება ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულ კორპორაციებს. ასევე სავაჭროდ დაშვებულ კორპორაციებში, კანონით განსაზღვრული ვადისგან განსხვავებით, აქციონერთა კრებას შეუძლია განსაზღვროს დრო არსებული აქციონერებისთვის ამ უფლების გამოსაყენებლად.[68]

გაერთიანებულ სამეფოში, მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთო სამართლის ნაწილია, აქციათა უპირატეს შესყიდვასთან დაკავშირებით მოქმედებს ევროპული დღის წესრიგი, რაც განსხვავებულია მეორე საერთო სამართლის ქვეყნის – აშშ-ს მიდგომებისაგან ამ საკითხთან დაკავშირებით. გაერთიანებულ სამეფოში უპირატესი შესყიდვის უფლება აქციონერებს მხოლოდ მაშინ აქვთ, როდესაც ახალი აქციები ფულადი შენატანების სანაცვლოდაა გამოშვებული, თუმცა, ბრიტანული წესებით უპირატესი შესყიდვის უფლება ვრცელდება როგორც საჯარო სააქციო საზოგადოებებზე, ასევე კერძო შეზღუდული პასუხსიმგებლობის კომპანიებზეც.[69]

ესპანეთში, ზოგადი წესის მიხედვით, როდესაც ახალი აქციების გამოშვება ხდება, არსებულ აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ. ეს უფლება ვრცელდებოდა ბონდების მფლობელებზეც, მაგრამ 2008 წლის ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა (*Commission v Kingdom of Spain*[70]). უპირატესი შესყიდვის უფლება შესაძლებელია აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გაუქმდეს, ხოლო დირექტორებმა უნდა წარმოადგინონ ამ გაუქმების მიზნები და იმ ინვესტორთა სია, რომელთა სასარგებლოდაც უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება ხდება.[71] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფრანგული და ესპანური კანონმდებლობის მსგავსებები. ორივე იურისდიქციაში მენეჯმენტს შეიძლება დაევალოს გამოშვებული აქციების ბენეფიციართა, ან ბენეფიციართა სავარაუდო სიის წარმოდგენა.

4.3. უპირატესი შესყიდვის უფლება ევროკავშირის დირექტივების მიხედვით

ევროპული მიდგომის სიღმისეულად გაცნობისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ ევროკავშირის დირექტივები. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს, რო-

---

67 Stock Corporation Act, 255.2 and 255.3.

68 Ventoruzzo (n 56)538.

69 Cahn Aand Donald C. D, Comparative Company Law,Cambridge University Press 2010, 203.

70 CJEU, Commission v.Kingdom of Spain [2008] Case C-338/06, ECLI:EU:C:2008:740.

71 Ventoruzzo (n 56)539.

გორც ევროკავშირის ასოცირებულ წევრს, ევროპული დირექტივების დანერგვის ვალდებულება აქვს.

ევროკავშირის 77/91/EEC დირექტივის[72] (შემდგომში – მეორე დირექტივა) 29-ე მუხლი უპირატესი შესყიდვის უფლებას ეხება. მეორე დირექტივის 29.1 მუხლის მიხედვით, როდესაც კაპიტალი ფულადი შესატანის სანაცვლოდ იზრდება, აქციები შეთავაზებულ უნდა იქნეს აქციონერებისთვის მათი აქციების პროპორციულად.[73] მეორე დირექტივის 29.4-ე მუხლის მიხედვით, უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება შეზღუდული იყოს საკანონმდებლო ნორმებით ან ინკორპორირების ინსტრუმენტებით, მისი შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებაზე, სადაც მენეჯმენტმა უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული წინადადება უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.[74] მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მეორე დირექტივის მიხედვით გათვალისწინებულია უპირატესი შესყიდვის უფლება იმ დროს, როდესაც კაპიტალის გაზრდა/აქციების გამოშვება ფულადი შესრულების სანაცვლოდ ხდება. მეორე დირექტივით არ არის გათვალისწინებული აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება იმ დროს, როდესაც აქციები არაფულადი შესატანების ნაცვლადაა გამოშვებული.

მნიშვნელოვანი შინაარსის მქონეა 2017/1132 დირექტივა[75], რომლითაც რამდენიმე დირექტივის, მათ შორის, ზემოთ ნახსენები მეორე დირექტივის კონსოლიდირება მოხდა. 2017/1132 დირექტივის 72-ე მუხლის I პუნქტი ფულადი შენატანის სანაცვლოდ კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში აქციონერების/წილის მფლობელების უპირატესი შესყიდვის უფლებას ეხება. 72-ე მუხლის მიხედვით, ასეთ შემთხვევებში, კაპიტალის გაზრდის დროს აქციები შეთავაზებულ უნდა იქნეს უკვე არსებული აქციონერებისადმი მათი წილის პროპორციულად.[76]

დირექტივის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს წესდებითა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციით. უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებას, ხოლო მმართველი ორგანო შეიძლება ვალდებული იყოს წარადგინოს წერილობითი მოხსენება, სადაც დეტალურად იქნება ახსნილი შეზღუდვის მიზნები და შეთავაზებული ფასის გამართლება.[77]

დასახელებული დირექტივების მიდგომებს ასევე ამყარებს ევროპული სასამართლო. მაგალითისთვის, ერთ-ერთი ევროპული სასამართლო საქმე არის *Sindesmos*

---

[72] Council Directive (EEC) 77/91 on coordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, in respect of the formation of public limited liability companies and the maintenance and alteration of their capital, with a view to making such safeguards equivalent [1976] OJ L26/1 (Second Council Directive).

[73] Second Council Directive, art 29.

[74] იქვე.

[75] European Parliament and the Council Directive (EU) 2017/1132 on relating to certain aspects of company law [2017] OJ L169/46 (Company Law Directive).

[76] Company Law Directive, art 72.

[77] Company Law Directive, art 72.

Melon Tis Eleftheras Evangelikis Ekklisias and Othersv Greek State and Others,[78] სადაც საბერძნეთის პირველი ინსტანციის სასამართლომ მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მეორე დირექტივის 25-ე და 29-ე მუხლების განმარტებისათვის. ბერძნულ სასამართლოში იხილებოდა დავა ბერძნული კომპანიის *EPAS-ის* აქციონრებსა და ბერძნული სახელმწიფო საწარმო *OAE-ს* შორის. სახელმწიფო საწარმო *OAE* დაინიშნა *EPAS-ის* დროებით მმართველად, შესაბამისი ბერძნული საკანონმდებლო აქტით. საკანონმდებლო აქტი ასევე აზუსტებდა *OAE-ს* უფლებამოსილებას და მას კაპიტალის გაზრდის უფლებასაც აძლევდა, რომელიც შესაბამის მინისტრთან უნდა შეთანხმებულიყო.

1984 წლის 26 ნოემბერს *OAE* დაინიშნა *EPAS-ის* დროებით მმართველად. *OAE-მ* კაპიტალი შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით გაზარდა და აქციონერები უპირატესი შესყიდვის უფლების განსახორციელებლად მოიწვია. ეს მოწვევა გამოქვეყნდა ოფიციალურ გაზეთში, თუმცა აქციონერებმა ეს უფლება არ განახორციელეს და უშუალოდ *OAE* დაეუფლა ახალ აქციებს, რის შედეგადაც იგი კომპანიის დაახლოებით 70%-ს ფლობდა.

1986 წლის მიწურულს, კრედიტორებს, *OAE-სა* და კომპანიის აქციონერებს შორის მოხდა შეთანხმება, რის შედეგადაც დასრულდა დროებითი მმართველობა და შეთანხმება მიღწეულ იქნა კომპანიის კაპიტალის მინიმუმამდე შემცირების თაობაზე.

მოსარჩელეები, *EPAS-ის* აქციონერები, აპელირებდნენ, რომ *OAE-ს* მიერ კაპიტალის გაზრდა არ შეესაბამებოდა მეორე დირექტივის მიზნებს.

ევროკავშრის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ მეორე დირექტივის 25-ე და 29-ე მუხლების ინტერპრეტირება უნდა მოვახდინოთ ისე, რომ იგი არ უშვებდეს ისეთი წესების არსებობას, რომლებიც კაპიტალის გაზრდისა და უპირატესი შესყიდვის გაუქმების აქციონერთა საერთო კრების მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტისაკენაა მიმართული. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში სავალდებულო წესით უნდა მომხდარიყო აქციონერთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის დირექტივები და მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ნათლად მიუთითებს უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებისა და გაუქმების დროს აქციონერების მონაწილეობაზე. უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებას ენიჭება, სადაც საკითხი მენეჯმენტმა უნდა წამოჭრას და შეზღუდვის მართებულობა დაასაბუთოს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, შესაბამისი დირექტივები მმართველობით ორგანოებზე ამ უფლებამოსილების დელეგირების საშუალებას არ იძლევა.

[78] CJEU, Sindesmos Melon v Greek State [1992] C-381/ 89, ECLI:EU:C:1992:142.

4.4. უპირატესი შესყიდვის უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1950-იან წლებამდე არსებობდა კონტინენტური სამართლის მიდგომა აქციათა უპირატეს შესყიდვასთან დაკავშირებით. 1950-1960-იან წლებში აღნიშნული მიდგომა შეიცვალა და სხვადასხვა შტატებმა ადგილობრივი კანონმდებლობა რადიკალურად შეცვალეს, გაიზარდა ბორდის უფლებამოსილებები და მეტი აქცენტი საწესდებო ავტონომიურობაზე გაკეთდა.[79]

აშშ-ში, ტრადიციული მიდგომის თანახმად, აქციონერებს უპირატესი შესყიდვის გარანტირებული უფლება ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი პრეცედენტული სასამართლო საქმე იყო *Gray v. Portland Bank*,[80] მასაჩუსეტსის შტატის საქმე, რომელიც 1807 წელს გაიმართა და რომელმაც უპირატესი შესყიდვის გარანტირებული უფლება დაადგინა. პირველი ზოგადი საკორპორაციო საკანონმდებლო აქტები პრეცედენტით დადგენილ დოქტრინას იზიარებდა და აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლებას აძლევდა. მასაჩუსეტსი ამ კუთხით საინტერესო მაგალითია, რადგან 1870 წელს მიღებული საკანონმდებლო აქტის 179-ე თავი აქციონერებს იმის საშუალებას აძლევდა, რომ კორპორაციის მიერ კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერებს ამ აქციების *pro-rata* შესყიდვის უფლება ჰქონოდათ.[81]

აშშ-ში თანამედროვე მიდგომა საწესდებო ავტონომიურობის პრინციპს ემყარება, სხვადასხვა შტატებმა უარი თქვეს ტრადიციულ დოქტრინაზე და ზოგადი წესის მიხედვით აქციონერებს არ გააჩნიათ უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ ეს საზოგადოების საწესდებო დოკუმენტაციით არ არის გათვალისწინებული.[82]

აშშ-ში უნივერსალურ საკორპორაციო საკანონმდებლო მოდელად მიჩნეულია დელავერის შტატის ზოგადი საკორპორაციო და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული მოდელური კანონები. სწორედ ამ აქტებშია დანერგილი უპირატესი შესყიდვის უფლების საწესდებო ავტონომიურობით დარეგულირების პრინციპები, ზოგი შტატი პირდაპირ იზიარებს ამ მიდგომას, ხოლო ზოგი – ცალკეული ცვლილებებითა და დამატებებით.

4.4.1. მოდელური კანონი

მოდელური კანონის (MBCA) 6.30 პარაგრაფის (a) ქვეპუნქტის მიხედვით კორპორაციის აქციონერებს არ აქვთ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ ეს წესდებით არ არის გათვალისწინებული,[83] ხოლო, თუ წესდებით გათვალისწინებულია, რომ უშუალოდ კორპორაციის მმართველ ორგანოებს შეუძლიათ კონკრეტულ შემთხვევებში მიანიჭონ აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლება, მოდელური კანონის მიხედვით, ამ დროს

[79] Ventoruzzo (n 56) 520-521.

[80] William Gray, Jun., v. The President, Directors and Company of the Portland Bank [1807] 3 MASS 364.

[81] NicholsL. A, Shareholder Preemptive Rights [1995] 39 Bos. BAR J. 4, 4.

[82] Ventoruzzo (n 56) 521.

[83] Model Business Corporations Act, § 6.30, (a).

გათვალისწინებული უნდა იყოს ბორდის მხრიდან სამართლიანი და გონივრული მოქმედების პრინციპი, თუმცა იგივე „სამართლიანი", „გონივრული" და „პროპორციული" პრინციპები და ვალდებულებები შეიძლება წესდებით შეიზღუდოს. [84]

როგორც ვხედავთ, საზოგადოების წესდება უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება/არგანხორციელებას საზოგადოების ბორდის უფლებამოსილებად მიიჩნევს, აქედან გამომდინარე, ბორდის ქმედება უნდა იყოს სამართლიანი და გონივრული და, რაც მთავარია, ხელმძღვანელობის მოვალეობების შესაბამისი. აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების დაცულობის დირექტორთა ხელმძღვანელობის მოვალეობების ქვეშ მოქცევა ე.წ *Default* ჩანაწერია, ანუ წესდებით შეიძლება სხვა რამ იყოს გათვალისწინებული.

4.4.2. დელავერის საკორპორაციო სამართალი

დელავერის ზოგადი საკორპორაციო კანონის მიხედვით, აქციონერებს/პარტნიორებს არ აქვთ წილის ან აქციის უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ ის სარეგისტრაციო განაცხადით არ არის გათვალისწინებული.[85] ეს კონკრეტული წესი დელავერის კანონს 1967 წელს დაემატა, რითაც ევროპული კანონმდებლობისა და დელავერის კანონის შედარება გართულდა.[86] დელავერის კანონი, მოდელური კანონისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც წესდებაში საკითხის გადაწყვეტა ბორდის უფლებამოსილებაა, შესაბამისად, ამ საკითხის დარეგულირება, დელავერის კანონის მიხედვით, წესდების პრეროგატივაა და მოდელური კანონით გათვალისწინებული აქციონერთა დაცულობის საკითხების ბორდის ხელმძღვანელობის მოვალეობის ქვეშ მოქცევაც წესდების ინტერპრეტირების საგანი უნდა იყოს. თუმცა, დელავერის საკორპორაციო სამართალი და სასამართლო განამტკიცებს დირექტორების ფართო უფლებამოსილებას აქციონერების საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, რა დროსაც შესაძლებელია მენეჯმენტმა თავდაცვის სხვადასხვა ღონისძიება გამოიყენოს, რომლის შინაარსიც და მოქმედების მექანიზმიც საქართველოს საკორპორაციო სამართლის მაგალითზე დაყრდნობით უპირატესი შესყიდვის უფლებასთან არის ახლოს, მაგალითად, კორპორაციის შიგნით მოქმედი *Poison Pills-ი („მოწამლული აბები" ან აქციონერის დამატებითი უფლება),* რასთან დაკავშირებითაც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. [87]

სხვადასხვა შტატებში, მცირე გამონაკლისების გარდა, უპირატესი შესყიდვის უფლება შეესაბამება დელავერისა და მოდელურ კანონებში დადგენილ წესებს. განსხვავებული მიდგომა აქვს რამდენიმე შტატს. ამ მიდგომების თანახმად, აქციონერებს უპირატესი

---

[84] იგივე, 6.30 (b).

[85] Delaware General Corporation Law, § 102(b)(3)

[86] Cahn Aand Donald C. D, Comparative Company Law (Cambridge University Press 2010) 206.

[87] დავით მაისურაძე, „კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას" (შედარებით-სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე) (გამომცემლობა „მერიდიანი" 2015) 215-245.

შესყიდვის უფლება ეძლევათ ე.წ *Default* წესად, თუმცა მისი შეზღუდვა წესდებითაა შესაძლებელი.[88]

4.5. უპირატესი შესყიდვის უფლების განვითარების პერსპექტივა ქართულ საკორპორაციო სამართალში

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ფაქტობრივად იზიარებს როგორც ამერიკულ, ასევე, ევროპულ მიდგომებს. ერთი მხრივ, უპირატესი შესყიდვის უფლება კანონით გარანტირებულია, თუმცა, ამავდროულად, შესაძლებელია უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება. უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული აქვს საერთო კრებას, თუმცა, ამავდროულად, კანონით შესაძლებელია უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების გადაცემა მმართველობის ორგანოებზე, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოზე და დირექტორატზე.[89] იმის გამო, რომ არ არსებობს რელევანტური სასამართლო პრაქტიკა და, ასევე, ვერ მოხერხდა საზოგადოებების წესდებებში ისეთი ჩანაწერის მოძიება, რომელიც უპირატესი შესყიდვის გაუქმების უფლებას სპეციფიკურად მენეჯმენტს ანიჭებს, საბოლოო ჯამში, რომელიმე მიდგომის არსებითად ჩათვლა არაგონივრული იქნებოდა.

უპირატესი შესყიდვის უფლების სააქციო საზოგადოების დირექტორატზე და/ან სამეთვალყურეო საბჭოზე გადაცემის სამართლებრივი შესაძლებლობა 2008 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ შექმნა. 2008 წელს განხორციელებული ცვლილებები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიბერალური მიდგომებით გამოირჩეოდა და ქართული საკორპორაციო სამართალი კონტინენტური ევროპის სამართლის სულისკვეთებას დააშორა.

2017 წელს კანონში ცვლილება განხორციელდა და უპირატესი შესყიდვის უფლების სავალდებულოობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დაინერგა. კერძოდ, შპს-ში სავალდებულოა უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მომავალში უნდა ვივარაუდოთ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის რედაქცია კიდევ უფრო შეიცვლება ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების გამო და დირექტივების პრინციპებს გაიზიარებს, შესაბამისად, უპირატესი შესყიდვის უფლების გარანტირებული ხასიათი უფრო მეტად გაიზრდება და მისი გაუქმების შესაძლებლობა რომელიმე სხვა მმართველობის ორგანოსთვის გადაცემის გარეშე მხოლოდ საერთო კრების უფლებამოსილებაზეიქნება დამოკიდებული. ამ დროისთვის მომზადებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით უპირატესი შესყიდვის გაუქმების უფლებამოსილება თავს იყრის საერთო კრების ხელში და

---

88 Ventoruzzo (n 56) 521.

89 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 54, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

კანონის პროექტით აღარ იქნება შესაძლებელი, რომ საერთო კრებამ ეს უფლებამოსილება მენეჯმენტს გადასცეს.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის 134-ე მუხლი დაარეგულირებს ახალი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში უპირატესი შესყიდვის უფლების საკითხებს. მაგალითად, ამ მუხლით, თუ პარტნიორებს შორის წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, იმოქმედებს წილის პროპორციული თვალსაზრისით უპირატესი შესყიდვის უფლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ახალი წილის გამოშვებისას, უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს პარტნიორთა გადაწყვეტილებით, რომელიც კენჭისყრაში მონაწილე ხმათა არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობით მიიღება. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ დირექტორის მოხსენების საფუძველზე, რომელშიც შეზღუდვის ან გამორიცხვის გონივრული საფუძვლები უნდა მიეთითოს და წილის გასაცემი ღირებულება დასაბუთდეს.[90]

რაც შეეხება სააქციო საზოგადოებას, დასახელებული კანონის პროექტის 174-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით გაუქმდეს, რომელიც კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით მიიღება. ასეთ შემთხვევაში, საერთო კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ საერთო ხმათა არანაკლებ ორი მესამედის მფლობელი აქციონერები. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ დირექტორთა საბჭოს წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც გაუქმების საფუძვლები უნდა მიეთითოს და აქციის გამოშვების ღირებულება დასაბუთდეს.[91]

აღსანიშნავია, რომ კანონის პროექტით ასევე იზრდება სააქციო საზოგადოების საერთო კრების ქვორუმის ოდენობა, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება. დღეს მოქმედი კანონმდებლობით სააქციო საზოგადოების კრებას ქვორუმისთვის პირველად მოწვევის შემთხვევაში უნდა ესწრებოდეს ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტი. თუ პირველად მოწვევის შემთხვევაში ქვორუმი არ შედგა, მეორედ იწვევენ კრებას რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ ხმის უფლების მქონე აქციების 25%-ზე მეტის მფლობელები ესწრებიან. იმ შემთხვევაში, თუ მეორედ მოწვეულ კრებაზე ვერ შედგება ქვორუმი, მესამე მოწვეული კრება ყოველ შემთხვევაში იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი, მიუხედავად წარმოდგენილი პარტნიორების ხმების ოდენობისა და ასეთ კრებას შეეძლება გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საკითხებთან დაკავშირებით.[92] კანონის პროექტით სააქციო საზოგადოების

---

[90] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისპროექტი, მუხლი 134, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_Bl0VP94JAElEY>.

[91] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისპროექტი, მუხლი 174, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_Bl0VP94JAElEY>.

[92] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 54, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

კრებას უნდა ესწრებოდნენ ხმათა არანაკლებ ორი მესამედის მფლობელი აქციონერები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის პროექტი, დღეს მოქმედი კანონისგან განსხვავებით, ასევე არ ითვალისწინებს უპირატესი შესყიდვის უფლების მენეჯმენტისთვის გადაცემის შესაძლებლობას, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასაბუთების სტანდარტი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებას, შინაარსობრივად იგივე იქნება, რაც ამჟამად მოქმედი სტანდარტია. კერძოდ, მენეჯმენტი იძულებული იქნება დაასაბუთოს აქციონერთა უფლებების შეზღუდვის აუცილებლობა კორპორაციის ზოგადი ინტერესებიდან გამომდინარე. ხაზი უნდა გავუსვათ ქართულ სამეცნიერო დოქტრინას, [93] რომელიც უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების თითქმის ისეთსავე სტანდარტს აყალიბებს, როგორც ეს *იუნიკალის* ორსაფეხურიანი წესით არის გათვალისწინებული. [94]

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო დოქტრინაში განხილულია უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების, როგორც თავდაცვითი ღონისძიების გამოყენების საკითხი, „მოწამლულ აბებთან“[95] (აქციონერის დამატებითი უფლება) მიმართებაში.[96] როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, შესაძლებელია, უპირატესი შესყიდვის უფლება გადაეცეს მენეჯმენტს და, აქედან გამომდინარე, მენეჯმენტმა აქციონერების ნაწილს უპირატესი შესყიდვის უფლება გაუუქმოს. მაგალითად, გამოშვებულ იქნეს დამატებითი აქციები და შემძენ კორპორაციას გაუუქმდეს უპირატესი შესყიდვის უფლება ახლად გამოშვებულ აქციებთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია შემძენი კორპორაციის წილობრივი მონაწილეობის შემცირება სამიზნე კორპორაციის შიგნით. აღნიშნული ტაქტიკა თითქმის იმეორებს აქციონერის დამატებითი უფლების გამოყენების ამერიკულ ვერსიას. ქართული სამეცნიერო დოქტრინა ამბობს, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება უნდა გამომდინარეობდეს კორპორაციის ზოგადი ინტერესებიდან და დასახული მიზნის მიღწევის სხვა შესაძლებლობა არ უნდა არსებობდეს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შემდეგ შეუძლებელი გახდება უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმე-

---

93 დავით მაისურაძე, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებით-სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე) (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015) 215-245. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, *მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი* (მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“ 2002) 376. ირაკლი ბურდული, „სააქციო სამართლის საფუძვლები“ ტომი II (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013) 254-255.

94 Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co. Delaware Supreme Court, 1985, 493 A.2d 946.

95 O’Kelley R.T. C and ThompsonB. R, Corporations and other Business Associations, 5th edn, Aspen Publishers 2006, 779.

96 დავით მაისურაძე, „კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას“ (შედარებით-სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე) (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015) 215-245.

ბის გამოყენება „მოწამლული აბების“ შიდა ვარიანტის მიზნებისთვის. ქართული მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის უფლება ეფექტურ თავდაცვით ღონისძიებად ვეღარ ჩაითვლება, რადგან მისი გამოყენება საერთო კრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, რომლის დელეგირება დირექტორატზე აღარ იქნება შესაძლებელი.[97]

[97] Gordon N. J, “An American Perspective on the New German Anti-takeover Law” [2002]<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=336420>.

5 უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებების დაცვა DOING BUSINESS-ის მიხედვით

უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებების დაცვა საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცვა არის სახელმწიფოს მიერ უცხოური და ადგილობრივი ინვესტორებისგან ფინანსების მოზიდვის წინაპირობა. ამავდროულად, უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებების დაცვა არის ზოგადად, სახელმწიფოში არსებული კორპორაციული მართვის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი კატალიზატორი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე წიგნის მიზანია წარმოაჩინოს ინვესტორების, როგორც აქციონერებისა და კრედიტორების ინტერესების დაცულობის საკითხი. შესაბამისად, აღნიშნულ თავში საუბარი გვექნება სწორედ უმცირესობაში მყოფ აქციონერზე, როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოების უმცირესობაში მყოფ პარტნიორზე. ამავდროულად, აღნიშნული თავის მიზანია, განიხილოს უმცირესობაში მყოფი ინვესტორის უფლებების დაცულობა *Doing Business-ის* კრიტერიუმების მიხედვით.[98] ბოლო წლებში საქართველომ განსაკუთრებული პროგრესი განიცადა *Doing Business-ის* რეიტინგში და 2019 წლისთვის, ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, დამკვიდრებულია რეიტინგის მე-6 ადგილზე. რაც შეეხება საკუთრივ უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებების დაცულობის თვალსაზრისით, საქართველო ქვეყნების ჩამონათვალში მეორე ადგილს იკავებს.[99]

უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებები და მოვალეობები უშუალოდ არის დაკავშირებული მათ სამართლებრივ სტატუსთან კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში. უმრავლესობის მქონე პარტნიორი აყალიბებს კორპორაციის მართვის რგოლს და აქციათა მცირე პროცენტული რაოდენობის მქონე ინვესტორებს შეზღუდული რესურსი აქვთ იმისათვის, რომ დაიცვან ინვესტიცია კორპორაციაში. შესაბამისად, საკანონმდებლო და შიდა კორპორაციული აქტები ხელს უნდა უწყობდეს ინვესტიციის დაცულობას კორპორაციაში.

ინვესტიციის დაცულობის საკითხთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია გამჭვირვალობისა და დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი, აქციონერთა უფლებების, აქციონერების მიერ სარჩელის შეტანის სიმარტივისა და კონტროლის განხორციელების

---

98 Doing Business. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia#DB_pi>.

99 Doing Business. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia#DB_pi>.

საკითხი. წინამდებარე ქვეთავში, დასახელებული საკითხები განხილული იქნება „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით *Doing Business-ის* მეთოდოლოგიის საფუძველზე.[100]

უმცირესობაში მყოფი ინვესტორების უფლებების დაცვის მეთოდოლოგიის ძირითადი განმსაზღვრელი *Doing Business-ის* თანახმად არის ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ტრანზაქცია, რომელიც კაზუსის სახითაა წარმოდგენილი. კერძოდ, დასახელებული კაზუსის თანახმად,[101] მყიდველი არის ღია ტიპის კორპორაცია, საკუთარი წარმოებით და სადისტრიბუციო ქსელით, რომელიც საფონდო ბირჟაზე აქციებით ვაჭრობს. ხსენებულ კორპორაციას ჰყავს დირექტორთა საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც შეუძლია მყიდველის სახელით იმოქმედოს. ასევე, კომპანიას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, სადაც ერთი პირის მიერ დანიშნულია წევრთა 60%. ამავდროულად, ეს პირი არის მყიდველი კომპანიის წილის 60%-ის მფლობელი, არის დირექტორთა საბჭოს წევრი და დანიშნული ჰყავს დირექტორთა საბჭოს ხუთკაციანი შემადგენლობიდან ორი დირექტორი.

კაზუსში გამყიდველ კომპანიასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ იგივე პირი, ვინც მყიდველი კომპანიის წილის 60%-ს ფლობს, არის გამყიდველი კომპანიის წილის 90%-ის მფლობელი. ასევე, ცნობილია, რომ გამყიდველმა მხარემ ცოტა ხნის წინ დახურა ბევრი მაღაზია. ხსენებულმა პირმა მყიდველ კომპანიას შესთავაზა გამყიდველი კომპანიის სატვირთო ავტომანქანების შეძენა სადისტრიბუციო ქსელის გაფართოების მიზნით. აღნიშნულ შეთავაზებას მყიდველი კომპანია დათანხმდა. ნასყიდობის ღირებულება აღემატება საბაზრო ღირებულებას და მყიდველი კომპანიის ქონების 10%-ს. ხსენებული ტრანზაქცია ჩვეულებრივი საქმიანობის ნაწილია. მხარეები დებენ გარიგებას. გარიგების რატიფიცირება და ძალაში შესვლა მოხდა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაცვით. ტრანზაქციამ დააზარალა მყიდველი. ხსენებულ პირს და დირექტორებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს გარიგების დადებას, აქციონერებმა უჩივლეს.

დასახელებული კაზუსის საფუძველზე ახდენს *Doing Business-ი* უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების განსაზღვრას სახელმწიფოების მიხედვით. შესაბამისად, ავტორთა ჯგუფს საქართველოს კანონმდებლობაც და *Doing Business-ის* უმცირესობაში მყოფი ინვესტორის დაცულობის კრიტერიუმებიც სწორედ ამ კაზუსის მიხედვით აქვს განხილული.

---

[100] იმისათვის, რომ მკითხველისთვის გამარტივებულიყო ნაშრომის აღქმა, პროექტის გუნდმა უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცვის მეთოდოლოგიის ნაწილი გააერთიანა და ადაპტირებული ვერსია გამოიყენა, თუმცა შეფასებები უცვლელი სახით დატოვა.

[101] http://www.doingbusiness.org/en/methodology/protecting-minority-investors?fbclid=IwAR2m992Xfe9mB6LAp5DWBIsye8oMtp7C9SAatgB_xrnAGPJUm0IO3VEObEc. ხსენებული კაზუსი არის გადამუშავებული ვერსია და არა სიტყვასიტყვითი თარგმანი.

5.1. მოკლედ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საქართველოს საკორპორაციო კანონმდებლობის თანახმად

ინტერესთა კონფლიქტის შემცველ ტრანზაქციებთან მიმართებაში *Doing Business-ის* მეთოდოლოგია აყალიბებს რამდენიმე საკითხს, რომელთან მიმართებაშიც განიხილავს ქვეყნის კანონმდებლობას. კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტის ტრანზაქციების არსებობის დროს მნიშვნელოვანია, ვინ ახდენს მისაღები გადაწყვეტილების რატიფიცირებას, არის თუ არა სავალდებულო მისაღები გადაწყვეტილების შემოწმება მმართველობის ორგანოსგან დამოუკიდებელი გარე ორგანოს მიერ და უნდა გაცხადდეს თუ არა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს (მე-9 მუხლის I პუნქტში დასახელებულ პირებს) უფლება არ აქვთ განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც საზოგადოება ეწევა ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა მსგავს საქმიანობაში, რომელსაც საზოგადოებაში ეწევიან, პარტნიორების თანხმობის გარეშე.[102]

ამავდროულად, აღნიშნულ პუნქტში მითითებულია, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს (ირჩევს) დირექტორებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისთვის ცნობილი იყო, რომ ის მსგავს საქმიანობას ეწევა და მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა აშკარად არ მოუთხოვიათ.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სწორედ უმცირესობაში მყოფ (5%-ის მფლობელ) აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს აქვს.

დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი პირობებია – იდენტური საქმიანობის განხორციელება და დირექტორობა და/ან სრული პარტნიორობა.[103] ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ღიაობა, რაც ინტერესთა კონფლიქტის სტანდარტის დაცვისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ამავდროულად, განსაზღვრულია, რომ 5%-ის მქონე აქციონერთა ჯგუფს, საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, სარჩელის შეტანა შეუძლია.

---

[102] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 9.5, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

[103] ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტის ცნებას უფრო ღრმად არ განვიხილავთ.

რაც შეეხება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონს, ინტერესთა კონფლიქტს ეთმობა მე-16[1] მუხლი სუბიექტებისა და ვალდებულებების ვრცელი ჩამონათვალით. კერძოდ, ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ განხორციელებული გარიგებები უნდა დაიდოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, თუ დაინტერესებული პირი არის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი აქციონერი.[104] ამ მუხლის მოთხოვნები, მე-7 პუნქტის მოთხოვნების გარდა, არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მისი 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დაინტერესებულ პირად ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი მიიჩნევა მაშინ, თუ ის ან მასთან დაკავშირებული პირი ამ ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი შვილობილი საწარმოს (საწარმო, რომელშიც ეს ანგარიშვალდებული საწარმო 50%-ზე მეტ წილს ფლობს) მიერ გარიგების დადების შემთხვევაში ერთ-ერთ შემდეგ პირობას აკმაყოფილებს:

ა) არის გარიგების მხარე;

ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ იურიდიული პირის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ს ან მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;

გ) არის გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;

დ) დანიშნულია/არჩეულია ამ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელის (მფლობელების) წარდგინებით;

ე) გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;

ვ) ასეთად განისაზღვრება ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით“.[105]

ამ მუხლით გათვალისწინებული დაინტერესებული პირი ვალდებულია ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს მოსალოდნელ გარიგებაზე ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ გარიგებას ამტკიცებს საერთო კრება, უნდა განუცხადოს მასაც.

დაინტერესებულ პირებს ეკრძალებათ ხმის უფლების გამოყენება საზოგადოების ყველა შესაბამის ორგანოში იმ გარიგებებთან დაკავშირებით, რომლებშიც მათ დაინტერესება აქვთ.

---

[104] საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 16[1], საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467

[105] საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 16[1].2, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467

გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ დაინტერესებული პირები ან რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით უფრო მცირე ოდენობაა გათვალისწინებული, უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ.[106]

ანგარიშვალდებულმა საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს იმ გარიგების დამტკიცების შესახებ, რომლებშიც დაინტერესებული პირები მონაწილეობენ. გათვალისწინებულია შეტყობინების და ინფორმაციის გამოქვეყნების წესი. ასევე, ინფორმაცია ყოველი ასეთი გარიგებისა და ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის დადებული გარიგების თაობაზე, რომლის ღირებულება შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების 10%-ს ან მეტს ანდა წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, შეტანილ უნდა იქნეს ანგარიშვალდებული საწარმოს მიმდინარე და წლიურ ანგარიშებში. [107]

განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული მუხლის მე-5[1] პუნქტი, რომლის თანახმადაც დასადებ გარიგებას, რომელშიც დაინტერესებული პირები მონაწილეობენ და რომლის ღირებულება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ან მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას შეადგენს, ამოწმებს გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი. გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი ამოწმებს, იდება თუ არა გარიგება არსებითად იმავე პირობებით, რომლებითაც ის დაინტერესების არმქონე პირებს შორის დაიდებოდა. გარე აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის დასკვნა გარიგების დამტკიცებამდე ეგზავნება ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრებას, იმის მიხედვით, ვინ უნდა დაამტკიცოს ეს გარიგება.

საინტერესოა მე-9 პუნქტის ჩანაწერი უმცირესობაში (5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელი) მყოფ აქციონერთან/აქციონერთა ჯგუფთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, გარიგების ხსენებულ მოთხოვნათა დარღვევით დადების შემთხვევაში, მისი დადებიდან 18 თვის განმავლობაში, აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან/და ზიანის ანაზღაურება და ასეთი გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებლის დაბრუნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოთ მოყვანილი *Doing Business-ის* კაზუსის შინაარსი ყველაზე მეტად „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ ნორმებს შეესაბამება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებს არ უნდა შევეხოთ.

---

[106] იქვე, მუხლი 16[1].6.

[107] იქვე, მუხლი 16[1].7.

5.2. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – ღიაობის ინდექსი Doing Business-ის მიხედვით

Doing Business-ის კაზუსის და მასში არსებული გარიგების განხორციელებისას, ინვესტორთა დაცვის მიზნით, *Doing Business-ი* გამოჰყოფს რამდენიმე კრიტერიუმს,[108] კერძოდ:

1) პირველი, ეს არის კორპორაციის მმართველობის ორგანოს საკითხი, რომელსაც დასადები გარიგების რატიფიცირება შეუძლია. ამ შემთხვევაში ყველაზე მაღალი ქულა იწერება საერთო კრების მიერ გარიგების რატიფიცირების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირებს ხმის უფლება არ აქვთ. საქართველოს ამ მაჩვენებელში ყველაზე მაღალი – 3 ქულა აქვს, რადგან, როგორც ზემოთ განვიხილეთ, დაინტერესებული აქციონერები კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებენ.

2) აღნიშნული ინდექსის დაანგარიშებაში, მეორე მნიშვნელოვან საკითხად ითვლება ტრანზაქციის რატიფიცირებამდე მისი განხილვა გარე ორგანოს მიერ. საინტერესოა, რომ ამ მაჩვენებელში საქართველოს 0 ქულა უწერია, მაშინ, როდესაც „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის მუხლის მე-5[1] პუნქტის თანახმად, დასადებ გარიგებას, რომელშიც დაინტერესებული პირები მონაწილეობენ და რომლის ღირებულება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ან მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას შეადგენს, ამოწმებს გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი. გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი ამოწმებს, იდება თუ არა გარიგება არსებითად იმავე პირობებით, რომლებითაც ის დაინტერესების არმქონე პირებს შორის დაიდებოდა. გარე აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის დასკვნა გარიგების დამტკიცებამდე ეგზავნება ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრებას, იმის მიხედვით, ვინ უნდა დაამტკიცოს ეს გარიგება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ მაჩვენებელში საქართველოს მაქსიმალური 1 ქულა უნდა ეწეროს, რაც საბოლოო ჯამში, ღიაობის ინდექსში 10 ქულიდან მაქსიმალურ 10 ქულას მოგვცემდა, ნაცვლად არსებული 9 ქულისა, ხოლო აღნიშნული, საქართველოს პოზიციებს, უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცვის თვალსაზრისით, კიდევ უფრო გაამყარებდა.

3) ღიაობის ინდექსის დაანგარიშებაში მესამე, მეოთხე და მეხუთე მნიშვნელოვანი საკითხი არის ინტერესთა კონფლიქტის ღიაობა მმართველობის ორგანოებისა და აქციონერების წინაშე, ასევე, ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გაცხადება წლიურ ანგარიშებში. აღნიშნულ შეფასებებშიც საქართველოს უმაღლესი ქულები აქვს.

---

[108] ხელმისაწვდომია: <https://www.doingbusiness.org/en/methodology/protecting-minority-investors>.

5.3. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – დირექტორების პასუხისმგებლობის ინდექსი *Doing Business*-ის მიხედვით

Doing Business-ის თანახმად, უმცირესობაში მყოფი ინვესტორებების უფლებების დაცვის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხებზე მსჯელობა, კერძოდ, რა უფლებები აქვთ უმცირესეობაში მყოფ ინვესტორებს დირექტორების პასუხისმგებლობის დასაყენებლად. დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისთვის *Doing Business-ი* გამოჰყოფს სულ 7 საკითხს, რომელიც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რამდენიმე კომპონენტში გავაერთიანეთ. [109]

დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისთვის, პირველი კომპონენტი აქციონერის მიერ დერივატიული ან პირდაპირი სარჩელის შეტანის შესაძლებლობაა. აღნიშნული შესაძლებლობა განმტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობით. [110] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს აქციონერის მიერ დერივატიული სარჩელის შეტანის შესაძლებლობას, თუ კორპორაციამ არ შეიტანა სარჩელი მესამე პირების წინააღმდეგ.

მომდევნო კომპონენტი არის დაინტერესებული პირის ფინანსური პასუხისმგებლობის დაყენება კორპორაციისთვის მიყენებული ზარალის გამო. საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა განამტკიცებს ამგვარ შესაძლებლობას, თუ დადასტურდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის დამრღვევმა პირებმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დააზარალეს კორპორაცია და აქციონერები. დაინტერესებულ პირებს ასეთი ქმედების გამო შეიძლება დაეკისროთ ქონებრივი პასუხისმგებლობაც.

დირექტორების პასუხისმგებლობს ინდექსში გადის, ასევე, დაინტერესებული პირების მიერ მიყენებული ზიანის გამო, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხიც. აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს უწერია 2-დან 1 ქულა და მითითებულია, რომ მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების გამო შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა მენეჯმენტის წარმომადგენელს. *Doing Business-ის* მეთოდოლოგიით აღნიშნულ კომპონენტში 2 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ არაკეთილსინდისიერი ან აქციონერების ინტერესების დამაზიანებელი ტრანზაქციის გამო, დაინტერესებული პირის გარდა, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.

საინტერესოა, რატომ უწერია საქართველოს აღნიშნულ კომპონენტში მხოლოდ 1 ქულა. საქართველოს კანონმდებლობა განმატკიცებს ხელმძღვანელობის მოვალეობებს, კერძოდ, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირები უნდა „მოქმედებ-

---

[109] ხელმისაწვდომია:<https://www.doingbusiness.org/en/methodology/protecting-minority-investors>.

[110] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 53.5,საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577,28/10/1994,გამოქვეყნებისთარიღი28/10/1994,სარეგისტრაციოკოდი240.000.000.05.001.000.087.

დნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელი იყოს საზოგადოებისთვის“ [111] და „ყველაზე უკეთესი საწარმოსა და ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისთვის“. [112] ამავდროულად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ კრედიტორთა მოთხოვნა დასაკმაყოფილებელია, ხელმძღვანელები იმ შემთხვევაშიც კი არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად. [113] იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტორთა ინტერესი არ არის სახეზე, მაინც შესაძლებელია აქციონერების მიერ ხელმძღანელობის მოვალეობის დამრღვევი მენეჯმენტის წარმომადგენლების წინააღმდეგ სარჩელის შეტანა და ანაზღაურების მოთხოვნა კორპორაციის სასარგებლოდ. დაინტერესებული პირების არსებობა ან უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის არსებობა და ამ პარტნიორის მიერ დირექტორების დანიშვნა, გავლენას არ ახდენს ხელმძღვანელობის მოვალეობებზე და დირექტორებს ხელმძღვანელობის მოვალეობა ყველა პარტნიორის მიმართ აქვთ. შესაბამისად, 1 ქულის დაწერა აღნიშნულ კომპონენტში ვფიქრობთ, რომ საკამათოა.

რაც შეეხება დირექტორების პასუხისმგებლობის ინდექსის ბოლო კომპონენტს, აღნიშნული მოიცავს სასამართლოს უფლებამოსილებას აქციონერის წარმატებული სარჩელის საფუძველზე ბათილად გამოაცხადოს განხორციელებული ტრანზაქცია. აღნიშნულ კომპონენტში 2 ქულა იმ შემთხვევაში იწერება, თუ ტრანზაქცია უსამართლოა ან ინტერესთა კონფლიქტის ნიშნებს მოიცავს. 1 ქულა აღნიშნულ კომპონენტში იწერება იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია შემზღუდავი ან დამაზიანებელია სხვა აქციონერებისათვის. საინტერესოა, რომ აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს 0 ქულა უწერია.

ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნულ კომპონენტში, საქართველოს 2 ქულა ან მინიმუმ 1 ქულა მაინც უნდა ეწეროს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელმძღვანელობის მოვალეობა მოიცავს ყველა აქციონერისა და კორპორაციის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განხორციელებულ ქმედებას. შესაბამისად, ხელმძღვანელის ქმედება ყველა აქციონერის ინტერესს უნდა გამოხატავდეს, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს, რატომ არ გამოხატავს ყველა აქციონერის ინტერესს ან რატომ აყენებს აქციონერების ნაწილს წამგებიან მდგომარეობაში.

იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი, რომლებიც წილის იმ ოდენობას ფლობენ, რაც საერთო კრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მისაღებად საკმარისია, მიიღებენ ამ გადაწყვეტილებას სხვა აქციონერების ინტერესების გათვალისწინების გარეშე და მათ საზიანოდ, ისინი პასუხს აგებენ.

---

[111] იქვე, მუხლი 9.6.

[112] საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 16.1, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467.

[113] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 9.6,საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

თუმცა, დასახელებული მაგალითების გარდა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც სასამართლომ ბათილად გამოაცხადა კორპორაციის მმართველობის ორგანოების მიერ რატიფიცირებული გარიგება, რადგან ჩათვალა, რომ ეს გარიგება კორპორაციის საუკეთესო ინტერესების გამომხატველი არ იყო.[114]

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საქართველო აღნიშნულ კომპონენტში იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას. სავსებით შესაძლებელია, რომ დირექტორების პასუხისმგებლობის ინდექსში საქართველოს ჯამური შეფასება 6-ის ნაცვლად, მინიმუმ 8 ქულა იყოს.

5.4. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – აქციონერების მიერ სასამართლო პროცედურების დაწყების სიმარტივის ინდექსი *Doing Business*-ის მიხედვით

უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცვა მოიცავს აქციონერების მიერ სასამართლო პროცედურების დაწყების სიმარტივის ინდექსსაც.[115] აღნიშნული ინდექსი 6 კომპონენტისგან შედგება და საქართველოს აღნიშნულ კომპონენტებში ჯამურად 10 ქულიდან9 ქულა აქვს.

პირველი კომპონენტი მოიცავს 10% აქციების მქონე აქციონერის შესაძლებლობას გამოითხოვოს ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტები. აღნიშნული შესაძლებლობა განმტკიცებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლით, სადაც აქციების 5%-ის მქონე აქციონერს გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პერიოდის წინ, დასახელებული კანონის თანახმად, მხოლოდ ხმის უფლების მქონე აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერს შეეძლო გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა, თუმცა კანონმდებელმა მოთხოვნა შეამსუბუქა და ხმის უფლების არმქონე აქციების 5%-ის მფლობელსაც მისცა დადებული გარიგების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვის უფლება.

სასამართლო პროცედურების წარმართვის სიმარტივის სხვა კომპონენტები ძირითადად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებს (მაგალითად, პროცესის მონაწილეებისათვის შეკითხვის დასმა, დოკუმენტაციის გამოთხოვა და სხვა) მოიცავს, ამავდროულად, ბოლო კომპონენტი აქციონერების მხრიდან წარმატებული სარჩელის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ამ სარჩელთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უკავშირდება.

როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, აქციონერების სარჩელის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება არის პროცესის წარსამართად აუცილებელი ფინანსური რესურსების სიმცირე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-5

---

[114] ჭანტურია ლ, „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“, თბილისი, 2006,

[115] ხელმისაწვდომია: <https://www.doingbusiness.org/en/methodology/protecting-minority-investors>.

პუნქტის თანახმად, „სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოს გარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა“. [116]

აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს 2-დან 1 ქულა უწერია. 2 ქულა სახელმწიფოებს ეწერებათ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე აქციონერებს კომპანია აუნაზღაურებს სარჩელთან დაკავშირებულ ხარჯებს მიუხედავად სარჩელის შედეგისა.

ჯამურად, აღნიშნულ ინდექსში საქართველოს 10-დან 9 ქულა უწერია.

აღსანიშნავია, რომ *Doing Business-ის* მეთოდოლოგიის მიხედვით, ღიაობის, დირექტორთა პასუხისმგებლობისა და აქციონერების მიერ სასამართლო პროცედურების დაწყების სიმარტივის ინდექსების მეშვეობით ხდება ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის ინდექსის (საშუალო არითმეტიკული პრინციპის მეშვეობით) გამოთვლა. ამ უკანასკნელ ინდექსში საქართველოს 10-დან 8 ქულა უწერია.

5.5. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – აქციონერების უფლებების ინდექსი *Doing Business*-ის მიხედვით

Doing Business-ის მეთოდოლოგიის მიხედვით აქციონერთა უფლებების ინდექსი შედგება 10 კომპონენტისგან.[117]

პირველი კომპონენტი მოიცავს აქციონერების უფლებას – დაეთანხმონ მყიდველი კორპორაციის აქტივების 51%-ის გასხვისებას. ქართული კანონმდებლობით, როდესაც იყიდება კომპანიის აქტივების 51%-ზე მეტი, საჭიროა კომპანიის პარტნიორების თანხმობა. [118]

მეორე კომპონენტი მოიცავს 10% წილის მქონე აქციონერის უფლებას – მოიწვიონ საერთო კრება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით 5% აქციების მქონე აქცი-

[116] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 53.5, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

[117] ხელმისაწვდომია: <https://www.doingbusiness.org/en/methodology/protecting-minority-investors>.

[118] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 54.6, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087.

ონერს და/ან აქციონერთა ჯგუფს შეუძლიათ კრების მოწვევა.[119] შესაბამისად, ეს უფლებამოსილება ქართული კანონმდებლობით უფრო ფართოდ არის განმტკიცებული.

ხაზგასასმელია აღნიშნული ინდექსის მესამე და მეოთხე კომპონენტი. კერძოდ, მესამე კომპონენტის მიხედვით, საჭიროა თუ არა კორპორაციის მიერ აქციონერების თანხმობის მოპოვება ყოველი ახალი აქციის გამოშვებისას და მეოთხე კომპონენტის თანახმად, აქვთ თუ არა აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლება ავტომატურად კორპორაციის მიერ ახალი აქციების გამოშვებისას. *Doing Business-ის* რეიტინგში მესამე კომპონენტში საქართველოს უწერია 1 ქულა (1 ქულიდან), ხოლო მეოთხე კომპონენტში 0 ქულა 1 ქულიდან. საინტერესოა, რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული ქულების მინიჭება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ნებადართული აქციების ფარგლებში ახალი აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კრების მიერ უფლებამოსილი ორგანო“.[120] აღნიშნული ნიშნავს, რომ წესდებით შეიძლება განისაზღვროს მენეჯმენტის რომელიმე რგოლი, რომლის უფლებამოსილების ნაწილიც შეიძლება გახდეს ახალი აქციების გამოშვება ანუ აქციონერების მონაწილეობა ახალი აქციების გამოშვებისას შესაძლოა აღარ გახდეს საჭირო. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აქციონერთა მონაწილეობა სავალდებულოა ნებადართული აქციების განსაზღვრისას. ახალი აქციების განთავსება ხდება სწორედ ნებადართული აქციების ფარგლებში. შესაბამისად, აქციონერები მონაწილეობენ მხოლოდ საწყის ეტაპზე, რადგან ნებადართული აქციების მაქსიმალური რაოდენობა და კლასი გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების წესდებაში,თუ ახალი აქციების გამოშვებისას საერთო კრების თანხმობა აუცილებელი არ არის და გაუგებარია საიდან გამომდინარეობს აღნიშნული კომპონენტის 1 ქულა.

როგორც ზემოთ ვთქვით, აღნიშნული ინდექსის მეოთხე კომპონენტში მითითებულია, რომ აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლება ავტომატურად აქვთ ახალი აქციების გამოშვებისას, რაშიც საქართველოს 0 ქულა უწერია.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო კრება უფლებამოსილია „მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში)“.[121] ის, რომ საერთო კრებას ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის გაუქმების უფლება აქვს, იმას არ ნიშნავს, რომ აქციონერს ეს უფლება ავტომატურად არ გააჩნია. აქციონერს ეს უფლება ავტომატურად აქვს, რადგან ინვესტორია და სწორედ ამიტომ არის უფლებამოსილი საერთო კრება, რომ გარკვეული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლება გაუუქმოს. შესაბამისად, განსაკუთრებით ზემოთ განხილული მესამე კომპონენტის ფონზე, რომელიც განსაზღვრავს ახალი აქციების გამოშვებისას კრების

[119] იქვე, მუხლი 53.3[3].
[120] იქვე, მუხლი 59.5.
[121] იქვე, მუხლი 54.6.

თანხმობის საჭიროებას, უნდა ჩაითვალოს, რომ აქციონერებს ავტომატურად აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება და ამ კომპონენტში 1 ქულა უნდა გვეწეროს.

აქციონერთა უფლებების კომპონენტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია აქციებთან დაკავშირებული უფლებების ცვლილებების დროს იმ აქციონერების თანხმობის საკითხი, ვისზეც ზეგავლენას ახდენს აღნიშნული ცვლილება. აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს 1-დან 1 ქულა უწერია, თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1^2 პუნქტის თანახმად, „აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება ხმის უფლების შეცვლის (გაუქმება, შემცირება ან/და მინიჭება) შესახებ ძალაში შევა მხოლოდ იმ კლასის აქციების მფლობელთა 75%-ზე მეტის თანხმობის შემთხვევაში, რომელთა ხმის უფლებაზეც გავლენას ახდენს ეს გადაწყვეტილება“.[122] აქედან გამომდინარე, პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია, რომ 25%-ზე ნაკლები წილის მქონე აქციონერების უფლებები მათი თანხმობის გარეშე შეიცვალოს. ამიტომ, რთულია იმის თქმა, საქართველოს რამდენად უნდა ჰქონდეს 1 ქულა აღნიშნულ კრიტერიუმში.

აქციონერთა უფლებების ინდექსში კიდევ ერთი საინტერესო კომპონენტია შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოებაში წილის მესამე პირზე გაყიდვამდე არსებული წევრებისთვის უპირატესი შესყიდვის უფლება. აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს 0 ქულა უწერია, თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46^1-ე მუხლის თანახმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ წილის გაყიდვისას დანარჩენ პარტნიორებს თავიანთი წილების პროპორციულად ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ.[123] შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ საქართველოს აღნიშნულ კომპონენტში 1 ქულა ეკუთვნის.

Doing Business-ს აქციონერთა უფლებების ინდექსი 10 ქულიდან 7 ქულით აქვს შეფასებული.

5.6. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – საკუთრებისა და კონტროლის განხორციელების ინდექსი *Doing Business*-ის მიხედვით

საკუთრებისა და კონტროლის განხორციელების ინდექსში თავმოყრილია კომპონენტები, რომელსაც ქართული სამეწარმეო კანონმდებლობა თითქმის სრულად ითვალისწინებს. კერძოდ, აკრძალულია თუ არა, რომ აღმასრულებელი დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყოს ერთი და იგივე პირი; უნდა შედგებოდეს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო და აუდიტის კომიტეტი დამოუკიდებელი დირექტორისგან (დირექტორებისგან); შეუძლიათ თუ არა აქციონერების საფუძვლის გარეშე მენეჯმენტის გათავისუფლება; აკრძალული აქვს თუ არა შვილობილ კომპანიას ძირითადი კომპანიის აქციების შეძენა და ა. შ. აღნიშნულ კომპონენტებში საქართველოს 1-დან 1 ქულა აქვს.

[122] იქვე, მუხლი 52.1^2.
[123] იქვე, მუხლი 46^1.

კომპონენტი, რომელშიც საქართველოს 0 ქულა აქვს, არის სავალდებულო სატენდერო შეთავაზების არარსებობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, მას შემდეგ რაც მყიდველი სამიზნე კომპანიის 50%-ს შეიძენს. აღნიშნულ შესაძლებლობას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მხოლოდ სააქციო საზოგადოებასთან მიმართებაში ითვალისწინებს.[124]

საკუთრებისა და კონტროლის განხორციელების ინდექსში საქართველოს 10-დან 9 ქულა აქვს.

5.7. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – კორპორაციაში გამჭვირვალობის ინდექსი *Doing Business*-ის მიხედვით

უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობის კრიტერიუმის ბოლო ინდექსი კორპორაციაში გამჭვირვალობის ინდექსია, რომელიც ასევე 10 კომპონენტისგან შედგება.

პირველი კომპონენტია 5% წილის მქონე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის ღიაობის მოთხოვნა მყიდველი კომპანიისათვის, რაც ჩვენი კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი.

მეორე კომპონენტია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დასაქმების სხვა ადგილების შესახებ ინფორმაციის ღიაობა.

მესამე კომპონენტი, რაშიც საქართველოს 0 ქულა უწერია, არის მენეჯერების მთლიანი ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის ღიაობა. აღნიშნული საკითხი საინტერესოა, რადგან ზემოთ განხილული კაზუსის თანახმად, ივარაუდება, რომ მყიდველი კომპანია არის ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, რომელიც საფონდო ბირჟაზე აქციებით ვაჭრობს. როგორც წესი, მენეჯერების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის უფლება აქვთ აქციების 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს.[125] თუმცა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „იმ ანგარიშვალდებული საწარმოს ნებისმიერ აქციონერს, რომლის აქციებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს დირექტორების ან დირექტორთა საბჭოს წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საწარმოდან მიღებული ხელფასის და სხვა სახის შემოსავლების შესახებ“.[126] აქედან გამომდინარე, როდესაც აქციები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, უმაღლესი მენეჯმენტის შემოსავლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქციონერებისთვის. ამავდროულად, როგორც წესი, აღნიშნუ-

---

124 იქვე, მუხლი 53^2.

125 საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 11^1, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467.

126 იქვე.

ლი ინფორმაცია ასევე ღია და წვდომადია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებში, რომლებიც ხელმისაწვდომია აქციონერებისთვისაც. შესაბამისად, ჩვენთვის გაურკვეველია, რამ გამოიწვია აღნიშნულ კომპონენტში საქართველოსთვის 0 ქულის მინიჭება.

დანარჩენი კომპონენტები მოიცავს საერთო კრების შესახებ დეტალური შეტყობინების გაგზავნას კრების ჩატარებამდე 21 დღით ადრე, 5% აქციების მქონე აქციონერების მიერ კრების დღის წესრიგში საკითხების დაყენების უფლებას, გარე აუდიტის მეშვეობით კომპანიის შემოწმებას, ამ ანგარიშის საჯაროობას და სხვა საკითხებს.

კორპორაციაში გამჭვირვალობის ინდექსით საქართველოს 10-დან 9 ქულა აქვს.

საინტერესოა, რომ *Doing Business-ის* მეთოდოლოგიის თანახმად, კრების მოწვევის მინიმალური კრიტერიუმი არის აქციათა 10%-ის მქონე აქციონერების მიერ ამ კრების მოწვევა (როგორც აქციონერთა უფლება), ხოლო დღის წესრიგში საკითხის დაყენების უფლება აქვს მინიმუმ აქციების 5%-ის მქონე აქციონერს, რაც კორპორაციული გამჭვირვალობის ნაწილად ითვლება. ქართული კანონმდებლობით რიგგარეშე კრების მოწვევა შეუძლია აქციათა 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო დღის წესრიგში საკითხის დაყენების უფლება აქვს ნებისმიერ აქციონერს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პროცედურულ ნორმას დაიცავს და საკითხს განსახილველად მმართველობის ორგანოს კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე წარუდგენს.[127]

5.8. უმცირესობაში მყოფი ინვესტორების დაცულობა – აქციონერთა მმართველობის ინდექსი *Doing Business*-ის მიხედვით

აქციონერთა უფლებების ინდექსის, საკუთრებისა და კონტროლის განხორციელების ინდექსის და კორპორაციაში გამჭვირვალობის ინდექსის ჯამური მონაცემების საფუძველზე *Doing Business-ის* მეთოდოლოგია ითვლის აქციონერთა მმართველობის ინდექსს. საქართველოს აქციონერთა მმართველობის ინდექსი შეადგენს 10-დან 8.3 ქულას.

5.9. დასკვნა

Doing Business-ი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საინვესტიციო პლატფორმაა, რომელიც სახელმწიფოების კანონმდებლობას აანალიზებს და პოტენციურ ინვესტორებს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესახებ აწვდის ინფორმაციას.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი კრიტერიუმია უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცულობა, სადაც საქართველოს ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავია. მი-

[127] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 53.3[1],საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციოკოდი 240.000.000.05.001.000.087.

უხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცულობის რამდენიმე კომპონენტში საქართველოს კიდევ უფრო მაღალი შეფასება ეწეროს. კერძოდ:

- ღიაობის ინდექსში საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ტრანზაქციის რატიფიცირებამდე მის განხილვას გარე ორგანოს მიერ, თუმცა *Doing Business-ის* შეფასებაში აღნიშნული სათანადოდ ასახული არ არის. კერძოდ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გარე აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის ჩართულობას ისეთ გარიგებებში, რომელიც დაინტერესებული პირების მონაწილეობით იდება. გარე აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი ამოწმებენ, დგება თუ არა გარიგება არსებითად იმავე პირობებით, რომლებითაც ის დაინტერესების არმქონე პირებს შორის დაიდებოდა.
- საქართველოსთვის ქულის მომატება ასევე შესაძლებელია დირექტორთა პასუხისმგებლობის ინდექსში, რომელიც უკავშირდება დაინტერესებული პირების მიერ მიყენებული ზიანის გამო, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აქციონერების მიერ ხელმძღანელობის მოვალეობის დამრღვევი მენეჯმენტის წარმომადგენლების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას და კორპორაციის სასარგებლოდ ანაზღაურების მოთხოვნას. დაინტერესებული პირების არსებობა ან უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის არსებობა და ამ პარტნიორის მიერ დირექტორების დანიშვნა გავლენას არ ახდენს ხელმძღვანელობის მოვალეობებზე და დირექტორებს ხელმძღვანელობის მოვალეობა ყველა პარტნიორის მიმართ აქვთ.
- აქციონერთა უფლებების ინდექსში საქართველოს უფრო მაღალი შეფასება უნდა ჰქონდეს სააქციო საზოგადოების უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობის კომპონენტში, რომელიც გარანტირებულია, თუ მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებული არ იქნა სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიერ. ამავდროულად, კანონით გათვალისწინებული უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, თუ წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.
- რაც შეეხება კორპორაციულ გამჭვირვალობას, აღნიშნულ ინდექსშიც საქართველოს უფრო მაღალი შეფასება უნდა ჰქონდეს, რადგან მენეჯერთა ანაზღაურება ღიაა და აქციონერებისთვის ხელმისაწვდომი.

აქედან გამომდინარე, უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვის რამდენიმე კომპონენტში საქართველო უფრო მაღალ ქულებს და, შესაბამისად, გაუმჯობესებულ პოზიციებს იმსახურებს.

6 დირექტორის ხელმძღვანელობის მოვალეობა, როგორც ინვესტიციის დაცვის ვალდებულება

6.1. ხელმძღვანელობის მოვალეობების ძველი და ახალი სტანდარტის ზოგადი მიმოხილვა

ინვესტიციის დაცვის მექანიზმების შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო საკითხია ხელმძღვანელობის მოვალეობები, რადგან, ხელმძღვანელობის მოვალეობის საფუძველზე, მენეჯმენტი ვალდებულია იმოქმედოს კორპორაციის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც სხვა საკითხებთან ერთად, აქციონერების ფინანსური ინტერესების შესაბამისად მოქმედებას ნიშნავს.

წინამდებარე თავში განვიხილავთ დირექტორის ხელმძღვანელობის მოვალეობებს საქართველოს საკორპორაციო სამართალში და ამ მოვალეობებზე აშშ-ს, განსაკუთრებით – დელავერის საკორპორაციო სამართლის და ევროპული სამართლის გავლენას ინვესტიციების დაცვის კონტექსტიდან გამომდინარე.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ცნობილია, *CEDE – Technicolor-ის* საქმის განმხილველმა დელავერის უმაღლესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ხელმძღვანელობის სამი მოვალეობა: გულმოდგინების მოვალეობა (იმოქმედოს ისე, როგორც იმოქმედებდა მის ადგილას მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი), ერთგულების მოვალეობა (მოქმედებდეს კორპორაციის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად) და კეთილსინდისიერების პრინციპი.[128] მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ხელმძღვანელობის მოვალეობის დაყოფის ალტერნატიული ვერსიები, ხელმძღვანელობის მოვალეობის დასახელებული დაყოფა ძალიან გავრცელებული და პოპულარულია.[129]

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ხელმძღვანელობის მოვალეობის დელავერისეული დაყოფა 1999 წლის 9 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაინერგა. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები „საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ

---

128 Cede & Co. v. Technicolor, Inc. Del. Supr., 634 A.2d 345, 361 (1993).

129 RossiF, “Making Sense of the Delaware Supreme Court’s Triad of Fiduciary Duties”[2005]. ხელმისაწვდომია:<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=755784>.

იმ რწმენით, რომ მათი ეს საქმიანობა ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის".[130] აქედან გამომდინარე, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ქართულმა სამეწარმეო კანონმდებლობამ გადმოიღო დელავერისეული დაყოფა, თუმცა ხელმძღვანელობის სამივე მოვალეობა ერთი ცნების – კეთილსინდისიერების – კატეგორიაში მოაქცია, რაც, ამავდროულად, ევროპული კანონმდებლობის გავლენის შედეგია, რადგან გერმანული „სააქციო კანონის" თანახმად, გამგეობის წევრების მიერ ხელმძღვანელობა უნდა განხორციელდეს წესიერი და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულმოდგინებით.[131]

ცვლილების განხორციელებამდე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტში გვხვდებოდა შემდეგი სახის ჩანაწერი: ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირები „საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით".[132] ტერმინი „კომერსანტი" *(*ვაჭარი, *Kaufmann* გერმანულად*)* ლათინურიდან მომდინარეობს და ერთ დროს თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის სავაჭრო კოდექსში გვხვდებოდა, თუმცა ამ დროისთვის მხოლოდ გერმანულ სავაჭრო კოდექსშიღაა შემორჩენილი. შესაბამისად, ძველ განმარტებაში ფიგურირებდა ტერმინი „ნამდვილი კომერსანტი", რითაც ფაქტობრივად კანონი დირექტორს ავალდებულებდა მოქცეულიყო ისე, როგორც კომერსანტი, მეწარმე, ვაჭარი მოიქცეოდა საუკეთესო ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

ხელმძღვანელობის მოვალეობის ახლებურმა დაყოფამ ამ მოვალეობების მეტი დეტალიზაცია და განმარტება მოითხოვა. ამავე დროს, ახლებური დაყოფა უფრო ვრცელი და ყოვლისმომცველია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ გარკვეულწილად გამონაკლისია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ „დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები".[133] ჩანაწერი საკმაოდ მწირია და კომპანიები და სასამართლო, როგორც წესი, იგივე კანონის ზოგადი ნაწილის ანუ მეცხრე მუხლის ჩანაწერიდან ხელმძღვანელობენ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებების შედეგად შეცვალეს და ხელმძღვანელობის მოვალეობის მოდერნიზებული დაყოფა აირჩიეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დელავერისეული ხელმძღვანელობის მოვალეობის განმარტება კარგად გამოხატავს საკუთრების და მენეჯმენტის დაყოფას და კორპორაციული მართვის განვითარებას. ხელმძღვანელობის მოვალეობის განმარტე-

---

130 საქართველოსკანონი „მეწარმეთაშესახებ",მუხლი 51, საკანონმდებლომაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნებისთარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციოკოდი 240.000.000.05.001. 000.087. 9/06/1999 წლის რედაქცია.

131 ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში,გამომცემლობა „სამართალი" 2006, 206.

132 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", მუხლი 3.6, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087, 18/05/1999 წლის რედაქცია.

133 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", მუხლი 3.6, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001. 000.087.

ბაში მითითებულია, რომ დირექტორი უნდა იქცეოდეს არა როგორც ნამდვილი კომერსანტი და მეწარმე, როგორც ეს ინდივიდუალური მეწარმისთვის ან ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ თვითონ მოქმედებდეს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე; გაუძღვეს საზოგადოების საქმეებს ისე, როგორც სხვა მის ადგილას მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი გაუძღვებოდა. აქედან გამომდინარე, ახლებური დაყოფა მენეჯმენტს ავალდებულებს, რომ მოიქცეს არა როგორც კომერსანტი, არამედ საზოგადოების და, მათ შორის, კომერსანტების (აქციონერების) საუკეთესო ინტერესების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, მენეჯერი გამიჯნულია და მას ეკისრება არა ისეთი ქმედებები, რომლებიც საკუთრების უფლების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს, არამედ ხელმძღვანელობის მოვალეობები, რომლებიც კორპორაციის ინტერესებისთვის არის საუკეთესო.

დელავერის მიდგომა წინა ხაზზე წევს ზოგადად კორპორაციისთვის და არა მხოლოდ აქციონერებისთვის საუკეთესო ინტერესებს. აქციონერების ინტერესები მნიშვნელოვანია, თუმცა ისინი შეიძლება არ ემთხვეოდეს კორპორაციისთვის საუკეთესო ინტერესებს. [134] კორპორაციისთვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის მოვალეობა აქვთ დირექტორებს. [135]

ასევე, ხელმძღვანელობის მოვალეობების ახლებური დაყოფა საშუალებას იძლევა ქართულ სამეწარმეო სამართალში დავნერგოთ და გადმოვიტანოთ სამართლებრივი დოქტრინაც, რომელიც დაფუძნებული და განვითარებულია ხელმძღვანელობის მოვალეობების საფუძველზე – მაგალითად, ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სამეწარმეო განსჯის წესი, სამართლიანობის ტესტი[136] და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკად ითვლება დირექტორისთვის ხელფასის და ბონუსების გადახდა აქციების სახით. ივარაუდება, რომ ასეთ დროს იზრდება დირექტორის მიერ უფლებამოსილების შესრულების ხარისხი (გულმოდგინების ხარისხი), რადგან კორპორაციის წარმატების შემთხვევაში, აქციების ფასი აიწევს და, შესაბამისად, მისი შემოსავალი და მოგებაც გაიზრდება. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს გავრცელებული და დანერგილი ხელმძღვანელობის მოვალეობების დაყოფის სტანდარტი უკეთესი მიდგომაა, ვიდრე აქამდე არსებული, გარკვეული თვალსაზრისით, რადგან პრაქტიკაში მენეჯერი მაინც ფლობს აქციებს, შესაბამისად, დირექტორს მაინც ვთხოვთ მოიქცეს „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით“. შესაბამისად, ხელმძღვანელობის მოვალეობის ახალ და ძველ განმარტებებს შორის შესაძლებელია დამაკავშირებელი ხაზის მოძებნა.

---

[134] GreenfieldK, “There’s a Forest in Those Trees: Teaching About the Role of Corporations in Society”in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press 2010) 12-17. მახარობლიშვილი გ, „კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი“ („მერიდიანი“ 2015) 311-325.

[135] Pinto R. A, “Corporate Governance: Monitoring the Board of Directors in American Corporations” [1998] 46 the American Journal of Comparative Law 317.

[136] მაისურაძე დ, „სამეწარმეო განსჯის წესის განმარტებისთვის“ [2010] სამართლის ჟურნალი N1-2, 108-126.

6.2. საზოგადოების დაუფლება ხელმძღვანელობის მოვალეობის ძველი და ახალი დაყოფის ჭრილში

გადაწყვეტილების მიღების და ხელმძღვანელობის მოვალეობის დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევაა, როდესაც კორპორაციას ემუქრება გაყიდვა და დირექტორის მოვალეობაა იმოქმედოს კორპორაციისთვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს კორპორაციის დაცვას, ხოლო მეორე შემთხვევაში – კორპორაციის გასხვისებას. ასეთ დროს ხშირად მენეჯმენტის და აქციონერების მოსაზრებები ერთმანეთისგან შესაძლოა განსხვავებული იყოს.[137] ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თავდაცვითი ღონისძიების განხორციელების დროს? ვინ უნდა გადაწყვიტოს ინვესტიციების დაცვის მექანიზმების განხორციელება და მიიღოს გადაწყვეტილება დასაცავია თუ გასაყიდია კორპორაცია? ასევე საინტერესოა იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობის მოვალეობის განმარტებაში დავტოვებთ ტერმინს „ნამდვილი კომერსანტი“ – გამოიწვევს თუ არა ეს მხოლოდ აქციონერების სურვილის შესაბამისად მოქმედებას, რადგან დირექტორის ვალდებულებაა მოიქცეს ისე, როგორც კომერსანტი.

როგორც ცნობილია, დელავერის საკორპორაციო სამართალი განსაკუთრებით ფართო უფლებამოსილებას აძლევს დირექტორებს.[138] მენეჯმენტს შეუძლია განახორციელოს თავდაცვითი ღონისძიებები, რომლითაც უზრუნველყოფს კორპორაციის დაცვას, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა აქციონერები კორპორაციის გაყიდვის მომხრე იყვნენ. [139]

ზოგადად აღიარებული მიდგომაა, რომ აქციონერები, რიგი გამონაკლისის გარდა, მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებმაც არ იციან ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობა, არ იციან კონკრეტულ შემთხვევაში რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და ა.შ.[140] სწორედ ამიტომ, მათ სჭირდებათ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენეჯმენტი, რომელმაც მათ რეკომენდაცია უნდა გაუწიოს. აქციონერებს უფლება აქვთ გაიზიარონ ან არ გაიზიარონ დირექტორატის რეკომენდაცია, მაგრამ დირექტორატი ვალდებულია, რომ გასცეს რეკომენდაცია, ისევე, როგორც ზემოთ განხილული უპირატესი შესყიდვის უფლების დროს, სადაც დირექტორატს უნდა წარედგინა წერილობითი მოსაზრება, მაგრამ გადაწყვეტილება აქციონერებს უნდა მიეღოთ.

---

137 Revlon, Inc. v. MacAndrews & Forbes Holdings, Inc. Delaware Supreme Court, 1986, 506 A.2d 173.Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co. Delaware Supreme Court, 1985, 493 A.2d 946. Lucian A. Bebchuk, “The Case Against Board Veto in Corporate Takeover” in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*, 2nd edn, Carolina Academic Press 2010, 554-573.

138 Delaware General Corporate Law, art 144.

139 BainbridgeM. S, Unocal at 20: Director Primacy in Corporate Takeovers (2006) 31(3) Delaware Journal of Corporate Law 769-862.Air Products and Chemicals, Inc. v. Airgas, Inc. 2011 WL 806417 (Del. Ch. 2011).

140 Oesterle A. D, The Negotiation Model of Tender Offer Defenses and the Delaware Supreme Court (1986) 72(1) Cornell Law Review 117-157.

დირექტორატი იცავს აქციონერების უფლებებს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, სადაც ამ აქციონერების უფლებები ყველაზე მეტად არის მოწყვლადი. დირექტორატს არ აქვს უფლება გავლენა მოახდინოს აქციონერის ხმის უფლებაზე. შესაბამისად, აქციონერებმა შეიძლება გადააყენონ დირექტორატი, გამოითხოვონ თავდაცვითი ღონისძიებები და კორპორაცია მაინც გაიყიდოს.[141]

ყველაზე საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მენეჯმენტი თავდაცვით ღონისძიებებს ახორციელებს, ხოლო აქციონერების უმრავლესობას უნდა კორპორაციის გაყიდვა. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს მენეჯმენტი? უნდა დაჰყვეს აქციონერების ნებას თუ მაინც უნდა გააგრძელოს კორპორაციის დაცვა?

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. პრაქტიკოსები და მეცნიერები განსხვავებული თვალსაზრისით აღიქვამენ ამ საკითხს. მაგალითად, ნაწილი თვლის, რომ თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელებით კორპორაცია უფრო ართულებს საკუთარ გასხვისების პროცესს და შემძენ კორპორაციას აიძულებს უფრო მეტი თანხა გადაიხადოს,[142] ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თავდაპირველად შეთავაზებული თანხა უფრო მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე გაჭიანურებული მოლაპარაკებების შედეგად მიღებული ფული.[143]

როდესაც მენეჯმენტისთვის აშკარაა, რომ კორპორაცია გაიყიდება, ასეთ შემთხვევაში ის უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდოს. *რევლონის* წესით დამკვიდრებული ეს სტანდარტი ალბათ ყველაზე ახლოს არის „ნამდვილი კომერსანტის“ მიერ სავარაუდოდ მისაღებ გადაწყვეტილებასთან, რადგან აქციონერების ინტერესების საუკეთესო დაცვა ასეთ დროს მათ მიერ ინვესტირებული კაპიტალის ყველაზე მაღალ ფასად გასხვისებაა.[144]

აქციონერის უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებაზე საუბრისას აღინიშნა, რომ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებით საერთო კრების ხელში გადავა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული კანონმდებლობით თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელების უფლებაც სამომავლოდ თავს უპირატესად საერთო კრების ხელში მოიყრის.

სამწუხაროდ, კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობის გამო, საქართველოში არ გვხვდება ისეთი სასამართლო დავები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გაანალიზებულ იქნეს თავდაცვითი ღონისძიების გამოყენების საკითხები ხელმძღვანელობის მოვალეობის ძველი და ახალი განმარტებების საფუძველზე.

---

141 GilsonJ. R “Unocal Fifteen Years Later (And What Can We do About It) in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press 2010)544-554.

142 Lipton M, “Pills, Polls, and Professors Redux” in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press 2010)580.

143 Bebchuk A. L, “The Case Against Board Veto in Corporate Takeover” in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press 2010)572.

144 Revlon, Inc. v. MacAndrews & Forbes Holdings, Inc. Delaware Supreme Court, 1986, 506 A.2d 173.

6.3. შორსმიმავალ პერსპექტივაზე ორიენტირებული კომერსანტი და ერთგულების მოვალეობა

სტატიაში შევეხეთ ტერმინს „კომერსანტი“ და აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ დირექტორი ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც „ნამდვილი კომერსანტი“, ის უფრო მეტად ემსახურება აქციონერების ინტერესებს. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტორები, ისევე როგორც აქციონერები, არიან როგორც შორსმიმავალ, ასევე ახლო პერსპექტივაზე ორიენტირებულები.[145] აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნებოდა განგვემარტა, არის თუ არა „ნამდვილი კომერსანტი“ ახლო თუ შორ პერსპექტივაზე ორიენტირებული?

ზოგადი თვალსაზრისით, ერთგულების მოვალეობა ავალდებულებს ხელმძღვანელს მიიღოს გადაწყვეტილება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ერთგულების მოვალეობა ვრცელდება განსაკუთრებით უმრავლესობაში მყოფ და დომინანტ აქციონერებზეც, რადგან მათ შეუძლიათ ფაქტობრივი ზეგავლენა მოახდინონ საერთო კრებაზე მისაღებ გადაწყვეტილებაზე. თუმცა ერთგულების მოვალეობა ვრცელდება უმცირესობაში მყოფ აქციონერებზეც. აქციონერი უნდა გაუფრთხილდეს კორპორაციის ზოგად ინტერესს და არ უნდა დააზარალოს კოლეგა აქციონერის ინტერესი,[146] მაგრამ საინტერესოა თუ დირექტორს ვაკისრებთ კომერსანტის მოვალეობას და კომერსანტის და ინვესტორის ცნებები ერთამენთთანაა დაკავშირებული, როგორ უნდა იმოქმედოს ინვესტორმა ანუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ინვესტორი – მოქმედებდეს კორპორაციის შორსმიმავალი თუ ახლო პერსპექტივიდან?

დღეს, საქართველოს საკორპორაციო სამართალში დირექტორის მისამართით რომ დარჩენილიყო და გავრცელებულიყო ტერმინი „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერება“, ეს უკანასკნელი მაინც უნდა გვევარაუდა, როგორც შორსმიმავალ პერსპექტივაში ინვესტორებისთვის უფრო მეტი მოგების მომტანი მოვალეობა. განსაკუთრებით, როგორც წესი, თავდაცვითი ღონისძიების განხორციელების დროს, დირექტორატი კორპორაციის ხანგრძლივმოქმედი სტრატეგიიდან გამოდის. შესაბამისად, თავდაცვითი ღონისძიების განხორციელების დროს, დირექტორი, რომელსაც დაკისრებული ექნებოდა „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერება“, ვერ განახორციელებდა მოქმედებებს აქციონერების მიერ დაუყოვნებლივ მოგების მიღების სურვილის შესაბამისად. „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერება“ კორპორაციის შორსმიმავალ პერსპექტივაზე იქნებოდა ორიენტირებული.

ბოლოს ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერება“ არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ აქციონერების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებას, რადგან „გულისხმიერი კომერსანტი“ ზოგადად კორპორაციის საქმიანობით დაინტერესებული ყველა პირის ინტერესებზეც უნდა ზრუნავდეს.

---

[145] Oesterle A. D, J. Gilbert Reese Chair and Michael E. Mortiz, *The Law of Mergers and Acquisitions* (3rd edn, Thomson/West 2005) 537.

[146] ბურდულიი, სააქციო სამართლის საფუძვლები ტომი I (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2010)371.

6.4. ხელმძღვანელობის მოვალეობის სამომავლო დეფინიცია ქართულ საკორპორაციო სამართალში

როგორც ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, რამდენიმე წლის წინ საქართველო ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი გახდა. ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორობა გულისხმობს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაციას საქართველოს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, „მეწარმეთა შესახებ“ კანონში.

ამჟამად, შემუშავებულ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტში ხელმძღვანელობის მოვალეობა ჩამოყალიბებულია გულისხმიერების მოვალეობის სახით და მითითებულია, რომ „ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ვალდებული არიან სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვენ წესიერი და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც უნდა ემოქმედა ანალოგიურ პირობებში მყოფ დირექტორს, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება სამეწარმეო საზოგადოებისათვის ყველაზე ხელსაყრელია“.[147]

აღნიშნული ჩანაწერი ფაქტობრივად არის ევროპული და აშშ-ს საკორპორაციო სამართლის ნაზავი ვერსია, და, ამავდროულად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირვანდელი ცვლილების შედეგად ასახული დეფინიციების გაერთიანება იმ განსხვავებით, რომ „ნამდვილი კომერსანტის“ ნაცვლად გვხვდება „კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი“.

[147] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისპროექტი, მუხლი 48, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_BI0VP94JAElEY>.

7 ინვესტიციების დაცულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას

7.1. შესავალი

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონმდებლობის ეფექტურობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. კანონმდებლობით დადგენილი სწორი და ეფექტური რეგულაციები ინვესტორისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გადაწყვეტილების მისაღებად – განახორციელოს თუ არა საწარმოში ინვესტიცია. ინვესტორისთვის, რომელიც ქართულ ბაზარზე შემოდის, მნიშვნელოვანია როგორც საწარმოს საქმიანობის დაწყება, ასევე იმ საკანონმდებლო პროცედურების სიმარტივე, რომელიც ეხება საწარმოს საქმიანობის დასრულებას ლიკვიდაციისა თუ გაკოტრების გზით. გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურობა ყველაზე მნიშვნელოვანია კრედიტორისათვის, რომელმაც შეიძლება მოვალისგან ამონაგები თანხის რეინვესტირება მოახდინოს. სწორედ ამიტომ, გადახდისუუნარობის ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის კანონმდებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შევეხოთ აქციონერის, როგორც ინვესტორის და კრედიტორის, როგორც ინვესტორის უფლებების საკითხს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას. მნიშვნელოვანია ორივე, ფინანსურად დაინტერესებული მხარის, უფლებრივი მდგომარეობის გაანალიზება.

გაკოტრების სფეროში, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მიღებულ იქნა მრავალი სამართლებრივი აქტი, რომელიც განსხვავებულად არეგულირებდა კრედიტორების დაკმაყოფილების სამართლებრივ საკითხებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ ინფორმაციის გაანალიზება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ბანკის *Doing Business-ის* რეიტინგში საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობას გაკოტრების საქმის წარმოების თვალსაზრისით.

საქართველოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოება რეგულირდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით.[148] კანონის Iმუხლი მოქმედებს, როგორც პრეამბულა. მისი შინაარსის მიხედვით, კანონი ორიენტირებულია მო-

[148] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04 /2019 წლის რედაქცია.

ვალისა და კრედიტორების, ინტერესების თანაზომიერ დაცვაზე[149]. აღნიშნული ჩანაწერი საინტერესოა იმ მხრივ, რომ საერთაშორისო სარეკომენდაციო ნორმები, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, უნსიტრალის საკანონმდებლო წესები გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით (*Uncitral Legislative Guide on Insolvency Law*), და სხვა წარმატებული ქვეყნების კანონმდებლობა, აქცენტს აკეთებს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. უნსიტრალის სარეკომენდაციო წესებში საერთოდ არ არის ნახსენები მოვალის ინტერესები. მისი პრეამბულის მიხედვით, მოდელური კანონის მიზანია, რომ ჩამოყალიბდეს ისეთი ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც კრედიტორების ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.[150]

მოქმედ კანონში ასევე გვხვდება რამდენიმე სადავო და დაუზუსტებელი საკითხი, რომელიც გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურობას ართულებს. ეს საკითხებია – კრედიტორთა რიგითობა, მეურვის კომპეტენცია, ქონების აუქციონზე რეალიზაციის წესები და ა.შ. სწორედ ამ საკითხების მოუწესრიგებლობით ან/და არასათანადოდ მოწესრიგების გამო საქართველო *Doing Business-ის* რეიტინგში, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ეფექტურობის მიხედვით, არასახარბიელო პოზიციას იკავებს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017 წელს საქართველო 106-ე ადგილზე იყო, ხოლო 2018 წლის რეიტინგით, 57-ე ადგილზე გადაინაცვლა.[151] ეს გამოწვეული გახლდათ 2017 წელს კანონში შესული რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებით. მაგალითად: დაკონკრეტდა ვადები; მოვალეს მიეცა როგორც რეაბილიტაციის მოთხოვნის უფლებამოსილება, ისე – გაკოტრების; დაზუსტდა მეურვის უფლებამოსილებები. 2018 წელს კანონში დაინერგა შეტყობინების ელექტრონული სისტემაც, რომელიც კრედიტორთა ჩართულობისა და ინფორმირების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. როგორც ჩანს, კანონმდებელი ცდილობს გააუმჯობესოს კანონის ეფექტურობა, თუმცა კვლავ პრობელმურად რჩება რამდენიმე საკვანძო თემა.

კვლევის საკითხის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. თავდაპირველად უნდა ვისაუბროთ გაკოტრების მასაზე, როგორ განმარტავს მას კანონი და როგორ ნაწილდება იგი, რა როლს თამაშობენ პროცესის აქტორები გაკოტრების მასასთან დაკავშირებით. გაკოტრების მასასთან დაკავშირებული ჩანაწერები უნდა განვიხილოთ *Doing Business-ის* ქვეინდიკატორების ჭრილში.

კვლევის მიზნებისათვის აუცილებელია განვმარტოთ აქციონერის სამართლებრივი მდგომაროება გადახდისუუნარობის პროცესში, კერძოდ, მისი უფლებამოსილებები „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. უნდა ვისაუბროთ აქციონერის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის შესახებ, კერძოდ, რა უფლებები აქვს აქციონერს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის ცხრილში.

---

149 იქვე, მუხლი 1.

150 Uncitral Legislative Guide on Insolvency Law, მუხლი 1, ხელმისაწვდომია: <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf>.

151 Doing Business, The World Bank. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia>.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს, ელექტრონული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კრედიტორთა ჩართულობა და ინფორმირებულობა უკეთესობისკენ შეიცვალოს. მნიშვნელოვანია ვისაუბროთ კრედიტორების ინფორმირებულობაზე გადახდისუუნარობის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და ეს საკითხები საერთაშორისო სტანდარტებს შევადაროთ.

მოქმედი კანონმდებლობის შეფასებასთან ერთად, აუცილებელია გაკოტრების სამართალში არსებული ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების შესწავლა. ამ მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია *Doing Business-ის* კრიტერიუმებით „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესწავლა, რომელიც 1996-2007 წლებში მოქმედებდა.

ქართული მოქმედი და ძალადაკარგული კანონის მიმოხილვასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების და საერთაშორისო ინსტიტუტების გამოცდილებაც შევაფასოთ, რათა კვლევის საკითხის შედარებისათვის ნათელი სურათი შეიქმნას. ამისთვის აშშ-ს მაგალითებს, ევროკავშირის რეგულაციებსა და დირექტივებს და, ასევე, ევროპული ქვეყნების წარმატებულ მაგალითებს მიმოვიხილავთ.

7.2. გაკოტრების მასა, როგორც კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი განმარტავას გაკოტრების მასას, როგორც სამეურვეო ქონებას. „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით სამეურვეო ქონება არის ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შეძენილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება.[152]

„გაკოტრების მასა“, როგორც ტერმინი, გვხვდება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომლის მიხედვითაც ის მოიცავს ვალაუვალი მოვალის ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ, იმ ნივთების და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო აქტებით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება.[153] როგორც ტერმინების ძველი და ახალი ვერსიების შედარებიდან ჩანს,

[152] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 3 (რ), საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

[153] საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მუხლი 5, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, დოკუმენტი 286, 25/06/1996, გამოქვეყნების თარიღი 30/07/1996, სარეგისტრაციო კოდი 250.020.010.05.001.000.145, კანონი ძალადაკარგულია 2007 წლის 28 მარტიდან.

ახალი ვერსიით გაკოტრების მასაში შედის არა მხოლოდ ისეთი ქონება, რომელიც საქმის გახნის მომენტის დროს ეკუთვნის მოვალეს, არამედ, ასევე, საქმის გახსნის მომენტიდან შეძენილი ქონება. როგორც ჩანს, კანონმდებელმა საკითხის დაზუსტება ტერმინოლოგიის დონეზე მიიჩნია საჭიროდ.

კრედიტორებისთვის მნიშვნელოვანია მოვალის ქონების ზუსტი და ზედმიწევნითი აღრიცხვა, რათა მათ თავიანთი მოთხოვნები ამ ქონების მასიდან დაიკმაყოფილონ. მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რა როლს თამაშობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თითოეული მონაწილე გაკოტრების მასის ფორმირების პროცესში.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს მოვალის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შინაარსობრივ რეკვიზიტებს. კანონის მიხედვით, მოვალეს ეკისრება ვალდებულება, რომ განცხადებით წარმოადგინოს მისთვის ცნობილი ქონების ნუსხა და მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა.[154] მას შემდეგ, რაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს განცხადებას, გაკოტრების მასის ფორმირებაში უკვე სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვე ერთვება – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში მეურვე).[155] სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოვალის ქონებაზე და მის გაზრდა/შემცირებაზე გარკვეული შეზღუდვები ვრცელდება, რომელთა მიხედვითაც მოვალეს ეკრძალება შემდეგი ქმედებების განხორციელება მეურვის თანხმობის გარეშე:

- მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე.
- ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღსრულება მალფუჭებადი ნივთის მიმართ ხორციელდება) და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. აღსრულების შედეგად ამოღებული თანხა სამეურვეო ქონებაში მიიმართება.
- იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა.
- საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.
- მიმდინარე სესხის ხელშეკრულების ფარგლებში სასესხო ვალდებულების აღება შესაძლებელია მხარეთა მიერ დამატებითი ნების გამოვლენის საფუძველზე

[154] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 16.1 (ა), საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019წლის რედაქცია.

[155] იქვე, მუხლი 21.1 (ა).

მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით.[156]

მოვალე (მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) ვალდებულია მეურვეს მიაწოდოს საკუთარი ქონების, მისი ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობისა და სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას კანონმდებელი კრედიტორებსაც ანიჭებს. ინფორმაციის წარუდგენლობა ისჯება სისხლის სამართლის წესით.[157]

რაც შეეხება მეურვის ფუნქციას გაკოტრების მასასთან დაკავშირებით, კანონი მას ავალებს შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები, შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი, შეუზღუდოს მოვალეს სამეურვეო ქონების განკარგვის უფლება. კრედიტორებთან დაკავშირებით მეურვეს ევალება, რომ კრედიტორთა პირველი კრების გამართვამდე მოიძიოს მეურვის ქონება, ასევე მოამზადოს დასკვნა მოსაძიებელი ქონების შესახებ, მოამზადოს დასვკნა კრედიტორთა მხრიდან მოვალის ქონებაზე დავის დაწყების, გაგრძელების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ.[158]

როგორც ვხედავთ, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს მეურვის ვინაობას, იგი უნდა იყოს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც კანონით მინიჭებული კონკრეტული კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების საფუძველზე მოქმედებს. საინტერესოა კანონის იმპერატიულობის საკითხი – რატომ არ შეიძლება მეურვე იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი, როგორც ლიკვიდაციის ან რეაბილიტაცია/გაკოტრების დროს.

კიდევ ერთი სადავო საკითხი მეურვესთან მიმართებით არის ის, რომ მოვალეს ეზღუდება გაკრვეული ქმედებების განხორციელება მეურვესთან შეუთანხმებლობით. ფაქტობრივად, მოვალე ყოველდღიურ საქმიანობას ვერ გააგრძელებს მეურვესთან შეუთანხმებლად, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტა არაეფექტური და დროში გაწელილია, რაც სასამართლო პრაქტიკითაც დასტურდება.

კრედიტორთა მონაწილეობა გაკოტრების მასის განსაზღვრასა და ფორმირებაში იწყება პირველი გამართული კრებიდან, სადაც მათ მეურვე წარუდგენს სამეურვეო მასას და ასევე იმ ქონებას, რომელზეც დავა მიმდინარეობს და შეიძლება სამეურვეო მასის ნაწილი გახდეს. კრედიტორთა კრებას კანონი იმის უფლებას ანიჭებს, რომ მიიღონ გადაწყვეტილება დავის განსჯადობის შესახებ, ანუ, თუ მოვალის ქონებაზე მიმდინარეობს დავა და ეს დავა კრედიტორთა ინტერესის საგანს წარმოადგენს, საქმე გადაეცემა თბილისის ან ქუთაისის სასამართლოებს, რომლებსაც გადახდისუუნარობის დავების განხილვისას სპეციალური განსჯადობა აქვთ. თუ ქონებაზე არ მიმდინარეობს დავა, მაგრამ

[156] იქვე, მუხლი 21.2 (ა,გ,დ,ე,ვ).
[157] იგივე, მუხლი 24.
[158] იგივე, მუხლი 26.2 (ბ,ვ,ზ,კ,ლ,მ).

ის შეიძლება გახდეს დავის საგანი და კრედიტორთა კრება გადაწყვეტს, რომ აღნიშნული ქონება მათ ინტერესებში შედის, ეს დავა ანალოგიური წესით თბილისის ან ქუთაისის სასამართლოებში განიხილება.[159]

კრედიტორთა პირველ კრებაზე მეურვე ვალდებულია წარადგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების შესახებ, მათ შორის, ისეთი ქონების შესახებ, რომელიც მოსაძიებელია და მისი არსებობა მხოლოდ დოკუმენტური საფუძვლით დგინდება. მეურვემ ასევე უნდა წარადგინოს ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის, ვალდებულებებისა და უზრუნველყოფილი კრედიტორების შესახებ. კრედიტორებს აქვთ იმის უფლებამოსილება, რომ დაავალონ მეურვეს მოიძიოს დოკუმენტური სახით არსებული მოსაძიებელი ქონება ან შეაწყვეტინონ ასეთი ქონების მოძიების პროცესი. თუ მეურვეს ქონების მოძიება დაევალა, რომელიც მხოლოდ დოკუმენტურად არსებობს, მას 15 დღიანი ვადა აქვს, რის შემდეგაც მოძიების შედეგებს წარუდგენს კრედიტორთა კრებას. თუ ამ ვადაში ვერ მოხდა ქონების მოძიება, მაშინ, კანონის მიხედვით, იგი წყვეტს ამ პროცესს.[160] თუმცა, კრედიტორები ქონების მოძიების საკითხებში მხოლოდ მეურვეზე არ არიან დამოკიდებული, მათ შეუძლიათ თავად მოიძიონ მოვალის მოსაძიებელი ქონება და მიმართონ სასამართლოს მოძიებული ქონების სამეურვეო ქონების ნუსხაში შეტანის მოთხოვნით, თუმცა მოთხოვნა შეტანილ უნდა იქნეს აუქციონის გამოცხადებამდე 7 დღით ადრე.[161]

გაკოტრების მასაში ასევე შესაძლებელია ისეთი ქონების შეტანა, რომელსაც მოვალე მართლზომიერად ფლობს, თუმცა მასზე შეუძლებელია საკუთრების უფლების დადგენა. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორთა პირველ კრებაზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ამ ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ეს განჩინება არის მოვალის მფლობელობაში არსებული ქონების რეგისტრაციის, მათ შორის, ქონების დაუზუსტებელი მახასიათებლებით რეგისტრაციის საფუძველი.[162]

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კრედიტორისთვის ზიანის მომტანი ქმედების ცნებასაც გაკოტრების მასის გაუფასურების ფარგლებში. კანონის მიხედვით, კრედიტორისთვის ზიანის მომტანად ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც განხორციელდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე 1 წლის (2 წლის განმავლობაში თუ კონტრაჰენტი/სარგებლის მიმღები კრედიტორი მოვალესთან დაკავშირებული პირია) განმავლობაში და შედეგად სამეურნეო ქონების გაუფასურება მოჰყვა. კანონმდებელი სამეურნეო ქონების გაუფასურების კონკრეტულ დეფინიციას არ იძლევა, თუმცა აქცენტს აკეთებს ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც შეიძლება ზიანის მომტან ქმედებებად მივიჩნიოთ, ესენია: სამეურვეო ქონების ან მისი ნაწილის გაჩუქება ან გასხვისება საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად, ვალის პატიება და სხვა... ეს

[159] იქვე, მუხლი 4.5[2] და 4.5[3].
[160] იქვე, მუხლი 27.
[161] იქვე, მუხლი 27.18.
[162] იქვე, მუხლი 27.19.

გარიგებები ისეთ შემთხვევაში ითვლება ზიანის მიყენებად, როდესაც სწორედ მათ მიიყვანეს მოვალე გადახდისუუნარობამდე, ან კონტრაჰენტისთვის/სარგებლის მიმღები კრედიტორისთვის მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ ცნობილი იყო.[163] ასეთი ტიპის გარიგების ბათილობისთვის სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს კრედიტორს, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველს.

თუ გადახდისუუნარობის პროცესი გაკოტრების პროცესში გადაიზარდა, მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს ცვლის გაკოტრების მმართველი საგადასახადო, ანგარიშგების საკითხების გარდა. გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები, მათ შორის იდება ხელშეკრულება, რითაც მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება. აღსანიშნავია ის, რომ კანონი გაკოტრების მმართველს არ ავალდებულებს მოვალის ქონების მოძიებას და ამ საკითხის დარეგულირებას კრედიტორებსა და გაკოტრების მმართველს შორის დადებულ ხელშეკრულებას ანდობს.[164] ანუ, შესაძლებელია გაკოტრების მმართველმა, ხელშეკრულების საფუძველზე, შეიტანოს გაკოტრების მასაში ცვლილებები, მოიძიოს მოვალის ქონება, საიდანაც დამატებით დაკმაყოფილდებიან კრედიტორები.

გაკოტრების პროცესის ბოლო ეტაპია აუქციონი, სადაც უნდა გადაწყდეს გაკოტრების მასის გასხვისების (ფინანსური გირაოს საგნის რეალიზაციის გარდა) საკითხები. ქონების გასხვისებას აუქციონზე აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს, რომელსაც „კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინება“ ევალება. კანონი იმპერატიულად ავალდებულებს კრედიტორებს და გაკოტრების მმართველს აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისის გამოყენებას. პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის არჩევიდან/დანიშვნიდან არაუმეტეს 40 დღის ვადაში, სადაც გაკოტრების მასა ერთიანად იყიდება. კანონი კრძალავს პირველ აუქციონზე ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვას. გაკოტრების მასის საწყისი ფასი საბაზრო ღირებულების 50%-ით განისაზღვრება. საბაზრო ღირებულება ფასდება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე. [165]

თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია და ქონების საწყისი ფასი კრედიტორთა მოთხოვნებზე ნაკლებია, ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნასაც ფარავს, მაგრამ არ აღემატება პირველ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების საწყის ფასს, უფლება აქვს, პირველი აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მიმართოს გაკოტრების მმართველს ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია დაფაროს წინა და იგივე რიგების კრედიტორთა მოთხოვნები და მიმართვას, ასევე, დაურთოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე წინა და იგივე რიგების კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის მიზნით თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი. ერთზე მეტი მიმართვის არსებობისას ქონების საკუთრებაში მიღების უფლება წარმოეშობა იმ კრედიტორს, რომლის მიმართ-

[163] იქვე, მუხლები 35.1(ბ) და 35.2.
[164] იქვე, მუხლები 37.1, 37.4[1] და 37.11.
[165] იქვე, მუხლები 38.2, 38.9 და 37.11.

ვაც, ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციით, უფრო ადრეა ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული.[166]

მეორე აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, გაკოტრების მასის გასხვისება შესაძლებელია როგორც მთლიანად, ასევე – ნაწილ-ნაწილ. ქონების ნაწილ-ნაწილ გასხვისების გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კრედიტორებმა. საწყისი ფასი განისაზღვრება საბაზრო ღირებულების 25%-ის საფუძველზე. მესამე აუქციონის ჩატარების შემთხვევაში ქონების ნაწილ-ნაწილ გასხვისების გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო და საწყისი ფასი განისაზღვრება ნული(0) ლარით. რაც შეეხება მესამე აუქციონს, თუ მასზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა ან დარჩა ქონების ნაწილი, აღსრულების ეროვნული ბიურო ელექტრონულ სისტემაში აქვეყნებს კრედიტორებისადმი ქონების საერთო საკუთრებაში გადაცემის შეთავაზებას, ქონება გადაეცემა იმ კრედიტორს ან კრედიტორებს, რომლებიც 10 კალენდარული დღის ვადაში დააფიქსირებენ თანხმობას, იმ კრედიტორების წილი კი, რომლებიც არ გამოთქვამენ ქონების საკუთრებაში მიღების სურვილს, სხვა კრედიტორებზე თანაბრად გადანაწილდება.[167] აღსანიშნავია, რომ პუნქტის ბოლო წინადადების ფორმულირება შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად.[168] ძველი ფორმულირების მიხედვით, თუ კრედიტორები ქონების მიღების სურვილს არ გამოთქვამდნენ, ქონება გადადიოდა სახელმწიფო საკუთრებაში.

კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ აუქციონის ვადების შემცირება და გაკოტრების მასის დაჩქარებული წესით გაყიდვა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამისთვის საწარმოს საქმიანობის შეჩერება საფრთხეს უნდა უქმნიდეს ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ან შეუძლებელი უნდა იყოს საწარმოს საქმიანობის უწყვეტობა, ან – აუქციონის კანონით დადგენილ ვადაში ჩატარება გასაყიდი ქონების მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს.[169]

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კანონში იმპერატიულადაა დარეგულირებული აუქციონის კონკრეტული წესებით და კონკრეტული ორგანოს მიერ ჩატარება. შეიძლება დაინერგოს განსხვავებული მექანიზმებიც, რომლებიც შეცვლის აუქციონზე ქონების რეალიზაციის წესებს და აუქციონის ჩატარებისთვის შესაძლებელი გახდება კერძო პირის დაქირავებაც, რაც, პირველ რიგში, კრედიტორთა ინტერესებში შედის.

გაკოტრების მასიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა რეგულირდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლით.[170] კრედიტორთა მოთხოვნების რიგითობა შემდეგნაირია:

I. საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური
II. გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მო-

---

166 იქვე, მუხლი 38.10.

167 იქვე, მუხლი 38. 11^2

168 შპს „ტიფლისი 777“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება N1/2/1250, 2019 წლის 18 აპრილი, ქ. ბათუმი.

169 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 38.15

170 იქვე, მუხლი 40.

ვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებები

III. მეურვის დანიშვნასთან და მოვალოებათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები
IV. უზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, საგადასახადო მოთხოვნებიც
V. საგადასახადო დავალიანებები
VI. აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები
VII. დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნები

რიგითობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პრიორიტი მინიჭებული აქვს გადახდისუუნარობის საქმის დაწყების შემდეგ წარმოშობილ დავალიანებებს, ასევე პრიორიტეტი ენიჭება უზრუნველყოფილ მოთხოვნებსა და საგადასახადო დავალიანებებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნასთან მიმართებით.

უზრუნველყოფილი კრედიტორები კანონით სარგებლობენ დამატებითი უპირატესობით არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებით, რიგითობის გარდა, მათ აქვთ განსაკუთრებული უფლებამოსილება მიიღონ გადაწყვეტილება კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების შემდეგ მოვალის მიერ ახალი სესხების წარმოშობის, ქონების დატვირთვის და თავდებობის შესახებ. უზრუნველყოფილ კრედიტორებს ასევე შეუძლიათ შეაჩერონ კრედიტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველთან დადებულ ხელშეკრულების არსებით პირობებს და რეაბილიტაციის ვადის განსაზღვრას შეეხება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორები და არაუზრუნველყოფილი კრედიტორები ვერ შეთანხმდებიან, საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.[171]

უზრუნველყოფილი კრედიტორები ჩვეულებრივი კრედიტორებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ გაკოტრების მასაში არსებულ ცალკეულ ქონებაზე აქვთ უფლება. კანონი უზრუნველყოფილი კრედიტორებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილების განსაკუთრებულ წესსაც ადგენს. თუ გაკოტრების მასა გაიყიდება ნაწილ-ნაწილ და გასაყიდი დატვირთული ნივთის ფასი მეტია უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე, ასეთი კრედიტორი დაკმაყოფილდება მხოლოდ თავისი მოთხოვნის მოცულობით, ნაშთი კი დარჩენილ მასაში ჩაითვლება, ხოლო, თუ ნივთი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებ ფასად გაიყიდა, მაშინ უზრუნველყოფილი კრედიტორი მხოლოდ ამ თანხით დაკმაყოფილდება, დარჩენილი ვალი კი არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებში გადავა. [172]

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონში არ არის ნახსენები უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ გაკოტრების მასიდან ნივთის გამოცალკევების უფლების ქონა და მისთვის გადაცემა. უზრუნველყოფილი ქონება გაკოტრების მასაში ითვლება და მისი რეალიზაცია ხდება. ეს ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ „საწარმოს ქონება, როგორც ერთი მთლიანი, უნდა შენარჩუნდეს. მისი ერთიანობა კი იმით არ უნდა დადგეს საფრთხის ქვეშ, რომ თავისი მოთხოვნის განცალკევებით, დაკმაყოფილების მიზნით, უზრუნველყო-

[171] იქვე, მუხლი 39.
[172] იქვე, მუხლი 41.

ფილმა კრედიტორმა უზრუნველყოფილი საგნის მასიდან ამოღება შეიძლება ვალაუვალობის წარმოების გარეთ მოითხოვოს".[173]

7.3. აქციონერი, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი

მოვალის აქციონერებს შეიძლება ჰქონდეთ მოვალის მიმართ სხვადასხვა სახის მოთხოვნა. გადახდუუნარობის კანონები და მოდელური რბილი სამართალი განასხვავებს ჩვეულებრივი კრედიტორისა და მოვალის აქციონერის ან/და მოვალესთან დაკავშირებული პირის ცნებას.

უნსიტრალის რეკომენდაციის მიხედვით, მოვალესთან, არაფორმალურად თუ ფორმალურად, დაკავშირებული კრედიტორების მოთხოვნები სპეციალური მოპყრობის საგანი უნდა იყოს, რადგან მოვალესთან დაკავშირებული კრედიტორები ჩვეულებრივ კრედიტორებთან მიმართებაში უპირატეს მდგომარეობაში არიან. უპირატესი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ მოვალესთან დაკავშირებულ კრედიტორებს შეიძლება ჰქონოდათ მოვალის ფინანსური სირთულეების შესახებ წინასწარ ინფორმაცია.[174]

მოვალესთან დაკავშირებული კრედიტორების უპირატესობის დასაბალანსებლად, უნსიტრალის მოდელური კანონი გვთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციას:[175]

„გადახდისუუნარობის კანონი უნდა აკონკრეტებდეს მოვალესთან დაკავშირებული კრედიტორების მოთხოვნები უნდა იყოს თუ არა სპეციალური შემოწმების საგანი, სადაც გამართლებულია:

(ა) დაკავშირებული კრედიტორის ხმის უფლება უნდა შეიზღუდოს

(ბ) დაკავშირებული კრედიტორის მოთხოვნის რაოდენობა უნდა შემცირდეს, ან

(ც) მოთხოვნა უნდა იყოს სუბორდინირებული".[176]

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აქციონერების მოთხოვნები უნდა ექვემდებარებოდეს სპეციალურ დარეგულირებას კანონში. საინტერესოა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია თუ არა მოვალესთან დაკავშირებული პირის ცნება და რა რიგითობით კმაყოფილდება ასეთი ტიპის კრედიტორის მოთხოვნები.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი ტერმინ „კრედიტორს" შემდეგნაირად განმარტავს „კრედიტორი – პირი, რომელსაც გადახდი-

---

173 შტიგნერი ჰ და მიგრიაული რ, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან" (თბილისი 2011) 52.

174 Uncitral Legislative Guide on Insolvency Law, გვ.262, 48-ე პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf>.

175 იქვე, გვ.266, 184-ე პარაგრაფი.

176 სუბორდინირება ამ კონტექსტში ნიშნავს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ცხრილში მოთხოვნის დაქვეითებას.

სუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა)".[177] ტერმინი „დაკავშირებული პირი" განმარტებულია როგორც:

- *„ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხება;*
- *საწარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;*
- *იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;*
- *იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;*
- *იურიდიული პირის პარტნიორი ან დამფუძნებელი, რომელსაც პრაქტიკული საშუალება აქვს ზემოქმედება მოახდინოს ამ პირის გადაწყვეტილებებზე;*
- *ნათესავი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი".*[178]

„კრედიტორის", როგორც ტერმინის, განმარტებიდან ჩანს, რომ მასში იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომლის მოთხოვნაც საფუძვლიანია მოვალის მიმართ. კანონში არ გვხვდება „მოვალესთან დაკავშირებული კრედიტორის" ცნება. „დაკავშირებული პირის" განმარტებიდან ჩანს, რომ აქცენტი გაკეთებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირის ზეგავლენაზე და საწარმოს ისეთ ქმედებებზე, რომელიც საზიანოა კრედიტორისთვის. ტერმინის განმარტება დაკვშირებულია კანონის 35-ე მუხლთან, ისეთი გარიგების ბათილობის წინაპირობებს რომ იძლევა, რომელიც კრედიტორისთვის საზიანოა. კანონის სხვა, კერძოდ კი კრედიტორებთან და მათ უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ მუხლებში, „დაკავშირებული პირის" ტერმინი არ გვხვდება.

ტერმინთა განმარტების ანალიზიდან ჩანს, რომ კანონმდებელი ცნება „კრედიტორში" სავარაუდოდ კრედიტორ აქციონერსაც მოიაზრებს. შესაბამისად, თუ ამ მსჯელობას დავეყრდნობით, მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის ცხრილშიც აქციონერი არაუზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიაშია გაერთიანებული.

უნსიტრალის მოდელურ კანონში აქციონერების და სხვა ფორმით დაკავშირებული პირების მოთხოვნები დგას არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებზე ქვე-

---

[177] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ", მუხლი 3 (ი), საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

[178] იქვე, მუხლი 3 (ო).

ვით [179]. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გაკოტრებისას არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების რიგითობაა მეექვსე. არაუზრუნველყოფილი კრედიტორების რიგითობას წინ უსწრებს საგადასახადო მოთხოვნები, უზრუნველყოფილი მოთხოვნები, ადმინისტრაციული ხარჯები და პროცესის დაწყების შემდეგ წარმოშობილი დავალიანებები. არაუზრუნველყოფილი კრედიტორების შემდეგ კმაყოფილდება დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნები.[180] რაც შეეხება დაგვიანებით წარდგენილ მოთხოვნებს, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში კრედიტორებმა მოვალის მიმართ არსებული საკუთარი მოთხოვნები უნდა წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს, მოთხოვნის დამადასტურებელ დოკუმენტებთან და სხვა მტკიცებულებებთან ერთად[181]. თუ კრედიტორმა კანონით დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ წარადგინა მოთხოვნა, მას განიხილავს სასამართლო და მოთხოვნის აღიარების შემთხვევაში დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნის სტატუსს ანიჭებს.[182]

როგორც ვხედავთ, კანონში განმარტებული არ არის მოვალესთან დაკავშირებული პირის, როგორც კრედიტორის, სამართლებრივი მდგომარეობა. თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ ტერმინ „კრედიტორში“ იგულისხმება აქციონერი კრედიტორიც, მაშინ მისი მოთხოვნები და სხვა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები გაერთიანებულია ერთ კატეგორიაში, რაც სხვადასხვა საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით ცუდი პრაქტიკაა.

„გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ გაკოტრების პროცესის ბოლო ეტაპზე, ანუ აუქციონზე, ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩა თანხა, იგი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში (ან სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში).[183] კანონის აღნიშნული ნორმა ქმნის კონტრასტს უნსიტრალის სარეკომენდაციო კანონთან, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ხარჯებისა და კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნდეს მოვალეს. [184] ქართული კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს მოვალის ქონების პარტნიორებისათვის (აქციონერებისთვის) გადაცემას, თუ ის ითხოვს გაკოტრებას და სასამართლომ უარი უთხრა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნაზე იმ მიზეზით, რომ მოვალის ქონება ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯებს, მის მიმართ გამოაცხადა პირდაპირ გაკოტრების გადაწყვეტილება რეგისტრაციის გაუქმების გზით,

[179] Uncitral Legislative Guide on Insolvency Law, გვ. 273, 76-ე პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf>.

[180] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 40, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

[181] იქვე, მუხლი 29.1.

[182] იქვე, მუხლი 30.

[183] იქვე, მუხლები 42.4 და 38.

[184] Uncitral Legislative Guide on Insolvency Law, გვ. 276, 190-ე პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf>.

და, ამასთანავე, კრედიტორებმა არ წარადგინეს მოთხოვნები სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. [185]

7.4. კრედიტორის ინფორმირება

კრედიტორების ჩართულობა გადახდისუუნარობის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. მსოფლიო ბანკის *Doing Business-ის* კვლევის მეთოდოლოგია გადახდისუუნარობის პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, კრედიტორების ჩართულობის ინდექსსაც მოიცავს. კრედიტორების ჩართულობის ინდექსის ერთ-ერთი ინდიკატორი ეხება კრედიტორების ინფორმირებულობას, კერძოდ, კრედიტორის მიერ მოვალის ფინანსურ ინფორმაციასთან წვდომას.[186]

კრედიტორთა ინფორმირებულობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ორი საკითხი: 1) კრედიტორთა ინფორმირებულობა მოვალის ფინანსურ მდგომაროებაზე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე; 2) კრედიტორთა ინფორმირებულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში.

პირველი საკითხი, კრედიტორთა ინფორმირებულობა გადახდისუუნარობის საქმის დაწყებამდე, ეხება კრედიტორის ცოდნას მოვალის ფინანსურ სირთულეებთან დაკავშირებით. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კრედიტორისთვის დადგენილია გარკვეული მტკიცებულებების ალტერნატიული სია, რომელსაც კრედიტორის მიერ სასამართლოსადმი წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს.[187]

კრედიტორთა ინფორმირებულების კონტექსტში უნდა გამოვყოთ ორი ტიპის მტკიცებულება, რომლებიც შეიძლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი გახდეს – ესენია: 1) სხვა კრედიტორების სასარგებლოდ გამოტანილი არანაკლებ ორი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც იძულებით აღსასრულებლადაა მიქცეული და საერთო თანხა 50 000 ლარს აღემატება; 2) განცხადების შემტანი კრედიტორის/კრედიტორების მოთხოვნა (ან მოთხოვნები) უნდა აღმატებოდეს მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნათა საერთო რაოდენობის 30%-ს და მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასული უნდა იყოს მინიმუმ 30 კალენდარული დღე.[188]

---

[185] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 20.10, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

[186] Doing Business, Resolving Insolvency, ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/Methodology/Resolving-Insolvency>.

[187] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 14.1, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

[188] იქვე, მუხლი 14.1.

კანონის მიხედვით, კრედიტორთა მიერ შეტანილი განცხადება, გარდა განცხადების შემტან კრედიტორებთან დაკავშირებული ინფორმაციისა, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ.[189]

აღნიშნულიდან გამომდინარე, კრედიტორს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მოვალის მიმართ სასამართლო წარმოების შესახებ ან/და უნდა იცოდეს მოვალის მიმართ არსებული საერთო მოთხოვნების რაოდენობა. იგი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოვალის გადახდისუუნარობის შესახებაც. აღნიშნული ინფორმაციების მოძიების ვალდებულება აქვს მოვალეს, თუმცა, კანონის მიხედვით, სასამართლოსაც აქვს დახმარების უფლება, კერძოდ, მას შეუძლია შუამდგომლობის საფუძველზე თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები. [190]

მეორე საკითხს, რაც უშუალოდ შეეხება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მოვალის ფინანსური ინფორმაციაზე კრედიტორების ინფორმირებულობას, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მსოფლიო ბანკი *Doing Business-ს* რეიტინგში კრედიტორების ჩართულობის ინდექსის განსასაზღვრად. საქართველო აკმაყოფილებს ამ კონკრეტულ ქვეინდიკატორს და მინიჭებული აქვს 1 ქულა შესაძლო 1-იდან (საერთო ჯამში, კრედიტორთა ჩართულობის ინდექსში საქართველოს აქვს 4 ქულა შესაძლო 5-იდან[191]).

საქართველოს კანონში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ გათვალისწინებულია კრედიტორთა ინფორმირებულობის სხვადასხვა მექანიზმი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მიმდინარეობისას. 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ელექტრონული სისტემა, რომლის ერთ-ერთი დანიშნულებაც კრედიტორთა ინფორმირებისა და ჩართულობის გაზრდაა. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება მოვალის ან კრედიტორების მიერ სასამართლოში შეიტანება სწორედ ელექტრონული სისტემის მეშვეობით.[192]ელექტრონულ სისტემაში უნდა განთავსდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მიღებული ყველა სასამართლო განჩინება, აქვე ქვეყნდება კრედიტორთა კრების, მომრიგებელი საბჭოს, მეურვის, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველის გადაწყვეტილებები და აღნიშნული ითვლება მის ოფიციალურ გამოქვეყნებად. მიუხედავად ამისა, ადმინისტრირების სირთულის გამო, 2018 წლის 25 იანვარს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა, რითაც შემოთავაზებულია პარალელურად იმ წესების მოქმედება, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე, ანუ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის ძალაში შესვლამდე არსებული კანონმდებლობით იყო გათვალისწი-

---

189 იქვე, მუხლი 18.1(დ).

190 იქვე, მუხლი 15.2.

191 Doing Business in Georgia, ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia#resolving-insolvency>.

192 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 14.4, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

ნებული, მათ შორის, ამავე კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოქვეყნებას მატერიალური ფორმატით, ელექტრონული სისტემის გამოყენების გარეშე.[193]

კრედიტორთა ინფორმირება მნიშვნელოვანი საკითხია იმ დროს, როდესაც მოვალე განცხადებით გაკოტრებას ითხოვს და მას პროცესის ხარჯების დაფარვა არ შეუძლია. ამ დროს სასამართლო განჩინებით უარს ეუბნება მოვალეს განცხადების წარმოებაში მიღებაზე და განჩინებაშივე აცხადებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ 1 თვის ვადაში კრედიტორმა მოვალის მიმართ განცხადება არ შეიტანა გადახდისუუნარობის შესახებ. სასამართლო ვალდებულია ამ განჩინების გამოტანიდან არაუგვიანეს მე-3 დღეს ელექტრონულ სისტემაში განათავსოს კრედიტორთა აღნიშნული უფლების შესახებ ინფორმაცია.[194]

სასამართლო ვალდებულია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინება 2 სამუშაო დღის ვადაში გამოაქვეყნოს ელექტრონულ სისტემაში, ამავდროულად, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს განჩინების სხვა საშუალებებით გამოქვეყნების ვალდებულებაც.[195] ერთი მხრივ, კარგია, რომ სასამართლოს ევალება განჩინების ელექტრონულ სისტემაში შეტანის ვალდებულება, თუმცა, მეორე მხრივ, სხვა საშუალებებით განჩინების გამოქვეყნება სასამართლოს უფლებამოსილებაა, ანუ, შეიძლება სასამართლომ ეს უფლება არ გამოიყენოს. უმჯობესი იქნება, თუ დაკონკრეტდება, რა შემთხვევაში შეიძლება გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ განჩინების სხვა საშუალებებით გამოქვეყნებაც, რადგან შეიძლება მოვალე დიდ კომპანიას წარმოადგენდეს და ათასობით კრედიტორი ჰყავდეს. ინტერნეტის ან/და მასმედიის სხვა საშუალებების გამოყენება შეიძლება ძალიან ეფექტურიც იყოს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული სისტემის ამოქმედება ჯერ ეფექტურად არ განხორციელებულა.

მას შემდეგ, რაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას და დაინიშნება მეურვე, მოვალე ვალდებულია 20 დღის განმავლობაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით მას (მეურვეს) წარუდგინოს ინფორმაცია ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის და სასმართლოში მიმდინარე დავების თაობაზე. ამ ინფორმაციის მიღების უფლება აქვთ კრედიტორებსაც, ხოლო ინფორმაციის წარუდგენლობა ან განზრახ არასწორად და გაყალბებულად წარდგენა დასჯადია სისხლის სამართლის წესებით.[196]

კრედიტორის ინფორმირებულობის ვალდებულება აქვს მეურვესაც. იგი ვალდებულია კრედიტორთა პირველ კრებაზე მიაწოდოს კრედიტორებს მის ხელთ არსებული ინ-

---

193 „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/173220?>.

194 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 20.5, საკანონმდებლომაცნე, დოკუმენტი 4522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციოკოდი 240.140.000.05.001.002.087, 18/04/2019 წლის რედაქცია.

195 იქვე, მუხლი 25.

196 იქვე, მუხლი 24.

ფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ფინანსური ინფორმაცია საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების, მისი ქონებრივი მდგომარეობის, მიმდინარე სასამართლო დავების, სამეურვეო ქონების შემადგენლობის და ღირებულების, მის მართვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების, კრედიტორისთვის ზიანის მომტანი ქმედებების თაობაზე, აგრეთვე მოვალესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ფინანსური ინფორმაცია. მეურვეს, გაკოტრების მმართველსა და რეაბილიტაციის მმართველს ევალებათ კრედიტორთა ყოველ მომდევნო კრებაზე შეატყობინოს კრედიტორებს ზემოაღნიშნული ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების ან სამეურვეო ქონების მართვისა და რეალიზაციის პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებების თაობაზე, აგრეთვე მიაწოდოს მათ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხასიათის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კრედიტორთა ინტერესებზე, ხოლო კრედიტორს, ასევე კრედიტორთა კრებას, შეუძლია გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ნებისმიერ დროს მოითხოვოს ფინანსური ინფორმაცია მოვალის შესახებ.[197]

7.5. აქციონერის და კრედიტორის უფლებრივი მდგომარეობა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

კვლევის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996 წლის კანონი. შესწავლის ერთ-ერთ კრიტერიუმად გარკვეულწილად გამოყენებულ იქნა *Doing Business-ის* მეთოდოლოგია, თუმცა არასრული მასშტაბით, რადგან კვლევის მიზანი არ არის შევისწავლოთ გადახდისუნარიანობის საკითხი მხოლოდ *Doing Business-ზე* დაყრდნობით (*Doing Business-ის* კრიტერიუმებით კველვა იხ 5.5.1 ქვეთავში).

გაკოტრების კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობა არის გაკოტრების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძველი. ხსენებული კანონის არსებითი ორიენტირი უშუალოდ გაკოტრების საქმის წარმოებაა და ყველა სხვა ასპექტი მას უკავშირდება. შესაბამისად, ერთი შეხედვით, მოვალისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას ხელმისაწვდომია მხოლოდ გაკოტრება.

თუმცა ამავე კანონის მე-10 მუხლის I და II პუნქტების თანახმად, მოვალეს შეუძლია მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადება, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა, შეიმუშაოს რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გეგმა და ის კრედიტორებთან შეათანხმოს. რეაბილიტაციის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას. თუ მოვალე თავის განცხადებაში დამაჯერებლად ამტკიცებს საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობას, სასამართლო იღებს განჩინებას გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ.

შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვალისთვის ხელმისაწვდომია როგორც გაკოტრების, ასევე რეაბილიტაციის პროცედურა.

---

[197] იქვე, მუხლი 31^1.3.

გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მხოლოდ გაკოტრების შესახებ განცხადების საფუძველზე (გაკოტრების განცხადება). გაკოტრების განცხადების შეტანის უფლება აქვს მოვალეს, აგრეთვე კრედიტორს, რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის მოვალის მიმართ საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია (გაკოტრების კრედიტორი) აქვს.

გაკოტრების ზოგადი საფუძვლებია მოვალის გადახდისუუნარობა, აგრეთვე მისი ზედავალიანება, თუ მოვალე იურიდიული პირია. მოვალის განცხადების შემთხვევაში გაკოტრების საფუძველია მოსალოდნელი გადახდისუუნარობაც.

სასამართლომ უნდა იზრუნოს, რომ გაკოტრების განცხადების განხილვის წარმოებისას მოვალის ქონება არ შემცირდეს მისი, მისი კრედიტორების ან მესამე პირების მიერ.

აღნიშნული რეგულაციიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მუხლის მიზანი მოიცავს მოვალისთვის მეტად მძიმე ხელშეკრულებათა უარყოფასაც.

ამავე მუხლის თანახმად, გაკოტრების მასის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ შეიძლება დანიშნოს გაკოტრების დროებითი მმართველიც. გაკოტრების დროებითი მმართველი ზედამხედველობას უწევს მოვალის ქონებას და ამ ქონებასთან დაკავშირებულ მოვალის ქმედებებს. მოვალეს გაკოტრების დროებით მმართველთან შეთანხმების გარეშე ქონების განკარგვის უფლება არ აქვს.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, ითვალისწინებდა ისეთ ინსტიტუტსაც, როგორიცაა საგაკოტრებო მორიგება (მუხლი 23-24-ე).

საგაკოტრებო მორიგების თაობაზე გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება ჰქონდა ვალაუვალ მოვალეს, გაკოტრების ყოველ კრედიტორს, კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს, ყოველ პარტნიორს ან კაპიტალის მფლობელს, აგრეთვე – გაკოტრების მმართველს. სამომრიგებლო წინადადების შემუშავება ეკისრებოდა გაკოტრების მმართველს, რაც ხელს არ უშლიდა სხვა ნებისმიერი განმცხადებლის მიერ განსხვავებული წინადადების წარდგენას. ამას გარდა, სასამართლოს შეეძლო თავადაც შეემუშავებინა წინადადება. სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მითითებულიყო, როგორ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ კრედიტორები, მომხდარიყო თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან, უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ არანაკლებ ორი მესამედით მაინც. ერთი რიგის ყველა კრედიტორს თანაბარი უფლებები ენიჭებოდა.

სამომრიგებლო წინადადებაში ასევე შეიძლება შესულიყო ვალაუვალი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელება რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებით, აგრეთვე მესამე პირისათვის საწარმოს გადაცემას მისი საქმიანობის შემდგომი გაგრძელების მიზნით.

კანონის აღნიშნულ ჩანაწერში „სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება“ ამ მუხლის ფართოდ განმარტების საშუალებას იძლევა, რაც შესაძლოა კრედიტის აღების შესაძლებლობასაც ითვალისწინებდეს.

ამასთან, კანონის 255 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით, რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს განკარგოს მოვალის

უძრავი ქონება, აგრეთვე დადოს გარიგებები, რომელთა ღირებულებაც მოვალის ქონების 20%-ს აღემატება ან რეაბილიტაციის გეგმას სცილდება.

თუ რეაბილიტაციის შემდეგ წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების ოდენობა რეაბილიტაციის დაწყების მომენტისთვის არსებული ვალდებულებების მთლიანი თანხის 20%-ს აღემატება, მაშინ რეაბილიტაციის მმართველს მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით აქვს უფლება დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს აფუძნებს.

რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება – დადოს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც აფუძნებს მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს, სწორედ კრედიტის აღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებული კანონის თანახმად, საგაკოტრებო მორიგება შეიძლება შეიცავდეს რეაბილიტაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, რელევანტურია 24-ე მუხლის I და II პუნქტები:

სამომრიგებლო წინადადებების კენჭისყრისთვის კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი ძირითადი სხდომის გამართვის შემდეგ და საბოლოო განაწილებაზე ნებართვის გაცემამდე, უნდა გაიმართოს კრედიტორთა კრება (სამომრიგებლო სხდომა). შესამოწმებელი და სამომრიგებლო სხდომები შეიძლება ჩატარდეს ერთად. წინადადება ეცნობება ყველა მონაწილეს არა უგვიანეს სამომრიგებლო სხდომაზე მიწვევისა.

სამომრიგებლო წინადადების მისაღებად საჭიროა როგორც უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორების, აგრეთვე არაპირიველეგირებული კრედიტორების ჯგუფის ხმათა უბრალო უმრავლესობა. თანხმობის მიმცემმა კრედიტორებმა უზრუნველყოფილ და პრივილეგირებულ ჯგუფში მოთხოვნათა მოცულობის 2/3 მაინც უნდა მოაგროვონ, ხოლო არაპრიველეგირებულ კრედიტორთა ჯგუფში კი არანაკლებ 3/4. წერილობითი თანხმობა უთანაბრდება დასწრების განაცხადს, თუ იგი კენჭისყრის დასაწყისში იქნება წარდგენილი.

7.5.1. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვა Doing Business-ის კრიტერიუმებით

მსოფლიო ბანკის Doing Business-ის 2019 წლის რეიტინგში გადახდისუუნარობის კუთხით საქართველო მე-60 ადგილზეა.[198] გადახდისუუნარობის კვლევა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, მათ შორისაა გადახდისუუნარობის კანონმდებლობის სიძლიერის ინდექსი, სადაც საქართველოს 11 ქულა აქვს მინიჭებული[199]. წინამდებარე თავში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მოქმედი კანონის შინაარსობრივი მხარე შეფასებულია სწორედ გადახდისუუნარობის კანონმდებლობის სიძლიერის ინდექსის გამოყენებით.

---

198 ქართული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის სრული შეფასება, ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf>, გვ. 51-53

199 იქვე.

გადახიდისუუნარობის პროცესის დაწყების ინდექსი (0-3 ქულა)	**პასუხი (მოქმედი კანონის მიხედვით)**	**მიღებული ქულა**	**„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი**
1. რა პროცედურებია ხელმისაწვდომი მოვალისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას?	გაკოტრება და რეაბილიტაცია.	1.0	კანონის მე-14 მუხლის მე-2[1] პუნქტის მიხედვით მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც რეაბილიტაცია, ისე – გაკოტრება. თუმცა, რეაბილიტაციის მოთხოვნისას, მოვალემ უნდა წარადგინოს რეაბილიტაციის პროექტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჩანაწერი კანონს 2017 წელს დაემატა, მანამდე მოვალეს რეაბილიტაციის მოთხოვნა არ შეეძლო.
2. უშვებს თუ არა გადახდისუუნარობის სამართალი კრედიტორის მიერ მოვალის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების აღძვრას?	კი, მაგრამ კრედიტორს შეუძლია მხოლოდ გაკოტრების მოთხოვნა.	0.5	მე-14 მუხლის I პუნქტის გ), დ), ე) და ვ) ქვეპუნქტების მიხედვით, კრედიტორს ან კრედიტორების ჯგუფს შეუძლია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება აღძრას მოვალის წინააღმდეგ, თუმცა დაწესებულია გარკვეული ბარიერებიც, მაგალითად, როდესაც სახეზეა ერთი კრედიტორი, მან სასამართლოში უნდა წარადგინოს სხვა კრედიტორის სასარგებლოდ გამოტანილი 2 სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც იძულებით აღსასრულებლადაა მიქცეული და მოთხოვნა აღემატება 50 000 ლარს. 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით ეს ბარიერი გარკვეულწილად მოიხსნა, კერძოდ მე-14 მუხლს დაემატა I[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ კრედიტორს არგუმენტირებული განცხადებით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.
3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების რა საფუძველია გათვალისწინებული გადახდისუუნარობის კანონმდებლობით?	როგორც გადახდისუუნარობა, ასევე მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.	1.0	მე-13 მუხლის მიხედვით, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძვლებია მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.
			2.5 ქულა

მოვალის ქონების მართვის ინდექსი (0-6)	**პასუხი**	**ქულა**	**„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი**
1. უშვებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოვალისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებების შენარჩუნება-გაგრძელებას?	კი	1.0	21-ე მუხლის I პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გრძელდება საქმიანობის უწყვეტობისთვის არსებითი საქონლის ან მომსახურების მიწოდება და მიმწოდებელ პირს ეკრძალება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლით ამ ხელშეკრულებების შეწყვეტა. ხელშეკრულების შეყწვეტა მიმწოდებელს შეუძლია მნიშვნელოვანი გარემოებისას მეურვის თანხმობით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით. ასევე, 21-ე მუხლი მოვალეს ანიჭებს იმის უფლებას, რომ საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები იკისროს.
2. შეუძლია თუ არა მოვალეს (ან მეურვეს მოვალის სახელით) უარი თქვას ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ზედმეტად მძიმე ტვირთის მატარებელია?	კი	1.0	ზედმეტად მძიმე ხელშეკრულების უარყოფა, როგორც ცნება „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონში არ გვხვდება, თუმცა შინაარსიდან გამომდინარე 21-ე მუხლის I პუნქტის ა) ქვეპუნქტის მიხედვით, მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე.
3. შეიძლება თუ არა თავიდან იქნეს არიდებული პრეფერენციული ტრანზაქციები?	კი	1.0	კანონის 35-ე მუხლის I მუხლის „ა“ ქვეპუნქტი აწესრიგებს ასეთ შემთხვევებს და განსაზღვრულია ერთწლიანი (ორწლიანი თუ კონტრაჰენტი/კრედიტორი მოვალის ნათესავია ან მასთან დაკავშირებული პირი) ვადაც. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა სრულად აკმაყოფილებს მესამე ინდიკატორს. 35-ე მუხლი შინაარსობრივად ფართოა და კრედიტორს ან/და გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველს აძლევს ასეთი გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას სასამართლოში. 35-ე მუხლი დამატებით ადგენს გასაჩივრების კრიტერიუმსაც, კერძოდ, ქმედების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ იმ

			შემთხვევაში, თუ მან გადახდისუუნარობამდე მიიყვანა საწარმო და სარგებლის მიმღებს ეს უნდა სცოდნოდა.
4. შეიძლება თუ არა თავიდან იქნეს აცილებული საბაზრო ფასთან შედარებით დაბალღირებულებიანი ტრანზაქციები, რომლებიც გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყებამდე შევიდა ძალაში?	კი	1.0	ეხება ისეთ ტრანზაქციების თავიდან აცილებას, რომლებიც გადახდისუუნარობის დაწყებამდე განხორციელდა და მათი ფასი იყო საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა. მეოთხე ქვეინდიკატორი კავშირშია მესამე ქვეინდიკატორთან და ამ შემთხვევაშიც იგივე წესები გამოიყენება (35.1.“ბ“).
5. ითვალისწინებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოვალის მიერ კრედიტის აღების შესაძლებლობას გადახდისუუნარობის გახსნის შემდგომ?	კი	1.0	მეხუთე ქვეინდიკატორი ეხება ისეთი აქტივების მოძიებას მოვალის (მეურვის) მხრიდან, რომელიც მოვალეს შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს ფუნქციონირება გადახდისუუნარობის პროცესის დროს. აღნიშნული ინდიკატორი კავშირშია პირველ და მეორე ქვეინდიკატორებთან. აღნიშნულ საკითხზეც პასუხია – კი, შეუძლია, მაგრამ, საჭიროა მეურვის თანხმობა.
6. ანიჭებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა უპირატესობას გადახდისუუნარობის გახსნის შემდეგ წარმოშობილ კრედიტს?	კი, როგორც უზრუნველყოფილ, ისე არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებაში.	0.5	მე-40 მუხლის I პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით უპირატესობა ენიჭება სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან წარმოშობილ დავალიანებას, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებებს. გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებები პრიორიტეტული უნდა იყოს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებაში. კანონი ამ შემთხვევაში არამხოლოდ არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების, არამედ უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების პრიორიტეტებზე მაღლა აყენებს ასეთი ტიპის მოთხოვნებს.

5.5 ქულა

რეორგანიზაციის პროცესის ინდექსი (0-3 ქულა)	**პასუხი**	**ქულა**	**„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი**
1.რომელი კრედიტორები სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით შემოთავაზებულ რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით?	რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მომრიგებელი საბჭო, თუმცა უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად თანხმობა უნდა განაცხადონ.	0	რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მომრიგებელი საბჭო, რომელიც კოლეგიური ორგანოა და იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე, შედგება სამი წევრისგან. ერთ წევრს ნიშნავს მოვალე, მეორე წევრს – კრედიტორთა კრება, ხოლო მესამე წევრს – მომრიგებლები ირჩევენ (32-ე მუხლი). რეაბილიტაციის გეგმას განიხილავს მომრიგებელი საბჭო, მის დასამტკიცებლად საჭიროა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა (47-ე მუხლი).
2. აწესებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ რეორგანიზაციის წინააღმდეგმა კრედიტორებმა მიიღონ სულ მცირე იმ ოდენობის თანხა, რასაც ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდნენ?	არა	0	კანონი ასეთ დანაწესს არ შეიცავს.
3. იყოფიან თუ არა კრედიტორები კლასებად რეორგანიზაციის გეგმის მიზნებისთვის? ახორციელებს თუ არა თითოეული კლასი ხმის მიცემას განცალკევებულად და არიან თუ არა საერთო კლასის კრედიტორები თანაბარუფლებიანი?	არა	0	რეაბილიტაციის მიზნებისთვის კრედიტორთა კლასებად დაყოფა არ ხდება, თუმცა გარკვეული უპირატესობა უზრუნველყოფილ კრედიტორებს აქვთ.
			0 ქულა

კრედიტორთა ჩართულობის ინდექსი (0-4 ქულა)	**პასუხი**	**ქულა**	**„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი**
მოითხოვს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორთა თანხმობას გაკოტრების მმართველის შერჩევასა ან დანიშვნასთან დაკავშირებით?	კი	1.0	გადახდისუუნარობის მეურვეს (აღსრულების ეროვნულ ბიუროს) ნიშნავს სასამართლო (მუხლი 26), თუმცა გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები. თუ ვერ აირჩა გაკოტრების მმართველი, ამ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს (37-ე მუხლი).
მოითხოვს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორთა თანხმობას ქონების არსებითი ნაწილის რეალიზაციისას?	არა	0	ამ შემთხვევაში, გაკოტრებისას, კრედიტორთა დაკმაყოფილების ერთადერთი კანონიერი გზა აუქციონზე ქონების რეალიზაციაა (38-ე მუხლი).
განსაზღვრავს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორის უფლებას გამოითხოვოს ინფორმაცია გაკოტრების მმართველისგან?	კი	1.0	კრედიტორებს შეუძლიათ მეურვისგან ან გაკოტრების მმართველისგან ინფორმაციის გამოთხოვა. მეურვის შემთხვევაში ეს 26-ე მუხლიდან გამომდინარე ნათელია, მაგრამ გაკოტრების მმართველის შემთხვევაში, მასსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აღნიშნული საკითხი დარეგულირებული უნდა იყოს (36^1-ე მუხლის მე-3-4 პუნქტები).
განსაზღვრავს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორის უფლებას გაასაჩივროს კრედიტორის მოთხოვნათა აღიარების ან უარყოფის გადაწყვეტილება?	კი	1.0	29-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ, რომლის გასაჩივრების უფლება აქვს როგორც იმ კრედიტორს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია განჩინება, ასევე სხვა, ნებისმიერ კრედიტორს.
			3 ქულა

როგორც კანონის მსოფლიო ბანკის კრიტერიუმების მიხედვით ანალიზიდან ჩანს, ქართული გადახდისუუნარობის კანონმდებლობის გარკვეული ასპექტები დახვეწას საჭიროებს, განსაკუთრებით რეორგანიზაციისა და კრედიტორების უფლებების და მათი გადახდისუუნარობის პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით. კანონში შესული რამდენიმე ცვლილების შედეგად სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგალითად მოვალეს უკვე შეუძლია რეაბილიტაციის მოთხოვნაც. ასევე, აღსა-

ნიშნავია გაკოტრების მასის მენეჯმენტის კრიტერიუმიც, სადაცსაქართველოს დამაკმაყოფილებელი შედეგი, კოკრეტულად 6-დან 5.5 ქულა აქვს 0.5 ქულის დაკლებაც გამოწვეულია გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებების პრიორიტეტულობით არამხოლოდ არაუზრუნველყოფილი, არამედ უზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართებით.

7.5.2. „გაკოტრების საქმეთაწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის კვლევა Doing Business-ის ინდიკატორების მიხედვით

Doing Business-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კომპონენტი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალმოსილების დროს არ მოქმედებდა. შესაბამისად, ამ კანონის შეფარდება *Doing Business-ის* შესაბამის კომპონენტთან არ განხორციელებულა. რადგან, ზოგადი თვალსაზრისით, გადახდისუუნარობის კომპონენტში საქართველოს არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა უკავია, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ძველი კანონის სამართლებრივი ნორმების შესაბამისობა *Doing Business-ის* კრიტერიუმებთან. ეს, ერთი მხრივ, დაგვეხმარება განვსაზღვროთ, როგორი ნორმატიული ბაზა არსებობდა საქართველოში და, მეორე მხრივ, შესაძლოა გახდეს დღეს მოქმედ კანონში ცვლილებების განხორციელების საფუძველი.

გადახიდისუუნარობის პროცესის დაწყების ინდექსი (0-3 ქულა)	**პასუხი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით)**	**ქულა (სავარაუდო)**	**საფუძველი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**
1. რა პროცედურებია ხელმისაწვდომი მოვალისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას?	გაკოტრება და რეაბილიტაცია.	1.0	კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობა არის გაკოტრების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძველი. ხსენებული კანონის არსებითი ორიენტირი არის უშუალოდ გაკოტრების საქმის წარმოება და ყველა სხვა ასპექტი გაკოტრების წარმოებას უკავშირდება. შესაბამისად, ერთი შეხედვით, მოვალისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას ხელმისაწვდომია მხოლოდ გაკოტრება. თუმცა ამავე კანონის მე-10 მუხლის I და II პუნქტების თანახმად, მოვალეს შეუძლია მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადება, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გეგმა შეიმუშაოს და იგი კრედიტორებთან შეათანხმოს. რეაბილიტაციის გეგმა უნდა

			ეფუძნებოდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას. თუ მოვალე თავის განცხადებაში დამაჯერებლად ამტკიცებს საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობას, სასამართლო იღებს განჩინებას გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ. **შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვალისთვის ხელმისაწვდომია როგორც გაკოტრების, ასევე რეაბილიტაციის პროცედურა.**
2. უშვებს თუ არა გადახდისუუნარობის სამართალი კრედიტორის მიერ მოვალის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების აღძვრას?	კი	1.0	მუხლი 6. განცხადება გაკოტრების შესახებ 1. გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას მხოლოდ გაკოტრების შესახებ განცხადების საფუძველზე (გაკოტრების განცხადება). გაკოტრების განცხადების შეტანის უფლება აქვს მოვალეს, **აგრეთვე კრედიტორს** (გაკოტრების კრედიტორი)**,** რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისთვის მოვალის მიმართ საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია აქვს.
3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების რა საფუძველია გათვალისწინებული გადახდისუუნარობის კანონმდებლობით?	როგორც გადახდისუუნარობა, ასევე მოსალოდნელი გადახდისუუნარობა და ზედავალიანება.	1.0	მუხლი 2.2 გაკოტრების ზოგადი საფუძვლებია მოვალის გადახდისუუნარობა, აგრეთვე მისი ზედავალიანება, თუ მოვალე იურიდიული პირია. მოვალის განცხადების შემთხვევაში გაკოტრების საფუძველია აგრეთვე მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.
			სავარაუდო ქულების ჯამი: 3 (3-დან)

მოვალის ქონების მართვის ინდექსი (0-6)	**პასუხი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**	**სავარაუდო ქულა**	**საფუძველი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**
1. უშვებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოვალისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებების შენარჩუნება-გაგრძელებას?	კი, თუმცა მხოლოდ გარკვეული ტიპის ხელშეკრულებებზე.	0.5	მუხლი 16. ორმხრივი ხელშეკრულების შესრულება 1. თუ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის ორმხრივი ხელშეკრულება მოვალისა და სხვა მხარის მიერ შეუსრულებელია ან ნაწილობრივ არის შესრულებული, გაკოტრების მმართველს შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულება ან უარი თქვას მასზე და, უარის შემთხვევაში,

			მეორე მხარეს არ უნდა ჰქონდეს პრივილეგირებული მოთხოვნა. ვალაუვალი მოვალის საწარმოში არსებული შრომითი ურთიერთობები, განურჩევლად მათი შეწყვეტის შეთანხმებული ვადისა, შეიძლება შეწყვიტოს გაკოტრების მმართველმა ან მუშაკმა ორკვირიანი ვადით. ვალაუვალი მოვალის ქირავნობის ან საიჯარო ურთიერთობები ძალაში რჩება. თუ მოვალე დამქირავებელი ან მოიჯარეა, მაშინ გაკოტრების მმართველს შეუძლია კანონით დაწესებული ვადის დაცვით შეწყვიტოს ეს ურთიერთობები, შეთანხმებული ვადის მიუხედავად.
2. უშვებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოვალის მიერ მეტად მძიმე ხელშეკრულებათა უარყოფას?	კი	1	მუხლი მე-7. 3 სასამართლომ უნდა იზრუნოს, რომ გაკოტრების განცხადების განხილვის წარმოებისას მოვალის ქონება არ შემცირდეს მოვალის, მისი კრედიტორების ან მესამე პირების მიერ. **ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მუხლის მიზანი მოიცავს მოვალისთვის მეტად მძიმე ხელშეკრულებათა უარყოფასაც.** ამავე მუხლის თანახმად, გაკოტრების მასის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ შეიძლება დანიშნოს გაკოტრების დროებითი მმართველიც. გაკოტრების დროებითი მმართველი ზედამხედველობას უწევს მოვალის ქონებას და ამ ქონებასთან დაკავშირებულ მოვალის ქმედებებს. მოვალეს გაკოტრების დროებით მმართველთან შეთანხმების გარეშე უფლება არ აქვს განკარგოს ქონება.
3. შეიძლება თუ არა თავიდან იქნეს არიდებული პრეფერენციული ტრანზაქციები?	კი	1	გაკოტრების მმართველს შეუძლია სარჩელის შეტანით სადავო გახადოს ვალაუვალი მოვალის იურიდიული ქმედება, თუ: ა) იგი ჩადენილი იყო კრედიტორისთვის ზარალის მიყენების მიზნით და ეს მიზანი ცნობილი იყო მესამე პირისათვის; ბ) ამ ქმედებით ვალაუვალმა მოვალემ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე ერთი წლით ადრე კრედიტორთა საზიანოდ თავის ახლო გარემოცვაში მყოფი პირისთვის განახორციელა სასყიდლიანი შესრულება და თუ ეს უკანასკნელი ვერ

			დაამტკიცებს, რომ მისთვის ცნობილი არ იყო კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების განზრახვა; გ) ეს ქმედება განხორციელდა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე ერთი წლით ადრე და ითვალისწინებდა ქონებრივი ფასეულობების უსასყიდლო გადაცემას. მოვალის ახლო გარემოცვაში მყოფი პირებისთვის ეს ვადა შეადგენს სამ წელს; დ) ეს ქმედება მოვალემ განახორციელა ფულის გადახდის ვალდებულების შეწყვეტის ან გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე განცხადების შეტანის შემდეგ იმ პირების მიმართ, რომლებისთვისაც ქმედების განხორციელებისას მოვალის გადახდისუუნარობა და განცხადების შეტანის ფაქტი ცნობილი იყო ან გარემოებებიდან გამომდინარე, ცნობილი უნდა ყოფილიყო. 2. სარჩელის შეტანა შეიძლება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნიდან მხოლოდ სამი წლის განმავლობაში. 3. თუ იურიდიული ქმედების ნამდვილობისთვის საჭიროა მისი რეესტრში შეტანა, კერძოდ, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში), აღნიშნული ქმედება განხორციელებულად ითვლება იმ დროისათვის, როდესაც მისი ნამდვილობისთვის სხვა დანარჩენი წინაპირობები შესრულებულია, ვალაუვალი მოვალის ნების გამოხატვა სავალდებულო გახდა რეესტრში შესატანად და მეორე მხარე ითხოვს შეტანას. 4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესები არ ვრცელდება იმ ქონებასთან დაკავშირებულ იურიდიულ ქმედებებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებას და სეკვესტრს არ ექვემდებარება.
4. უშვებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა შემცირებული ღირებულების ტრანზაქციების თავიდან არიდებას?	კი	1	იხ. მე-3 ქვეინდიკატორი.

5. ითვალისწინებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოვალის მიერ კრედიტის აღების შესაძლებლობას გადახდისუუნარობის გახსნის შემდგომ?	კი	1	გაკოტრების კანონი ითვალისწინებს ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა საგაკოტრებო მორიგება, მუხლი 23-24-ე. საგაკოტრებო მორიგების თაობაზე გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება აქვს ვალაუვალ მოვალეს, გაკოტრების ყოველ კრედიტორს, კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს, ყოველ პარტნიორს ან კაპიტალის მფლობელს, აგრეთვე გაკოტრების მმართველს. სამომრიგებლო წინადადების შემუშავება ეკისრება გაკოტრების მმართველს, რაც ხელს არ უშლის სხვა ნებისმიერი განმცხადებლის მიერ განსხვავებული წინადადების წარდგენას. ამას გარდა, სასამართლოს შეუძლია თავადაც შეიმუშაოს წინადადება. სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მიეთითოს,როგორ უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორები, მოხდეს თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან, უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ არანაკლებ ორი მესამედით მაინც. ერთი რიგის ყველა კრედიტორს მიენიჭება თანაბარი უფლებები. სამომრიგებლო წინადადება შეიძლება ითვალისწინებდეს ვალაუვალი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებით, აგრეთვე მესამე პირისთვის საწარმოს გადაცემას მისი საქმიანობის შემდგომი გაგრძელების მიზნით. კანონის აღნიშნულ ჩანაწერში „სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება“ ამ მუხლის ფართოდ განმარტების საშუალებას იძლევა, რაც შესაძლოა კრედიტის აღების შესაძლებლობასაც ითვალისწინებდეს. ამასთან, კანონის 255-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს განკარგოს მოვალის უძრავი ქონება, აგრეთვე დადოს გარიგებები, რომელთა ღირებულებაც აღემატება მოვალის ქონების 20%-ს ან რომლებიც სცილდება რეაბილიტაციის გეგმას.

			თუ რეაბილიტაციის შემდეგ წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების ოდენობა აღემატება რეაბილიტაციის დაწყების მომენტისთვის არსებული ვალდებულებების მთლიანი თანხის 20%-ს, მაშინ რეაბილიტაციის მმართველს მხოლოდ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით აქვს უფლება დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს აფუძნებს. რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება, დადოს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც მოვალის ახალ ფულად ვალდებულებებს აფუძნებს, სწორედ კრედიტის აღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.
6. ანიჭებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა უპირატესობას გადახდისუუნარობის გახსნის შემდეგ წარმოშობილ კრედიტს?	არა	0	**კანონიდან მსგავსი შინაარსის დებულება არ იკვეთება.** მუხლი მე-18. გაკოტრების ტაბულა 1. გაკოტრების სასამართლომ მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე უნდა შეადგინოს გაკოტრების ტაბულა გაკოტრების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგი რიგითობით: ა) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე სამი თვის ხელფასისა და ხელფასის განაკვეთების მოთხოვნები, თუ ეს მოთხოვნები, პირველ რიგში, არ უნდა დაკმაყოფილდეს მე-19 მუხლის შესაბამისად; ა1) საქმისწარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები. ბ) არაუზრუნველყოფილი, მათ შორის, ბანკების მოთხოვნები ინვესტირებული ფულადი კრედიტების დასაბრუნებლად და საქონლის მიმწოდებლის მოთხოვნები საწარმოს მიმართ; გ) სოციალური დაზღვევის ორგანოს, საპენსიო და სამედიცინო ფონდების, აგრეთვე უმუშევრობის დაზღვევის მოთხოვნები; დ) (ამოღებულია – 14.02.02 №1286); ე) სხვა მოთხოვნები.
			სავარაუდო ქულების ჯამი: 4.5 (6-დან)

რეორგანიზაციის პროცესის ინდექსი (0-3 ქულა)	**პასუხი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**	**სავარაუდო ქულა**	**საფუძველი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**
1.რომელი კრედიტორები სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით შემოთავაზებულ რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით?	უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი	1	როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგაკოტრებო მორიგება შეიძლება შეიცავდეს რეაბილიტაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით რელევანტურია 24-ე მუხლის I და II პუნქტები: სამომრიგებლო წინადადებების კენჭისყრისთვის კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი ძირითადი სხდომის გამართვის შემდეგ და საბოლოო განაწილებაზე ნებართვის გაცემამდე უნდა გაიმართოს კრედიტორთა კრება (სამომრიგებლო სხდომა). შესამოწმებელი და სამომრიგებლო სხდომები შეიძლება ჩატარდეს ერთად. წინადადება ეცნობება ყველა მონაწილეს არა უგვიანეს სამომრიგებლო სხდომაზე მიწვევისა. სამომრიგებლო წინადადების მისაღებად საჭიროა როგორც უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორების ჯგუფის, აგრეთვე არაპირიველეგირებული კრედიტორების ჯგუფის ხმათა უბრალო უმრავლესობა. თანხმობის მიმცემმა კრედიტორებმა უზრუნველყოფილ და პრივილეგირებულ ჯგუფში უნდა მოაგროვონ მოთხოვნათა მოცულობის 2/3 მაინც, ხოლო არაპრიველეგირებულ კრედიტორთა ჯგუფში კი არანაკლებ 3/4. წერილობითი თანხმობა უთანაბრდება დასწრების განაცხადს, თუ იგი კენჭისყრის დასაწყისში იქნება წარდგენილი.
2. აწესებს თუ არა გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ რეორგანიზაციის წინააღმდეგმა კრედიტორებმა მიიღონ, სულ მცირე, იმ ოდენობის თანხა, რასაც ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდნენ?	კანონი პირდაპირ არ აწესებს ასეთ მოთხოვნას. აღნიშნული დამოკიდებულია საგაკოტრებო მორიგებაზე.	0.5	აქაც ისევ საგაკოტრებო მორიგებაზე გავდივართ, რასთან დაკავშირებითაც 23-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მიეთითოს, როგორ უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორები, მოხდეს თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან, უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ არანაკლებ ორი მესამედით მაინც. ერთი რიგის ყველა კრედიტორს თანაბარი უფლებები მიენიჭება.

3. იყოფიან თუ არა კრედიტორები კლასებად რეორგანიზაციის გეგმის მიზნებისთვის? ახორციელებს თუ არა თითოეული კლასი ხმის მიცემას განცალკევებულად და არიან თუ არა საერთო კლასის კრედიტორები თანაბარუფლებიანი?	კი	1	როგორც 24-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ირკვევა, კრედიტორები იყოფიან უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორების და, აგრეთვე, არაპირიველეგირებული კრედიტორების ჯგუფებად. თანხმობის მიმცემმა კრედიტორებმა უზრუნველყოფილ და პრივილეგირებულ ჯგუფში უნდა მოაგროვონ მოთხოვნათა მოცულობის 2/3 მაინც, ხოლო არაპრივილეგირებულ კრედიტორთა ჯგუფში კი – არანაკლებ 3/4. მართალია, ამ კონკრეტულ ასპექტში ერთი კლასის კრედიტორთა თანასწორუფლებიანობა ხაზგასმული არ არის, მაგრამ ვინაიდან 23-ე მუხლის მე-3 წინადადება ითვალისწინებს, რომ ერთი რიგის ყველა კრედიტორს მიენიჭება თანაბარი უფლებები საგაკოტრებო მორიგებაში, ანალოგიით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხმის მიცემის შემთხვევაშიც იგივე სახის თანასწორუფლებიანობაა სახეზე.
			სავარაუდო ქულების ჯამი: 2.5 (3-დან)

კრედიტორთა ჩართულობის ინდექსი (0-4 ქულა)	**პასუხი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**	**სავარაუდო ქულა**	**საფუძველი („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი)**
მოითხოვს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორთა თანხმობას გაკოტრების მმართველის შერჩევასა ან დანიშვნასთან დაკავშირებით?	არა	0	კანონის მე-15 მუხლის I პუნქტის თანახმად: გაკოტრების მმართველს კრედიტორთა პირველ კრებამდე ნიშნავს გაკოტრების სასამართლო. სასამართლოს შეუძლია გაკოტრების მმართველად დანიშნოს აგრეთვე გაკოტრების დროებითი მმართველი. კრედიტორებს კრედიტორთა პირველ კრებაზე შეუძლიათ აირჩიონ გაკოტრების სხვა მმართველიც. გაკოტრების არჩეულ მმართველს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ამტკიცებს გაკოტრების სასამართლო. **შესაბამისად, კრედიტორთა თანხმობაზე მოთხოვნა გაკოტრების მმართველის შერჩევასა ან დანიშვნასთან დაკავშირებით ცალსახად არ იკვეთება.**

მოითხოვს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორთა თანხმობას ქონების არსებითი ნაწილის რეალიზაციისას?	არა, თანხმობა საჭიროა რეალიზაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით. შესაბამის მუხლში არსებითი ქონება არ არის აღნიშნული.	0	ამ შემთხვევაში გვაქვს შემდეგი სახის ჩანაწერი: მუხლი 26-ე. ქონების რეალიზაცია და მოთხოვნების შესრულება 1. გაკოტრების მმართველმა გაკოტრების მასა უნდა გაყიდოს მასისთვის რაც შეიძლება უკეთესი პირობებით, ხოლო ამონაგები საბოლოო ცხრილის მიხედვით გაანაწილოს. 2. გაკოტრების მმართველის განცხადების საფუძველზე, თუ ამ განცხადებას ეთანხმებიან ის კრედიტორები, რომლებიც მოთხოვნათა ოდენობის 50%-ზე მეტს ფლობენ, შეიძლება შეწყდეს ქონების რეალიზაცია ან გაკოტრების სასამართლოს დადგენილებით გადაიდოს გარკვეული ვადით. ეს ვადა სასამართლოს დადგენილებით შეიძლება გაგრძელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. ანუ, უშუალოდ რეალიზაციასთან დაკავშირებით არა, მაგრამ რეალიზაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით, ცალსახად იკვეთება კრედიტორთა თანხმობის აუცილებლობა.
განსაზღვრავს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორის უფლებას გამოითხოვოს ინფორმაცია გაკოტრების მმართველისგან?	კი	1	კანონის 222-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: კრედიტორთა კომიტეტი ვალდებულია დაეხმაროს და კონტროლი გაუწიოს გაკოტრების მმართველს მისი საქმიანობის განხორციელებისას. იგი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მოსთხოვოს მოხსენებისა და საფინანსო ანგარიშის წარდგენა და უშუალოდ გააკონტროლოს ის. კრედიტორთა კომიტეტის თანხმობას საჭიროებს გაკოტრების მმართველის იურიდიული ქმედებები, მათ შორის, კრედიტის მიღება, ვალდებულებების აღება, მიწის ნაკვეთების შეძენა ან გასხვისება, გაკოტრების მასისთვის სასამართლო პროცესების წარმართვა და სხვა ქმედებები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვს სამართავი ქონების მდგომარეობაზე და რომლებიც გამოწვეულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით.

განსაზღვრავს თუ არა კანონმდებლობა კრედიტორის უფლებას გაასაჩივროს კრედიტორის მოთხოვნათა აღიარების ან უარყოფის გადაწყვეტილება?	კი	1	მუხლი მე-18, პუნქტები მე-3-4: კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელ სხდომაზე ყოველი წარმოდგენილი მოთხოვნა განიხილება ცალ-ცალკე მისი მოცულობისა და რიგის მიხედვით და გაკოტრების ყოველ კრედიტორს და გაკოტრების მმართველს ეძლევათ თავისი აზრის გამოხატვის და დავის შესაძლებლობა. მოვალემ განმარტება უნდა მისცეს მოთხოვნების ირგვლივ. სასამართლომ ყოველი მოთხოვნის შემოწმების შემდეგ შედეგი უნდა შეიტანოს გაკოტრების ცხრილში. სადავო მოთხოვნის მქონე კრედიტორს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა შემდავებლის წინააღმდეგ მხოლოდ საჩივრის შეტანით. თუ სადავო მოთხოვნა ეფუძნება სააღსრულებო დოკუმენტს, მაშინ გაკოტრების მმართველმა ან თავად მოდავე კრედიტორმა უნდა აღძრას სარჩელი, რომელსაც სასამართლო კანონით დადგენილი წესით განიხილავს. მუხლი 31-ე. კერძო საჩივარი 1. თუ ამ კანონით დასაშვებია გაკოტრების სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება, მაშინ მის მიმართ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლების შესაბამისად. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია ვალაუვალ მოვალეს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია ეს დადგენილება ან რომელსაც უშუალოდ ეხება იგი. 2. თუ დადგენილება გამოქვეყნებულია, მაშინ კერძო საჩივრის შეტანის ვადა აითვლება გამოქვეყნების დღიდან. 3. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება აგრეთვე შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის საფუძვლები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. საკასაციო წარმოებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414–420-ე მუხლები.

სავარაუდო ქულების ჯამი: 2 (4-დან)

გაკოტრების ძველი კანონმდებლობის *Doing Business-ის* კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას, თითოეული ინდიკატორის დათვლის შემდეგ, სავარაუდოდ, ძველი გაკოტრების კანონი მიიღებდა 12 ქულას შესაძლო 16-დან, რაც საქართველოს 2018 წლის მონაცემებს 1 ქულით აღემატება.[200] აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ამტკიცებს ძველი კანონის უპირატესობას მოქმედ კანონთან შედარებით, არამედ არის ზოგადად გადახდისუუნარობის სფეროში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭირო გზებისა და სამართლებრივი საშუალებების ძიება.

7.6. ინვესტიციების დაცულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ევროპაში

მსოფლიო ბანკის *Doing Business-ის* რეიტინგში გადახდისუუნარობის კრიტერიუმით ევროპული ქვეყნებიდან საუკეთესო შედეგები აქვთ ფინეთს და გერმანიას. ფინეთი ამ კრიტერიუმით მეორე ადგილზეა, ხოლო გერმანია მე-4-ზე.[201] ფინეთიც და გერმანიაც ევროკავშირის წევრი ქვეყნებია. სანამ უშუალოდ ორივე ქვეყნის კანონმდებლობას მიმოვიხილავთ, აუცილებელია გავეცნოთ ზოგადად ევროკავშირის რეგულაციებსა და დირექტივებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, რა სტანდარტებს აწესებენ ევროკავშირის ინსტიტუციები ინვესტიციების დაცულობასთან დაკავშირებით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში?

ევროკავშირის პირველი რეგულაცია გადახდისუუნარობის პროცესთან დაკავშირებით ძალაში შევიდა 2000 წლის 29 მაისს (1346/2000[202]). რეგულაცია ძირითადად ეხებოდა ტრანსნაციონალურ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას და მის მაკოორდინირებელ წესებს ადგენდა. რეგულაცია ადგენდა სასამართლოების იურისდიქციებს, გამოსაყენებელ სამართალს, სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობა/აღსრულებას და უცხოელი კრედიტორების მოთხოვნებს. 2015 წელს ძალაში შევიდა ახალი რეგულაცია (2015/848[203]), რომლითაც ზემოთ ხსენებული საკითხები დაიხვეწა, ასევე აქცენტი გაკეთდა სხვადასხვა ტიპის პროცედურებზე, როგორიცაა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებამდე პროცედურები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადახდისუუნარობა სავარაუდოა. მათში ჩართული უნდა იყვნენ კრედიტორები და ისინი საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თუმცა, რეგულაცია 2015/848 წევრ

[200] საქართველოს გადახდისუუნარობის კომპონენტში მინიჭებული აქვს 11 ქულა შესაძლო 12-დან, ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf>, 51-52.

[201] ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/rankings>.

[202] Council Regulation (EC) No 1346/2000 of 29 May 2000 on insolvency proceedings, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32000R1346&from=EN>.

[203] Regulation (EU) 2015/848 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on insolvency proceedings, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=EN>.

ქვეყნებს არ ავალდებულებს ასეთი სპეციფიური პროცედურების შემოღებას ან უკვე არსებული პროცედურების დახვეწას. სწორედ ამიტომ, ევროკავშირმა შეიმუშავა ახალი დირექტივის ინიციატივა, რომლითაც სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების რეაბილიტაციის საშუალებები უნდა დაიხვეწოს და წევრი ქვეყნებისთვის იმპლემენტირებისათვის მინიმალური სტანდარტი დაამკვიდროს.[204] დირექტივის ინიციატივის მიხედვით, წევრი ქვეყნები ვალდებული იქნებიან შექმნან ისეთი სისტემა, სადაც მოვალეებს საშუალება ექნებათ ბიზნესის განვითარების გაუარესების შემთხვევაში გაკოტრების რისკების ასაცილებლად სხვადასხვა გამაფრთხილებელი საშუალებები გამოიყენონ. ინიციატივით ასევე გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ელექტრონული კომუნიკაციების დანერგვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას და გადახდისუუნარობის საქმეების მონიტორინგი წევრი ქვეყნების მიერ. აღნიშნული ინიციატივა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი დირექტივად, რადგან გასავლელია სხვადასხვა სახის ფორმალური პროცედურები. კრედიტორების მოთხოვნების ჭრილში ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის დირექტივა 2008/94/EC.[205] დირექტივა აწესებეს გადახდისუუნარობის პროცესში მყოფი საწარმოს დასაქმებულთა მოთხოვნების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.

მსოფლიო ბანკის *Doing Business-ის* რეიტინგში, გადახდისუუნარობის სისტემის სიძლიერის კრიტერიუმებით, ევროპული ქვეყნებიდან საუკეთესო შედეგი აქვს ფინეთს. მას 16-დან 14.5 ქულა მიანიჭეს.[206] ფინეთში გადახდისუუნარობისა და გაკოტრების პროცესს არეგულირებს გაკოტრების აქტი[207], რომელიც ძალაში შევიდა 2004 წელს, რეორგანიზაციის აქტი[208], რომელიც ძალაში შევიდა 1993 წელს და განახლდა 2007 წელს. აღსანიშნავია, რომ კრედიტორთა მოთხოვნების რანგირება გაკოტრებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესში ცალკე კანონით რეგულირდება.[209]

მსოფლიო ბანკის გაკოტრების მასის მართვის ქვეკრიტერიუმში ფინეთს უმაღლესი – 6 ქულა აქვს. ფინური კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ გაკოტრების მასის ჩამოყალიბება და მართვა ეფექტური იყოს. ამასთან ერთად, ფინეთში არსებობს გაკოტრების ომბუდსმენის ინსტიტუტიც, რომლის მთავარი ფუნქციაც სწორედ გაკოტრების მასის ზედამხედველობში მდგომარეობს. მას ევალება გაკოტრების მასასთან დაკავ-

---

204 Directive of the European Parliament and of the Council on preventive restructuring frameworks, second chance and measures to increase the efficiency of restructuring, insolvency and discharge procedures and amending Directive 2012/30/EU, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52016PC0723&from=EN>.

205 Directive 2008/94/EC of the European Parliament and of the Council of 22 October 2008 on the protection of Employees in the event of the insolvency of their employer, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008L0094&from=EN>.

206 იხილეთ: http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/finland#resolving-insolvency.

207 Bankruptcy Act (120/2004; konkurssilaki), ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2004/en20040120.pdf>.

208 RESTRUCTURING OF ENTERPRISES ACT ((47/1993; amendments up to 247/2007 included), ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1993/en19930047_20070247.pdf>.

209 Finnish Act on the Ranking of Claims 1578/1992 (ფინური ვერსიაა, ინგლისური არ იძებნება, ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/fi/laki/alkup/1992/19921578?search%5Btype%5D=pika&search%5Bpika%5D=1578%2F1992>.

შირებული აქტივობების მონიტორინგი, მასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა, ზედამხედველობა გაკოტრების მასის ადმინისტრირებაზე და გაკოტრების ადმინისტრატორის ქმედებების შეფასება/მონიტორინგი.[210]

თუ *Doing Business-ის* გაკოტრების მასის მენეჯმენტის თითოეულ ინდიკატორს მიმოვიხილავთ გაკოტრების აქტთან და რესტრუქტურიზაციის აქტთან მიმართებაში, ფინეთი ყველა ქვეკრიტერიუმს აკმაყოფილებს. ფინური კანონმდებლობის მიხედვით, მოვალეს შეუძლია გააგრძელოს ისეთი ხელშეკრულებების შესრულება, რომელიც მოვალის გადარჩენისათვის და ყოველდღიური ფუნქციონირების გასაგრძელებლადაა აუცილებელი. მოვალეს შეუძლია გაკოტრების პროცესში უარი თქვას ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ზედმეტ ტვირთს აკისრებს მოვალეს. ასევე, შესაძლებელია ისეთი ტრანზაქციების თავიდან არიდება, რომლებიც გადახდისუუნარობის პროცედურების დაწყებამდე განხორციელდა და კრედიტორს ან კრედიტორებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც პროცედურის დაწყებამდე განხორციელდა და საბაზრო ფასთან შედარებით დაბალი ღირებულების მატარებელი იყო, რითაც კრედიტორების ინტერესებს ზიანი მიადგა. მოვალეს შეუძლია ფინანსური აქტივების მოპოვება პროცესის დაწყების შემდეგ, მოვალის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. გაკოტრების პროცედურის დაყწების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს პრიორიტეტები ჩვეულებრივ არაზუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებით ენიჭება. საქართველოსგან განსხვავებით, ფინეთში ასეთი მოთხოვნები, უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებით, პრიორიტეტული არ არის.[211]

გაკოტრების აქტში გაკოტრების მასას, მის ფორმირებასა და მართვას სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი. კანონის მიხედვით, მოვალის ქონება, რომელიც მას აქვს გაკოტრების დაწყებისას და დაწყების შემდგომ შეძენილი ქონება, ქმნის გაკოტრების მასას. [212] ქართული კანონმდებლობის მსგავსად, ფინეთშიც, ისეთი ქონება, რომელიც აღსრულებას არ ექვემდებარება, არ შეიძლება იყოს გაკოტრების მასის შემადგენელი ნაწილი. [213] გაკოტრების აქტი ასევე ეხება მესამე პირების ქონებას, რომელსაც ფლობს მოვალე. მესამე პირების ქონება არ შეიძლება იყოს გაკოტრების მასის ნაწილი, თუ მათი გამოცალკევება მოვალის ქონებიდან შესაძლებელია.[214] თუმცა, მესამე პირებზე გვხვდება ასევე საინტერესო ჩანაწერი – ქონება, რომელზეც ცხადდება, რომ იგი ეკუთვნის მესამე მხარეს, უნდა შევიდეს გაკოტრების მასაში, თუ მესამე მხარესთან დადებული ხელშეკრულება მის ნამდვილ მნიშვნელობას არ შეესაბამება და იგი იმ განზრახ-

---

210 Act on the Supervision of the Administration of Bankruptcy Estates, ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1995/en19950109_20040123.pdf>.

211 იხილეთ: http://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/f/finland/FIN.pdf 53-ე გვერდიდან.

212 Bankruptcy Act (120/2004; konkurssilaki), Chapter 5, Section 1. ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2004/en20040120.pdf>.

213 იქვე, 5.3.

214 იქვე, 5.6.

ვითაა დადებული, რომ კრედიტორების დაკმაყოფილება თავიდან იქნეს აცილებული. [215]

გაკოტრების მასის ადმინისტრატორს ნიშნავს სასამართლო. შეიძლება დაინიშნოს ერთი, რამდენიმე ან დროებითი ადმინისტრატორიც. ადმინისტრატორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე – იურიდიული პირიც. ცალკე მუხლითაა დარეგულირებული ადმინისტრატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც, რომელთა მიხედვითაც ადმინისტრატორს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება უნდა ჰქონდეს. განსაზღვრულია ასევე ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები. გაკოტრების მასის ადმინისტრატორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მოვალესთან ან კრედიტორთანაა კავშირში.[216] გაკოტრების ადმინისტრატორს ევალება გაკოტრების მასის აღწერა, კრედიტორთა კრებისთვის წარდგენა და მოთხოვნების დაკმაყოფილების ცხრილის სამუშაო ვერსიის შედგენა, რომელიც კრედიტორთა კრებას უნდა წარუდგინოს, გაკოტრების მასის გასხვისება და ა.შ...

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაკოტრების მასის მართვის წესების სპეციალური ჩანაწერი გაკოტრების აქტში. ცალკე მუხლი ეთმობა გაკოტრების მასაში ფულადი აქტივების მდგომარეობას. ჩანაწერის მიხედვით, მონეტარული აქტივების მართვა უნდა მოხდეს საიმედოდ და ის შენახული უნდა იყოს სხვა თანხებისგან განცალკევებით. კანონი ადგენს გაკოტრების მასიდან მონეტარული აქტივების ინვესტირების შესაძლებლობასაც, თუმცა ამისათვის რამდენიმე პირობას აწესებს. ეს პირობებია: გაკოტრების მასის ხარჯებს არ უნდა ესაჭიროებოდეს ფინანსური აქტივები და კრედიტორების დაკმაყოფილება მთლიანი თანხით ერთჯერადად შეუძლებელი უნდა იყოს.[217] კანონში ყურადღება გამახვილებულია გაკოტრების მასის რეალიზაციის ისეთ ფორმაზე, რომელიც ყველაზე საუკეთესოა გაკოტრების მასისთვის.[218] ანუ კანონი აუქციონზე ფასს და რეალიზაციის წესებს არ არეგულირებს და ასეთი საკითხების გადაწყვეტა შეუძლიათ გადახდისუუნარობის პროცესის მონაწილეებს.

კრედიტორთა მოთხოვნების რანგირება ცალკე კანონით რეგულირდება.[219] კანონში დეტალურადაა გაწერილი თითოეული ტიპის კრედიტორის მოთხოვნები. მაგალითად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებში რა ტიპის მოთხოვნებს ენიჭება უპირატესობა. კანონში გამოყოფილია ცალკე აქციონერებიც, როგორც მოვალესთან დაკავშირებული პირები და მათ მოთხოვნას არ უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი სხვა გარე არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებით. აქციონერებს ეზღუდებათ კრედიტორთა კრების დროს ხმის მიცემის უფლება და მათ გაკოტრებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის მართვაზე ზეგავლენა თითქმის არ აქვთ.

ფინური რესტრუქტურიზაციის აქტი იძლევა გაკოტრების ალტერნატივას ფინანსური სირთულეების მქონე კომპანიებისთვის, რომლებიც არიან გადახდისუუნაროები ან გა-

---

215 იქვე, 5.11.1.

216 იქვე, 8.5.

217 იქვე, 17.1, 17.2

218 იქვე, 17.3.1

219 Act on Creditors' Payment Order, ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/fi/laki/alkup/1992/19921578?search%5Btype%5D=pika&search%5Bpika%5D=1578%2F1992>.

დახდისუუნარობის რისკის ქვეშ. აღსანიშნავია ის, რომ როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორებს, შეუძლიათ რესტრუქტურიზაციის შესხებ განცხადების შეტანა.[220] სასამართლო ნიშნავს რესტრუქტურიზაციის ადმინისტრატორს, რომლის კვალიფიკაციები და მოთხოვნებიც დარეგულირებულია. იგი უნდა იყოს კომპეტენტური შესაბამის სფეროში, სამართლებრივი კვალიფიკაციის და არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი კრედიტორებთან და მოვალესთან.[221]

მოვალე ინარჩუნებს ბიზნესს და მის აქტივებს, მაგრამ კონკრეტული ქმედებების განხორციელება ადმინისტრატორის თანხმობას საჭიროებს. მაგალითად, მნიშვნელოვანი ახალი ვალდებულებების აღება, ფიქსირებული აქტივების გადაცემა, ლიკვიდურ აქტივებთან დაკავშირებით მოქმედებები, ინტელექტუალური საკუთრების გადაცემა და ა.შ.[222]

ადმინისტრატორს იმის უფლებაც აქვს, რომ მიმართოს სასამართლოს, რათა მან მოვალეს გარკვეულ ურთიერთობებში შესვლა აუკრძალოს, თუ ამ ურთიერთობებმა შეიძლება კრედიტორის ინტერესებზე საზიანოდ იმოქმედოს.[223]

მნიშნველოვანია კრედიტორთა კომიტეტის ჩამოყალიბების წესიც. კრედიტორთა კომიტეტის ჩამოყალიბების მოთხოვნა შეუძლია როგორც მოვალეს, ისე ადმინისტრატორსა და კრედიტორებსაც. კრედიტორთა კომიტეტი ყალიბდება სასამართლოს ბრძანებით და ეს ისე უნდა მოხდეს, რომ პროცესის მონაწილე მხარეების ჩართულობა თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი. სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა თუ გადაწყვეტს, რომ კრედიტორთა კომიტეტის ჩამოყალიბება საჭირო არ არის. კრედიტორთა კომიტეტი, როგორც ორგანო, ადმინისტრატორისთვის მრჩევლის ფუნქციას ასრულებს, მას სხვადასხვა მოვალეობების განხორციელებაში ეხმარება.[224]

მსოფლიო ბანკის *Doing Business-ის* რეიტინგში, კერძოდ, გადახდისუუნარობის სისტემის სიძლიერის კუთხით, გერმანია მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა. გაკოტრების მასის მენეჯმენტის ინდექსში მას 6, უმაღლესი ქულა აქვს.იგი გაკოტრების მასის მენეჯმენტის ყველა ინდიკატორს აკმაყოფილებს. რაც შეეხება კრედიტორების ჩართულობის კრიტერიუმს, კერძოდ კი კრედიტორის მიერ მოვალის შესახებ ფინანსური ინფორმაციის მოთხოვნის ქვეინდიკატორს, გერმანიას 0 ქულა აქვს, ანუ კრედიტორს არ შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს ინფორმაცია მისი აქტივების შესახებ. საინტერესოა განვიხილოთ შესაბამისი გერმანული კანონმდებლობა და მასში არსებული ინვესტიციების დაცვის მექანიზმები.

გერმანიაში გადახდისუუნარობის პროცესი დარეგულირებულია გადადისუუნარობის აქტით. გადახდისუუნარობის პროცესი შეიძლება დაიწყოს როგორც ფიზიკური პირების, ასევე იურიდიული პირების და სამართლებრივი სტატუსის არმქონე გაერთიანებების მიმართ. იურიდიულ პირებზე არის გამონაკლისი – საჯარო სამართლის იურიდიული პირე-

[220] RESTRUCTURING OF ENTERPRISES ACT, Section 5. ხელმისაწვდომია: <https://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1993/en19930047_20070247.pdf>.

[221] იქვე, 8.1.4.

[222] იქვე, 29.1, 29.2.

[223] იქვე, 30.1

[224] იქვე, Section 10.

ბის მისამართით პროცესის დაწყება არ შეიძლება. ბანკების გადახდისუუნარობის პროცესს ცალკე კანონმდებლობა არეგულირებს.

როგორც აღინიშნა, გერმანიაში გადახდისუუნარობის საკითხებს გადახდისუუნარობის აქტი აწესრიგებს (Insolvenzordnung, InsO[225]). კანონის პრეამბულის მიხედვით, გადახდისუუნარობის პროცესის მიზანია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილება, რაც კონტრასტულია საქართველოს კანონის შესაბამის მუხლთან, სადაც კანონის მიზნად კრედიტორთა და მოვალის ინტერესების თანაზომიერი დაკმაყოფილებაა დასახელებული.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა შეუძლია როგორც მოვალეს, ისევე კრედიტორს – თუ მას გადახდისუუნარობის საქმის გახსნის იურიდიული ინტერესი აქვს, სასამართლოს აჩვენებს მოთხოვნას და ახსნის იმ მიზეზებს, პროცედურები რატომაც უნდა დაიწყოს.[226] სასამართლო განიხილავს განცხადებას და, მისი კანონის მოთხოვნასთან შესაბამისობის შემთხვევაში, საქმის წარმოება იხსნება. კანონით განსაზღვრულია ორი ტიპის პროცესი – წინასწარი გადახდისუუნარობის და გადახდისუუნარობის. მას შემდეგ, რაც სასამართლოში გადახდისუუნარობის გახსნის შესახებ განცხადება შედის, მოვალის ქონების დასაცავად სასამართლო ვალდებულია ყველა საჭირო ქმედება განახორციელოს.[227] სასამართლომ შეიძლება დანიშნოს წინასწარი გადახდისუუნარობის მმართველი, რომლის უფლებამოსილებები მოვალის ქონების დაცვას ეხება, რაც შემდგომ გაკოტრების მასაში უნდა გადაიზარდოს. მას შემდეგ, რაც სასამართლო მოვალის გადახდისუუნარობაში დარწმუნდება, პროცესი წინასწარი გადახდისუუნარობიდან გადახდისუუნარობაში გადაიზრდება და სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის მმართველი ინიშნება.

თუ *Doing Business-ის* გაკოტრების მასის მენეჯმენტის თითოეულ ქვეინდიკატორს გერმანულ კანონმდებლობასთან მიმართებაში მიმოვიხილავთ, გერმანია ყველა ქვეკრიტერიუმს აკმაყოფილებს. მოვალეს შეუძლია გააგრძელოს ისეთი ხელშეკრულებების შესრულება, რომლებიც მოვალის გადარჩენისათვის და ყოველდღიური ფუნქციონირების გასაგრძელებლადაა აუცილებელი. მოვალეს შეუძლია გაკოტრების პროცესში უარი თქვას ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მოვალეს ზედმეტ ტვირთს აკისრებენ. ასევე, შესაძლებელია ისეთი ტრანზაქციების თავიდან არიდება, რომელიც გადახდისუუნარობის პროცედურების დაწყებამდე განხორციელდა და კრედიტორს ან კრედიტორებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. თავიდან შეიძლება იქნეს აცილებული ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც პროცედურის დაწყებამდე განხორციელდა და საბაზრო ფასთან შედარებით დაბალი ღირებულების მატარებელი იყო, რითაც კრედიტორების ინტერესებს ზიანი მიადგა. მოვალეს შეუძლია ფინანსური აქტივების მოპოვება პროცესის დაწყების შემდეგ, მოვალის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. გაკოტრების პროცედურის

[225] Insolvency Statute, ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_inso/index.html>.

[226] იქვე, Section 14.

[227] იქვე, Section 21.

დაწყების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს პრიორიტეტები ენიჭება ჩვეულებრივ არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ გაკოტრების მასის ფორმირებაზე, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. გადახდისუუნარობის მმართველი, გადახდისუუნარობის პროცესის გახსნისასვე იძენს მოვალის ქონების ფლობისა და მართვის უფლებას, რითაც გაკოტრების მასა შედგება.[228] კრედიტორთა კომიტეტს შეუძლია განსაზღვროს სააგენტო და პირობები დეპოზიტის ან ვალუტის ინვესტიციისთვის, შეუძლია განსზაღვროს დაცვის მექანიზმები და ქონების ის ნაწილები, რომლებსაც განსაკუთრებული ღირებულება აქვთ. თუ კრედიტორთა კომიტეტი არ დანიშნულა ან არ მიუღია გადაწყვეტილება, გადახდისუუნარობის სასამართლოს შეუძლია ასეთი ბრძანების გაცემა[229]. გადახდისუუნარობის მმართველი ვალდებულია გაკოტრების მასის თითოეული შემადგენელი ნაწილის ღირებულება დაადგინოს. თუ ღირებულება დამოკიდებულია მოვალის კომპანიის მუშაობის გაგრძელებაზე და შეწყვეტაზე, ორივე შემთხვევაში, ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს ღირებულება და შეიძლება ამ საქმეში შესაბამისი ექსპერტიც ჩაერთოს [230]. გადახდისუუნარობის მმართველი კრედიტორთა კრებას და კომიტეტს მოვალის მდგომარეობასთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას აძლევს. კრედიტორები იღებენ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, უნდა გაგრძელდეს თუ არა დროებით მოვალის ფუნქციონირება, ან, უნდა დაიწყონ თუ არა რეალიზაციის პროცესი. კრედიტორები გაკოტრების მასის რეალიზაციასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებენ.

აქციონერი, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, არის ბოლო ინსტანციის კრედიტორი. აქციონერი დაკვალიფიცირებულია, როგორც სუბორდინირებული კრედიტორი და მისი მოთხოვნები არაუზრუნველყოფილი კრედიტორების შემდეგ კმაყოფილდება. [231] აქციონერების ხმის მიცემის უფლებაც შესაძლებელია შეიზღუდოს მისი ინტერესის მიხედვით მოვალის კაპიტალზე და აქტივებზე.[232]

როგორც ვხედავთ, ორივე – ფინური და გერმანული კანონმდებლობა იცნობს მოვალესთან დაკავშირებული კრედიტორის ცნებას და მათ გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. ორივე კანონმდებლობის მიხედვით, აქციონერი ბოლო ინსტანციის კრედიტორია. გერმანიაში, ფინეთისგან განსხვავებით, მოვალის ფინანსურ ინფორმაციაზე კრედიტორს წვდომა არ აქვს. ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვთ მეურვესა და სასამართლოს. გაკოტრების მასის საკითხები, ორივე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, თანაბარი სტანდარტითაა დარეგულირებული, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება და *Doing Business-ის* რეიტინგში აისახება. საქართველოს კანონისგან განსხვავებით, ძალიან ბევრი საკითხი დეტალურადაა დარეგულირებული, რაც ფორმალურ და ბიუროკ-

---

228 იქვე, Section 148.1
229 იქვე, Section 149.1
230 იქვე, Section 151.2
231 იქვე, Section 39
232 იქვე, Section 238a

რატიულ ბარიერებს არ ქმნის. მაგალითად, დეტალურადაა განსაზღვრული კრედიტორთა მოთხოვნების რიგითობა, გაკოტრების მასის ფორმირებისა და მისი რეალიზაციის საკითხები და გაკოტრების მმართველი არ არის შეზღუდული რეალიზაციის იმპერატიული წესებით. თანაბრად მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ ორივე ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობა გაკოტრების/რეორგანიზაციის მმართველისა და მეურვის კვალიფიკაციებს კონკრეტულად განსაზღვრავს და ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის საკითხები.

7.7. ინვესტიციების დაცულობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას აშშ-ში

ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ბანკის *Doing Business-ის* რეიტინგში გადახდისუუნარობის სისტემის სიძლიერის მხრივ მე-3 პოზიცია უკავია.[233] ამერიკაში გადახდისუუნარობისა და გაკოტრების საკითხებს არეგულირებს ფედერალური კანონი „გაკოტრების აქტი“ (Bankruptcy Act)[234], რომელიც ყველა შტატისთვის სავალდებულოა. გაკოტრების აქტის მე-7 თავი ეხება გაკოტრებას, ხოლო მე-11, მე-12 და მე-13 თავები საწარმოს რესტრუქტურიზაციას. გაკოტრების აქტის მიხედვით, მოვალეს, ისევე როგორც კრედიტორს, შეუძლია განაცხადი შეიტანოს გაკოტრებაზეც და რეორგანიზაციაზეც, ანუ შეიძლება განაცხადის შეტანა მე-7 თავისა და მე-11 თავის მიხედვით.

გაკოტრების პროცესებს ზედამხედველობს და განიხილავს გაკოტრების სასამართლო, რომელიც ფედერალური სასამართლოების სისტემაშია. კონგრესმა, ასევე, ჩამოაყალიბა რწმუნებულის (Trustee) სისტემაც, რათა გაკოტრების პროცესებს ზედამხედველობა გაეწიოს და პროცესში მეურვე/მმართველი ჩაერთოს.

გაკოტრების აქტის მე-7 თავის გამოყენება აშშ-ში ყველაზე ხშირია. ამ დროს ინიშნება რწმუნებული, რომელმაც უნდა აღწეროს და შეაგროვოს მოვალის ქონება. მეურვის მთავარი ვალდებულებაა, რომ გაკოტრების მასის ფორმირება მოახდინოს და კრედიტორები დააკმაყოფილოს. გაკოტრების აქტის მიხედვით, არსებობს შუალედური რწმუნებულის ინსტიტუტიც, რომელიც ამერიკელი რწმუნებულების ასოციაციის მიერ ინიშნება მას შემდეგ, რაც მოვალე/კრედიტორი განაცხადს მე-7 თავის გამოყენებაზე შეიტანს.[235] მას შემდეგ, რაც სასამართლო განცხადებას დააკმაყოფილებს და გაკოტრების პროცედურები დაიწყება, კრედიტორებმა უნდა აირჩიონ რწმუნებული. გაკოტრების აქტის მიხედვით, რწმუნებულის არჩევა შეუძლია მხოლოდ ისეთ კრედიტორს, რომელსაც „დასაშვები, შეუდავებელი, ფიქსირებული, ლიკვიდირებული, არაუზრუნველყოფილი“ მოთხოვნა აქვს. ანუ, კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს რაიმე პრიორიტეტი და არ უნდა იყოს მოვალესთან დაახლოებული პირი (Insider). რწმუნებულის არჩევაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ისეთმა კრედიტორებმა, რომლებსაც მთლიანი მოთხოვნების

[233] ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/united-states>.

[234] Bankruptcy Act, ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/11/101>.

[235] იქვე, § 701.

მინიმუმ 20%-წილი აქვთ. თუ რწმუნებული ვერ აირჩა, შუალედური რწმუნებული ხდება მუდმივი და გაკოტრების პროცესში საქმიანობას აგრძელებს.[236]

როგორც უკვე აღინიშნა, გაკოტრების მასის მენეჯმენტის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რწმუნებულის ინსტიტუტი. რწმუნებულს ევალება მოვალის ქონების აღწერა, ფინანსური აქტივების მოძიება, კრედიტორების მოთხოვნების საფუძვლიანობის შემოწმება, მოვალის ფინანსური ინფორმაციის გამოძიება და ა.შ.[237], ანუ რწმუნებულს ევალება გაკოტრების მასის ფორმირება და მოვალის ქონების ფულად თანხად გარდაქმნა.

გაკოტრების აქტის მიხედვით, შესაძლებელია სასამართლომ დაუშვას მოვალის ყოველდღიური ფუნქციონირება, ამისათვის მან (სასამართლომ) ავტორიზება უნდა მისცეს რწმუნებულს.[238] ამასთან კავშირშია მსოფლიო ბანკის ინდიკატორებიც. *Doing Business-ის* ქვეინდიკატორების მიხედვით, გაკოტრების აქტით არის იმის შესაძლებლობა, რომ რწმუნებულმა თავიდან აირიდოს ზედმეტი ტვირთის მატარებელი ხელშეკრულებები. ასევე, შესაძლებელია ისეთი ტრანზაქციების თავიდან არიდება, რომლებიც გადახდისუუნარობის პროცედურების დაწყებამდე განხორციელდა და კრედიტორს ან კრედიტორებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. თავიდან შეიძლება იქნეს აცილებული ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც პროცედურის დაწყებამდე განხორციელდა და საბაზრო ფასთან შედარებით დაბალი ღირებულების მატარებელი იყო, რითაც ზიანი მიადგა კრედიტორების ინტერესებს. რწმუნებულს შეუძლია ფინანსური აქტივების მოპოვება პროცესის დაწყების შემდეგ, მოვალის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. გაკოტრების პროცედურის დაყწების შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს პრიორიტეტები ენიჭება ჩვეულებრივ არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებაში.

რაც შეეხება გაკოტრების მასის გადანაწილებას, კრედიტორთა მოთხოვნების პრიორიტეტი დადგენილია 507-ე პარაგრაფით.[239] დაკმაყოფილების სქემა შემდეგია:

- უზრუნველყოფილი მოთხოვნები
- ადმინისრაციული ხარჯები და პრიორიტეტული მოთხოვნები
- ზოგადი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები
- დამოკიდებული (სუბორდინირებული) მოთხოვნები
- კაპიტალის მფლობელები

როგორც ვხედავთ, აქციონერი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, განაწილების შემდეგ დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნდეს მოვალეს. აღნიშნული სქემა მოქმედებს რეაბილიტაციის პროცესშიც, თუმცა მისი შეცვლა შესაძლებელია.

გაკოტრების აქტიდან, მე-7 თავთან ერთად, მნიშვნელოვანია მე-11 თავის განხილვაც, რომელიც რესტრუქტურიზაციისა და რეაბილიტაციის პროცედურებს ეხება. რეაბლი-

---

236 იქვე, § 702.
237 იქვე, § 704.
238 იქვე, § 721.
239 იქვე, § 507.

ტაციის მთავარი ინსტრუმენტი ამერიკული ბიზნესებისთვის მე-11 თავია, რომელიც კორპორაციული პირების რეაბილიტაციის პროცედურებს (ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და ბროკერების გარდა) არეგულირებს. მე-11 თავის მიზანია მოვალეს იმის საშუალება შეუქმნას, რომ გააგრძელოს საქმიანობა და კრედიტორთა მოთხოვნები თანმიმდევრულად, რეაბილიტაციის პროცესში დააკმაყოფილოს.

მე-11 თავი მოვალეს აძლევს ბიზნესის რესტრუქტურიზაციის საშუალებებს. მოვალეს შეუძლია მოიპოვოს ფინანსები და სესხები სასარგებლო პირობებით იმ გზით, რომ ახალ მსესხებლებს მისცეს უპირატესობა კრედიტორთა სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. რეაბილიტაციის პროცესში შესაძლებელია სასამართლომ მოვალეს მისცეს ხელშეკრულებების უარყოფისა და გაუქმების შესაძლებლობებიც. მოვალე, ამ ყველაფერთან ერთად, სასამართლო წარმოებისგან და კრედიტორების მიერ გარკვეული ქმედებების განხორციელებისგან დაცულია. კრედიტორების მიერ დაწყებული სასამართლო წარმოებები ამ დროს ავტომატურად შეჩერებულია, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კრედიტორებს ამ ავტომატური შეჩერებების წინააღმდეგ სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლიათ.[240]

რეორგანიზაციის დროს, მოვალე კომპანია და მისი მენეჯმენტი ჩვეულებრივად უძღვებიან ბიზნესს, როგორც „მფლობელი მოვალეები (debtor in possession)“[241]. გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება თაღლითობას, არაკომპეტენტურობას ან სხვა პრობლემურ საკითხებს, სასამართლოს შეუძლია რწმუნებულის დანიშვნა, რათა იგი მოვალის მენეჯმენტს ჩაუდგეს სათავეში[242].

რომ შევაჯამოთ – გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, აშშ-ის გაკოტრების აქტი ინვესტიციების დაცულობასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან მექანიზმს შეიცავს. ევროპული სტანდარტისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანია რწმუნებულის ინსტიტუტი, რომელიც არ არის კერძო პირი და დამატებით ზედამხედველობას უწევს გაკოტრებისა და რეორგანიზაციის პროცესებს. გაკოტრების აქტში გვხვდება მოვალესთან დაკავშრებული კრედიტორის (Insider) ცნებაც და იგი შეზღუდულია გარკვეული უფლებამოსილებების განხორციელებისგან. მეტიც, ასეთი ტიპის კრედიტორები საერთოდ ვერ იღებენ მონაწილეობას კრედიტორთა კრების დროს გადაწყვეტილების მიღებაში – ვერც გაკოტრებისას და ვერც რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისას.

7.8. დასკვნა

გადახდისუუნარობისა და გაკოტრების პროცედურების ეფექტურობა და სიძლიერე ქართველი კანონმდებლისთვის და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. როგორც ქართული კანონმდებლობის კვლევამ და სხვა წარმატებული ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, მოქმედი ქართულ

[240] იქვე, § 362, Automatic Stay-ის ცნება.
[241] იქვე, §§ 1107-08
[242] იქვე, § 1104

გადახდისუუნარობის წესები განსხვავებულია და ხშირ შემთხვევაში საუკეთესო პრაქტიკას არ შეესაბამება, რაც ინვესტორისთვის, რომელიც კომპანიაში წილის შესყიდვის გზით ან სხვა საშუალებით აპირებს ღირებულებების დაბანდებას, შეიძლება შემაფერხებელი გარემოება გახდეს. ეს შემაფერხებელი გარემოებები კი ხელის შემშლელია ბიზნესის განვითარებისთვის, განსაკუთრებით ეს ეხება მცირე და საშუალო ბიზნესებს, ასევე ე.წ „სტარტაპებს“.

ინვესტორმა ფულადი ღირებულების დაბანდება შეიძლება განახორციელოს როგორც წილის/აქციების შეძენის გზით საწარმოში, ასევე – საწარმოსთვის სხვა ფორმით ღირებულების გადაცემაში, სესხებაში, ან ორივე ერთად. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ინვესტორი იძენს აქციონერის/მეწილის სტატუსს, მეორე შემთხვევაში – კრედიტორის, ხოლო მესამე შემთხვევაში – აქციონერი კრედიტორის. სწორედ ამ მიზეზების გამო, სასურველია გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა გვკარნახობს, დეტალურად და ეფექტურად იყოს გაწერილი კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა და მათი რანგირება. აღნიშნული თვალსაზრისით, დეტალური და ეფექტური მოწესრიგების საჭიროების მაგალითია აქციონერის უფლებრივი მდგომარეობა გაკოტრების პროცესის დასრულებისას.

ქართული გადახდისუუნარობისა და სამეწარმეო კანონმდებლობით, აქციონერის, როგორც კრედიტორის სტატუსი ბოლომდე გარკვეული არ არის. გადახდისუუნარობის კანონმდებლობით, საზოგადოების გაკოტრების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ხარჯების გადახდის და კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხები მიიქცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს, ანუ სახელმწიფოს, საკუთრებაში და კაპიტალის მფლობელები იგნორირებულები არიან. შედარებისთვის, თუ ავიღებთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ლიკვიდაციის წესებს, აქ კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხები უნაწილდებათ პარტნიორებს/აქციონერებს. ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, როგორიცაა Uncitral-ის სარეკომენდაციო წესები და სხვადასხვა წარმატებული ქვეყნების გაკოტრების ნორმები გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ დარჩენილ თანხებს, როდესაც ყველა კრედიტორი დაკმაყოფილებულია და ადმინისტრაციული ხარჯები დაფარულია, ანიჭებენ კაპიტალის მფლობელებს. შესაბამისად, გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში მოქმედი ნორმის შინაარსი კითხვის ნიშნებს აჩენს აქციონერის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს კაპიტალის მფლობელთან სხვა სახის ვალდებულებითი ხასიათის გარიგებაც აკავშირებს და კაპიტალის მფლობელი არის ე.წ „დაკავშირებული კრედიტორი“, ქართული კანონმდებლობით მისი მოთხოვნები ერთიანდება სხვა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების რიგში, რაც, ასევე არ შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას, რადგან ამ შემთხვევაში, განსხვავებით ზემოთ აღნიშნულ აბზაცში აღწერილი შემთხვევისგან, უკვე ე.წ „გარე კრედიტორების“, როგორც კრედიტორებს შორის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის უფლებები დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

8 დასკვნა

ნაშრომი სხვადასხვა სამართლებრივი თემის კომპილაციაა, რომელიც ინვესტიციების დაცულობის მნიშვნელობას მრავალფეროვან სამართლებრივ ჭრილში განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ზემოთ განხილული საკითხები შესაძლოა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, დასახელებული თემები, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო თვალსაზრისით,საინვესტიციო კლიმატის შეფასების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

ამავდროულად, ნაშრომი სწავლობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ევოლუციას და კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ზეგავლენას ინვესტიციების დაცვის მექანიზმების განვითარებაზე და მათ სამომავლო დეფინიციებს ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. ნაშრომი განიხილავს ინვესტიციების დაცვის მექანიზმებს ინდივიდუალურადაც და მთლიანობაშიც, როგორც ურთიერთბალანსის საშუალებას. განსაკუთრებით ეს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს და კორპორაციული საფარველის გაჭოლვას უკავშირდება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი ინვესტიციების დაცვის მექანიზმებს განიხილავს, როგორც კანონით გათვალისწინებულ, ასევე, საწესდებო ავტონომიურობის ფარგლებში.

მონოგრაფიის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გადახდისუუნარობის ნაწილი, სადაც ავტორები დეტალურად განიხილავენ როგორც არსებულ პრაქტიკას, ასევე ძველი კანონის ნორმებს და საერთაშორისო გამოცდილებას. გადახდისუუნარობა ზოგადად ძალიან პრობლემატური სფეროა საქართველოში, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით. გადახდისუუნარობის დასახელებული წიგნის ნაწილად შეტანა, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციას გადახდისუუნარობის სამართალში, რაც სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთი საფუძველი გახდება.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები აქტიურად არის განხილული *Doing Business-ის* მეთოდოლოგიის საფუძველზე და გამოვლენილია სხვადასხვა საკითხები, სადაც საქართველოს, უფრო მაღალი შეფასებას იმსახურებს, ვიდრე ეს ამჟამინდელი რეიტინგით არის გათვალისწინებული.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს კვლევა სამეწარმეო სამართლის ნორმების ინვესტიციების დაცულობის თვალსაზრისით წარმოჩენასთან დაკავშირებით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა, როგორც საინვესტიციო გარემოს შემქმნელმა ფუნდამენტურმა საკანონმდებლო აქტმა, უნდა განიმტკიცოს საკუთარი როლი საქართველოში.

ᲡᲐᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალება

რუსთავის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 2015 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2/501-15

დავის საგანი: აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, 53-ე და 54-ე მუხლები.

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე წარმოადგენს მოპასუხე სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების 6.94707%-ის მესაკუთრეს. მოსარჩელემ, როგორც საზოგადოების აქციათა 5%-ის მფლობელმა, წერილობითი მოთხოვნით მიმართა საზოგადოების დირექტორს, რომ ამ უკანასკნელს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება მოეწვია შემდეგი დღის წესრიგით: საზოგადოების ბოლო 6 წლის საქმიანობის შემოწმების შესახებ. უკანასკნელი საერთო კრების ჩატარებიდან გასული იყო 1 თვეზე მეტი. საზოგადოების დირექტორმა წერილობით უპასუხა, რომ ამ საკითხზე მიემართა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის. მოსარჩელემ წერილობით და იგივე საკითხით მიმართა სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭომ წერილობით უპასუხა, რომ საზოგადოებას არ გააჩნდა საკმარისი ფინანსური რესურსი აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევისთვის. მოსარჩელემ და სხვა აქციონერებმა სამეთვალყურეო საბჭოს მიმართეს კრების მოწვევისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა მოპასუხემ აქციონერთა რიგგარეშე კრება მაინც არ მოიწვია.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

მოსარჩელე იყო მოპასუხე საზოგადოების 6.94707% წილის მესაკუთრე. ამავდროულად, მოსარჩელემ წერილობით მიმართა ჯერ დირექტორს, ხოლო შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ, რომლის განსახილველი საკითხიც საზოგადოების სამეურნეო ბოლო 6 წლის საქმიანობის შემოწმება უნდა ყოფილიყო, რაც საზოგადოების აქციონერის კონტროლის უფლების რეალიზაციის ერთ-

ერთ საშუალებას წარმოადგენს და არ ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელის, როგორც საზოგადოების 5%-ზე მეტი აქციების მესაკუთრის კონტროლისა და შემოწმების უფლება, რომლის რეალიზაციის საშუალება მას აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე. ამასთან, აქციონერის ამ უფლების რეალიზაცია არ არის დამოკიდებული საზოგადოების მხრიდან რაიმე გარემოების არსებობა-არარსებობაბზე, მათ შორის, გაზეთში პუბლიკაციის გამოქვეყნების, აქციონერთათვის დაზღვეული წერილების გაგზავნის და ნოტარიუსისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების არსებობაზე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-3[3] პუნქტში მითითებული წინაპირობების არსებობა საკმარისია აქციონერის უფლების რეალიზებისთვის.

ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაუარესებულია, რომ მას არ გააჩნია აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრები, ეს გარემობა შეიძლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი გახდეს, რისი განცხადების ვალდებულებაც აქვს საზოგადოების დირექტორს.

კომენტარი:

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალიან საინტერესოა, რადგან, ერთი მხრივ უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებებს იცავს და ამ უფლების რეალიზების წინაპირობას უსვამს ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, განსახილველ საქმეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონთან აკავშირებს. კერძოდ, ამ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის საფუძველია მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.

შესაბამისად, მართალია, ეს პირდაპირ კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით ფინანსური შესაძლებლობების არარსებობა არ არის კრების კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ჩატარებაზე უარის თქმის საფუძველი. მეორე მხრივ, ეს უკავშირდება როგორც აქციონერების უფლებების, ასევე, კრედიტორების უფლებების დაცულობას. ფაქტობრივად, სასამართლო ავალდებულებს საზოგადოებას, რომ, თუ ეს უკანასკნელი არ ფლობს უმცირესობაში მყოფი აქციონერის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების ფინანსურ შესაძლებლობას, დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რაც ამავდროულად კრედიტორების დაცვის საშუალებაცაა. სასამართლოს ეს ჩანაწერი, რომელიც კანონში პირდაპირ არ წერია, შეიძლება საბაზრო ურთიერთობის საფუძველზე კრედიტორისა და ინვესტორის უფლებების დაცვის საშუალებად მივიჩნიოთ.

ქმედების განხორციელების დავალდებულება

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #2/787-15

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალდებულება (ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის 2008 წლიდან სარჩელის შეტანამდე მდგომარეობის გაცნობა და წერილობით გადაცემა: ხელშეკრულებებისა და გარიგებების, საბანკო და სალარო ანგარიშებზე თანხების მოძრაობის, საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმების, საზოგადოების მოგებისა და მისი განაწილების შესახებ, საზოგადოების წლიური ბალანსის, საზოგადოების მოძრავი და უძრავი ქონების – თითოეული ქონების დეტალური მონაცემების მითითებით; სამეურნეო საქმიანობის შემოწმების მიზნით აუდიტის მოწვევა 2008 წლიდან სარჩელის შეტანის პერიოდამდე)

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და 53-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე წარმოადგენს სააქციო საზოგადოების აქციების 11.77182%-ის მქონე აქციონერს და სარჩელში ასახული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ორჯერ მიმართა საზოგადოების დირექტორს, თუმცა დირექტორს არც ერთ განცხადებაზე პასუხი არ გაუცია. ასევე, დადგენილია, რომ საზოგადოებას იპოთეკის ხელშეკრულება აქვს დადებული ბანკ „რესპუბლიკასთან“, მის ქონებაზე ვრცელდება ყადაღა და საგადასახადო გირავნობა, საწარმოს გაფორმებული აქვს ორი იჯარის ხელშეკრულება და უძრავი ქონება – გასხვისებული ერთ-ერთ კომპანიაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

აქციონერს არ მიუღია არანაირი ინფორმაცია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შესახებ, შესაბამისად, მას არ გააჩნდა ობიეტური შესაძლებლობა ესაუბრა რაიმე სახის დარღვევებზე და ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა არ მიუწვევიათ პარტნიორთა კრებებზე, არ მიუღია დივიდენდები, საწარმოს კი დადებული აქვს საიჯარო ხელშეკრულებები, გასხვისებული აქვს უძრავი ქონება, გაფორმებული აქვს იპოთეკის ხელშეკრულება. სასამართლომ აღნიშნა, რომ დარღვევებზე მითითება მათი გამოვლენის გარეშე შეუძლებელია, რისი შესაძლებლობაც მოსარჩელე აქციონერს არ მისცემია. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია და მიზნად ისახავს აქციონერის კანონით გარანტირებული უფლების დაცვას და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

კომენტარი:

სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3^2 და მე-3^5 პუნქტებისა და მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე დაუკმაყოფილა მოსარჩე-

ლეს მოთხოვნა: სპეციალური შემოწმების ჩატარება და საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საბანკო და სალარო ანგარიშებზე თანხების მოძრაობის ამსახველი ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმების, საზოგადოების მოგებისა და მისი განაწილების შესახებ, საზოგადოების წლიური ბალანსის, საზოგადოების მოძრავი და უძრავი ქონების (თითოეული ქონების დეტალური მონაცემების მითითებით) შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ასევე, სამეურნეო საქმიანობის შემოწმების მიზნით აუდიტის მოწვევა 2008 წლიდან სარჩელის შეტანის პერიოდამდე.

მოსარჩელის მდგომარეობას ამძიმებდა ის ფაქტიც, რომ მას პარტნიორთა სხდომებზე არ იწვევდნენ. შესაბამისად, საზოგადოება განსაკუთრებით არაკეთილსინდისიერი იყო მოსარჩელის მიმართ და მის ისეთ ბუნებით უფლებას არღვევდა, როგორიცაა აქციონერთა კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ასევე, საინტერესოა, რომ მიუხედავად გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის დარღვევის შესახებ ინფორმაციის არარსებობისა, სასამართლომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება აუდიტის მოწვევის შესახებ, რადგან გამომჟღავნებილიყო დარღვევის არსებობის ან არარსებობის საკითხი. ასევე, დასახელებული უფლებების დაკმაყოფილებას სასამართლო უწოდებს „აქციონერის კანონით გარანტირებული უფლების დაცვას“. ამავდროულად, მოსარჩელის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკმაყოფილება მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის ფართოდ განმარტების საფუძველია და „საზოგადოების ყველა პუბლიკაციაში“ სხვა საკითხებთან ერთად, ასევე, იგულისხმება საბანკო და სალარო ანგარიშებზე თანხების მოძრაობის ამსახველი ინფორმაცია, საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმები, ინფორმაცია საზოგადოების მოგებისა და მისი განაწილების შესახებ და საზოგადოების მოძრავი და უძრავი ქონების ამსახველი ინფორმაცია – თითოეული ქონების დეტალური მონაცემების ჩათვლით. აღნიშნული განმარტება ხელს უწყობს საბაზრო უზრთიერთობის საფუძველზე ინვესტორის უფლებების დაცულობას.

საწარმოს საბუღალტრო და სხვა დოკუმენტების გადაცემა

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2013 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2/12625-2013

დავის საგანი: საწარმოს საბუღალტრო და სხვა დოკუმენტების გადაცემა (საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, საწარმოს საწესდებო კაპიტალის და მისი ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ქონების ნუსხა, საწარმოს ბალანსები, საწარმოს მოგება-ზარალის დეკლარაციები დანართებით, საწარმოს ყველა სახის გადასახადების დეკლარაციები, საწარმოს საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების მოძრაობის ამსახველი დოკუმენტაცია, სალაროს ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია, საწარმოს კუთვნილი ქონების გასხვისების, იჯარის გაცემის ან უფლებრივად

დატვირთვის დოკუმენტაცია, სანოტარო აქტები, საწარმოს ყოველწლიური შემოწმების – რევიზიის აქტები, აუდიტორული დასკვნები, საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების შემოწმების აქტები, საგადასახადო მოთხოვნები, მათი გასაჩივრების და დავის ამსახველი დოკუმენტაცია, საწარმოს ყველა პუბლიკაცია და დოკუმენტები, რომლებიც საწარმოს საქმიანობას უკავშირდება)

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3.10 და 46.4-ე მუხლები.

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე წარმოადგენს შეზღუდული პასუხსიმგებლობის საზოგადოების 50%-ის მქონე პარტნიორს და მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ ეძლევა საშუალება გაეცნოს ინფორმაციას საზოგადოების საქმიანობის შესახებ. შპს რეგისტრირებულია 2006 წელს და ჰყავს ორი 50%-იანი პარტნიორი.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლო გადაწყვეტილებაში საუბრობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტზე და ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტზე. ასევე, დამატებით მიუთითებს საწარმოს წესდებაზე, სადაც ხაზგასმულია, რომ პარტნიორს აქვს უფლება მიიღოს სრული ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

კომენტარი:

სასამართლო საქმის განხილვისას მიუთითებს საწარმოს წესდების ჩანაწერზეც, მაგრამ ასეთი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაშიც მოსარჩელეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან გარდა იმისა, რომ კანონის ზოგადი ნაწილი ითვალისწინებს კონტროლისა და შემოწმების უფლების ზოგად ჩანაწერს, შპს-ს მომწესრიგებელი თავი აკონკრეტებს, რომ პარტნიორს უფლება აქვს გაეცნოს საზოგადოების ჩანაწერებს და წიგნებს. აღნიშნულ საქმეში საზოგადოების ჩანაწერების და წიგნების კონტექსტში მოხსენიებულია: საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, საწარმოს საწესდებო კაპიტალის და მისი ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ქონების ნუსხა, საწარმოს ბალანსები, საწარმოს მოგება-ზარალის დეკლარაციები დანართებით, საწარმოს ყველა სახის გადასახადების დეკლარაციები, საწარმოს საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების მოძრაობის ამსახველი დოკუმენტაცია, სალაროს ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია, საწარმოს კუთვნილი ქონების გასხვისების, იჯარის გაცემის ან უფლებრივად დატვირთვის დოკუმენტაცია, სანოტარო აქტები, საწარმოს ყოველწლიური შემოწმების – რევიზიის აქტები, აუდიტორული დასკვნები, საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების შემოწმების აქტები, საგადასახადო მოთხოვნები, მათი გასაჩივრების და დავის ამსახველი დოკუმენტაცია, საწარმოს ყველა პუბლიკაცია და დოკუმენტები, რომლებიც საწარმოს საქმიანობას უკავშირდება.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლო,
2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #2/1812-13

დავის საგანი: პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (საკითხის ამოღება დღის წესრიგიდან და საზოგადოების დირექტორის წინააღმდეგ პროცესებში საზოგადოების წარმომადგენლის დანიშვნა)

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9^1 მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

გაიმართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრება, სადაც დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად მითითებული იყო პარტნიორის წარმომადგენლად დანიშვნა იმ პროცესებში, რომლებიც უნდა წარმართულიყო დირექტორის წინააღმდეგ, რადგან დირექტორის წინააღმდეგ დავის დასაწყებად საჭირო იყო პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტი თანხმობა, პარტნიორთა 61%-ის მოთხოვნით აღნიშნული საკითხი ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან და აღარ განხილულა. მომდევნო პარტნიორთა კრებაზე დადგენილ იქნა, რომ დირექტორის საქმიანობა ჯეროვნად შეფასდა.

მოსარჩელე მხარე ითხოვდა კრების ოქმის ბათილობას, რადგან (1) უკანონოდ იქნა საკითხი დღის წესრიგიდან ამოღებული, ასევე, (2) პარტნიორის წარმომადგენლად დანიშვნას იმ პროცესებში, რომლებიც დირექტორის წინააღმდეგ უნდა წარმართულიყო.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მხოლოდ პირველ ნაწილში შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: სასამართლო მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9^1 მუხლის მე-6 პუნქტის ბ) ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ რადგან ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი, რისი გადაწყვეტის უფლებამოსილებაც აქვს პარტნიორთა კრებას, არ დაიშვა განსახილველად ანუ ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან. სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა არსებითი დარღვევა. მოსარჩელე მხარის მეორე მოთხოვნა, დირექტორის წინააღმდეგ პროცესებში საზოგადოების წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რადგან პარტნიორთა კრებას არ უმსჯელია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9^1 მუხლის მე-6 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი უფლებამოსილების გამოყენებაზე, შესაბამისად, ეს საკითხი სასამართლო განხილვის საგანი ვერ გახდებოდა.

კომენტარი:

ინვესტორთა უფლებების დაცულობის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ სასამართლომ პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის ამოღება

დღის წესრიგიდან არსებით დარღვევად მიიჩნია. შესაბამისად, როდესაც პარტნიორი (აქციონერი)კანონით დადგენილ სამართლებრივ წინაპირობას აკმაყოფილებს, პარტნიორთა კრება ვალდებულია მის მიერ დაყენებული საკითხი განიხილოს.

აქციათა სავალდებულო მიყიდვა

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2/1889-13

დავის საგანი: უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ უმცირესობაში მყოფი აქციონერებისგან აქციების გამოსყიდვის მოთხოვნა.

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^4-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{14}-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

სააქციო საზოგადოებაში აქციების მთლიანი რაოდენობის 99.412%-ის მფლობელი იყო აქციონერი, რომელიც დანარჩენი აქციონერებისგან აქციების მიყიდვას ითხოვს. დანარჩენი აქციონერები არ ეთანხმებიან აქციების გასხვისებას. აქციონერთა რეესტრის მიხედვით, აქციები სულ გადანაწილებულია 132 აქციონერზე და სააქციო საზოგადოებას გამოშვებული აქვს 1645270 აქცია. ექსპერტის მიერ აქციის გამოსყიდვის სამართლიან ფასად განისაზღვრა 1.7562 ლარი. სააქციო საზოგადოების ქონების, მათ შორის, აქციების საბაზრო ღირებულების დადგენა მოხდა 3 მეთოდით: დანახარჯების (ჩანაცვლების), შემოსავლების და საბაზრო (გაყიდვების შედარების) მეთოდით. აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურული მხარეები, კერძოდ, ბეჭდვით ორგანოში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე) გამოქვეყნება და სასამართლოსთვის ერთთვიანი ვადის დაცვით მიმართვა, დაცულია.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ დააკმაყოფილა 95%-ზე მეტი აქციების მქონე აქციონერის მოთხოვნა აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით. სასამართლომ იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^4-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{14}-ე მუხლებით. ერთი აქციის გამოსყიდვის სამართლიან ფასად 1.7562 ლარი განისაზღვრა.

კომენტარი:

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევები არც თუ ისე ხშირია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. გამოსყიდვის ფასად განსაზღვრულია სამართლიანი ფასი, რაც, როგორც წესი, უნდა უდრიდეს ან უნდა აღემატებოდეს საბაზრო ღირებულებას. სამართ-

ლიანი ფასი შეიძლება მოგვევლინოს ინვესტორების დაცვის საშუალებად, თუმცა უკეთესი იქნებოდა, თუ გადაწყვეტილებაში მითითებული იქნებოდა აქციების საბაზრო ღირებულებაც, ეს სამართლიანი ღირებულების და საბაზრო ღირებულების შეფარდების კარგ შესაძლებლობას მოგვცემდა.

აქციათა სავალდებულო მიყიდვა

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2012 წლის 10 სექტემბერი, გადაწყვეტილება, საქმე #2/7147-12

დავის საგანი: სამართლიანი ფასის განსაზღვრა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^{4}-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{12}-ე,საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{14}-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

სააქციო საზოგადოებაში აქციების მთლიანი რაოდენობის 96.1588%-ის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დანარჩენი აქციონერებისგან აქციების მიყიდვას ითხოვს. განცხადების შეტანის მომენტისთვის სააქციო საზოგადოებას აქციების შესყიდვის მსურველი აქციონერის გარდა 116 აქციონერი ჰყავდა, რომელთა რაოდენობა სასამართლო მიმდინარეობისას შემცირდა და 102 აქციონერამდე ჩამოვიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით, 1 აქციის გამოსასყიდ სამართლიან ფასად განისაზღვრა 8.79 ლარი (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით), რაც დანარჩენმა აქციონერებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული დასკვნა არასრული, დაუსაბუთებელი იყო და არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{12}-ე მუხლით გათვალისწინებულ აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ანგარიშს. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც მოიწვია დამოუკიდებელი ექსპერტი სამართლიანი ფასის განსაზღვრისთვის.

განმეორებით ჩატარებულმა ექსპერტიზამ ერთი აქციის სამართლიან ფასად 14.7216 ლარი განსაზღვრა, რასაც დანარჩენი აქციონერები ისევ არ დაეთანხმენ და ითხოვენ ფასის გაზრდას. კერძოდ, მოითხოვენ, რომ შეფასება მოხდეს სამომავლოდ მისაღები სავარაუდო შემოსავალის გათვალისწინებით. 95%-ზე მეტი აქციების მფლობელმა აქციონერმა დაიცვა გამოქვეყნების და სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურული მხარეები.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ დააკმაყოფილა 95%-ზე მეტი აქციების მქონე აქციონერის მოთხოვნა აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით. სასამართლომ იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^{4}-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{12}-ე და 309^{14}-ე მუხლებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირდაპირ მაღალი ფასის მოთხოვნა არ არის გამართლებული და უნდა ეფუძნებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საფუძვლებს. კერძოდ, დასკვნის შემდგენმა ექსპერტმა შეისწავლა სააქციო საზოგადოების ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონება, გაეცნო დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებებს, ბრუნვით ბალანსს და მათი ანალიზის საფუძველზე დაადგინა ერთი ცალი აქციის სამართლიანი ფასი.

კომენტარი:

აღნიშნულ სასამართლო საქმეში საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ შეიცვალა აქციათა სავალდებულო მიყიდვის თავდაპირველი სამართლიანი ღირებულების ფასი და თითქმის ორჯერ გაიზარდა, თუმცა უკეთესი იქნებოდა, თუ გადაწყვეტილებაში მიუთითებდნენ აქციების საბაზრო ღირებულებასაც, ეს სამართლიანი ღირებულების და საბაზრო ღირებულების შეფარდების შესაძლებლობას მოგვცემდა.

ასევე, სამართლიანი ფასის განსაზღვრის მეთოდი ძალიან საინტერესოა – ერთი მხრივ, უმცირესობაში მყოფი აქციონერი არ უნდა დარჩეს დაზარალებული, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა მოხდეს ფასების გაზრდა უმრავლესობაში მყოფი აქციონერის საზიანოდ.

საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, 2003 წლის 14 მაისი, გადაწყვეტილება, საქმე #3კ-386-03

დავის საგანი: საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^{1}-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2001 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო სს-ს აქციონერთა 1999 წლის 14 აპრილის კრების გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც საწესდებო კაპიტალი გაიზარდა და ნაწილი აქციონერების წილი შემცირდა. დღის წესრიგის საკითხი იყო, ასევე, საწარმოს წესდებიდან იმ მუხლების ამოღება, რომლებიც ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ კანონს. სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრებამ აღნიშნული საკითხები არ დააკმა-

ყოფილა. მოსარჩელეებმა მხარი არ დაუჭირეს კრების გადაწყვეტილებას, 2001 წლის 5 დეკემბერს განცხადებით მიმართეს სამეთვალყურეო საბჭოს და მოითხოვეს ნომინალური ღირებულებით აქციების გამოსყიდვა. სამეთვალყურეო საბჭომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. სააქციო საზოგადოების აქციონერებემა სარჩელი აღძრეს სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ და მოითხოვეს აქციების შეფასება და გამოსყიდვა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე მხარემ 1999 წლის 14 აპრილს ჩატარებული კრების გადაწყვეტილება – საწესდებო კაპიტალის გაზრდასა და წესდებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, არ გაასაჩივრა კრების ჩატარებიდან 2 თვის ვადაში. რაც შეეხება 2001 წლის 16 ნოემბერს ჩატარებულ სხდომას, დღის წესრიგის საკითხები იყო 2000 წლის სამეურნეო შედეგები და სააქციო საზოგადოების გადაიარაღების პერსპექტივა, ხოლო საწესდებო კაპიტალი და წესდებაში ცვლილებების შეტანა დღის წესრიგში არ იყო შეტანილი (დღის წესრიგში შეტანილი იყო 1999 წლის 14 აპრილის კრების გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი) და, შესაბამისად, არც განხილულა. ასევე, სასამართლომ დაადგინა, რომ 2001 წლის 16 ნოემბერს ჩატარებულ კრებაზე არ იყო განხილული ისეთი საკითხი, რაც აქციების გამოსყიდვის წინაპირობა გახდებოდა. იმისთვის, რომ საზოგადოებას აქციები გამოესყიდა, აქციონერებს უნდა მიემართათ სამეთვალყურეო საბჭოსთვის 1999 წლის 14 აპრილს ჩატარებული კრებიდან 45 დღის ვადაში, რაც მათ არ გაუკეთებიათ. სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოება წესდებაში ისეთ ცვლილებას შეიტანს, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, სახეზეა მსხვილი გარიგება ან საზოგადოების რეორგანიზაცია.

კომენტარი:

საქმეში სასამართლო განიხილავს საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის მატერიალურ წინაპირობებს. კანონის დღეს მოქმედი რედაქციით (2008 წლის 14 მარტს შეტანილი ცვლილების შემდეგ), საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა არსებობს მაშინ, როდესაც მისაღები გადაწყვეტილება უკავშირდება რეორგანიზაციას ან არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს. თავდაპირველი რედაქცია (რომელიც 1999 წლის 9 ივნისს იქნა შემოღებული) შესაძლებლობას იძლეოდა, რომ აქციათა გამოსყიდვა განხორციელებულიყო იმ შემთხვევაშიც, როდესაც სააქციო საზოგადოება დებდა ქონების შეძენის და გასხვისების გარიგებას, ხოლო აქციონერის უფლების შელახვა უშუალოდ უკავშირდებოდა წესდებაში ცვლილების შეტანას.

დღეს მოქმედი რედაქცია ნაწილობრივ ამცირებს აქციების გამოსყიდვის არეალს, თუმცა, ამავდროულად, შესაძლებელია, რომ აქციონერების უფლებების შემლახველი გადაწყვეტილების მოქმედება გავავრცელოთ, როგორც წესდებაში ცვლილების შეტანა-

ზე, ასევე, ქონების ნასყიდობაზე და სხვა ისეთ საკითხებზე, რაშიც შეიძლება გამოიხატოს აქციონერების უფლებების შემლახველი გადაწყვეტილებების მიღება. საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა, ასევე, შესაძლებელია, რომ გამოყენებულ იქნეს, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერის კორპორაციიდან გასვლის საფუძველი, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი საწესდებო კაპიტალის გაზრდის წინააღმდეგია და/ან არ აქვს საკმარისი ფინანსებიგაზრდილი კაპიტალის შესაბამისი შენატანის განსახორციელებლად.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამუშაოზე ან ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, მიუღებელი ხელფასის, იძულებითი განაცდურის, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

თბილისის სააპელაციო სასამართლო, 2015 წლის 25 მარტი, გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/6571-14

დავის საგანი: სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამუშაოზე ან ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, მიუღებელი ხელფასის, იძულებითი განაცდურის, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და 55-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 10 მარტს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევისა და თანამდებობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამო (ერთ-ერთ კონტრაჰენტ შპს-სთან არსებული ურთიერთობის საფუძველზე), თანამდებობიდან გაათავისუფლა დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას ესწრებოდა, დირექტორიც. დირექტორისთვის არ გაუგზავნიათ შეტყობინება „შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის თანახმად.

სააქციო საზოგადოების წესდების თანახმად, საერთო კრებებს შორის პერიოდში, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო. ასევე, ამავე წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება ნებისმიერ დროს დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან ხელშეკრულების დადება და გაუქმება. დირექტორთან ხელშეკრულება დადებული იყო ზეპირი ფორმით.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დირექტორის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენასთან, იძულებით განაცდურთან და მიუღებელ ხელფასთან, ასევე, კრების ოქმის ბა-

თილობასთან დაკავშირებით. თუმცა დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა გამოუყენებელ შვებულებასთან დაკავშირებით, ასევე, საწარმოს დააკისრა ორთვიანი კომპენსაცია გათავისუფლებული დირექტორის სასარგებლოდ.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი ურთიერთობა წარმოადგენს ცალსახად კორპორაციულ ურთიერთობას და რომ ამ ურთიერთობაზე შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების გავრცელება დაუშვებელია.

დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა ამ ურთიერთობის შინაარსის და მხარეთა უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, გაჯერებულია, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ელემენტებით და ამ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებას სწორედ ეს სამართლებრივი ორბუნოვნება განსაზღვრავს. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირაა მოწესრიგებული მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისი ნორმებით, მის მიმართ, ცხადია, ვეღარ გავრცელდება შრომის კოდექსის მოწესრიგება, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი გახდეს (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ). ამ მხრივ, ნიშანდობლივია მეწარმეთა შესახებ კანონის მე–9 მუხლის მე-7^2 პუნქტის დანაწესიც, რომელიც განსაზღვრავს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულების განხორციელებას შრომის კოდექსის 38–ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების წესის გამოყენების გზით.

დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ ელემენტებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით, კონკრეტულად რა უფლება–მოვალეობებია სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი მომწესრიგებელი (იქნება ეს შრომითი თუ კორპორაციული რეგულაციები) ნორმებიც.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო გარკვევა, არის თუ არა აუცილებელი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. ამავე კანონის 55–ე მუხლის მეექვსე პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად კი სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას, ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2014 წლის 10 მარტს გამართულ სხდომაზე, სამეთვალყურეო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (ამასთან აღსანიშნავია, რომ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი იყო არაკეთილსინდისიერი ქმედება). კანონმდებელი შესაბამის ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს ნებისმიერ დროს – ამ შემთხვევაში შრომის კოდექსის 37–ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შესახებ კვლევის საკითხი იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს გათავისუფლების კანონიერება, აღარ წარმოიშობა, რამდენადაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტისთვის სპეციალურ წესს ითვალისწინებს. მეწარმეთა შესახებ კანონის მე–9 მუხლის მე-7[2] პუნქტის საფუძველზე საწარმოს მიერ გაფრთხილების წესის შესახებ ვალდებულების დარღვევა წარმოშობს მეორე მხარის უფლებას ზიანის ანაზღაურებაზე და არა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს.

დირექტორის გათავისუფლებით საწარმომ დაარღვია მეწარმეთა შესახებ მე–9 მუხლის მე-7[2] პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება, რაც გულისხმობდა მოპასუხის მიერ დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენამდე თავად დირექტორისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას შრომის კოდექსის 38–ე მუხლით დადგენილი წესით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს ამ ვალდებულების დარღვევისთვის უნდა დაეკისროს კანონით გათვალისწინებული ზიანის სახით შრომის კოდექსის 38–ე მუხლის მე–2 ნაწილით გათვალისწინებული ორი თვის ანაზღაურების გადახდა, თუმცა არა გათავისუფლებული დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-7[1] და მე-7[2] პუნქტების თანახმად, კანონმდებელმა რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტა დაუკავშირა ამ პირის რეგისტრაციის შეწყვეტის მომენტს. ამასთანავე, კანონი ადგენს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, რომელიც უნდა განხორციელდეს შრომის კოდექსის 38–ე მუხლით განსაზღვრული წესის მიხედვით. ამ წესის დაუცველად რეგისტრაციის შეწყვეტის განხორციელება წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9~მუხლის მე-7[2] პუნქტის თანახმად, ზიანისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

რაც შეეხება გამოუყენებელი შვებულების საკითხს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს სადავო საკითხი იმ საკითხთა წრიდანაა, რომელთა მიმართ მეწარმეთა შესახებ კანონი რაიმე რეგულაციას არ ადგენს. ასევე, აღნიშნულ საკითხს არ ითვალისწინებდა არც საზოგადოების წესდება და არც დირექტორთან დადებული ხელშეკრულება.

შვებულების, ასევე გამოუყენებელი შვებულების შესახებ უფლება შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოადგენს დასაქმებულის ერთ–ერთ მნიშვნელოვან უფლებას, რომლის რეგულირებასაც ახდენს შრომის კოდექსი. ის არგუმენტი, რომ დირექტორი არის მხოლოდ კორპორაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და რომ

მას არ შეუძლია ისარგებლოს შვებულების, ასევე გამოუყენებელი შვებულების უფლებით, მოკლებულია დასაბუთებას და ამასთან მიმართებაში სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ ელემენტებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმის მიხედვით, კონკრეტულად რა უფლება–მოვალეობებია სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი მომწესრიგებელი (იქნება ეს შრომითი თუ კორპორაციული რეგულაციები) ნორმებიც.

კომენტარი:

აღნიშნული საქმეში კიდევ ერთხელ განმტკიცდა დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების კორპორაციულ-სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, მმართველობის ორგანოს, ამ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ნებისმიერ დროს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება. სწორედ ამიტომ არ დაკმაყოფილდა დირექტორის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პარტნიორთა კრებებს შორის პერიოდში, უმაღლესი მმართველობის ორგანოა და დირექტორატზე სუპერვიზია ევალება, კონტროლის განმახორციელებელი ბერკეტი იქნება სწორედ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება.

თუმცა დირექტორთან დადებულ ხეშეკრულებაზე სოციალურ ნაწილში, ვრცელდება შრომის კოდექსის მოქმედება, რისი გამოხატულებაცაა გამოუყენებელი შვებულების მოთხოვნის დაკმაყოფილება აღნიშნულ საქმეში, რომელიც ფინანსურად დირექტორის სასარგებლოდ იქნა კომპენსირებული.

პარტნიორთა კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 2015 წლის 29 ივნისი, გადაწყვეტილება, საქმე #2/746-15

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-9^1 მუხლები, სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 115-ე მუხლები

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი: მუხლი მე-9, მუხლი მე-9^1

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს-ს პარტნიორები ითხოვენ 2015 წლის 6 მარტის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად გამოცხადებას დირექტორისთვის ხელფასის დანიშვნის და გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ნაწილში. აღნიშნული კრების ოქმით დაზუსტდა 2013 წლის

8 აპრილის კრების გადაწყვეტილება და დირექტორის ხელფასად განისაზღვრა 8 000 ლარი, ხოლო 2015 წლის პირველი მარტიდან დირექტორის ხელფასი უნდა განსაზღვრულიყო 15 000 ლარის ოდენობით. პარტნიორთა კრება მოწვეულ იქნა 2015 წლის 26 თებერვალს და ჩატარდა 6 მარტს. საზოგადოების წესდება ითვალისწინებს კრების მოწვევას კრების თარიღამდე არანაკლებ 8 დღით ადრე. საზოგადოების წესდება ითვალისწინებს, რომ დირექტორის შრომის ანაზღაურების წესს, ოდენობას და პირობებს განსაზღვრავს პარტნიორთა კრება. საზოგადოების წესდება, ასევე, ითვალისწინებს, რომ კრების მოწვევის პროცედურის დარღვევა არ არის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი, თუ პარტნიორი კრების დაწყებამდე არ განაცხადებს პროტესტს და მონაწილეობას მიიღებს კრების მუშაობაში. პარტნიორთა ნაწილმა უარი განაცხადა კრებაში მონაწილეობაზე მისი მოწვევის ვადის დარღვევის გამო და კრების მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო. დირექტორი ამავდროულად არის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 51%-ის მფლობელი. კრება იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, ესწრებოდა ხმის უფლების მქონე პარტნიორთა ნახევარზე მეტი და განსახილველ საკითხებსაც საწესდებო კაპიტალის მფლობელთა 64% დაეთანხმა. მოსარჩელე ითხოვს აღნიშნული კრების ოქმის ბათილობას, რადგან ის ჩატარდა მოწვევის ვადის დარღვევით და ასევე მიუთითებს, რომ დირექტორის ხელფასი სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას და, შესაბამისად, აუცილებელია ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების თანხმობა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ბათილად ცნო პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ხელფასის გაზრდის ნაწილში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოების დირექტორმა კრების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო 2015 წლის 26 თებერვალს და იმავე დღეს აცნობა პარტნიორებს. შესაბამისად, კრების თარიღი უნდა ყოფილიყო 7 მარტი, ნაცვლად 6 მარტისა. პარტნიორთა ნაწილმა უარი განაცხადა კრებაში მონაწილეობაზე მისი მოწვევის ვადის დარღვევის გამო და არ მიიღო მონაწილეობა მუშაობაში. აღნიშნული ფაქტობრივი გარემობა წარმოადგენს კრების ოქმის ბათილობის ერთ-ერთ საფუძველს.

სასამართლომ მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის პირველ პუნქტზე, კერძოდ, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით და დგენილი წესების მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში საზოგადოების წესდების თანახმად, პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იყო, თუ მას საწესდებო კაპიტალის მფლობელთა ნახევარზე მეტი ესწრებოდა და გადაწყვეტილებას პარტნიორთა 51% მაინც უჭერდა მხარს.

ამ შემთხვევაში პარტნიორთა კრებამ საწესდებო კაპიტალის 64%-ის მფლობელთა მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილებები. სასამართლო აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კე-

თილსინდისიერების პრინციპი ვრცელდება შპს-ს დირექტორებზეც, ასევე, ისეთ ხელმძღვანელ პირებზე, რომლებიც ამავდროულად პარტნიორები არიან. დირექტორად პირი ინიშნება საზოგადოების საქმიანობის სწორად გაძღოლის და ისეთი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის წარმატებით განვითარებას. ამასთან, დირექტორის ანაზღაურება უნდა იყოს მისი საქმიანობის ადეკვატური და არ უნდა იწვევდეს პარტნიორთა შემოსავლების შემცირების ხარჯზე ხელმძღვანელი პირის გამდიდრებას. განსაკუთრებით დაუშვებელია ხელფასის ოდენობის განსაზღრისას დირექტორის მიერ მისი, როგორც პარტნიორის, უფლების გამოყენებით სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება, მითუმეტეს მაშინ, როცა ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ პარტნიორთა ნების გამოხატვას რაიმე შედეგი არ მოჰყვება. სასამართლომ ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა დირექტორის ხელფასის 15 000 ლარამდე გაზრდის შემთხვევაზე.

კერძოდ, დირექტორის ხელფასის 15 000 ლარამდე გაზრდის საკითხი დღის წესრიგში შეტანილ იქნა თავად დირექტორის მიერ. მისი წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა. კერძოდ, დირექტორის ხელფასის ოდენობის განსაზღვრის პერიოდში დოლარის კურსი იყო 1.6514 ლარი ანუ ანაზღაურება შეადგენდა 4 845 აშშ დოლარს, კრების ჩატარების დროისთვის კი 1 აშშ დოლარი გაუტოლდა 2.1415 ლარს. ეს ნიშნავდა, რომ მაშინ, როცა სამუშაოების მოცულობა გაიზარდა, დირექტორის ხელფასი შემცირდა. გარდა ამისა, დირექტორი პირდად ხელმძღვანელობს სამშენებლო სამუშაოებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით. იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს ხარჯები, დირექტორი თავად აპირებს გაემგზავროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რათა მაქსიმალურად იაფად შეიძინოს მშენებლობის დასრულებისთვის საჭირო ხარისხიანი სამშენებლო მასალა და ტექნიკური აღჭურვილობა. ასევე, საზოგადოების ექვსწლიანი მოღვაწეობის მანძილზე არაა აღმოჩენილი სერიოზული ფინანსური დარღვევები, რაც მეტყველებს დირექტორის საქმიანობის კვალიფიკაციასა და ეფექტურობაზე. საზოგადოების დირექტორის მუშაობის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა მისი ხელფასის შემდგომი და აუცილებელი გაზრდა.

სასამართლოს მოსაზრებით, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი გარემობა არაა დასაბუთებული. საზოგადოების საქმიანობის ეფექტური წარმართვა უნდა აისახოს მისი შემოსავლების ზრდაში, რაც, თავის მხრივ, უნდა მოხმარდეს არა მხოლოდ დირექტორის ხელფასის დაფინანსებას, არამედ საზოგადოების პარტნიორთა მოგების ზრდასაც. გარდა აღნიშნულისა, დირექტორის მიერ თავის თავზე დამატებითი ფუნქციის აღება (მშენებლობის ხელმძღვანელობა), რომელიც თავისი არსით ერთჯერადი საქმიანობაა და მხოლოდ გარკვეულ დროის მონაკვეთს მოიცავს, არ შეიძლება გახდეს მისთვის ხელფასის თითქმის გაორმაგების საფუძველი. ყურადსაღებია ისიც, რომ საზოგადოების წესდებით გაურკვეველია არის თუ არა მშენებლობის პროცესის ხელმძღვანელობა დამატებითი ფუნქცია. კვალიფიციური და ეფექტური საქმიანობის უნარი ის მახასიათებლებია, რაც თავისთავად უნდა ჰქონდეს საზოგადოების ხელმძღვანელ პირს და ამ უნარის გამოვლე-

ნისთვის ანაზღაურების გაზრდა არ უნდა შეესაბამებოდეს სამეწარმეო სუბიექტის ინტერესებს, რადგან სავსებით შესაძლებელია მენეჯერული თვისებების მქონე და კეთილსინდისიერი პირის შერჩევა უფრო დაბალი ანაზღაურებითაც. დაუსაბუთებელია მითითება დოლარის კურსის ცვლილებაზეც, რადგან დევალვაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ დირექტორის მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა ემსახურებოდეს, მითუმეტეს არ უნდა განხორციელდეს ამ საფუძვლით ხელფასის გაზრდა 4 845 აშშ დოლარიდან 7 004.43 აშშ დოლარამდე (მოპასუხეთა მიერ მითითებული კურსის შესაბამისად).

სასამართლომ, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზეც, რომლის თანახმადაც სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. საქართველოს სამოქლაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დირექტორის ხელფასის დაზუსტების და მისი შემდგომი გაზრდის თაობაზე ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, რადგან მიზნად ისახავს დაუსაბუთებელი შემოსავლის მიღებას და ამ გზით პარტნიორების შემოსავლების შემცირებას საკუთარი უფლებების გამოყენების გზით, აღნიშნული კი, დირექტორის ხელფასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილში, კრების ოქმის ბათილობის საფუძველია.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის მტკიცება, რომ დირექტორის ხელფასთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილება სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას და მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. ამ მოსაზრებას საფუძვლად დაუდო ჩანაწერი საზოგადოების წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ დირექტორის შრომის ანაზღაურების წესს, ოდენობას და პირობებს პარტნიორთა კრება განსაზღვრავს.

კომენტარი:

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ წესდებით, დირექტორის ხელფასის განსაზღვრის საკითხი პირდაპირ მიკუთვნებულია პარტნიორთა კრების კომპეტენციას, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ჩაითვლება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ასევე, საინტერესოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაიცვა უმცირესობაში მყოფი პარტნიორების უფლებები. კერძოდ, დირექტორს შეიძლება ჰქონდეს ხმის უფლების მქონე უმრავლესობა, რაც საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს უმცირესობაში მყოფი პარტნიორების უფლებები. დირექტორის ხელფასის ზრდა პარტნიორების მდგომარეობაზე ნეგატიურად არ უნდა აისახებოდეს, არ უნდა ამცირებდეს მათ მოგებას.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორის ხელფასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არ სცდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა პარტნიორის უფლებები.

ასევე, საინტერესოა სასამართლოს აღნიშვნა, რომ საზოგადოების საქმიანობის ეფექტური წარმართვა უნდა გამოიხატებოდეს საზოგადოების შემოსავლების ზრდაში. კვალიფიციური და ეფექტური საქმიანობის უნარი ის მახასიათებლებია, რაც თავისთავად უნდა ჰქონდეს საზოგადოების ხელმძღვანელ პირს და ამ უნარის გამოვლენისთვის ანაზღაურების გაზრდა არ შეიძლება შეესაბამებოდეს სამეწარმეო სუბიექტის ინტერესებს, რადგან სავსებით შესაძლებელია მენეჯერული თვისებების მქონე და კეთილსინდისიერი პირის შერჩევა უფრო დაბალი ანაზღაურებითაც. მშენებლობის ხელმძღვანელობა განისაზღვრა როგორც ერთჯერადი ფუნქცია, რომლიც არ შეიძლება ხელფასის გაორმაგების საფუძველი გამხდარიყო, რადგან წესდება პირდაპირ არ მიუთითებდა მშენებლობის პროცესის ხელმძღვანელობა დირექტორის დამატებითი ფუნქცია იყო თუ არა.

დივიდენდის მიღება

ახალციხის რაიონული სასამართლო, 2014 წლის 25 ივნისი, გადაწყვეტილება, საქმე #14468985-2/109-14წ

დავის საგანი: დივიდენდის მიღება
განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:
შპს-ს 16%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორი შპს-გან ითხოვს 2012 წლის დივიდენდის გადახდას 41 037 ლარის ოდენობით. შპს-ს 2012 წლის დასაბეგრი მოგება განსაზღვრულია 419 353 ლარით, საიდანაც ბიუჯეტში მოგების გადასახადის სახით გადახდილია 92 909 ლარი, ლიცენზიის ღირებულების ჩათვლით – 204 027 ლარი, ბანკის სესხის ძირის დაფარვაში – 171 212 ლარი. 2013 წელს 2012 წლის მოგების განაწილებასთან დაკავშირებით ორჯერ ჩატარდა პარტნიორთა კრება და მთლიანობაში პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება გაენაწილებინა 100 000 ლარის ოდენობის მოგება პარტნიორებს შორის. პარტნიორმა, რომელიც დივიდენდის უფრო მეტი ოდენობით მიღებას ითხოვს, დივიდენდის სახითვე 16 000 ლარი მიიღო.

სასამართლოს გადაწყვეტილება:
სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა. მოგების არსებობა არ გულისხმობს დივიდენდის აუცილებლად განაწილებას, თუ აღნიშნულზე პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის

მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). დივიდენდის მიღების უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო დივიდენდის მოთხოვნის უფლება – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი არ არის, არამედ – განსაკუთრებული შემთხვევაა. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ. მხოლოდ მოგების მიღების ფაქტი, არ არის საკმარისი წინაპირობა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში დივიდენდის მიღებისთვის.

სასამართლო განმარტავს, რომ დივიდენდის მიღება დამოკიდებულია პარტნიორთა ნებაზე, ხოლო მოქმედი კანონმდებლობა ნების თავისუფლების პრინციპზეა აგებული და ნების გამოვლენის იძულებას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მხოლოდ მოგების მიღების ფაქტის დადასტურება ვერ გახდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დივიდენდის მიღების ფაქტობრივი საფუძველი იმ პირობებში, როდესაც დადგენილია პარტნიორთა გადაწყვეტილების არარსებობა საწარმოს მოგებიდან დივიდენდის განაწილების თაობაზე. რადგან ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არ იკვეთება პარტნიორთა კრების დამატებითი გადაწყვეტილებების არსებობა დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მოსარჩელეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

კომენტარი:

სასამართლოს ზემოთ განხილულ საქმეში პარტნიორად ყოფნა, ამავდროულად, უკავშირდება პარტნიორის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას დივიდენდის მიღების გზით, თუმცა უშუალოდ დივიდენდის მოთხოვნის უფლება პარტნიორს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში მოგების არსებობის შემთხვევაში პარტნიორთა კრება მოგების განაწილების შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას. მხოლოდ პარტნიორად არსებობა არ არის საკმარისი წინაპირობა იმისთვის, რომ მან (პარტნიორმა) აუცილებლად მიიღოს დივიდენდი. ამისათვის საჭიროა კრების გადაწყვეტილება, რომელიც პარტნიორთა თავისუფალ ნებას ემყარება.

ამ შემთხვევაში საკანონმდებლო რეგულაცია განამტკიცებს საბაზრო ურთიერთობის საფუძველზე დივიდენდის განაწილების საკითხს, კერძოდ, პარტნიორების გადასაწყვეტია გაანაწილებენ თუ არა დივიდენდს. როგორ უნდა მოიქცეს პარტნიორი თუ საზოგადოებაში წლების განმავლობაში არსებობს მოგება, ხოლო პარტნიორები არ იღებენ გადაწყვეტილებას მოგების განაწილების თაობაზე? ამის შესახებ კანონს მინიშნება არ აქვს, არც ჩვენ მიერ განხილული სასამართლო გადაწყვეტილება გვეუბნება რამეს. ასეთ შემთხვევაში აქციონერმა, სავარაუდოდ, უნდა შეძლოს აქციების გამოსყიდვა მოითხოვოს, თუ დაამტკიცებს, რომ მოგების გაუნაწილებლობის შესახებ გადაწყვეტილებამ მისი

უფლებები არსებითად შელახა, ხოლო თუ კრება მიიღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ, მაშინ, ამ შემთხვევაში, პარტნიორი საზოგადოების მიმართ კრედიტორად ჩაითვლება და მოთხოვნის უფლება ექნება, რომელიც საზოგადოებამ უნდა დააკმაყოფილოს.

საწარმოს გამოყოფა

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2014 წლის 22 ოქტომბერი, გადაწყვეტილება, საქმე #2/11056-2014

დავის საგანი: საწარმოს გამოყოფა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1]. 5, მე-14[4]. I, მე-14[4]. 5, 47-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს-ს 2013 წლის 17 დეკემბრის კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო შპს-დან ახალი საწარმოს გამოყოფის საკითხის განხილვა. ახალ საწარმოს უნდა გადასცემოდა არსებული საწარმოს ქონების 50%. შპს-ს ჰყავს ორი პარტნიორი და თითოეული მათგანი ფლობს შპს-ს 50-50%-ს. კრებაზე პარტნიორები ვერ შეთანხმდნენ ახალი სწარმოს გამოყოფასთან დაკავშირებით. მოსარჩელე ითხოვს შპს-სდან ახალი საწარმოს გამოყოფას, რადგან მისი განცხადებით მოპასუხე ლახავს, მის, როგორც პარტნიორის, კანონიერ ინტერესებს და პარტნიორს და საზოგადოებას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით, მოსარჩელე ითხოვს შპს-გან საწარმოს გამოყოფას და გამოყოფილი საწარმოსთვის 50%-იანი წილის შესაბამისად ქონების გადაცემას. მოსარჩელე ახალი საწარმოსთვის ქონების გადაცემას სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად ითხოვს. დასკვნის თანახმად, შესაძლებელია შპს-ს საკუთრებაში არსებული ფერმის ორ ნაწილად გაყოფა სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნით.

სამართლებრივი შეფასება და სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. მან აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის, მათ შორის, საწარმოს გაყოფის, შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. კანონი უშვებს საწარმოს გაყოფას მხოლოდ საწარმოს შიგნით არსებული ერთეულების მიმართ, ე.ი. ისეთი წარმონაქმნების მიმართ, რომლებიც ორგანიზაციულად გამოყოფის შემთხვევაში გააგრძელებენ საქმიანობას, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები. საწარმოს გაყოფა ხდება მაშინ, როდესაც ის ერთდროულად საქმიანობის რამდენიმე სახეს მისდევს და ორგანიზაციულად მართვა რთული ხდება. როგორც საწარმოს რეორგანიზაცია, ისე გამოყოფილ საწარმოში წილთა გადანაწილება

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით ხდება. მოცემულ შემთხვევაში კი პარტნიორთა კრებას საწარმოს რეორგანიზაციის და შპს-დან ახალი საწარმოს გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია. საწარმოს გაყოფის საფუძველს არ წარმოადგენს ის გარემობა, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად შესაძლებელია შენობა-ნაგებობების გამიჯვნა. მოსარჩელე საწარმოს გამოყოფას ითხოვს არა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14[4].5 მუხლში მითითებული საფუძვლით, არამედ პარტნიორთან უთანხმოების გამო. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი საზოგადოებაში პარტნიორთა საქმიანობის შეუძლებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლას.

კომენტარი:

აღნიშნულ საქმეში, რომელიც, ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივია, სასამართლომ ფაქტობრივად საწარმოს გაყოფის (გამოყოფის) შესაძლო საფუძვლები განსაზღვრა, კერძოდ, გაყოფა შესაძლებელია საწარმოს შიგნით არსებული ერთეულების მიმართ, ე.ი. ისეთი წარმონაქმნების მიმართ, რომლებიც, გამოყოფის შემთხვევაში, ორგანიზაციულად გააგრძელებენ საქმიანობას, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები. საწარმოს გაყოფა ხდება მაშინ, როდესაც ის ერთდროულად საქმიანობის რამდენიმე სახეს მისდევს და ორგანიზაციულად მართვა რთული ხდება. რა თქმა უნდა, ეს ერთადერთი საფუძველი არ არის, რასაც გაყოფა შეიძლება დაეყრდნოს. კანონი არ ზღუდავს პარტნიორებს, რომ სხვა ნებისმიერ საფუძველზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს გაყოფის შესახებ, თუმცა, ამავდროულად, თუ გაყოფა აზარალებს ზოგადად საზოგადოების ან აქციონერების ინტერესებს, რადგან გაყოფის ან გამოყოფის შედეგად ახლად შექმნილი საწარმოების დამოუკიდებელ ერთეულებად არსებობა შეუძლებელი ხდება, შესაძლებელია აქციონერების (უმცირესობაში მყოფი აქციონერების) მიერ რეორგანიზაციის ბათილობის მოთხოვნა სასამართლოს მეშვეობით. იგივე შეიძლება გავავრცელოთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საწარმო საქმიანობის ერთ ფორმას მისდევს და მისი ხელოვნური დაყოფა, (მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც ის ორგანიზაციულად იმართება) რთული არ არის.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 2014 წლის 31 ოქტომბერი, გადაწყვეტილება, საქმე #2/1353-14

დავის საგანი: პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.10 მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 16 ივნისს ჩატარდა შპს-ს პარტნიორთა კრება, სადაც განხილულ იქნა ხუთი საკითხი: 1. შპს-ს 2013 წლის სამეურნეო წლის წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2. შპს-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებათა დაფინანსებისთვის მისაღები ზომების შესახებ; 3. ინფორმაცია შპს-ს პაცინეტების ნაწილისგან გაწეული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის მიზეზების და ამ თანხების ამოსაღებად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; 4. შპს-ს 2013 წლის სექტემბერის თვეში 2012 წლის დივიდენდის ნაწილის (აუდიტის დასკვნის შესაბამისად) გაცემის მოწონების შესახებ; 5. შპს-ს პარტნიორებისთვის 2013 წლის დივიდენდების განაწილების შესახებ. დღის წესრიგის პირველ საკითხზე საზოგადოების ანგარიში წარუდგინა ბუღალტერმა. სამეურნეო წლის წლიური ანგარიში დამტკიცდა ისე, რომ მისი განხილვა არ ყოფილა, მიუხედავად პარტნიორთა ნაწილის მოთხოვნისა, რაც აუდიტის დასკვნით დადგენილ ხარვეზებს უკავშირდებოდა. 61% წილის მქონე პარტნიორებმა, 37%-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირეს ანგარიშის დამტკიცებას. სხვა საკითხებთან დაკავშირებით 37% წილის მქონე პარტნიორებმა კენჭისყრაში მონაწილეობა აღარ მიიღეს. მოსარჩელე ითხოვს კრების ოქმის I, მე-3 და მე-4 საკითხების ბათილობას.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა I საკითხთან დაკავშირებით დააკმაყოფილა, ხოლო მე-3 და მე-4 საკითხებთან მიმართებაში – არა.

საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე პარტნიორმა მოითხოვა განმარტება დასამტკიცებელი წლიური ანგარიშის თაობაზე. ასევე, კრებაზე მოწვეულმა აუდიტმა მიუთითა დარღვევებზე, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა ფინანსური სანქციები საზოგადოების საზიანოდ, მიუხედავად ამისა, პარტნიორებმა ანგარიში არ განიხილეს და კენჭისყრაზე გაიტანეს, რაც კანონით დადგენილ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელი არ იყო დირექტორის მონაწილეობა განხილვაში, ბუღალტერი იყო დირექციის წარმომადგენელი და შეეძლო განმარტებების გაკეთება, ხოლო ამისთვის საჭირო იყო, რომ ანგარიში კრებაზე განხილული ყოფილიყო და გამოვლენილიყო დარღვევები (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი).

სასამართლომ აღნიშნა, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელეების მოთხოვნა კრების ოქმის მე-3 და მე-4 საკითხის ბათილად გამოცხადების შესახებ, იმიტომ, რომ მათი იურიდიული ინტერესი არ იკვეთებოდა, რადგან უკვე ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიღებას გულისხმობდა.

სასამართლოს განმარტებით, პარტნიორთა კრების ოქმი მხარეთა შორის დადებულ გარიგებას წარმოადგენს და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნაზე სამოქალაქო კოდექსის ნორმები ვრცელდება. აღნიშნულ შემთხვევაში, პარტნიორთა კრებამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც კანონით დად-

გენილი მოთხოვნები დაირღვა, კერძოდ, ისე დაამტკიცა ფინანსური ანგარიში, რომ პარტნიორთა კრებაზე არ განუხილავთ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს).

კომენტარი:

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირ მითითებულია, რომ წესდება წარმოადგენს პარტნიორთა შეთანხმებას, პარტნიორთა შორის დადებულ გარიგებას, ხოლო დასახელებულ საქმეში სასამართლო მიუთითებს, რომ პარტნიორთა კრების ოქმიც მხარეთა შორის დადებული გარიგებაა, რაც სავსებით ლოგიკურია. კრების მოწვევის და ჩატარების დროს, პარტნიორებმა უნდა დაიცვან კანონით დადგენილი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრების ოქმის ბათილობის საკითხი დადგება.

ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტში მოხსენიებული ტერმინი „საწარმოს ორგანოები“, აუცილებლად კომპანიის დირექტორს ან სხვა ხელმძღვანელ პირებს არ გულისხმობს. შესაძლებელია, აღნიშნულში ვიგულისხმოთ საშუალო მენეჯმენტიც, მათ შორის, ბუღალტერი, რა თქმა უნდა, კრებაზე განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მიუღებელი დივიდენდის გაცემა

ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 2014 წლის 17 ნოემბერი, გადაწყვეტილება, საქმე #020210014617491 (2/492-14)

დავის საგანი: მიუღებელი დივიდენდის გაცემა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.10, მე-8, 47.1-ე და 47.2-ე მუხლები და საგადასახადო კოდექსის 8.12-ე მუხლი.

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

ერთ-ერთი პარტნიორი, რომელსაც შპს-ში 15%-იანი წილი აქვს, ითხოვს 2006-2010 წლებში მიუღებელი დივიდენდის 16 642.6 ლარის გაცემას. აღნიშნული პარტნიორის დაკვეთით ჩატარდა აუდიტი, რომელმაც შპს-ს მიერ დეკლარირებული მონაცემების უზუსტობა გამოავლინა. 2006-2010 წლების ფინანსური შედეგების და აუდიტის დასკვნის მიხედვით, მოგების არასწორად გაანგარიშების შედეგად დივიდენდის სახით ნაკლებად განაწილდა 110 950.75 ლარი. აუდიტორი დივიდენდის სახით გასაცემ თანხას დასაბეგრ მოგებასა და კუთვნილ მოგების გადასახადს შორის სხვაობით განსაზღვრავს. იმავე პერიოდში ჩატარდა ალტერნატიული საგადასახადო შემოწმება, რომელმაც დაადგინა აუდიტის დასკვნისგან განსხვავებული მონაცემები, მათ შორის, წლიური მოგების

ნაწილშიც. გადამოწმების შედეგები პარტნიორთა კრებაზე არ განხილულა, დამატებით გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა კრებას არ დაუდგენია.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-8 და 47-ე მუხლებზე და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ წლიური ან შუალედური მოგების არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს ამ მოგების სრულად დივიდენდის სახით პარტნიორებს შორის განაწილებას. მოგების გასაცემად აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაც ანუ ერთდროულად საჭიროა, როგორც მოგების არსებობა, ასევე, საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ.

დასახელებულ შპს-ს წესდებაში აღნიშნულია, რომ პარტნიორთა კრების კომპეტენციაში შედის წლიური შედეგების დამტკიცება, ასევე, ბიუჯეტთან და ბანკთან ანგარიშსწორება და დარჩენილი მოგებიდან საზოგადოების ფონდების შევსება. საზოგადოება მოგებას პარტნიორებს შორის ანაწილებს მას შემდეგ, რაც დაასრულებს ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან და ბანკთან და საზოგადოების ფონდებს შეავსებს. ამის შემდეგ, დარჩენილი მოგება პარტნიორებს შორის პროცენტულად ნაწილდება. სასამართლომ აღნიშნა, რომ დივიდენდის ფონდის შექმნა პარტნიორთა კრების კონსტიტუციური უფლებაა და სასამართლოსაც არ შეუძლია პარტნიორთა კრებას დივიდენდის იმაზე მეტი ოდენობით გაცემა დაავალოს, ვიდრე ეს კრებამ დაადგინა.

კომენტარი:

გარდა იმისა, რომ სასამართლო მსჯელობს დივიდენდის გაცემის საკითხებზე, რაც სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებში უკვე განვიხილეთ (კერძოდ, ერთდროულად საჭიროა როგორც მოგების არსებობა, ასევე კრების გადაწყვეტილება დივიდენდის გაცემის შესახებ, იმისათვის, რომ პარტნიორებზე დივიდენდი გაიცეს), სასამართლო აღნიშნავს დივიდენდის ფონდის, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ფონდის, შექმნის შესაძლებლობას და ამას საწარმოს კონსტიტუციურ უფლებას უწოდებს. კერძოდ, მოგება შეიძლება მივმართოთ საზოგადოების ქონების, საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად და სხვა ისეთი ფინანსური აქტივის შესაქმნელად, რომელიც საწამოს ფინანსური პოტენციალს გაზრდის და საზოგადოებას დაეხმარება, როგორც საკუთარი მიზნების განხორციელებაში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში კრედიტორების დაკმაყოფილებაში.

პარტნიორისთვის კომპანიის დოკუმენტის გაცნობა-გადაცემა

რუსთავის საქალაქო სასამართლო, 2014 წლის 23 დეკემბერი, გადაწყვეტილება, საქმე #(2/10814-14)

დავის საგანი: პარტნიორისთვის კომპანიის დოკუმენტის გაცნობა-გადაცემა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.10, 46.4-ე და სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელემ, რომელიც შპს-ს 39% წილის მქონე პარტნიორია, შპს-ს გენერალურ დირექტორს მოსთხოვა 2013-2014 წლების საზოგადოების საქმიანობის ამსახველი საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტების გაცნობა-გადაღება, რაც მოპასუხე მხარემ სრულად არ განახორციელა. მოსარჩელე მხარეს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა შპს-ს 2013 წლის იანვრის და თებერვლის შესყიდვების შესახებ ინფორმაციას, 2013 წლის დღგ-ს და საშემოსავლოს დეკლარაციებს, 2013 წლის მოგების და ქონების დეკლარაციებს, 2013 წლის ფულის მოძრაობის უწყისს და 2013 და 2014 წლების შემოსავლების სამსახურთან შედარების აქტს. მოსარჩელე მხარეს მოთხოვნილი ჰქონდა 2013-2014 წლების შემდეგი ინფორმაცია:

1. პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო და ფინანსური დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები განისაზღვრება და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები;
2. სადამფუძნებლო დოკუმენტები შემდგომში შეტანილი ცვლილებებით;
3. პარტნიორთა კრების ოქმები და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები თავისი დანართებით;
4. საგადასახადო ორგანოს მიერ შედგენილი აქტები მითითებულ პერიოდში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
5. აუდიტის დასკვნები;
6. საანგარიშო პერიოდების მიხედვით წლიური ბრუნვითი ბალანსი;
7. საანგარიშო პერიოდების მიხედვით საბუღალტრო დოკუმენტები და სააღრიცხვო მონაცემები, რომლებშიც ასახვა ჰპოვა ამა თუ იმ ოპერაციებმა;
8. საანგარიშო პერიოდის მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულებები;
9. საანგარიშო პერიოდების მიხედვით სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები;
10. საანგარიშო პერიოდების მიხედვით გაწეული საგადასახადო და არასაგადასახადო ხარჯების დამადასტურებელი საბუღალტრო დოკუმენტები; არასაგადასახადო ხარჯების დამადასტურებელი საბუღალტრო დოკუმენტები;
11. საანგარიშო პერიოდების მიხედვით დამატებითი ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები;

12. საანგარიშო პერიოდების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები;
13. საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების და ქონების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები;
14. საანგარიშო პერიოდების მიხედვით მემორიალური ორდერები;
15. საანგარიშო პერიოდების მიხედვით სალარო წიგნების მატერიალური და ელექტრონული ვერსია;
16. საანგარიშო პერიოდების მიხედვით ფულის მოძრაობის უწყისი;
17. საანგარიშო პერიოდების მიხედვით ბრუნვითი უწყისი;
18. საანგარიშო პერიოდების მიხედვით ბანკებში არსებული სალარე და სავალუტო ანგარიშების სრული ამონაწერი;
19. საანგარიშო პერიოდების მიხედვით შემოსავლების სამსახურთან შედარების აქტები;
20. დებიტორების და კრედიტორების სრული გაშიფრული ნუსხა, 2014 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით;
21. 2014 წლის საცდელი ბალანსი;
22. საანგარიშო პერიოდების მიხედვით აღებული სესხები და მომსახურების ამსახველი დოკუმენტები.

მოსარჩელეს მოთხოვნილი საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტების ნაცვლად შპს-ს აუდიტორული დასკვნა გადაეცა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს-ს მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილი უკვე დაკმაყოფილებული ჰქონდა, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არის აუცილებელი პარტნიორმა წერილობით მიმართოს საწარმოს თავისი მოთხოვნის შესახებ იმისათვის, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, საკმარისია საზოგადოების დირექტორის მიერ საზოგადოების პარტნიორებისთვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გასაცნობად ნების არარსებობა. საწარმოს წესდებაში, ასევე მითითებულია, რომ პარტნიორი შეიძლება ფლობდეს იმ უფლებას, რომელიც წესდებაში ასახული არ არის, მაგრამ კანონით გათვალისწინებულია. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიზანია საწარმოს საქმიანობისთვის ხელის შეშლა და თანამშრომლების მოცდენა, ასევე ის, რომ საწარმოს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მოსარჩელისთვის 2005-2012 წლების დოკუმენტაციის გაცნობა-გადაცემა. მოსარჩელე ითხოვს მისთვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გადაცემას, რაც მისი მხრიდან არ შეიძლება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად.

კომენტარი:

აღნიშნულ საქმეში განსაკუთრებით საინტერესოა დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც ფაქტობრივად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საკმაოდ ვრცელ და, ამავდროულად, პირდაპირ განმარტებას წარმოადგენს. კერძოდ, ყოველ პარტნიორს, მოთხოვნილი ინფორმაციის სიდიდის მიუხედავად, საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება აქვს. ასევე არ შეიძლება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, მიუხედავად იმისა, კომპანიას მოთხოვნილი ინფორმაციის გასაცემად რა დრო და რესურსები სჭირდება.

აღნიშნული, ინვესტორების მიერ საკუთარი ინტერესების საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე, დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

აქციონერთა სხდომის ოქმის გაუქმება

სამტრედიის რაიონული სასამართლო, 2014 წლის 17 დეკემბერი, გადაწყვეტილება, საქმე #2/283 (060210014638974)

დავის საგანი: აქციონერთა სხდომის ოქმის გაუქმება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე, 53-ე და 54-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელეები სააქციო საზოგადოებაში ფლობენ აქციების 10%-ს. მათი მოთხოვნით მოწვეულ იქნა საერთო კრება, სადაც მოსარჩელეებმა დღის წესრიგში მათი კუთვნილი აქციების შესაბამისი ქონებით ნატურით გამიჯვნის (აქციების შესაბამისი ქონების ნატურით გადაცემის) საკითხი დააყენეს. სააქციო საზოგადოების 90%-ს ფლობს სახელმწიფო. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების კომპეტენცია არ იყო და სასამართლოსთვის უნდა მიემართათ. შესაბამისად, კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული არ იქნა არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტილება., მოსარჩელეები ითხოვენ, რომ საერთო კრების მეშვეობით აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოხდეს, რადგან ეს საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ მოსარჩელეების მოთხოვნა დააკმაყოფილა. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აქცია თავისი არსით წარმოადგენს აქციონერსა და სააქციო საზოგადოებას შორის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების დამადასტურებელ დოკუმენტს. კონტრაჰენტებს ერთმანეთის მიმართ გარკვეული უფლებები და მოვალეობები აქვთ. აქციონერთა უფლებები შეიძლება დაიყოს ქონებრივ და

მმართველობით უფლებებად. მმართველობით უფლებათა კატეგორიაში მოიაზრება რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნის უფლება. საერთო კრება საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა და მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, მოსარჩელეებმა დღის წესრიგში სააქციო საზოგადოების საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი დააყენეს, რაზეც კრებას შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიეღო. საერთო კრება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება მის კომპეტენციაში შემავალ საკითხზე და მის გადაწყვეტას თავი არ აარიდოს. სასამართლო აქციონერთა მიერ აქციათა შესაბამისად ნატურით გამიჯვნის თაობაზე მხოლოდ მაშინ მიიღებს გადაწყვეტილებას, როცა აღნიშნულ საკითხზე დავა წარმოიშობა და ამ კუთხით უფლებამოსილი პირი სასამართლოში უფლების დარღვევის შესახებ საკითხს დააყენებს. მოცემულ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებამ უნდა დაიცვას ფორმალური მხარე და კანონის ფარგლებში ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.

კომენტარი:

საბაზრო ურთიერთობებისთვის შეიძლება საინტერესო იყოს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მოთხოვნისა (განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს აქციონერი სახელმწიფოა), სასამართლომ საერთო კრებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მაინც არ მიიღო. კერძოდ, მან მიუთითა, რომ საერთო კრებამ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე და სასამართლო მხოლოდ დავის შემთხვევაში მიიღებს მას (გადაწყვეტილებას).

რაც შეეხება აქციას, სასამართლომ მიუთითა, რომ წესდების და პარტნიორთა კრების ოქმის მსგავსად, ისიც (აქციაც) პარტნიორთა შეთანხმებაა – გარიგება აქციონერსა და სააქციო საზოგადოებას შორის, რაც ასევე საბაზრო ურთიერთობის გამყარების საფუძველს წარმოადგენს.

საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2012 წლის 27 აპრილი, გადაწყვეტილება, საქმე #2/7228-2011

დავის საგანი: საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა **განმარტებული ნორმები:** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[1]-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

სააქციო საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 20000000 ლარს. მოსარჩელე სააქციო საზოგადოებაში 1.794.280 ცალ აქციას ფლობს. 2011 წლის 23 თებერვალს ჩა-

ტარდა სს-ს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელსაც მოსარჩელე არ ესწრებოდა. სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დამტკიცებულიყო დირექტორის გადაწყვეტილება 2010 წლის 14 ოქტომბერს ჩატარებული აქციონერთა კრების მიერ გამოშვებული კომპანიის საკუთარი აქციების ნაწილის კომპანიის აქციონერებზე პროპორციულად განაწილების შესახებ შემდეგი პირობებით: აქციების განაწილება განხორციელდებოდა სამ ტრანშად, თითოეული აქციის ღირებულება შეადგენდა 0.764 აშშ დოლარს, ხოლო ყოველ ტრანშში განაწილებული აქციების რაოდენობა შეადგენდა: ა) პირველი ტრანში: 654450 აქცია 2011 წლის 25 თებერვალს; ბ) მეორე ტრანში: 981675 აქცია – 2011 წლის 25 აპრილს; გ) მესამე ტრანში: 981675 აქცია – 2011 წლის 25 ივნისი.

სს-ს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების 2011 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცდა საზოგადოების წესდების ახალი რედაქცია და ამავე კრების გადაწყვეტილებით მოსარჩელე გამოყვანილ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან. ასევე, საერთო კრებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად, გაუქმდა 85%-იანი ქვორუმი და 75%-მდე შემცირდა იმ საკითხებთან დაკავშირებით, სადაც უფრო ნაკლები ქვორუმი კანონით არ არის გათვალისწინებული, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, შეიცვალა 50%+1 ქვორუმით.

აღნიშნული კრების შემდეგ, 2011 წლის 27 მაისს, მოსარჩელემ სამეთვალყურეო საბჭოს მიმართა და გენერალურ დირექტორს მიუთითა, რომ საერთო კრების გადაწყვეტილებით არსებითად გაუარესდა მისი მდგომარეობა საზოგადოებაში და კუთვნილი აქციების შეფასება და გამოსყიდვა მოითხოვა. სამეთვალყურეო საბჭომ გამოსყიდვაზე უარი უთხრა აქციების.

მოსარჩელე თვლის, რომ საერთო კრებამ და სამეთვალყურეო საბჭომ მოსარჩელის პოზიციის საწინააღმდეგოდ მიიღეს გადაწყვეტილებები, რის შემდეგაც არსებითად გაუარესდა მისი სტატუსი სს-ში, მას აღარ აქვს შესაძლებლობა, რომ ზეგავლენა მოახდინოს საერთო კრების გადაწყვეტილებებზე, მოკლებულია შესაძლებლობას ჰყავდეს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში, არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებზე და იმ მოცულობის ინფორმაციას ფლობდეს, რის შესაძლებლობასაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა იძლევა, შესაბამისად, ითხოვს დაეკისროს სააქციო საზოგადოებას მოსარჩელის მფლობელობაში არსებული 1794280 აქციის გამოსყიდვა. ერთი აქციის ღირებულება, მის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, 2.4735 ლარს შეადგენს, რაც მთლიანობაში 4438141 ლარია.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. მან აღნიშნა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^1-ე მუხლი დეტალურად განიხილავს აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს და საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის წინაპირობას ადგენს, კერძოდ: აქციონერს აქციების გამოყიდვის უფლება წარმოეშობა, თუ საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილებების

შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან საწარმოს რეორგანიზაციას ეხება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რაში გამოიხატა მითითებული კრებების გადაწყვეტილებით მისი უფლებების არსებითი შელახვა. ამასთან, მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია არც ერთი კრების ოქმი და აქციონერი ითხოვს საზოგადოების მიერ აქციის გამოსყიდვას სამართლებრივი წანამძღვარის არსებობის გარეშე. მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ისეთ ცვლილებას არ წარმოადგენს, რომელიც აქციონერის უფლებებს არსებითად ლახავს. კრებას არ მიუღია ისეთი გადაწყვეტილება, რაზეც 53[1-]ე მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული. ასევე, დასახელებული მუხლით საზოგადოებამ, აქციონერის მოთხოვნის შემდეგ უნდა შეაფასოს აქციები, ხოლო ამ შემთხვევაში აქციები შეფასებულ იქნა თავად მოსარჩელის მიერ. დამატებით, სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ 53[1-]ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ გადასახდელი თანხა კოპორაციის კაპიტალის 25%-ს აღემატება. ამ შემთხვევაში კი მოსარჩელის მიერ შეფასებული აქციების ღირებულება სს-ს კაპიტალის 25%-ს აღემატება.

კომენტარი:

აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძებელია გახდეს კრიტიკის საგანი, რადგან სასამართლოს განცხადების მიუხედავად – რომ საერთო კრების გადაწყვეტილებით არ დასტურდება მოსარჩელის უფლებების შელახვა, მოსარჩელის მმართველობითი უფლებები ნამდვილად უარესდება, იმიტომ, რომ კვალიფიციური უმრავლესობის ნაცვლად, რაც უმცირესობაში მყოფი აქციონერების მონაწილეობას განაპირობებდა, გადაწყვეტილების მიღება 2/3-ით ან უბრალო უმრავლესობით მოხდება. ასევე, მიუხედვად იმისა, რომ გამოსასყიდად შეთავაზებული აქციების ღირებულება კაპიტალის 25%-ს აღემატება, ამავე მუხლის მე-8 პუნქტით შესაძლებელია ასეთი აქციების პროპორციული წესით გამოსყიდვა.

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009 წლის 20 იანვარი, განჩინება, საქმე #ას-860-1074-08

დავის საგანი: აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე იყო სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 10%-ის აქციათა მფლობელი აქციონერი. 2005 წლის 18 იანვარს მისთვის ცნობილი გახდა, რომ კუთვ-

ნილი 10% აქციების ნაცვლად მხოლოდ 1.54% აქვს. 2000 წლის 15 მაისს ჩატარებულა სს-ს აქციონერთა კრება, რომელზეც მიუღიათ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ. საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 110 000 ლარით, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 40 ლარის ოდენობით და გამოშვებულ იქნა 3 250 ცალი აქცია. აღნიშნულის შედეგად 94.83%-მდე გაიზარდა ერთ-ერთი აქციონერის (რომელიც, ამავდროულად, კორპორაციის დირექტორია) წილი, რომელსაც თავდაპირველად ჰქონდა 65.4% და, იმავდროულად, განხორციელდა ყველა აქციონერის წილის კორექტირება. საწესდებო კაპიტალის გაზრდამდე საწარმოს აქციების ოდენობა შეადგენდა 500 ერთეულს და მოსარჩელე 50 აქციას ფლობდა, საწესდებო კაპიტალის შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საზოგადოების წესდებაში. მოსარჩელე, როგორც აქციათა 10%-ის მესაკუთრე, საერთო კრებაზე დაზღვეული წერილით უნდა მიეწვიათ, რაც არ მომხდარა. მოსარჩელეს კრების გამართვისა და მასზე განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ გააჩნდა.

სადავო 2000 წლის 15 მაისის კრების ოქმიდან ირკვევა, რომ დირექტორმა (თითქოსდა) აქციონერებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საზოგადოების ანგარიშზე 1999 წლის აგვისტოდან შეიტანა საკუთარი თანხა – 36 216 ლარი, მასვე, უახლოეს დროში შესატანი აქვს კიდევ 73 784 ლარი, სულ მისი შესატანი შეადგენს 110 000 ლარს, რომლითაც მიზანშეწონილია გაიზარდოს საწესდებო კაპიტალი. ამდენად, ამ შემთხვევაში, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა იმ თანხით (36 216 ლარი), რომელსაც უკვე ფლობდა საზოგადოება და იმ თანხით (73 784 ლარი), რომლის საზოგადოებისთვის გადაცემაც მოხდებოდა გაურკვეველ დროს. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ამ სახით ნებისმიერ აქციონერს შეეძლო გაეკეთებინა განცხადება, რომ იგი უახლოეს მომავალში საზოგადოებაში შეიტანდა სოლიდურ თანხას და ამ გზით საზოგადოებაში საკუთარი წილს გაზრდიდა, რაც საზოგადოების ინტერესებს არ ემსახურებოდა. ამასთან, საწესდებო კაპიტალის გაზრდისას არ ყოფილა გათვალისწინებული ის გარემოება,რეალურად რა ოდენობის თანხა ესაჭიროებოდა საზოგადოებას და მიზანშეწონილი იყო თუ არა კაპიტალის გაზრდა. მოსარჩელის განცხადებით, აქციონერთა კრებაზე დაირღვა მისი ძირეული უფლებები, შეუმცირდა მისაღები დივიდენდების ოდენობა, დაირღვა საკუთრების უფლება და არ მიეცა უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული კრების ოქმის ბათილად გამოცხადებას. საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ის და სააქციო საზოგადოებამ სააპელაციოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქმეში წარმოდგენილია სს-ს 18.01.2005 წლის წერილი აქციონერისადმი, რომლითაც მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის საფუძველზე გაეგზავნა აღნიშნული დროისთვის მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის, შესატანისა და წილის შესახებ ამონაწერი აქციათა რეესტრიდან. აქციონერი საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მისთვის შეტყობის დროდ სწორედ ზემოთ მითებული წერილით ინფორმირების პერიოდს, კერძოდ, 2005 წლის იანვარს ასახელებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კორპორაციის საჩივარი და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ წელს მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს, ხოლო დასახელებული ნორმის მეორე პუნქტის თანახმად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

საქმეზე დადგენილია და სადავო არ არის, რომ მოსარჩელე, როგორც საზოგადოების აქციათა 10%-ის მფლობელი აქციონერი, 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა საერთო კრებაზე არ ყოფილა მიწვეული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.2-ე მუხლით დადგენილი წესით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), კერძოდ, მას კრებაზე მოსაწვევი არ გაგზავნია დაზღვეული წერილით, რის გამოც სააქციო საზოგადოების მხრიდან უხეშად დაირღვა აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა და აქციონერთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ აქციონერის უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ასეთ შემთხვევაში საერთო კრების ოქმის მიმართ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15.2 მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადა (კრების ოქმის შედგენიდან) ვერ გავრცელდება.

მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის წარმოშობის დრო, ანუ როდესაც აქციონერმა 2000 წლის 15 მაისს სს-ს აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ შეიტყო ან მას აღნიშნულის შესახებ უნდა შეეტყო.

საქმის მასალებით არ დგინდება და არც კასატორს აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ აქციონერს აღნიშნული კრების გადაწყვეტილების შესახებ მანამდე ეცნობა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორად განისაზღვრა ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი – 2005 წლის იანვარი, რის შესაბამისადაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15.1 მუხლის გათვალისწინებით სარჩელი ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ზემოთ მითითებულმა პროცედურულმა დარღვევამ, თავის მხრივ, განაპირობა აქციონერის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59.7-ე მუხლით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) მინიჭებული არსებითი უფლების – აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შეუძლებლობა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შეძენის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ აქ-

ციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრების აქციონერის მიწვევის გარეშე ჩატარებით უხეშად არის დარღვეული აქციონერის უფლება.

კომენტარი:

საინტერესო განჩინებაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მათ შორის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის დღეს მოქმედ რედაქციას, კერძოდ, აქციონერის მიწვევის გარეშე კრების ჩატარების შეთხვევაში უხეშად ირღვევა აქციონერის უფლებები, რაზეც არა ორთვიანი ან ერთ წლიანი ხანდამზულობის ვადა, არამედ ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება. აღნიშნული – აქციონერის უფლებების დაცვის და განხორციელების ეფექტური საშუალებაა.

დირექტორის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2000 წლის 16 ივნისი, განჩინება, საქმე #3კ/275

დავის საგანი: დირექტორის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება
განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე იყო სახაზინო საწარმოს დირექტორი და 1997 წლის 26 ივნისს გაათავისუფლეს თანამდებობიდან, რადგან ორი სახაზინო საწარმო (მათ შორის ის სახაზინო საწარმოც, რისი დირექტორიც მოსარჩელე იყო) გაუქმდა და მათ ბაზაზე ახალი შეიქმნა. მოსარჩელე სამსახურში აღდგენას და იძულებით განაცდურის ანაზღაურებას ითხოვს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აჭარის არ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, აჭარის არ უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა არა არსებული საწარმოების რეორგანიზაცია, არამედ მათი ლიკვიდია, ხოლო მათ ბაზაზე ახალი ფუნქციონალური დატვირთვების მატარებელი საწარმო შეიქმნა. უზენაესმა სასამართლომ განჩინებით აჭარის არ უმაღლეს სასამართლოს დაუბრუნა საქმე, კერძოდ, მან (უზენაესმა სასამართლომ) აღნიშნა, რომ სახეზე იყო ორი საწარმოს შერწყმა და უმაღლეს სასამართლოს დაავალა გაერკვია ამჟამად რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არსებობდა მოქმედი საწარმო.

ახალი საწარმო თავდაპირველად არსებობდა სახაზინო საწარმოს ფორმით, თუმცა შემდეგ გადაკეთდა შპს-დ.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

აჭარის არ უმაღლესმა სასამართლომ კვლავ არ დააკმაყოფილა სარჩელი, ხოლო უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საწარმოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი და საწარმოს დამფუძნებელს, მათ შორის, სახაზინო საწარმოს დამფუძნებელს, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო, უფლება აქვთ დირექტორად დანიშნონ მათთვის სასურველი კადიდატურა, რადგან ერთი საწარმოს სამართალმემკვიდრეობა კადრების საკითხში სამართლამემკვიდრეობას არ ნიშნავს. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამჟამად სახაზინო საწარმო რეგისტრირებულია შპს-ს ფორმით, ხოლო შპს-ში პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას დირექტორის დანიშვნის, მასთან შრომითი ხელშეკრულების დადების ან შეწყვეტის შესახებ.

კომენტარი:

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლები, რომელთა მიხედვითაც მსჯელობს უზენაესი სასამართლო, დღეს სახეცვლილი ფორმით, თუმცა იგივე შინაარსითაა წარმოდგენილი. ეს უკავშირდება 47-ე მუხლს, სადაც პარტნიორთა კრების უფლებამოსილება დირექტორის დანიშვნასთან და გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დღეს მოქმედი რედაქციით გადატანილია მე-9[1] მუხლში. თუმცა, ამავდროულად, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს დათქმა, რომ სამართალმემკვიდრეობა კადრების საკითხებში სამართალმემკვიდრეობას არ გულისხმობს.

კადრების მხრივ სამართალმემკვიდრეობის საკითხი დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსახვავებულად გადაწყდება, რადგან „შრომის კოდექსის“ მე-6 მუხლის I[5] პუნქტის თანახმად, საწარმოზე, რომელიც შექმნილია რეორგანიზაციის შედეგად, სხვა მეწარმე სუბიექტის აქტივების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის ან თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე, გავრცელდება შრომის კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვები, მათ შორის, ხელშეკრულების ვადებთან დაკავშირებით.

თუმცა ეს უკავშირდება ზოგადად კადრებს, დირექტორთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკა კვლავ უცვლელია და დამფუძნებლის მიერ დირექტორის ნებისმიერ დროს გათავისუფლებას ითვალისწინებს.

დირექტორის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ზუგდიდის რაიონული სასამართლო, 2013 წლის 28 ოქტომბერი, გადაწყვეტილება, საქმე #2/354-13 (#020210013265966)

დავის საგანი: დირექტორის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] და 47-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს ითხოვს, რომ მის ყოფილ დირექტორს დაეკისროს თანხის გადახდა კომპანიის სასარგებლოდ. მოპასუხე კომპანიის დირექტორად მუშაობდა 2005-დან 2010 წლამდე. შპს-ს წესდების 7.2 მუხლის თანახმად, საზოგადოების საქმიანობას სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ასევე, შპს-ს წესდების მე-8.1 მუხლის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ეკისრება დირექტორს, რომელიც მოქმედებს ერთპიროვნულად. შპს-ს წესდების მე-8.5 მუხლის თანახმად, დირექტორი საზოგადოების საქმეს უნდა გაუძღვეს ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და კეთილსინდისიერებით. თუ დირექტორი ამ მოვალეობას არ შეასრულებს, წარმოშობილი ზარალისთვის პარტნიორების წინაშე აგებს პასუხს. საზოგადოების დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას თავისი მოვალეობა არ დაურღვევია.

შპს-ს წესდების თანახმად, დირექტორი პასუხისმგებელია მასზე, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს მოქმედი საბუღალტრო საქმეების, აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს-ს წესდების თანახმად, დირექტორის უფლებამოსილებაში შედის საშტატო განრიგის დამტკიცება, საზოგადოების მუშაკების სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან გათავისუფლება.

2010 წლიდან 2011 წლამდე ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომელმაც 2005 წლიდან 2010 წლამდე არსებული პერიოდი მოიცვა. საბოლოოდ, საგადასახადო შემოწმების შედეგად, შპს-ს დაერიცხა ჯარიმა, რომელიც გაასაჩივრა მედიაციის საბჭოში. საბოლოოდ, შპს-სთვის დაკისრებულმა თანხამ 65 000 ლარი შეადგინა. მოსარჩელე ითხოვს, რომ აღნიშნული თანხის გადახდა საზოგადოების ყოფილ დირექტორს დაეკისროს.

2011 წელს, საგადასახადო შემოწმების შედეგების შესწავლისა და გასაჩივრების მიზნით, შპს-მ იურიდიული და აუდიტორული მომსახურების კომპანია დაიქირავა, რომლის მომსახურების ღირებულებამ 40 566 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხის ფარგლებში, მოსარჩელე მოპასუხისგან 38 066 ლარის გადახდას ითხოვს.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე, ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში, დირექტორთა პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ საზოგადოების ქონება, მათი უპირველესი ვალდებულებაა ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილება. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისთვის წარმოშობს შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას, ანუ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

საზოგადოებასა და მის ყოფილ დირექტორს შორის დავაში (ყოფილი დირექტორის მიერ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით) მტკიცების ტვირთი ყოფილ დირექტორს ეკისრება. სამეწარმეო საზოგადოების წინაშე მისი დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც საზოგადოებას მიადგა და რომ ის გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით მოქმედებდა.

დირექტორის პასუხისმგებლობა და კომპეტენცია ასევე საწარმოს წესდებით იყო განსაზღვრული.

სასამართლომ ყოფილ დირექტორს პასუხისმგებლობა მარტო ჯარიმის ნაწილში დააკისრა, რადგან საგადასახადო შემოწმების დროს არსებული ჯარიმა უშუალოდ მისი დირექტორობის პერიოდს დაემთხვა. რაც შეეხება აუდიტორული მომსახურების ღირებულებას, სასამართლომ აღნიშნული თანხა მოპასუხეს არ დააკისრა, რადგან ხელშეკრულების დადების დროს შპს-ს დირექტორი სხვა პირი იყო.

კომენტარი:

სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან აქტუალურია, რადგან დირექტორის მიერ კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევით განხორციელებულ ქმედებას უკავშირდება. ასევე, დირექტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი საზოგადოებასთან დავის დროს – უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებები კანონთან და წესდების ნორმებთან შესაბამისობაში იყო. დირექტორს, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, საზოგადოების საქმეების გაძღოლა ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით ევალება.

საქმეში განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ დირექტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი (რაც უფრო ადრე განმტკიცდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით) და სასამართლო საუბრობს „სამეწარმეო გადაწყვეტილებებზე“. შპს-სთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ კომპანიის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

საწარმოს სახელით დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

უზენაესი სასამართლო, 2008 წლის 8 დეკემბერი, განჩინება, საქმე #ას-566-796-08

დავის საგანი: საწარმოს სახელით დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] და 47-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

აქციათა 15%-ის მფლობელი აქციონერი უჩივის სააქციო საზოგადოებას და ითხოვს სააქციო საზოგადოების 2002 წლის 23 ოქტომბრის #2 სხდომის ოქმის და 2002 წლის 31 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. მოსარჩელის აზრით, სამეთვალყურეო საბჭომ დაარღვია ხელმძღვანელობის მოვალეობა, რადგან იჯარის ხელშეკრულება საზოგადოებისათვის არახელსაყრელი გარიგება იყო. სააქციო საზოგადოებამ იჯარის ხელშეკრულება დადო საწარმოსთან, რომლის მესაკუთრე სააქციო საზოგადოების ყოფილი დირექტორი იყო. იჯარის ხელშეკრულებით, სააქციო საზოგადოების მთელი ქონება მეორე საწარმოს გადაეცა. საიჯარო ქირა წელიწადში 35000 ლარს შეადგენდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ბათილად ცნო დადებული იჯარის ხელშეკრულება, თუმცა ბათილად არ ცნო სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. პირველი ინსტანციის სასამართლოს აზრით, სადავო იჯარის ხელშეკრულების დადებით, მისმა მონაწილეებმა, ფაქტობრივად საზოგადოების ლიკვიდაცია მოახდინეს, რადგან, როგორ წარმატებულადაც არ უნდა გამოიყენოს მოიჯარემ გადაცემული ქონება და რაოდენ დიდი შემოსავალიც არ უნდა მიიღოს, საიჯარო ქირა სააქციო საზოგადოებისთვის წელიწადში მაინც 35000 ლარი იქნება. სასამართლოს მოსაზრებით, იჯარის ხელშეკრულება არ იყო დადებული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და ნამდვილი იურიდიული შედეგის მისაღწევად. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააქციო საზოგადოების მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციოს გადაწყვეტილება და საქმე ისევ სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა, რომელმაც სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა.

კომენტარი:

აღნიშნული საქმე, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეულწილად განმარტავს საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ, რა სახის გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისი. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლო შეეხო ხელმძღვანელობის მოვალეობას და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას. ზემოთ მოყვანილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მეცხრე მუხლის ახალი რედაქცია. ძველი რედაქციით ხელმძღვანელობის მოვალეობანი მეცხრე მუხლის მე-7 პუნქტში იყო განმარტებული. კერძოდ, ხელმძღვანელები ვალდებულები იყვნენ, რომ საზოგადოების საქმეებს გაძღოლოდნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. ძველი რედაქცია სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისთვის ითვალისწინებდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით სააქციო საზოგადოების დირექტორებისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება უფლებამოსილებას, კანონის ძველი რედაქციით, სააქციო საზოგადოების საერთო კრების თანხმობა არ მოითხოვებოდა საწარმოს მიერ ქონების გასხვისების და/ან დატვირთვის დროს. საკმარისი იყო მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. ამჟამად აღნიშნული უფლებამოსილება (თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) შენარჩუნებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს, თუმცა ეს უფლებამოსილება (ასევე თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ლ) ქვეპუნქტის თანახმად, ასევე, მინიჭებული აქვს აქციონერთა საერთო კრებას.

ბოლოს, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ საზოგადოების მთელი ქონების იჯარით გაცემა საზოგადოების ლიკვიდაციად მიიჩნია, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო სასამართლოს არგუმენტაცია (გარდა ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევისა), აღნიშნული გარიგების რატიფიცირებისთვის მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა რატომ არ იყო საკმარისი. კერძოდ, ლიკვიდაციის დასაწყებად აქციონერების გადაწყვეტილება სავალდებულო იყო. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, აქციონერებს გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ.

მეპაიეთა კრების და კრების შედეგების ბათილად ცნობა

უზენაესი სასამართლო, 2001 წლის 14 სექტემბერი,
განჩინება, საქმე #3კ/616-01

დავის საგანი: მეპაიეთა კრების და კრების შედეგების ბათილად ცნობა
განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

კოოპერატივი შედგებოდა 92 წევრისგან, ჰყავდა ორი დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო 7 წევრის შემადგენლობით.

1999 წლის 24 სექტემბერს კოოპერატივის დირექტორმა მოიწვია საერთო კრება, რომელზეც მეორე დირექტორი შეიცვალა, განახლდა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და კოოპერატივს სახელწოდება გადაარქვეს. 1999 წლის 4 ოქტომბერს კრების ოქმის და შედეგების ბათილად ცნობის შესახებ მოსარჩელემ შეიტანა საჩვარი. სასამართლოს მიერ აღნიშნული საჩივარი არ იქნა განხილული და დატოვებულ იქნა რეაგირების გარეშე. მოსარჩელეს სიტყვიერად განემარტა, რომ მას შეეძლო ედავა სასარჩელო წესით.

2000 წლის 19 მაისს გადარჩეულმა დირექტორმა აღნიშნული ცვლილებები კვლავ გაასაჩივრა და კრების ოქმის და კრების შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. აღნიშნული მოთხოვნა რაიონულმა სასამართლომ ხანდაზმულობის გამო არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, რაიონული სასამართლოს სიტყვიერად კი არ უნდა განემარტა, არამედ ვალდებული იყო მოსარჩელისთვის მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, დადგენილად ცნო, რომ კოოპერატივის მეპაიეთა საერთო კრება მოწვეულ და ჩატარებულ იქნა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 63-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ, საერთო კრების მოწვევის შესახებ გაზეთში კანონით გათვალისწინებული სამი კვირის ნაცვლად 4 დღით ადრე გამოქვეყნდა. კრება გამგეობის ნაცვლად მოიწვია დირექტორმა. კრების ოქმს გამგეობის წევრების ნაცვლად ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. მასში მითითებული არ არის კრების ჩატარების ადგილი და კენჭისყრის სახეობა.

სასამართლომ მიუთითა, რომ კოოპერატივის წესდებაში ცვლილებები სავალდებულო ძალას იძენს, როცა მათ სარეგისტრაციოდ სასამართლოს წარუდგენენ. მოცემულ შემთხვევაში, კოოპერატივის საერთო კრებაზე წესდების 7.7 მუხლში შეტანილ იქნა დამატება, კერძოდ, „საერთო კრება უფლებამოსილია თანამდებობის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისთვის ვადამდე ადრე დაითხოვოს ორივე ან ერთ-ერთი დირექტორი და მათ ნაცვლად ახალი დირექტორი აირჩიოს “. კრებამ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელეს შეწყვეტოდა უფლებამოსილება და მისი უფლებამოსილება გადაცემოდა სხვა მეპაიეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა უზენაეს სასამართლოში.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ 1999 წლის 4 ოქტომბერს („მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15.2 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში) საჩივრით მიმართა სასამართლოს მოთხოვნის არსებობის შესახებ. საჩივრის შეტანით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა და რადგან სასამართლოს მიერ აღნიშნული საჩივარი დატოვებული იყო რეაგირების გარეშე, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სამოქალაქო კოდექსის 139-ემუხლის I ნაწილის თანახმად გრძელდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ არ იყო დარღვეული მეპაიეთა საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.

მოპასუხე მხარე თვლიდა, რომ მიუხედავად საერთო კრების მოწვევის და ჩატარების დარღვევებისა, აღნიშნული დარღვევები არ იყო არსებითი ხასიათის და ამიტომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

უზენაესი სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ გარდა საერთო კრების მოწვევის და ჩატარების დროს გამოვლენილი დარღვევებისა, კოოპერატივმა წესდებაში შეტანილი ცვლილება მის ოფიციალურ რეგისტრაციამდე განახორციელა ყოფილი დირექტორის მიმართ, კერძოდ, ეს უკანასკნელი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

კომენტარი:

აღნიშნულ საქმეში ორი საკითხი არის საინტერესო. პირველი ის, რომ ფორმალური პროცედურების დარღვევით ჩატარებული კრება სასამართლომ ბათილად ცნო და მეორე, წესდების ახალი ცვლილება იქამდე, სანამ რეგისტრაცია არ განხორციელდებოდა ოფიციალური გზით, ვერ იქნებოდა პრაქტიკაში გამოყენებული.

პირველი საკითხი დღემდე აქტუალურია და შეიძლება სხვა ნებისმიერი საწარმოს მიმართ (რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის კანონით და წესდებით გათვალისწინებული ნორმების დაცვით) გამოვიყენოთ, როგორც კანონის ან წესდების ნორმათა დაცვით საერთო კრების, ასევე, მმართველობის სხვა ორგანოების მოწვევის და ჩატარების ფორმალური მხარის დაცვის საფუძვლად.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, წესდებაში ცვლილების შეტანის რეგისტრაცია არ ხდება, შესაბამისად, წესდებაში კრების მიერ ცვლილების შეტანა არის უკვე ამ ცვლილების ოფიციალური რეგისტრაცია და მისი გამოყენება პრაქტიკაში შეიძლება.

კრების ოქმის ბათილად ცნობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

უზენაესი სასამართლო, 2012 წლის 14 ნოემბერი, გადაწყვეტილება, საქმე #ას-1194-1455-09

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით, სააქციო საზოგადოება ფლობდა სამი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების 35%, 35% და 40%-ებს. საკუთრივ სააქციო საზოგადოებაში წილების 50.1%-ის მფლობელი იყო ქალაქ თბილისის მერია. 2005 წლის 4 ნოემბრის კრებაზე დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში კუთვნილი წილების უსასყიდლოდ გადაცემა თბილისის მერიისთვის. კრებას თავდაპირველად ესწრებოდნენ აქციათა 94.9%-ის მფლობელი აქციონერები, თუმცა, თბილისის მერიისთვის წილების უსასყიდლოდ გადაცემის საკითხის განხილვის დაწყების დროს, აქციონერთა ნაწილმა სხდომა დატოვა. გადაწყვეტილების მიღებისას კრებას ესწრებოდა ხმის უფლების მქონე კაპიტალის 50.1%-ის მფლობელი თბილისის მერია და სააქციო საზოგადოების 1.8% აქციების მფლობელი აქციონერი. სულ – 51.9%. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2005 წლის 30 დეკემბერს სააქციო საზოგადოებასა და თბილისის მერიას შორის წილის დათმობის ხელშეკრულება გაფორმდა. აქციონერებმა სარჩელი შეიტანეს ქალაქ თბილისის მერიისა და სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ და კრების ოქმის და წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების ბათილობას ითხოვდნენ.

საქალაქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეების პოზიცია და მოსარჩლეებმა სააპელაციოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

საკასაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა კასატორებს და საქმეზე ახალი გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ, ბათილად ცნო კრების ოქმი და წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებები.

სასამართლოს მოსაზრებით, ქ. თბილისის მერიას 2005 წლის 4 ნოემბერს აქციონერთა კრებაზე წილების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ უნდა მიეღო.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას ეხება.

აღნიშნული ნორმა მნიშვნელოვანი დანაწესია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ხმის უფლება, ზოგადად, აქციონერთა მართვითი უფლებებიდან უმნიშვნელოვანესია. ჩვეულებრივ პირობებში, აქციონერს შეუძლია, საკუთარი ხმა შეხედულებისამებრ გამოიყენოს და ნებისმიერ მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი, თუმცა აღნიშნული უფლება შეუზღუდავი არ არის. მისაღები გადაწყვეტილების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებისა და დანარჩენი აქციონერების ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად, კანონმდებელი ითვალისწინებს შეზღუდვას, როდესაც კონკრეტული აქციონერი კენჭისყრაში არ მონაწილეობს. აღნიშნული შეზღუდვა გან-

საკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც საკითხი იმ პარტნიორთან გარიგების დადებას ეხება, რომელიც აქციათა უმრავლესობას ფლობს.

საკასაციო სასამართლო, ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ზემოთ აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლის საფუძველზე, აქციონერი მესამე პირის მიმართ სარჩელის უფლებით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ სარჩელს არ აღძრავს თავად საზოგადოება და, ამასთან, არ დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღძვრა საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება. აღნიშნული ნორმით კიდევ ერთხელაა ხაზგასმული კონკრეტულ აქციონერთან შედარებით მთლიანად საზოგადოების ინტერესების უპირატესობა. „მესამე პირი“, ამ და ყველა სხვა შემთხვევაში, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიზნებისთვის გარეშე სუბიექტია, რომელთანაც საზოგადოებას ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს და არა საზოგადოების პარტნიორი, აქციონერი. ეს მუხლი სწორედ მესამე პირის მიმართ სააქციო საზოგადოების სახელშეკრულებო ან სხვაგვარი მოთხოვნის უფლების რეალიზაციას შეეხება. განსახილველ შემთხვევაში კი, სარჩელი აღძრულია სს-ის აქციათა უმრავლესობის მფლობელის წინააღმდეგ, ამდენად, მითითებული მუხლი საქმესთან დაკავშირებული არ არის.

კომენტარი:

აღშნიშნული საქმე განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ამავდროულად განხილულია ისეთი საწარმოს საკითხი, სადაც თვითმმართველი ერთეული წილის ნახევარზე მეტს ფლობს.

სასამართლო, პირველ რიგში, ხაზს უსვამს და უარყოფს დერივატიული სარჩელის შესაძლებლობას, ასევე, ამბობს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტში გამოყენებული ტერმინი „მესამე პირი“ არ შეიძლება გულისხმობდეს თავად სააქციო საზოგადოებას და/ან ამ საზოგადოების პარტნიორს. ასევე, სასამართლო აღნიშნავს სააქციო საზოგადოების ინტერესების უპირატესობას აქციონერის ინტერესებთან მიმართებაში.

ბოლოს, სასამართლო აქციონერის ინტერესთა კონფლიქტზე ამახვილებს ყურადღებას და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ამბობს, რომ განხილულ შემთხვევაში უმრავლესობის მქონე აქციონერს კენჭისყრაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რადგან სახეზე იყო საკუთარ თავთან გარიგების დადება. გადაწყვეტილება

უნდა მიეღო დაუინტერესებელ უმრავლესობას, კერძოდ, უმცირესობაში მყოფი აქციონერების უმრავლესობას.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

უზენაესი სასამართლო, 2013 წლის 24 სექტემბერი, გადაწყვეტილება, საქმე #ას-1634-1533-2012

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება
განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე ფიზიკური პირი დაინიშნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გენერალური დირექტორის მრჩევლად და განესაზღვრა ყოველთვიური ანაზღაურება 3000 ლარი (ხელზე ასაღები თანხა). მოსარჩელე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობის პერიოდში წარმოდგენდა მოპასუხის შვილობილ კომპანიას. შპს-მ მოსარჩელეს დაავალა ამ შვილობილი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულება. მოსარჩელემ უარი თქვა ახალი თანამდებობის დაკავებაზე და ასევე განაცხადა, რომ სამუშაო ოთახის გამოცვლას არ აპირებდა და რაიმე ინციდენტის შემთხვევაში ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა.

მოსარჩელემ 2012 წლის 28 მაისის წერილით უარი განაცხადა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობების და დამსაქმებლის მითითებების (სამუშაო ადგილის არაარსებითი ცვლილება – ქ. ბორჯომში მდებარე ოფისიდან გადასვლა იმავე ქალაქში მდებარე სხვა ოფისში) შესრულებაზე.

შპს-ს დირექტორის მიერ მოსარჩელეს განემარტა, რომ თუ მას სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულების სურვილი არ ჰქონდა, კომპანია წინააღმდეგი არ იყო, დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება გათავისუფლების თაობაზე.

მოსარჩელე 2012 წლის 1 ივნისიდან სამსახურში ახალ სამუშაო ადგილას არ გამოცხადდა. იმის ნაცვლად, რომ ძველი სამუშაო ოთახი მოპასუხისათვის ჩაებარებინა, ჩაკეტა ის და გასაღები თან წაიღო; შემდგომში აღნიშნული სამუშაო ოთახი გაიღო კომისიური წესით. 2012 წლის 7 ივნისის №104/12 წერილით მოპასუხე ორგანიზაციამ მოსარჩელესთან შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება „უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო“. ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

მოსარჩელემ პოზიციაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

საკასაციო სასამართლომ კომპენსაციის ნაწილში დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა (საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებისგან განსხვავებით, რომლებმაც არ დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა), ხოლო სამსახურში აღდგენის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც შრომის კოდექსის მოთხოვნები არ ვრცელდება, საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს არ წარმოდგენს. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე წესრიგდება (იხ. მაგ. სუსგ 3/კ259-01).

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი,ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა.შ); შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშვნის საკითხი არ წარმოდგენს მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობის ნაწილს და არ გამომდინარეობს მათ შორის არსებული ხელშეკრულებიდან.

დამსაქმებელმა შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას საფუძვლად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი დაუდო, რომელიც (შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დროისთვის მოქმედი რედაქციით) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევას გულისხმობდა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა შრომის ხელშეკრულების დარღვევად ვერ მიიჩნევა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის ვადიანი შრომის ხელშეკრულება იყო გაფორმებული, რომლის მოქმედების ვადა ამოწურულია, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა, ამ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო და ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ამასთან, მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, რომელიც იმ შრომის ანაზღაურებას მოიცავს, რასაც დასაქმებული მიიღებდა, ხელშეკრულება ვადამდე რომ არ შეწყვეტილიყო.

კომენტარი:

დასახელებულ სამართლის საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სხვაობას სამეწარმეო და შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში. კერძოდ, დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არის უფრო სპეციალური ნორმა, ვიდრე საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“.

შრომის კოდექსის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს დირექტორთან და/ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულების ისეთ ნაწილებზე, როგორიცაა სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და სხვა მსგავსი საკითხები.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „სასამსახურო ხელშეკრულება“ კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში არ გვხვდება. აღნიშნული ტერმინი იყო კანონის ძველ რედაქციაში. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოების გადაწყვეტილებები ასეთ საკითხებზე ინსპირირებულია ერთდროულად ძველი და ახალი კანონმდებლობით.

საწარმოს დირექტორის მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2013 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #2/9

დავის საგანი: საწარმოს დირექტორის მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი და 130-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს-ს დირექტორმა 2008 წლის 6, 8 და 12 სექტემბერს ხელი მოაწერა და გასცა ქვითრები, რის საფუძველზეც დირექტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ფიზიკურმა პირმა პირველ ჯერზე 800 000 აშშ დოლარი გაანაღდა, შემდეგ – 66 000 აშშ დოლარი და ბოლოს – 30 000 აშშ დოლარი. აღნიშნული გარემობა ქვითრების ასლებით დასტურდება. ამდენად, დირეტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ 896 000 აშშ დოლარი იქნა გატანილი.

მოსარჩელე შპს ითხოვს 2 000 000 ლარს, თუმცა არ არის წარმოდგენილი ამ ოდენობის თანხის მითვისების დამადასტურებელი დოკუმენტი (მოთხოვნილი თანხის მოძრაობის ე.წ. ანგარიშის დოკუმენტი სასამართლომ არ ცნო მტკიცებულებად). აქიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა მოთხოვნა მხოლოდ 896 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩათვალა დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლება, შპს და დირექტორს შორის ურთიერთობა განსაზღვრა სახელშეკრულებო ურთიერთობით და ხანდაზმულობის ვადად დაადგინა სამი წელი. რადგან დირექტორი გათავისუფლდა 2009 წლის პირველ სექტემბერს და სასამართლოს შპს-მ მიმართა 2012 წლის 19 ივლისს, ხანდაზმულობის ვადა არ დარღვეულა.

სასამართლო გადაწყვეტილება:

შპს-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს-ს უარი ეთქვა 505 472 ლარის ანაზღაურებაზე. დირექტორს დაევალა შპს-ს სასარგებლოდ 896 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის – 1 494 528 ლარის და, ამასთან ერთად, შპს-ს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის სახით გადარიცხული თანხის ნაწილის – 3 750 ლარის გადახდა.

კომენტარი:

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს დირექტორის მიერ პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი დასაბუთება. ის, რომ დირექტორი, როგორც ხელმძღვანელი პირი, კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდეს, განმტკიცებულია კანონით და ამ წესის დარღვევისთვის, როცა კომპანიას ზიანი ადგება, დირექტორი თავის ქონებით აგებს პასუხს იმ ზარალის ფარგლებში, რაც კომპანიას მიადგა.

პარტნიორის გარიცხვა

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2006 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, საქმე ას-777-1040-05

დავის საგანი: პარტნიორის გარიცხვა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 27 მაისს ფიზიკურმა პირმა წარმომადგენლის მეშვეობით მიმართა წალკის რაიონულ სასამართლოს შპს-ს წინააღმდეგ. მოითხოვა შპს-ს 2001 წლის 14 მაისის კრების ოქმის ბათილად ცნობა, ამასთან ერთად, წალკის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 მაისის დადგენილებისა და სამეწარმეო რეესტრში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილების რეგისტრაციის ბათილად ცნობა. წალკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

2004 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება ფიზიკური პირის, წარმომადგენელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ფიზიკური პირის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა 2004 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ახალი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი შპს-ს 2001 წლის 14 მაისის პარტნიორთა კრების ოქმი, ფიზიკური პირის საზოგადოებიდან გარიცხვის და მისი წილის სხვა პარტნიორებზე გადანაწილების ნაწილში. გაუქმდა 2001 წლის 21 მაისის დადგენილება და ამ დადგენილების საფუძველზე სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც ფიზიკური პირის კუთვნილი 5% წილი დანარჩენ პარტნიორებზე გადანაწილდა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ისეთი საკითხი, როგორიცაა პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, გამოყენებული უნდა იყოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა. აქედან გამომდინარე, რადგან ფიზიკური პირი საზოგადოებიდან გარიცხეს 2001 წლის 14 მაისს, სარჩელი კი 2004 წლის 27 მაისს შეიტანა, მას არ აქვს გაშვებული სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა. პალატამ მიიჩნია, რომ კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან დარღვეულია მისი მოწვევის წესები, რაც 2001 წლის 14 მაისის კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი გახდა.

2005 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს-ს წარმომადგენელმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 15-ე მუხლი არასწორად განმარტა. კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლოს არ მიუთითებია კრების მოწვევის ნაწილში რა ნორმა დაირღვა და რა სახის მტკიცებულებით იხელმძღვანელა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ შპს-ს წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. მან დასაბუთებულად მიიჩნია კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლოს მიერ არ იყო მითითებული რა ნორმა დაირღვა კრების მოწვევის ნაწილში, იყო თუ არა ეს დარღვევა არსებითი და რა სახის მტკიცებულებით იხელმძღვანელა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას. ამით დაირღვა სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს-ს პარტნიორთა 2001 წლის 14 მაისის კრების ოქმის ბათილობის შესახებ არ არის დასაბუთებული, რის გამოც, სსკ-ის 394 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

შპს-ს წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება პირის საზოგადოები-

დან გარიცხვის და მისი წილის სხვა პარტნიორებზე გადანაწილების ნაწილში, რასაც საფუძვლად უდევს შპს-ს 2001 წლის 14 მაისის პატრნიორთა კრების ოქმი და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი..

კომენტარი:

მოცემული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია სასამართლოთა მხრიდან, როგორც რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე კანონის განმარტების ნაწილშიც. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ კანონის განმარტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

პარტნიორის უფლებაა, როგორც მესაკუთრემ, წილზე საკუთრების უფლება დაიცვას. ეს უფლება გარანტირებულია არამარტო „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, არამედ კონსტიტუციით. დიახ, შესაძლებელია პარტნიორთა კრებამ იმსჯელოს ამ საკითხზე, თუმცა აუცილებელია, რომ ის მოწვეულ იყოს კანონის სრული დაცვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი ოქმის ბათილობის საკითხი. კრების მოწვევის საკითხები შეიძლება გათვალისწინებულ იყოს პარტნიორთა წესდებით, ხოლო თუ ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული წესდებაში, გადავდივართ „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე.

კრების ოქმის ბათილად ცნობა, საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობა

ბოლნისის რაიონული სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება #2/194-14

დავის საგანი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა 2014 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; საზოგადოების 2012-2013 წლიური ანგარიშების სისწორის შემოწმების მიზნით საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-8 მუხლი, 47-ე მუხლის I პუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 54-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელეებმა, რომლებიც საზოგადოების 37%-ის მფლობელი პარტნიორები იყვნენ, სხვადასხვა დროს წერილობით მიმართეს საზოგადოების დირექტორს და საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოსთხოვეს, რათა საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობის შესაძლებლობა მისცემოდათ.

2014 წლის 29 მარტის კრებაზე მოსარჩელეებს უარი ეთქვათ საბუღალტრო დოკუმენტაციის გაცნობაზე, ამასთანავე, აღნიშნულ კრებაზე, დირექტორისთვის დანიშნული ხელფასი 12 000 ლარამდე გაიზარდა. ასევე მიღებულიქნა გადაწყვეტილება 2013 წლის მოგების სრულად რეინვესტირების შესახებ და საზოგადოების დირექტორს საკადრო საკითხების ერთპიროვნულად გადაჭრის უფლება მიეცა.

მოსარჩელეები ითხოვდნენ კრების ოქმის ბათილობას, რადგან (1) გადაწყვეტილება მართლსაწინააღმდეგო გარიგება იყო და სამართლიანობის და ზნეობის ნორმებს არღვევდა, ამასთან (2) არაერთი მცდელობის მიუხედავად, მოსარჩელეებს საბუღალტრო და სხვა აუციელებელი დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა არ მიეცათ.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საზოგადოებას დაევალა მოსარჩელეებისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის გაცნობა, ამასთან, კრების გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების მოგების რეინვესტირების ნაწილში. სასამართლომ ჩათვალა, რომ კრების 2014 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იყო დომინანტი პარტნიორების მიერ, მხოლოდ მინორიტარი პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებაზე უარის თქმის მიზნით.

კომენტარი:

ერთგულების მოვალეობა ეკისრება როგორც უმცირესობაში, ასევე, უმრავლესობაში მყოფ და დომინანტ პარტნიორებს. ერთგულების მოვალეობის სტანდარტი იზრდება აქციონერის/პარტნიორის „გათვითცნობიერების“ ხარისხთან ერთად, ამიტომ კანონი დომინანტი პარტნიორის, როგორც ისეთი აქციონერის ან ერთად მოქმედი აქციონერთა ჯგუფის მდგომარეობას გამოყოფს, რომელსაც კრების კენჭისყრის შედეგზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ხმის უფლების, და ერთად მოქმედებიდან გამომდინარე და კენჭისყრის შედეგზე ზეგავლენის მიხედვით, მათი ერთგულების მოვალეობის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა აქციონერების.

აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა; საწარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვა

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება #2/369-2014

დავის საგანი: აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა; საწარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვა.

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები. 51-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, 54-ე მუხლი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი.

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

სს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია 2004 წლის 25 ოქტომბერს. აქციათა რეესტრის მიხედვით მოსარჩელე არის სააქციო საზოგადოების აქციათა 10%-ის მფლობელი. 2013 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა კრება. კრებაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელიც აქციათა 10%-ის მფლობელია. მას წერილობითი შეტყობინება ჩაბარდა კრების მოწვევამდე 20 დღით ადრე – 2013 წლის 29 ოქტომბერს. კრების გადაწყვეტილებით გაიზარდა კაპიტალი, დადგინდა მისი შევსების წესი და შევიდა ცვლილებები წესდებაში, დამტკიცდა ახალი რედაქცია. 2013 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელემ მოითხოვა კრების კანონის შესაბამისად მოწვევა, რადგან მის მოწვევას არ ახლდა დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. მოსარჩელემ მიმართა სს-ს და მოითხოვა საწარმოს დოკუმნეტაციის ასლების გადაცემა, თუმცა მას დოკუმენტები არ მიუღია.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, სააქციო საზოგადოებას დაევალა საწარმოს დოკუმენტაციის ასლების გადაცემა მოსარჩელისთვის. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სს-ის კრებაზე მიღებული საკითხების ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა, რადგან კანონის ნორმების დაცვით იყო მიღებული.

კომენტარი:

როცა მინიმუმ ერთი აქციონერი მაინც ფლობს აქციათა 5%-ს, ასეთ შემთხვევაში, მას შეეძლება, წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება მოითხოვოს. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ასეთი აქციონერი ხმის უფლების მქონე აქციებს ფლობდეს. ასევე, აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების გაუცემლობა კრების ოქმის ბათილობის საფუძველი არ გახდა.

კრების ოქმის ბათილად ცნობა

თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე № 2/20968-15, 24.05.2016

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1-ე მუხლი, მე-9^1 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

საწარმოს 49%-ანი წილის მფლობელი პარტნიორი არის მოსარჩელე, ხოლო 51% წილის მფლობელი პარტნიორი არის საწარმოს დირექტორი.

2015 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა საწარმოს რიგგარეშე კრება, სადაც რამდენიმე საკითხი გადაწყდა.

მოსარჩელეს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის წერილობითი შეტყობინება პირადად ჩაბარდა 2015 წლის 2 მარტს, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერით დასტურდება. მოსარჩელეს ასევე მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე და მობილურ ტელეფონზე გაეგზავნა შეტყობინებები რიგგარეშე კრების შესახებ.

მოპასუხე საზოგადოების წესდება არ შეიცავს საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ „მეწარმეთა შესახებ“ კრების მოწვევის შეტყობინების წესს.

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ კრების ოქმი უნდა გაბათილდეს, რადგან მისთვის საგამოძიებო ორგანოში მასალების შესწავლისას შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ საწარმოს დირექტორს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მკაცრი დარღვევით მოუწვევია პარტნიორთა საერთო კრება და ერთპიროვნულად მიუღია გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცილდება.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. ის განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს კრების მოწვევის პროცედურას, რომლის მიხედვითაც, დავის არსებობის შემთხვევაში, უნდა დამტკიცდეს, რომ ადრესატმა მიიღო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება პირადად ჩაბარდა მოსარჩელეს კრების ჩატარებამდე 9 დღით ადრე. კრების მოწვევის შესახებ წერილობითი შეტყობინება შეიცავდა განსახილველი დღის წესრიგს. ამასთან, კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იყო, რადგან მას ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი ესწრებოდა.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სადავო კრების დღის წესრიგით განხილული საკითხები საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის სფეროში შედიოდა და არ სცილდებოდა მას.

კომენტარი:

საზოგადოების წესდებით არ ყოფილა დაწესებული კანონისგან განსხვავებული პროცედურა კრების მოწვევასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რადგან რამდენიმე მტკიცებულებამ დაადასტურა მოსარჩელისთვის შეტყობინების ჩაბარების ფაქტი. ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ სადავო კრებით განხილული საკითხები, რომლებიც ფინანსურ შედეგებსა და საბანკო ვალდებულებების განხილვას ეხებოდა, საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის სფერო იყო და ამ შემთხვევაში კრების შედეგების ავთენტურობისთვის ყველა პარტნიორის დასწრება სავალდებულო არ იყო.

თანხის დაკისრება

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი 2015 წელი, საქმე №2/ 194-2015

დავის საგანი: თანხის დაკისრება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4[1] პუნქტი და მე-7 პუნქტი, მე-9[1] მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, 46-ე მუხლის I ნაწილი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან 75% წილის მფლობელი, რომელიც საზოგადოების დირექტორია, და მოპასუხე, რომელიც დარჩენილ 25%-ს ფლობს.

2007 წლის 5 დეკემბერს მოპასუხის საზოგადოებაში წილში აღრიცხვის მომენტისათვის საზოგადოების მთლიანი საბალანსო ღირებულება (ქონება) შეადგენდა 20 433 ლარს. 2008-2009 წლებში საზოგადოების ახლად შექმნილი ქონების ღირებულებამ შეადგინა 55 246 ლარი.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საზოგადოების ქონების ღირებულება შეადგენს 111 684 ლარს, საიდანაც მოპასუხის 25%-ის წილის შესაბამისი კაპიტალის თანხა 24 580 ლარია.

მოსარჩელე ითხოვს, რომ მოპასუხეს საზოგადოების სასარგებლოდ დაეკისროს მისი წილი კაპიტალის შესავსები თანხა 24 580 ლარის ოდენობით. მოსარჩელე მოთხოვნას აყრდნობს იმ დასაბუთებას, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საზოგადოების ღირებულების თანახმად, მოპასუხეს არ შეაქვს მისი წილი 25% ის ოდენობით საზოგადოების თანხა, არ მონაწილეობს საზოგადოების მართვაში, არ ესწრება კრებებს და მიღებული დივიდენდებს საწარმოს არ მოახმარს.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა საზოგადოების სარჩელი. სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებსაქართველოს კანონით სასამართლო არ მონაწილეობს შპს-ს მართვაში და პარტნიორებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტაში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირებულ საკითხთა წრე, რომლის გადაწყვეტა პარტნიორთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, წინასწარ არ შეიძლება გახდეს სასამართლო დავის საგანი, პარტნიორთა მიერ მისაღები გადაწყვეტილება არ შეიძლება მიიღოს სასამართლომ. სასამართლო დავის საგანი მხოლოდ პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა და კანონთან შესაბამისობა შეიძლება გახდეს.

კომენტარი:

სასამართლომ სწორი ინტერპრეტაცია გააკეთა საქმესთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა პარტნიორთა უფლებამოსილებას განეკუთვნება. საზოგადოებას და პარტნიორთა კრებას კანონით გათვალისწინებული საკმარისი ბერკეტები აქვთ, რომ სადავო საკითხზე გადაწყვეტილება მიიღონ, თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, სასამართლოს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი უნდა ეთქვას სწორედ ზემოთ ხსენებული მიზეზით, მას აღნიშნულ გარემოებებზე განჩინებაში უნდა მიეთითებინა.

თანხის გადახდის დაკისრება

თბილისის სააპელაციო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე №2ბ/696-13, 25 ივნისი, 2013 წელი

დავის საგანი: თანხის გადახდის დაკისრება

განმარტებული ნორმები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 30 ნოემბერს, მოსარჩელეს (შემდგომში აპელანტი), მოპასუხეს და მის პარტნიორებს შორის გაფორმდა კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თანახმად, ის მოქმედებდა 3 (სამი) წლის განმავლობაში და 2012 წლის 01 დეკემბერს სრულდებოდა.

2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მიხედვით, მმართველი ვალდებულებას კისრულობს კომპანიის აქტივები ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის განმავლობაში

500 000 აშშ დოლარის ღირებულებით გაზარდოს, ხოლო 1 წლის განმავლობაში, არანაკლებ – 2.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულებით.

ხელშეკრულების მიხედვით, თუ მესაკუთრე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კომპანიის გასხვისებას გადაწყვეტს, მმართველს კომპანიის გასხვისების შედეგად მიღებული თანხის 25% გადაეცემა. ამასთან, გასხვისებად ითვლება საზოგადოების სადამფუძნებლო წილის 51%-ის და მეტის გასხვისება. ამავე ხელშეკრულების თანახმად, მესაკუთრეს არა აქვს უფლება, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მმართველის თანხმობის გარეშე კომპანია 10 000 000 დოლარზე ნაკლებ თანხად გაყიდოს.

2011 წლის 18 იანვარს, აპელანტსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების დანართი. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე ცვლილება იქნა შეტანილი 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების 2.3 პუნქტში, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყოველ მხარეს წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შესაძლებლობა აქვს, თუ მეორე მხარე მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს დაარღვევს.

2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შპს მოპასუხის 50%-ანი წილი გასხვისდა.

2011 წლის 26 ნოემბერს, მოპასუხის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების პარტნიორს მისი კუთვნილი 25%-იანი წილის შემდეგ პარტნიორებზე გასხვისების თაობაზე მიეცა თანხმობა. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულიყო არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან შპს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2009 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში.

2011 წლის 26 ნოემბერს მოპასუხის პარტნიორებს შორის გაფორმდა საკუთრების მინდობის (წილის მართვის) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება.

2011 წლის 30 ნოემბერს, მოპასუხის ინიციატივით შეწყვეტილ იქნა მოსარჩელესთან 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება.

მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხისთვის და მისი კრედიტორებისთვის თანხის გადახდა, მაგრამ დადასტურდა მოსარჩელის მიერ ხელშეკურულების მიხედვით მოპასუხის აქტივების გაზრდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ განჩინებით ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მას უნდა დაუბრუნდეს იმ ოდენობის თანხა, რა ოდენობითაც მოპასუხის აქტივების გაზრდა მხარეთა მიერ შედარების აქტით იქნა დადასტურებული. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით, ხელშეკრულებაზე დაყრდნობით

მოსარჩელე ვალდებული იყო მოპასუხე კომპანიის აქტივები გაეზარდა, ასევე კომუნალური თუ სხვა გადასახადები გადაეხადა. მხარეთა შორის 2009 წლის 30 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება 2011 წლის 30 ნოემბერს შეწყდა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება მოსარჩელის მიერ უნდა შესრულებულიყო 2011 წლის 15 ივლისამდე. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს, მის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, მოპასუხის მოგების 15%-ანი წილი უნდა მიეღო, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ვალდებულების ფარგლებში განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნება შეთანხმებული არ ყოფილა.

სასამართლომ განმარტა, რომ აქტივის გაზრდაში არ იგულისხმება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შესატანის შეტანა, რაც აღნიშნულ სამართალურთიერთობას კორპორაციული სამართლის რეგულირების რეჟიმში აქცევს და არც სესხის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში თანხის გადაცემა. განსახილველ შემთხვევაში აქტივის გაზრდაში მატერიალური აქტივის შექმნა, მესამე პირებთან ურთიერთობაში მოთხოვნის უფლების წარმოშობა, პასივის შემცირება, დონორების, ინვესტორების მოძიება და ა. შ იგულისხმება, ანუ ის, რაც გულისხმიერი მმართველის ვალდებულებაში შედის. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ „მმართველი“ კომპანიის ინტერესს „მესაკუთრე“ კომპანიის აქტივის გაზრდაში წარმოადგენდა იმ მოგების 15%, რასაც „მესაკუთრე“ კომპანია აქტივის გაზრდის შედეგად მიიღებდა. ასევე საგულისხმოა, რომ მოგების 15%-ის მიღების უფლება „მმართველ“ კომპანიას გაწეულისამუშაოსათვის ანაზღაურების სახით ერგებოდა. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების სახით საქმე გვაქვს მომსახურების ტიპის გრძელვადიან ხელშეკრულებასთან, კერძოდ, საკუთრების მინდობასთან. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მხარეები უბრუნდებიან ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობას, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე განხორციელებული შესრულება და მისი შედეგები ძალაში რჩება. ამ დროს, გრძელვადიანი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, მოპასუხის ქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტა.

სასამართლომ განმარტა, რომ წინარე ხელშეკრულება ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომლითაც მხარეები სხვა ხელშეკრულების დადების ვალდებულებას კისრულობენ და მას, როგორც წესი, ძირითად ხელშეკრულებას უწოდებენ. ამდენად, წინარე ხელშეკრულება წარმოადგენს სახელშეკრულებო კონტრაჰირების იძულების სამართლებრივ საფუძველს და ის სხვა სამართლებრივ შედეგებს დამოუკიდებლად არ წარმოშობს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მოსარჩელის თანხმობის გარეშე მოპასუხის პარტნიორთა წილების 51%-ის გასხვისება არ მომხდარა. წინარე ხელშეკრულება პარტნიორებს შორის 25% წილის დათმობის შესახებ შეთანხმება იყო.

კომენტარი:

აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო განმარტება გაკეთდა. საინტერესოა განმარტება იმის შესახებ, რომ აქტივის გაზრდაში არ იგულისხმება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შენატანის შეტანა, არამედ იგულისხმება ყველაფერი ის, რაც გულისხმიერი მმართველის ვალდებულებაში შედის, ანუ საზოგადოებისთვის აქტივების მოპოვება, პასივების შემცირება და ა.შ. საინტერსოა, რომ სააპელაციო სასამართლომ საზოგადოების მართვით გადაცემის ხელშეკრულება განსაზღვრა, როგორც საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 729-ე მუხლის გათვალისწინებით კი, საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების (სამოქალაქო კოდექსის 709-723 მუხლები) შესაბამისი წესები.

პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობა

გურჯაანის რაიონული სასამართლო, 23.07.2013 წ, საქმე №2/157-13

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობა თანმდევი შედეგებით და მათ საფუძველზე სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების გაუქმება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მე-2 პუნქტი, მე-15, 47-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე არის საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი – 33.3% წილის მფლობელი. ამავე დროს, მოსარჩელე იყო შპს-ს დირექტორი. ამავე საზოგადოების პარტნიორები იყვნენ საზოგადოების ამჟამინდელი დირექტორი – 33.3% წილის მფლობელი და კიდევ ერთი პარტნიორი, ასევე 33.3% წილის მფლობელი, რომელიც ამ საქმეში მესამე პირადაა ჩართული.

2012 წლის 17 დეკემბერს მოსარჩელეს ჩაბარდა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რა დროსაც შეიტყო, რომ საზოგადოების 2012 წლის 25 ივლისის პარტნიორთა კრების №2 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე ის გაათავისუფლეს საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან და მის ნაცვლად საზოგადოების ამჟამინდელი დირექტორი დანიშნეს.

საზოგადოების 2012 წლის 3 აგვისტოს პარტნიორთა კრების №3 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, საზოგადოების ერთ-ერთმა პარტნიორმა გაასხვისა თავისი კუთვნილი წილი გარეშე პირზე. გასხვისება მოსარჩელის თანხმობის გარეშე მოხდა. ორივე კრების ოქმში აღნიშნულია, რომ კრებებზე გამოცხადდა ყველა პარტნიორი, გარდა მოსარჩელისა, რომელიც იქ სიტყვიერი გაფრთხილებით იყო დაბარებული.

მოსარჩელე მხარის მტკიცებით, ის არ ყოფილა გაფრთხილებული კრების ჩატარების შესახებ და არ ყოფილა მიწვეული არც სიტყვიერად და არც მეწარმეთა შესახებ კანონის და საზოგადოების წესდების შესაბამისად.

მოპასუხე მხარის მტკიცებით გასული იყო კრების გასაჩივრებისათვის ხანდაზმულობა და ასევე, მოსარჩელე სიტყვიერად იყო გაფრთხილებული, საზოგადოების შესასვლელში გამოკრული იყო საჯარო შეტყობინებაც.

საზოგადოების წესდების თანახმად, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევას უზრუნველყოფს დირექტორი. კრების ჩატარებამდე პარტნიორისთვის ათი დღით ადრე დაზღვეული წერილის გაგზავნით. წერილში მითითებული უნდა იყოს კრების დღის წესრიგის პროექტი (სადაც ასევე აღინიშნება კრების ჩატარების დრო და ადგილი), რათა პარტნიორს შეეძლოს ხუთი დღის ვადაში შეიტანოს ცვლილებები კრების დღის წესრიგში.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ დაარღვია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლი და საზოგადოების წესდება, რომლის მიხედვითაც დადგენილი იყო კრების მოწვევის მექანიზმი. მოპასუხემ არ უარყო ფაქტობირივი გარემოება იმის შესახებ, რომ სადავო კრებების მოწვევისას მოსარჩელეს არ გაგზავნია დაზღვეული წერილი და ასევე არ წარმოუდგენია იმის მტკიცებულება, რომ მოსარჩელეს აცნობა კრების შესახებ კომუნიკაციის ისეთი საშუალებით, რომელიც ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურებას იძლევა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნა კრების ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე ხანდაზმული იყო, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15.2 მუხლის მიხედით, თუ სხდომა ჩატარდა კანონის ან წესდების დარღვევით, ამ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა 2 თვის ნაცვლად 1 წელია. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო კრებები ჩატარდა კანონისა და საზოგადოების წესდების უხეში დარღვევებით. კრებების ოქმების შედგენასა და მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის შუალედი აკმაყოფილებდა ერთწლიან ხანდაზმულობის ვადას.

სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნები, ბათილად ცნო სადავო კრების ოქმები, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში სადავო ჩანაწერი გააუქმა და ამ ჩანაწერამდე არსებული მდგომარეობა აღადგინა.

კომენტარი:

სასამართლომ განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15.2 მუხლი, და ზუსტად განსაზღვრა ამ დავაზე ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა საზოგადოების წესდების თანახმად დამტკიცებული მექანიზმის მნიშვნელობას, რომელიც უზრუნველყოფს პარტნიორების მოწვევას საზოგადოების კრებაზე.

პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა

ზესტაფონის რაიონული სასამართლო, საქმე №2/335-16, 24.01.2017

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე,-52-ე, 327-ე, 477-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე საზოგადოების 25%-იანი წილის მფლობელია. 75% წილს ფლობს მოპასუხე, რომელიც საზოგადოების დირექტორია.

სასამართლოში წარმოებული დავის ფარგლებში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება დავის მორიგებით დასრულების თაობაზე, მორიგების პირობების გარჩევის დროს ორივე პარტნიორის მხრიდან წილის დათმობის საკითხი განიხილებოდა. მოსარჩელე თანახმა იყო დაეთმო 25% 200 000 აშშ დოლარად, ხოლო მოპასუხე 75%-ის სანაცვლოდ 400 000 ლარს ითხოვდა.

2016 წლის 18 მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა შეთანხმება 2016 წლის 27 მაისს ჩასატარებელი პარტნიორთა კრების დღის წესრიგის განსაზღვრისა და ამ შეთანხმების მხარეთათვის ჩაბარების შესახებ.

2016 წლის 18 მაისის შეთანხმებით ჩასატარებელი პარტნიორთა კრება გაიმართა 2016 წლის 28 მაისს. ამავე კრებაზე მოსარჩელემ ცალსახად დააფიქსირა პოზიცია, რომ წილის საფასურად 200 000 აშშ დოლარს თუ არ მიიღებდა, წილის გასხვისების წინააღმდეგი იყო. ამასთან, 5 ივნისის პარტნიორთა კრებაზე მისი წილის გასხვისების საკითხის დღის წესრიგის საკითხებიდან ამოღება მოითხოვა. მოპასუხეს მოსარჩელისთვის მისი წილის შესყიდვის თაობაზე ალტერნატიული ფასი არ შეუთავაზებია.

2016 წლის 5 ივნისს შედგა საზოგადოების პარტნიორთა კრება, რომელმაც მოსარჩელის წინააღმდეგობის მიუხედავად, წილის გაყიდვის და წილის უპირატესი შესყიდვის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და მოსარჩელის წილის ფასი აუდიტის დასკვნის საფუძველზე შეფასებული საზოგადოების ქონების 25%-ის ღირებულებით განსაზღვრა.

2016 წლის 08 ივნისს შედგა საზოგადოების პარტნიორთა კრება. იმის გამო, რომ მოსარჩელეს გასხვისებული ჰქონდა კუთვნილი წილი საზოგადოებაში, მას ნება დართეს დასწრებოდა პარტნიორთა კრებას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე.

მოსარჩელე ითხოვს, რომ ბათილად იქნეს ცნობილი 2016 წლის 28 მაისის პარტნიორთა კრების ოქმი 2016 წლის 5 ივნისის პარტნიორთა კრების დღის წესრიგის საკითხებიდან მოსარჩელის წილიდან გასვლისა და კომპენსაციის განსაზღვრის შესახებ საკითხის ამოღებაზე უარის თქმის ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი 2016 წლის 5 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმი და ბათილად იქნეს ცნობილი 2016 წლის 8 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმი.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. ის მიიჩნევს, რომ საზოგადოების 2016 წლის 5 ივნისის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება და კრების ოქმი წარმოადგენს გარიგებას და მასზე სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები უნდა გავრცელდეს.

სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეთა შორის შედგა წილის ნასყიდობა. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული ოფერტი მოიცავდა, როგორც ნებას, გაესხვისებინა თავისი კუთვნილი წილი, ასევე შეთავაზებას ფასზე (200 000 აშშ დოლარი). საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელე წილის გასხვისების ერთადერთ პირობად განიხილავდა საზღაურს 200 000 აშშ დოლარის ოდენობით. პარტნიორთა კრებამ ისე მიიღო გადაწყვეტილება წილის გაყიდვის და წილის უპირატესი შესყიდვის შესახებ, რომ მოპასუხეს ალტერნატიული შეთავაზება წილის საფასურზე არ განუხორციელებია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობაზე ნასყიდობის ობიექტის ღირებულებაზე შეთანხმება ვერ შედგა.

მოპასუხემ დამოუკიდებლად განსაზღვრა მოსარჩელის წილის ღირებულება და როგორც 75%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება წილის გაყიდვისა და წილის უპირატესი შესყიდვის შესახებ, რაც გარიგების არსს სცილდება. ასევე მხარის ნების გარეშე მოხდა 2016 წლის 5 მაისის პარტნიორთა კრების დღის წესრიგში წილის გასხვისების საკითხის შეტანა, რაც ფაქტიურად უკავშირდება იძულებას წილის გასხვისებაზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2016 წლის 8 ივნისის პარტნიორთა კრების მუშაობაში მოსარჩელისთვის პარტნიორის უფლებების შეზღუდვით დაირღვა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. სასამართლო განმარტავს, რომ წილზე საკუთრების უფლების გასხვისება არ ნიშნავს ავტომატურად ყველა იმ სამართლებრივი შედეგის ანულირებას, რაც აღნიშნული მოვლენის დადგომამდე არსებობდა. ასეთ წესს არ ითვალისწინებს არც მოქმედი კანონმდებლობა და არც მიმდინარე სასამართლო პრაქტიკა. წილზე საკუთრების უფლება და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობა დამოკიდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციაზე.

კომენტარი:

აღნიშნული გადაწყვეტილება და საქმე საინტერესოა, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის, ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმების განმარტებისთვისაც. სასამართლომ ასევე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა პარტნიორის უფლებების შეზღუდვაზე. მან აღნიშნა, რომ წილზე საკუთრების უფლება და მასზე ვალდებულებები წარმოიშობა მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, შესაბამისად კრების ოქმის საფუძველზე პარტნიორის უფლებამოსილების შეზღუდვა კანონისმიერ საზღვრებს სცილდება.

თანხის დაკისრება (დივიდენდის მიღება), კრების ოქმის ბათილად ცნობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 31.12.2016, საქმე: №2/2248-14

დავის საგანი: თანხის დაკისრება (დივიდენდის მიღება), კრების ოქმის ბათილად ცნობა, ხელშეშლის აღკვეთა.

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, მე-9 მუხლის I პუნქტი, მე-2 პუნქტი, მე-6 პუნქტი, მე-15 მუხლის I პუნქტი, მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი, 54-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე მოპასუხეებისაგან ითხოვს საგადასახადო შემოწმების აქტიდან გამომდინარე თანხის და სანქციის, ასევე გაუცემელი და, მისი აზრით, მითვისებული დივიდენდების ანაზღაურებას, ასევე საბანკო ვალდებულებებზე დარიცხულ პროცენტს და, აღნაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიუღებელ შემოსავალს.

მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი, რომლითაც ის ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი მოსარჩელის რამდენიმე კრების ოქმი, ასევე მის, როგორც მოსარჩელის 25% წილის მფლობელი პარტნიორის მიმართ, საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის ხელშეშლა აეკრძალოს მოსარჩელის დირექტორს და მოსარჩელეს დაეკისროს დივიდენდის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ.

პირველი მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელე საზოგადოების დირექტორს 2012 წლის 23 აპრილამდე. მეორე მოპასუხე ფინანსური ხელმძღვანელი იყო 2010 წლის 27 ოქტომბრიდან მოსარჩელის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე და 2012 წლის 23 აპრილიდან დარეგისტრირდა მოსარჩელის დირექტორად 2014 წლის 31 ოქტომბრამდე. 2003 წლის 19 დეკემბერს მესამე მოპასუხე დაინიშნა მოსარჩელის მენეჯერის თანამდებობაზე. 2006 წლის 10 ნოემბერს მესამე მოპასუხე გათავისუფლდა მენეჯერის თანამდებობიდან წყალტუბოს რაიონის საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით.

პირველი მოპასუხის ხელმძღვანელობის პერიოდში (2005 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე) შემოწმების საფუძველზე 2010 წლის 24 ნოემბრის საგადასახადო შემოწმების აქტით კომპანიაზე დამატებით დაკისრებული ბიუჯეტში გადახდილი საგადასახადო ვალდებულებების თანხა შეადგენს 135 343 ლარს, მათ შორის: გადასახადის ძირითადი თანხა – 94 747 ლარს და სანქცია (ჯარიმა საურავი) – 41 196 ლარს.

დავების განხილვის საბჭოს 26/12/2011 წლის გადაწყვეტილებით და აუდიტორული დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანიაზე დარიცხული ძირითადი გადასახადიდან 45 494 ლარი კომპანიას დაერიცხა არასწორად შესყიდული, განაწილებული და ჩამოწერილი საწვავის გამო, რომელიც საზოგადოებას ჩაეთვალა როგორც მიწოდება

და დაიბეგრა დღგ-ით. აღნიშნული ქმედების გამო მოსარჩელემ მიიღო ფინანსური ზარალი 45 494 ლარის ოდენობით. ასევე კომპანიას ძირითად გადასახადში დამატებით დაერიცხა 6 764 ლარი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის გამო. მოსარჩელემ მიიღო ფინანსური ზარალი 6 764 ლარის ოდენობით.

ძირითად გადასახადში დამატებით დარიცხული გადასახადების გამო 2011-2012 წლებში კომპანიამ ზედმეტად გადაიხადა და იზარალა სანქცია-საურავის თანხა – 41 196 ლარი.

აუდიტის დასკვნის მიხედვით, 2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდებისთვის მოსარჩელის გასანაწილებელმა წმინდა მოგებამ 203 405 ლარი შეადგინა.

გაუცემელი დივიდენდის რაოდენობა აუდიტორული დასკვნის თანახმად 2011 წლის საანგარიშო პერიოდისათვის შეადგენს 11 439 ლარს.

ბანკიდან საფულე ქვითრებით გამოტანილი იქნა თანხები ჯამში 30000 ლარის ოდენობით. ამ თანხებიდან 20 000 ლარი გამოიტანა პირველმა მოპასუხემ, რომელიც მიიღო მოლარემ და რომელზეც ხელს აწერს ისიც დაისე მთავარი ბუღალტერიც. მთავარმა ბუღალტერმა 6 000 ლარი გამოიტანა, რომელიც მიიღო მოლარემ და რომელზეც ხელს აწერს ისიც და მთავარი ბუღალტერიც. 4 000 ლარი გამოიტანა მთავარმა ბუღალტერმა რომელიც მიიღო მოლარემ და რომელზეც ხელს აწერს ისიც და მთავარი ბუღალტერიც. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება საწარმოს ხელმძღვანელი პირების მიერ ამ თანხების მითვისების ფაქტები. აუდიტორული დასკვნით დასტურდება, რომ 30 000 ლარი გამოტანილ იქნა სალაროდან და დამფუძნებლებზე დივიდენდის სახით გაიცა.

დადგინდა მოსარჩელის მიერ 2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდებში აღებული სესხების ოდენობა, მათი გამოყენების მიზნობრიობა და ამავე სესხებზე კომპანიის მიერ 2014 წლის ოქტომბრამდე პერიოდში გადახდილი პროცენტის თანხები. კერძოდ, კომპანიის ბუღალტრული მონაცემების და წარმოდგენილი საბანკო (მ. შ. სასესხო) ანგარიშებიდან ამონაწერების საფუძველზე დგინდება, რომ 2011 წლის პირველი იანვრისათვის კომპანიას ერიცხებოდა 132 499 ლარის კრედიტორული დავალიანება საქართველოს ბანკიდან 2009 წელს აღებული სესხის ძირითადი თანხის სახით. 2012 წლის აპრილის თვეში კომპანიამ საქართველოს ბანკიდან სესხის სახით აიღო 240 000 ლარი. აღნიშნული თანხა ეტაპობრივად საჭირეობისამებრ გაიხარჯა. ამ სესხებზე კომპანიის მიერ 2012 წლის აპრილიდან 2014 წლის ოქტომბრამდე პერიოდში გადახდილი პროცენტის თანხები სულ შეადგენს 81 859 ლარს, საიდანაც 19 220 ლარი კომპანიის მიერ 2009 წელს აღებული სესხის ნარჩენ თანხაზე პროპორციულად გაანგარიშებული კუთვნილი საპროცენტო ხარჯია, ხოლო 62 639 ლარი – 2012წლიდან აღებული და გახარჯული სესხის კუთვნილი საპროცენტო ხარჯი.

2013 წლის 4 აპრილს, 2013 წლის 25 მარტის პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, მოსარჩელის მაშინდელ დირექტორს, ანუ პირველ მოპასუხესა და ერთ-ერთ კომპანიას შორის დაიდო აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც აღნაგობის უფლებით გაიცა 1 560 კვ.მ მიწის ნაკვეთი 10 წლის ვადით. აღნაგობის ქირად თვეში განისაზღვრა

1 716 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარებში. სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის, რომ აღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულება მოპასუხის ყველა პარტნიორისათვის იყო ცნობილი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მეორე მოპასუხემ, რომელიც საწარმოს 25% ის მფლობელი პარტნიორია, 2014 წლის ოქტომბერში წერილობით მიმართა მოსარჩელის დირექტორს და მათგან მოთხოვნილი 15 7384 ლარის ოდენობით გამოგონილი ზიანის ანაზღაურებაზე უარი განუცხადა. ასევე მოითხოვა სრულად გადასცემოდა მათ მიერ დასახელებული პერიოდის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტის ასლი და მიეცათ მისი კუთვნილი დივიდენდები. ამ წერილებში აღნიშნავდა, რომ არ ეძლეოდა საშუალება მონაწილეობა მიეღო ორგანიზაციის მართვაში, რის გამოც 2014 წლის პირველი აგვისტოდან ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციას და კუთვნილი დივიდენდების მის ანგარიშზე ჩაერიცხვას ითხოვდა. 2015 წლის იანვარ-თებერვალშიც მიმართავდა მოპასუხე მოსარჩელის დირექტორს სხვა პერიოდის დოკუმენტაციის გადაცემისა და დივიდენდების ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

მოსარჩელის დირექტორმა საზოგადოების პარტნიორს და მოპასუხეს წერილობით გასცა პასუხი ყველა დასმულ შეკითხვაზე. ასევე განმარტა, რომ პარტნიორი იღებს მართვაში მონაწილეობას კრების საშუალებით, მაგრამ ისინი პირიქით, მოხარული იქნებიან, თუ რაიმე სახით გაუწევს დახმარებას, რადგან მათ ტერიტორიაზე მინდინარეობს ახალი ობიექტების მშენებლობა და უამრავი საქმეა გასაკეთებელი. რაც შეეხება საბუთებს, ნებისმიერ დროს შეუძლია მივიდეს ორგანიზაციაში და მისთვის საინტერესო დოკუმენტი იხილოს, ამაში მას არასდროს არავინ ზღუდავდა მათი მხრიდან. მოპასუხეს დირექტორმა ასევე განუმარტა, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, აგვისტოს და სექტემბრის დივიდენდის მის მიერ დათმობის შემდეგ, მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით და თანხების სიმცირის გამო, ამ ბოლო პერიოდში დივიდენდი არ განაწილებულა. როცა წლიური ფინანსური ანგარიშგები მომზადდება, შედგება პარტნიორთა კრება, სადაც დივიდენდის განაწილების ან თანხების ორგანიზაციაში რეფინანსირების საკითხი გადაწყდება, რაშიც მას სრული უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს.

სასამართლო გადაწყვეტილება

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი, ხოლო მეორე მოპასუხის მიერ შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ პირველ მოპასუხეს დაეკისროს საგადასახადო შემოწმების აქტით ძირითად გადასახადში დარიცხული 45 494 ლარი და 6 764 ლარი, ასევე სანქცია-საურავების სახით დარიცხული 41 196 ლარი როგორც მიყენებული მატერიალური ზიანი, ჯამში – 93 454 ლარი.

სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი ზრუნავს

და იმ რწმენით მოქმედებდნენ, რომ ეს მათი ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი მოპასუხის, ანუ საზოგადოების ყოფილი დირექტორის ქმდებებით ზიანი მოსარჩელეს მიადგა.

სასამართლოს განმარტებით, სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას. რადგან კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულებების დარღვევა დირექტორებისთვის შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას წარმოშობს. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე.ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ იმ ზიანის წარმოშობაში არ მიუძღვის ბრალი, რომელიც საზოგადოებას მიადგა და რომ მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. აქედან გამომდინარე, პირველ მოპასუხეს არ დაუმტკიცებია ის, რომ მის მოქმედებებს ზიანი არ გამოუწვევია.

სასამართლომ განაცხადა, რომ მესამე მოპასუხის მიმართ, რომელიც მოსარჩელის ფინანსური მენეჯერი იყო, მოსარჩელის მოთხოვნა პირველ მოპასუხესთან ერთად სოლიდარული ზიანის ანაზრაურებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ის არასათანადო მოპასუხეა. მესამე მოპასუხე დასაქმებული მოსარჩელე საზოგადოებაში არც ხელმძღვანელ/წარმომადგენლობით და არც რიგით თანამდებობაზე არ ყოფილა. სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოსარჩელის განმარტება, რომ მესამე მოპასუხე საწარმოს ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ხელმძღვანელობდა, რადგან მხოლოდ დირექტორს აქვს ხელმძღვანელობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუ წესდებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. დადგინდა, რომ წესდებით არავითარი სხვა თანამდებობა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილება ექნებოდა, გათვალისწინებული არ ყოფილა. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ ზემოთ მითითებული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება დირექტორის უფლებამოსილებას უთანაბრდება, შესაბამისად, მასთან მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ხელშეკრულების გაფორმება საკმარისი არ იყო. ამასთან, ზეპირსიტყვიერი ხელშეკრულების არსებობის დროს შრომის ანაზღაურება უნდა ყოფილიყო ოფიციალური და არა ე.წ. შავი ბუღალტერიის გზით.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილება – დაადგინოს საწარმოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება, გულისხმობს, როგორც დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის გან-

საზღვრის უფლებამოსილებასაც. აღნიშნული კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და საზოგადოების წესდებით მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ნათელია, რომ პარტნიორთა კრებას, შესაბამისი წესით მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე, ენიჭება საწარმოს მოგების გამოყენების წესის განსაზღვრის დისკრეცია, რაც დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც გულისხმობს. შესაბამისად, საწარმოს პარტნიორთა აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში სასამართლო ვერ შეიჭრება, იმ შემთხვევის გარდა, როცა პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუღებელი დივიდენდის მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველი ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც ხელმძღვანელი პირების მიერ დივიდენდების მითვისებისა და დოკუმენტების გაყალბების ფაქტები დადასტურდებოდა. შესაბამისად, მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით უნდა დაედასტურებინა სასამართლოსთვის მოპასუხეების ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც საზოგადოების კუთვნილი ფულადი თანხების მითვისებაში გამოიხატა. განსახილველ შემთხვევაში ის გარემოება, რომ მოპასუხეებმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელეს, დადასტურებული არ არის, შესაბამისად, არ არსებობს ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ მითვისება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს (სსკ-ის 182-ე მუხლი). როდესაც მოსარჩელე საზოგადოება დირექტორისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე დირექტორმა დანაშაული ჩაიდინა და საზოგადოებას ზიანი მიაყენა, მტკიცებულება, რომლითაც უნდა დადასტურდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა, სისხლის სამართლის საპროცესო წესით მიღებული დოკუმენტია, რომელიც ამგვარი ფაქტის ნამდვილობას (გამამტყუნებელი განაჩენი) ადასტურებს. სხვა შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ დირექტორის გადაწყვეტილება ხელსაყრელი არ იყო საზოგადოებისათვის და მან საზოგადოების ქონებაზე სათანადო ზრუნვა არ გამოიჩინა.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბათილია შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. ამასთან, არსებობს შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცილების აბსოლუტური და ფაკულტატური საფუძვლები. შპს-პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილობის აბსოლუტურ საფუძვლებს წარმოადგენს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაუუნარობა, გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, რომელიც არ იყო დღის წესრიგში შეტანილი, ერთ-ერთი პარტნიორის მოუწვევლობა. სასამართლო აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი

ხანდაზმულობის ვადები გამოყენებულ უნდა იქნეს იმისდა მიხედვით, როგორია კრების გადაწყვეტილების შეცილების საფუძვლები: თუ საფუძვლები ფაკულტატურია, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 2 თვეა, ხოლო თუ აბსოლუტური – ერთი წელი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ შეგებებული სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს-ს მართვაში დირექტორის მხრიდან ხელის შეშლა არ დადასტურდა, რის გამოც ამ ნაწილშიც არ არსებობს მეორე მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სამართლომ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილება დაადგინოს საწარმოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება, გულისხმობს, როგორც დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. აღნიშნული კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს საზოგადოების წესდებით. საქართველოს კანონმდებლობა საწარმოს მოგების განაწილების რაიმე შემზღუდავ ნორმას არ შეიცავს და არც მინიმალური დივიდენდის ოდენობას აწესებს. აღნიშნული საკითხის დარეგულირება მხოლოდ წესდებით არის შესაძლებელი. ამრიგად, როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით, გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სრულად პარტნიორთა კრების დისკრეციას, ანუ პარტნიორთა კრებას, შესაბამისი წესით მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე, საწარმოს მოგების გამოყენების წესის განსაზღვრის დისკრეცია ენიჭება, რაც გულისხმობს დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც. განმარტებაში წერია, რომ საწარმოს პარტნიორთა აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში სასამართლო შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს.

აქედან გამომდინარე, მეორე მოპასუხეს, როგორც საზოგადოების პარტნიორს, დივიდენდის გაცემის თაობაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე, აღნიშნული საკითხის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოეთხოვა პარტნიორთა კრებისთვის. თუ დივიდენდის გაცემის საკითხის განსახილველად პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ მისი მოთხოვნა საწარმოს მიერ არ დაკმაყოფილდებოდა, მას, როგორც პარტნიორს, შეეძლო მოემართა სასამართლოსთვის მოთხოვნით, რომ მას კომპანია დაევალდებულებინა პარტნიორთა კრება მოეწვია.

კომენტარი:

სასამართლოს გადაწყვეტილება საინტერესოა, რადგან მან განმარტა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნორმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან. საინტერესოა სასამართლოს

განმარტება იმის შესახებ, საზოგადოების დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც საზოგადოებას მიადგა და რომ მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით, ანუ მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში სასამართლომ საზოგადოების დირექტორს დააკისრა.

საინტერესოა, ასევე, სამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაა დაადგინოს საწარმოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება და მათი რაოდენობა, ანუ სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა კრების დისკრეციაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია ამ დისკრეციაში ჩარევა.

კომპენსაციის დაკისრება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე №2/29318-2016, 30 იანვარი 2017 წელი

დავის საგანი: კომპენსაციის დაკისრება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7, მე-7^1, მე-7^2 პუნქტები. საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი. საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლის I ნაწილი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოპასუხე საზოგადოების პარტნიორის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა.

დირექტორის ცვლილების შესახებ განცხადება საჯარო რეესტრს 2016 წლის 16 სექტემბერს წარედგინა. 2016 წლის 20 სექტემბერს მომზადებული ამონაწერით დადგენილია, რომ მოპასუხის დირექტორად ახალი პირი დარეგისტრირდა.

მოსარჩელეს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით პარტნიორის გადაწყვეტილების შესახებ 2016 წლის 16 სექტემბერს ეცნობა. მოპასუხემ განცხადებით მიმართა საზოგადოების პარტნიორს და მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის განმარტება. საზოგადოების პარტნიორმა წერილობით აცნობა მოსარჩელეს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძვლად დაედო დაკისრებული მოვალეობების არსებითი და სისტემატიური დარღვევა.

დადგენილია, რომ მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის შორის შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით დადებული არ ყოფილა. საბანკო ამონაწერით და მხარეთა განმარტებით დადგენილია, რომ მოპასუხის შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად 7 000 ლარს შეადგენდა.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისგან გამოუყენებელი შვებულების და 2 თვის ანაზღაურებას, რადგან მისი გათავისუფლება შეტყობინების გარეშე მოხდა.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ მხოლოდ 2 თვის ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში. მან იმსჯელა, რომ მოპასუხემ დაარღვია „მეწარმეთა შესახებ“ კანონი და შრომის კოდექსი. მხარეებმა სადავოდ არ გახადეს, რომ მოსარჩელეს 16 სექტემბერს ეცნობა გათავისუფლების შესახებ და ამავე დღეს წარედგინა საჯარო რეესტრს გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე კი მოქმედებს შრომის კოდქესის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს 2 თვის ხელფასი. ამასთან ერთად, მოპასუხემ ვერ დაამტკიცა მოსარჩელის მიერ მოვალეობების დარღვევა, წერილობითი პასუხი იმის შესახებ, რომ მოსარჩელე არ ასრულებდა მოვალეობებს, მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. სასამართლოს განმარტებით, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა კანონმდებელმა რეგისტრაციის მომენტს დაუკავშირა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, რომლის დაუცველად რეგისტრაციის შეწყვეტის განხორციელება, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაქმებულისთვის 2 შრომის ანაზღაურების ოდენობით კომპენსაციის დაკისრებას ითვალისწინებს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში, არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, შრომის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი შვებულების მოთხოვნის უფლებას მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საზოგადოების დირექტორად რეგისტრირებული იყო 2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის სექტემბრამდე.

კომენტარი:

აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ პარტნიორებს და დირექტორს შორის ურთიერთობაში შემოდის შრომის კოდექსი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი უთითებს, რომ პარტნიორს და დირექტორს შორის ურთიერთობა ამ კანონითვე უნდა დარეგულირდეს, თუმცა პარტნიორისა და დირექტორს შორის ურთიერთობის გარკვეულ ხასიათზე უნდა გავრცელდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები. აღნიშნული გადაწყვეტილება იმ არაერთგვაროვანი პრაქტიკის მაგალითია, რომელიც ქართულ სასამართლოებშია ამ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთი გადაწყვეტილება (საქმე #2/17090-14) სრულად გამორიცხავს ამგვარ ურთიერთობებში შრომის კოდექსის მოქმედებას.

სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, პარტნიორად აღდგენა

გურჯაანის რაიონული სასამართლო, 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე # 2/ 337-12

დავის საგანი: სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, პარტნიორად აღდგენა

განმარტებული ნორმები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის I ნაწილი**,** 524-ე და 525-ე მუხლები**;** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი და 46-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 30 აპრილს სანკტ-პეტერბურგში მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის I პუნქტით მჩუქებელი იღებს ვალდებულებას უსასყიდლოდ გადასცეს, ხოლო დასაჩუქრებული იღებს ვალდებულებას, საჩუქრად მიიღოს შპს „ის“-ის 30 % წილი.

ზემოთ აღნიშნული, 2009 წლის 30 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, 2009 წლის 5 მაისს შპს-ს დირექტორმა საწარმოს სამეწარმეო რეესტრში მჩუქებლის ნაცვლად 30% წილის მფლობელ პარტნიორად დაარეგისტრირა დასაჩუქრებული. 16. 05. 2011 წლის მდგომარეობით, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სხვა პარტნიორებთან ერთად 30%-ის მქონე დასაჩუქრებულიც იყო.

2009 წლის 30 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „საკუთრების უფლების გადაფორმება რეგისტრირებული იქნება 2009 წლის 15 ივნისამდე საქართველოს რესპუბლიკის ქ. თბილისის სანოტარო კანტორაში“. ამდენად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ 2009 წლის 30 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების მე-4 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ საკუთრების უფლების გადაცემის წესზე, რაც არ მომხდარა, ამიტომ 2009 წლის 5 მაისს ჩუქების ხელშეკრულება არ იყო ძალაში შესული და იგი რაიმე სამართლებრივი შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა.

2009 წლის 5 მაისს შპს-ს დირექტორმა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე მჩუქებლის ნაცვლად 30% წილის მფლობელ პარტნიორად დაარეგისტრირა დასაჩუქრებული. შპს „ის“-ის წესდების მიხედვით პარტნიორის მიერ წილის განკარგვისთვის საჭირო იყო საზოგადოების ნებართვა, რომელიც პარტნიორთა კრებაზე უნდა შეთანხმებულიყო.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, 13.07.2012 წლის მდგომარეობით, შპს-ს დირექტორი, რომელმაც 2009 წელს 5 მაისს დასაჩუქრებული 30% წილის მესაკუთრედ დაარეგისტრირა, 100% წილის მესაკუთრე იყო.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი აღადგინა პარტნიორად მოსარჩელე და ბათილად ცნო სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერი. სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი ნორმებით: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44.3-ე, მე-9.3, 46-ე მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 524-ე, 525.1-ე, 319.1-ე. მუხლი; საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-4.6 მუხლი, მე-10 მუხლის 21-ე პუნქტი.

სასამართლომ განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის საკმარისი არ არის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შეთანხმება, საჭიროა დასაჩუქრებულისთვის საჩუქრის რეალურად გადაცემა. სწორედ ამიტომ, ჩუქება რეალური ხელშეკრულებაა და საჩუქრის გადაცემის მომენტიდან ითვლება ძალაში შესულად. სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს მხარეთა ავტონომიურობის პრინციპს, რაც ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. მათ შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, მათ შორის, ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს შეთანხმდნენ საჩუქრის გადაცემის წესზე. განსახილველ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ საკუთრების უფლების გადაფორმება რეგისტრირებული იქნებოდა 2009 წლის 15 ივლისამდე, ქ. თბილისში, სანოტარო კანტორაში. მაშასადამე, მხარეები შეთანხმდნენ საჩუქრის გადაცემის წესზე, ამიტომ დასაჩუქრებულს წილზე საკუთრების უფლება არ წამრმოშობია.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ შპს-ს წესდების მიხედვით, წილის გასხვისებაზე საჭიროა საზოგადოების ნებართვა, რომელიც პარტნიორთა კრებაზე მიიღება. დირექტორი ვალდებული იყო კანონის და წესდების სავალდებულო მოთხოვნა დაეცვა და შპს-ს პარტნიორად რეგისტრაციამდე მოეთხოვა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება წილის გასხვისებაზე თანხმობის შესახებ.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ რეესტრის უკანასკნელი ამონაწერის მიხედვით დირექტორი სადავო წილის მფლობელს წარმოადგენს, სასამართლომ განმარტა, რომ მისთვის, როგორც საზოგადოების დირექტორისთვის, რომელმაც 2009 წლის მაისში სადავო რეგისტრაცია განახორციელა, ცნობილი იყო, ან გონივრული წინდახედულობის და საწარმოს კეთილსინდისიერად მართვის პრინციპიდან გამომდინარე, ცნობილი უნდა ყოფილიყო რეესტრში უზუსტობის შესახებ, ამიტომ ამ შემთხვევაში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ არ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია და შემძენის ინტერესები მარტოოდენ საჯარო რეესტრის მონაცემებით ვერ იქნება დაცული.

კომენტარი:

სასამართლოს განმარტება ჩუქების ხელშეკრულებაზე მნიშვნელოვანია. ამასთან ერთად, საინტერესოა მისი განმარტება საზოგადოების დირექტორზე, რომელმაც გონივრული წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს და კეთილსინდისიერად მართოს საწარმო. დირექტორი სასამართლოს მიერ არ ჩაითვალა სადავო წილის კეთილსინდისიერ მფლობელად, რადგან ის დირექტორი იყო და საზოგადოების წესდების დარღვევით და კანონის უგულებელყოფით საწარმოს წილი სხვა პირს გადასცა. სწორედ აქედან გამომდინარე, არ მოქმედებს საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია.

აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალება

რუსთავის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე #2/501-15, 03.09.2015

დავის საგანი: აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების დავალება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.10 მუხლი, 53.3[3]-ე და 54.1-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე წარმოადგენს მოპასუხე სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების 6.94707%-ის მესაკუთრეს.

მოსარჩელემ წლის 24 სექტემბერს წერილობითი მოთხოვნით მიმართა საზოგადოების დირექტორს რიგგარეშე აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ დღის წესრიგით: საზოგადოების ბოლო ექვსი წლის საქმიანობის შემოწმების შესახებ. საზოგადოების დირექტორმა მოსარჩელეს წერილობით უპასუხა, რომ აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსათვის მიემართათ.

მოსარჩელემ 05.11.2014 წელს მიმართა წერილობითი მოთხოვნით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ დღის წესრიგით: საზოგადოების ბოლო ექვსი წლის საქმიანობის შემოწმების შესახებ. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ მოსარჩელეს წერილობით უპასუხა, რომ საზოგადოებას არ გააჩნდა ფინანსური სახსრები აქციონერთა რიგგარეშე კრების მოსაწვევად.

მოსარჩელემ და სხვა აქციონერებმა, მიმართეს სამეთვალყურეოს საბჭოს რიგგარეშე საერთო კრების გამართვისთვის საჭირო სახსრებით უზრუნველყოფის შესახებ. მოპასუხის მიერ აქციონერთა რიგგარეშე კრება მაინც არ მოწვეულა და ჩატარებულა.

მოსარჩელის მოთხოვნა საზოგადოების აქციონერთა რიგგგარეშე კრების მოწვევის შესახებ დაყენებულია საზოგადოების აქციონერთა ბოლო კრების გამართვიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

მოსარჩელე აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარებას ითხოვს.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე, რომლის მიხედვითაც აქციონერს უფლება აქვს გაეცნოს საზოგადოების საქმიანობას და მას ასევე უფლება აქვს, თუ აქციების 5%-ს ფლობს, მოიწვიოს რიგგარეშე კრება. მოსარჩელის მიერ დაცული იყო კანონით დაწესებული ყველა დათქმა რიგგარეშე კრების მოწვევასთან დაკავშირებით. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ თუ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაუარესებულია, რომ მას არათუ კრედიტორების გასტუმრება, არამედ აქციონერთა კრების (რიგგარეშე კრების) ჩასატარებლად

ნოტარიუსისთვის აუცილებლად გადასახდელი ფულადი სახსრების გაღებაც კი არ შეუძლია, აღნიშნული გარემოება შეიძლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენდეს, რისი განცხადების ვალდებულებაც საზოგადოების დირექტორს აქვს.

კომენტარი:

სასამართლომ სწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ შემთხვევაში საზოგადოების უარი კრების მოწვევის შესახებ ფინანსების არქონის გამო კანონთან შეუსაბამოა, მითუმეტეს, რომ მოსარჩელის მიერ დაცული იყო კანონით გათვალისწინებული ვადები და პროცედურები. მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელის, როგორც საზოგადოების 5%-ზე მეტი აქციების მესაკუთრის კონტროლისა და შემოწმების უფლება, რომლის რეალიზაციის საშუალება მას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე“ ჰქონდა. ამასთან აქციონერის ამ უფლების რეალიზაცია არ არის დამოკიდებული საზოგადოების მხრიდან რაიმე გარემოების არსებობა-არასებობაზე.

კრების ოქმებით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობა

ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე: #2/557-15, ნოემბერი, 2015 წელი

დავის საგანი: კრების ოქმებით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9^1 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, მე-9 პუნქტი, მე-7 პუნქტი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოპასუხე შპს დაფუძნდა 2011 წლის 18 ნოემბერს, საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო მოსარჩელე, რომელიც რეესტრში დარეგისტრირდა როგორც 2.4% წილის მქონე პარტნიორი.

საზოგადოების წესდების მიხედვით პარტნიორებს უფლება ჰქონდათ ხმების საერთო რაოდენობის უმრავლესობით ეს საზოგადოება სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად გარდაექმნათ.

2015 წლის 18 ივნისს საზოგადოების დირექტორმა მოსარჩელეს და მის წარმომადგენლებს დღის წესრიგი გაუგზავნა და აცნობა, რომ პარტნიორთა რიგგარეშე კრებას იწვევდა, რომელიც 2015 წლის 30 ივნისს გაიმართებოდა. დღის წესრიგი შემდეგ საკითხებს შეეხებოდა: საზოგადოების რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად და ამ რეორგანიზაციიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

2015 წლის 25 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა საზოგადოების დამფუძნებლებს და აცნობა, რომ მოსარჩელეს მიზანშეუწონლად მიაჩნდა

საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა. ამავე განცხადებით მან აცნობა, რომ მოსარჩელე ინტენსიური სტაციონალური მკურნალობის კურსს გადიოდა და მოითხოვა ერთი თვის ვადით გადაედოთ დღის წესრიგის საკითხების განხილვა.

2015 წლის 30 ივნისს, ჩატარდა მოპასუხე საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრება და შედგა №1 კრების ოქმი. მას არ ესწრებოდა მოსარჩელე. პარტნიორებმა კრებაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად რეორგანიზაციის გადაწყვეტილება მიიღეს.

რეორგანიზაციის მომენტში საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრა 6 500 000 აშშ დოლარით, რომელიც სრულად არ იყო შევსებული. ამ მოცემულობით მოპასუხის შესატანი კომპანიის კაპიტალში 156 000 აშშ დოლარს შეადგენდა. კრების ოქმით მას ვადა 2015 წლის 01 აგვისტომდე მიეცა, რათა სრულად განეხორციელებინა შენატანი საზოგადოებაში მის სახელზე რეგისტრირებული კომპანიის წილის პროპორციულად.

2015 წლის 15 ივლისს, მოპასუხის დირექტორმა მოსარჩელეს და მის წარმომადგენლებს გაუგზავნა დღის წესრიგი და აცნობა, რომ პარტნიორთა რიგგარეშე კრებას იწვევდა, რომელიც 2015 წლის 23 ივლისს გაიმართებოდა. დღის წესრიგი, საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საზოგადოების წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას შეეხებოდა.

2015 წლის 18 ივლისს, მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოპასუხის დამფუძნებლებს და დირექტორს და აცნობა, რომ მისი მოსრჩელე გარდაქმნის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მოსარჩელის წარმომადგენლებმა მოპასუხე საზოგადოებას განუცხადეს, რომ მინდობილობა პარტნიორის უფლებამოსილებების განხორციელებას არ მოიცავდა და შესაბამისად მათ პარტნიორთა კრებებზე დასწრება არ შეეძლოთ.

2015 წლის 23 ივლისს, ჩატარდა მოპასუხის პარტნიორთა რიგგარეშე კრება და შედგა №2 კრების ოქმი. კრებას არ ესწრებოდა მოსარჩელე. დამსწრე პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება და დამტკიცდა წესდება ახალი რედაქციით.

2015 წლის 29 ივლისს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება იმ მიზეზით შეჩერდა, რომ მოპასუხის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა პირობებს. მას დაევალა წარედგინა მარეგისტრირებელ ორგანოში მოსარჩელის მიერ გაცხადებული საცხოვრებელი მისამართის ცვლილების დოკუმენტი და წესდების და კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება საზოგადოების გარდაქმნის თაობაზე.

2015 წლის 13 აგვისტოს ჩატარდა საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრება და შედგა №3 კრების ოქმი. მას არ ესწრებოდა მოსარჩელე. მათ მიიღეს გადაწყვეტილება წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

2015 წლის 14 აგვისტოს, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ და იმავე დღეს მიიღეს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება. მოპასუხე სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა.

2015 წლის 29 სექტემბერს ჩატარდა მოპასუხის პარტნიორთა რიგგარეშე კრება. მას არ ესწრებოდა მოსარჩელე. პარტნიორთა რიგგარეშე კრებაზე დადგინდა, რომ მოსარჩელემ არ განახორციელა თავისი შენატანი „საზოგადოების“ კაპიტალში, შესაბამისად, საზოგადოების კაპიტალში მოსარჩელის საკუთრებაში არ გადასულა არც ერთი ცალი აქცია. გაუქმდა საზოგადოების გამოუსყიდავი/განუთავსებელი აქციები.

სასამართლომ დადგენილ სადავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის, რომ მოსარჩელე პარტნიორთა კრებებზე დადგენილი წესით მოწვეული არ ყოფილა.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი. მან იმსჯელა, რომ პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურის მოწესრიგება ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რომ პარტნიორთა უფლების კრებაზე რეალიზების სრული უზრუნველყოფა მოხდეს და იმდაგვარად იქნეს განხორციელებული პარტნიორთა კრების მოწვევის ორგანიზაცია, რომ პარტნიორს კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ წაერთვას. სასამართლომ ასევე მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე და განმარტა, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობაც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცილდება, ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას მოითხოვს. 30 ივნისის კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლითაც საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა, საფრთხე შეუქმნა კრებაზე გამოუცხადებელი პარტნიორის არსებით ინტერესს, კერძოდ, საზოგადოების წილზე რეგისტრირებული საკუთრების უფლებას. უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილია საზოგადოების პარტნიორთა 2015 წლის 29 სექტემბრის კრების ოქმი, რომლის მიხედვით, მოსარჩელის მიერ საზოგადოების კაპიტალში შენატანის განუხორციელებლობის გამო გაუქმდა გამოუსყიდავი აქციები. ამიტომ სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო ყველა პარტნიორის მონაწილეობა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე კრებებზე არ იყო მოწვეული სათანადო წესების დაცვით.

კომენტარი:

სასამართლომ განმარტა საზოგადოების წესდების ჩანაწერი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სასარგებლოდ და დაასკვნა, რომ პარტნიორთა კრება, რომელიც მნიშვნელოვნად ეხება საზოგადოების პარტნიორის არსებით ინტერესებს და რომლითაც იცვლება საზოგადოების ბუნება და სამართლებრივი ფორმა, საჭიროებს ყველა პარტნიორის დასწრებას, განსაკუთრებით, თუ ეს პარტნიორის ისეთ მნიშვნელოვან უფლებას ეხება, როგორიც – საკუთრების, წილის განკარგვის უფლებაა საზოგადოებაში.

ხელფასის ანაზღაურება

თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე #2/1134-2015, 24.08.2015

დავის საგანი: ხელფასის ანაზღაურება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი, 44-ე მუხლი. „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი, 35-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე იყო სახელმწიფო საწარმოს დირექტორი. სსიპ ქონების ეროვნულმა საააგენტომ (შემდგომში – მოპასუხე) მოსარჩელე დანიშნა საწარმოს დირექტორად 2012 წელს ყოველთვიური შრომითი ანაზღაურების გარეშე.

მოპასუხემ 2014 წლის 19 მაისის ბრძანებით საწარმოს კაპიტალის კორექტირება მოახდინა, იქიდან მიწის ნაკვეთი ამოიღო, თუმცა ეს მიწის ნაკვეთი საწარმოს სახელზე საჯარო რეესტრის ჩანაწერებში არასოდეს ირიცხებოდა.

მოპასუხემ 2014 წლის ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე საწარმოს დირექტორობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად შპს „რეაბილიტაცია“ დანიშნა.

შპს „რეაბილიტაციამ“ 2014 წლის 4 ივნისს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ, იმ გარემოებებზე მითითებით, რომ საწარმოს შეწყვეტილი ჰქონდა სამეწარმეო საქმიანობა, არ გააჩნდა ქონება და მხოლოდ ერთი კრედიტორის – მოსარჩელის სახელფასო დავალიანება ერიცხებოდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივლისის განჩინებით საწარმოს უარი ეთქვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ვინაიდან მას ქონება არ გააჩნდა და კრედიტორებს განემარტათ, რომ თუ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საწარმოს მიმართ განცხადებას არ შეიტანდნენ გადახდისუუნარობის შესახებ, საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდებოდა და საწარმოს რეგისტრაცია გაუქმდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საწარმო გაკოტრებულად ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ გამოაცხადა.

საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის შემდეგ მოსარჩელეს არ მიუმართავს სასამართლოსთვის და არც სადავოდ გაუხდია მოვალის მოქმედება საწესდებო კაპიტალის კორექტირების შესახებ, ასევე სადავოდ არ გაუხდია საწარმოს გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეს მის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება დაეკისროს, მისი მტკიცებით მან ხელოვნურად მოახდინა საწარმოს გადახდისუუნარობა.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან მოსარჩელეს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად არ მიუმართავს სასამართლოსთვის და მან არ დაიცვა ერთთვიანი ვადა. სასამართლომ ასევე იმსჯელა შპს-ს ბუნებაზე და აღნიშნა, რომ კრედიტორების წინაშე იგი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით და ამ შემთხვევაში შპს-ს პარტნიორი მოპასუხე პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე. ამასთან ერთად არ დასტურდება მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ საწარმო ხელოვნურად გახადა გადახდისუუნარო კაპიტალის კორექტირების გზით.

კომენტარი:

სასამართლომ აქცენტი გააკეთა შპს-ს სამართლებრივ ბუნებაზე, აღნიშნა, რომ მისი პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესზე, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს უნდა ესარგებლა ერთთვიანი ვადით. სასამართლომ მოპასუხის ქმედება კაპიტალის კორექტირებასთან დაკავშირებით არ ჩათვალა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, რადგან საჯარო რეესტრში აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ ფიქსირდებოდა საწარმოს საკუთრებად, ამასთანავე მოპასუხეს „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლით აღნიშნული ქმედება სადავოდ არ გაუხდია.

საზოგადოების კაპიტალში შენატანის განხორციელება

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე #2/3457-2016, 26 დეკემბერი 2016 წელი

დავის საგანი: საზოგადოების კაპიტალში შენატანის განხორციელება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი, მე-9^1 მუხლის მე-6 და 46-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელის პარტნიორთა კრების 2014 წლის 4 თებერვლის ოქმით მიღებული წესდებით დადგენილია, რომ საზოგადოება რამდენიმე პარტნიორის მიერ დაფუძნდა და ყველა პარტნიორის წილი კაპიტალი 6.25%-ით განისაზღვრა.

მოსარჩელე საზოგადოების პარტნიორი გარდაიცვალა 2014 წლის 3 მარტს, რომლის პირველი რიგის კანონიერმა მემკვიდრემ და მოპასუხემ 2014 წლის 20 მარტს განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღების შესახებ და ნოტარიუსის მიერ გაცემულ იქნა მოწმობა განცხადების წარდგენის შესახებ.

2014 წლის 1 აპრილს მოსარჩელის პარტნიორთა კრებამ გადაწყვეტილება მიიღო კაპიტალის გაზრდის და 7 496 797 ლარით და 49 თეთრით განსაზღვრის შესახებ, განისაზღვრა პარტნიორთა შენატანები – მათ შორის, მოპასუხის შენატანი 495 153 ლარით და 47 თეთრით, კერძოდ, ქ.თბილისში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული ფართის 1/16 ნაწილით განისაზღვრა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება მოსარჩელე საზოგადოების საკუთრებად ქ.თბილისში მდებარე უძრავი ნივთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით საწესდებო კაპიტალში შეტანის საფუძველზე, ვინაიდან, ოქმში მითითებული მონაცემები შეუსაბამო იყო რეესტრში არსებულ ჩანაწერებთან (თოთეულის წილი იყო 1/15, ნაცვლად 1/16-სა).

გარდაცვლილი პარტნიორის კუთვნილი წილის შესაბამისი ქონების საწესდებო კაპიტალში შეტანა ვერ მოხდებოდა, ვინაიდან მოპასუხეს არ ჰქონდა სამკვიდროს განკარგვის უფლებამოსილება სამკვიდროს გახსნის დღიდან 6 თვის გასვლამდე.

მოსარჩელის პარტნიორთა 2014 წლის 7 აპრილის კრების მიხედვით, პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაიზარდა საზოგადოების კაპიტალი და განისაზღვრა 7 496 797 ლარით და 49 თეთრით. ასევე განისაზღვრა პარტნიორთა შენატანები, მათ შორის, მოპასუხის, როგორც გარდაცვლილი პარტნიორი მემკვიდრის, შენატანი – 495 153 ლარით და 47 თეთრით, კერძოდ, ქ.თბილისში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული ფართის 1/15 ნაწილით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 8 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილების უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

რეესტრის ამონაწერით დადგენილია, რომ 2014 წლის 8 აპრილს მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრირებულ იქნა ქ.თბილისში მდებარე უძრავი ქონების 13/15 ნაწილი. ხოლო აღნიშნული ქონების 1/15 რეგისტრირებული იყო გარდაცვლილი პარტნიორის საკუთრებად.

მოსარჩელის პარტნიორთა 2016 წლის 29 იანვრის კრების მიხედვით, მოპასუხეს საზოგადოების 2014 წლის პირველი აპრილის და 7 აპრილის კრების ოქმებით დადგენილი შენატანის განხორციელებისთვის განესაზღვრა 3 დღე.

საჯარო რეესტრის ამონაწერებით დგინდება, რომ მოთხოვნილი შენატანი უძრავი ქონების 1/15 ის სახით რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის კაპიტალში გარდაცვლილ პარტნიორს განხორციელებული არ ჰქონდა წილის შესაბამისი შენატანი. მისი კუთვნილი წილი მემკვიდრეობით მიიღო მოპასუხემ და მოსარჩელის კაპიტალში მისი კუთვნილება განისაზღვრა 13.21%-ით, საიდანაც განხორციელებული არ იყო 6.605% წილის შესაბამისი შენატანი კაპიტალში.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისგან უძრავი ქონების სახით კაპიტალში შენატანის განხორციელებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მან განმარტა, რომ საზოგადოების კაპიტალში შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვას საზოგადოებიდან, კერძოდ, პარტნიორი კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, ხოლო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, პარტნიორის მიერ აღნიშნული უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობისას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პარტნიორთა წილების თანაფარდობის წარმოქმნას განხორციელებული შენატანის შესაბამისად. აღნიშნული საკითხი საზოგადოების წესდებით სხვანაირად დარეგულირებული არ ყოფილა.

კომენტარი:

სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა და მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ დაავალდებულებს მოპასუხეს კაპიტალში შენატანის განხორციელებას.სასამართლომ სწორად მიუთითა კანონის შესაბამის ნორმაზე და აღნიშნა, რომ რადგან საზოგადოების წესდება სხვანაირად არ არეგულირებდა ამ საკითხს, დავა კანონის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო.

პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, საწარმოს დირექტორის გათავისუფლება

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე #2/12553-2015, 9 სექტემბერი 2016 წელი

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, საწარმოს დირექტორის გათავისუფლება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-9^1 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტები, 47-ე მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე არის საწარმოს 39% წილის მფლობელი და სარჩელი შეიტანა სასამართლოში საწარმოს, სწარმოს დირექტორისა და მეორე პარტნიორის წინააღმდეგ. მოსარჩელე ითხოვს 2015 წლის 30 აპრილის კრების ოქმის ბათილობას და დირექტორის გათავისუფლებას.

2013 წლის 21 მაისს პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე გათავისუფლდა ძველი დირექტორი და საწარმოს დირექტორად მოპასუხე დაინიშნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი და საწარმოს დირექტორს დაევა-

ლა გადაეცა მოსარჩელისთვის წესდება, კრების ოქმები და საზოგადოების დოკუმენტაცია.

საწარმოს პარტნიორთა 2014 წლის 26 დეკემბრის კრებაზე დირექტორს თანხმობა მიეცა საზოგადოების კუთვნილი მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების დადგენის და შეფასების მიზნით მოეწვია შემფასებელი, რათა საბაზრო/სარეალიზაციო ფასი დაედგინა შემდეგ გასხვისების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის დეკემბრის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, რომლითაც საწარმოს მიწის ნაკვეთების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა აეკრძალა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განჩინებით გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

2015 წლის 30 მარტს საწარმოსა და მყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მყიდველს საკუთრებაში გადაეცა მიწის ნაკვეთი.

მოსარჩელეს 2015 წლის 22 აპრილს ჩაბარდა შეტყობინება დღის წესრიგით 2015 წლის 30 აპრილს 14:00 საათზე პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ. მოსარჩელემ წერილობით აცნობა საზოგადოების დირექტორს, რომ არ ეთანხმებოდა დღის წესრიგს და მოითხოვა ის განსაზღვრულიყო მის მიერ მითითებული საკითხებით.

საზოგადოების პარტნიორთა 2015 წლის 30 აპრილის კრების მიხედვით, დირექტორის მიერ განსაზღვრულ დღის წესრიგს დაემატა მოსარჩელის მითითებული დღის წესრიგი. საზოგადოების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისებას მხარი დაუჭირა კაპიტალის 60.50% წილის მფლობელმა პარტნიორმა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთების გასხვისებასთან დაკავშირებით. კრებამ მხარი არ დაუჭირა დირექტორის თანამდებობიდან გამოწვევას, მასთან ხელშეკრულების შეწყვეტას და თანამდებობიდან გათავისუფლებას.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. მან აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა, რომ საზოგადოების დირექტორის ქმედებით საწარმოს მიადგა ზიანი, ასევე არ დასტურდებოდა დომინანტი პარტნიორის ზიანის შემცველი ქმედება საწარმოს მიმართ. სასამართლომ აღნიშნა, რომ დირექტორის სადავო მოქმედებები განხორციელებული იყო პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების საფუძველზე, რასაც საწარმოს კაპიტალის 60.50% წილის მფლობელი პარტნიორი ეთანხმებოდა.

სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის მითითებას იმის შესახებ, რომ დირექტორის მიერ არ შეიცვალა კრების დღის წესრიგი მოსარჩელის მიერ მითითებული საკითხებით და დარღვეულ იქნა წესდება 2015 წლის 30 აპრილის კრების მოწვევის ჩატარების

დროს. რადგან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს პარტნიორის მიერ დამატების შეტანას დღის წესრიგში, საწარმოს წესდების მუხლი, რომელიც მიუთითებს პარტნიორის მიერ დღის წესრიგის ცვლილების შესაძლებლობაზე, განმარტებულ უნდა იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში. დღის წესრიგში დამატების შეტანა არის დღის წესრიგის ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ პარტნიორს შეეძლება შეცვალოს სხვა პარტნიორის მიერ შეცვლილი წესრიგი და ვერ ჩამოყალიბდეს კრების დღის წესრიგი.

სასამართლომ ასევე იმსჯელა დირექტორის გათავისუფლების და მასთან ხელშეკრულების გაწყვეტის მოთხოვნის შესახებ, სასამართლოს თქმით, ეს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პარტნიორთა კრებას აკრძალული არ ჰქონდა მიწის ნაკვეთის გასხვისებათან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, 2015 წლის 30 აპრილის პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, პარტნიორთა კრებამ გამოხატა მიწის ნაკვეთის გასხვისების ნება, რაც თავისთავად ნაკვეთის გასხვისებას არ გულისხმობს.

კომენტარი:

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია რამდენიმე კუთხით. პირველ რიგში, ის, რომ სასამართლომ პარტნიორთა კრების დისკრეციაზე მიუთითა და განაცხადა, რომ იგი მის უფლებამოსილებაში ვერ შეიჭრებოდა, რადგან დირექტორთან შრომით ურთიერთობას პარტნიორთა კრება არეგულირებს.

მეორე მნიშვნელოვანი განმარტება, რაც სასამართლომ გააკეთა ამ კონკრეტულ საქმეზე, შეეხება პარტნიორის მიერ დამატების შეტანას პარტნიორთა კრების დღის წესრიგში. სასამართლომ განმარტა, რომ დღის წესრიგში დირექტორის მიერ დამატების შეტანა უნდა მივიჩნიოთ დღის წესრიგის ცვლილებად.

სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

თბილისის საქალაქო სასამართლო, 06.01.2015, საქმე #2/17090-14

დავის საგანი: სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი, მე-9 მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 5 სექტემბერს დადებული სასამსახურო ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელე დაინიშნა მოპასუხე სააქციო საზოგადოების შვილობილი კომპანიის შპს-ს დირექტორად და მისი შრომითი ანაზღაურება ყოველთვიურად 4 500 ლარით განისაზღვრა.

2014 წლის 3 სექტემბრის მოპასუხე საზოგადოების დირექტორთა საბჭოს დადგენილებით მიღებულია გადაწყვეტილება მოსარჩელის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რის შესახებაც 2014 წლის 4 სექტემბერს ეცნობა მას.. ეს შეტყობინებაზე ხელის მოწერით დასტურდება.

მოპასუხის 2014 წლის 8 სექტემბრის #538 ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება იმავე დღეს ჩაბარებული აქვს მოპასუხეს, რაც შეტყობინებაზე ხელის მოწერით დასტურდება.

მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის დირექტორთა საბჭოს ბრძანების ბათილობას და განაცდურის ანაზღაურებას.

მოპასუხე არ დაეთანხმა სარჩელს და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა შრომის კოდექსის ნაცვლად უნდა დარეგულირებულიყო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება და საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს დირექტორს და იგი პარტნიორთა მიერ ნდობით აღჭურვილ თანამდებობის პირს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების ფასეულობას განაგებს. შესაბამისად, საწარმოს პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი თანამდებობიდან და მათზე შრომის კანონთა მოთხოვნები ვერ გავრცელდება, იმის მიუხედავად, დირექტორი კეთილსინდისიერად ასრულებს თუ არა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან, დირექტორის საქმიანობა არ არის ჩვეულებრივი საქმიანობა და იგი ვერ გაუთანაბრდება საწარმოს მიერ დაქირავებულ მუშაკთან ურთიერთობას, რომელიც შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად რეგულირდება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

კომენტარი:

სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს დირექტორზე არ ვრცელდება შრომის კოდექსის ნორმები, რადგან საწარმოს პარტნიორებს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ გაათავისუფლონ დირექტორი, იმის მიუხედავად, იგი თავის მოვალეობებს კეთილსინდისიერად ასრულებს თუ არა. სასამართლომ ამ შემთხვევაში გამიჯნა პარტნიორებისა და საწარმოს დირექტორის ურთიერთობის განსხვავებული ხასიათი შრომითი ხელშეკრულების ხასიათისაგან. ვფიქრობ, რომ პარტნიორებისა და დირექტორს შორის ურთიერთობის ხასიათის ხისტი გამიჯვნა შრომის კოდექსისგან არასწორია, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონი გარკვეულ მითითებას მაინც აკთებს შრომის კოდექსის მუხლზე ვადების შესახებ. აქედან გამომდინარე, შრომის კოდექსის პრინციპები და მიზანი არ ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ კანონს, კერძოდ კი, პარტნიორებსა და დირექტორს შორის ურთიერთობის ხასიათს.

მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ბათილობა და რეესტრის მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია

თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე #2/17256-2014, 6 მარტი 2015 წელი

დავის საგანი: მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ბათილობა და რეესტრის მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5^2 პუნქტი, მე-5^1 და მე-5^3 მუხლები.

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 15 იანვარს მოწვეული იყო მოსარჩელე შპს-ს პარტნიორთა კრება სხვადასხვა დღის წესრიგით, მათ შორის, დღის წესრიგში იყო წესდების ახალი რედაქციის მიღება., გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, ვინაიდან კრება გადაწყვეტილების უნარიანი არ იყო.

2014 წლის 3 თებერვალს მოიწვიეს მოსარჩელე შპს-ს პარტნიორთა კრება, რომელსაც კაპიტალის 80%-ის მფლობელი პარტნიორების წარმომადგენლები და 20%-ის მფლობელი პარტნიორი ესწრებოდნენ. კაპიტალის 80%-ის მფლობელ პარტნიორთა გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა წესდების ახალი რედაქცია, რასაც კაპიტალის 20%-ის მფლობელი პარტნიორი არ დაეთანხმა. წესდების ახალი რედაქციით შეიცვალა პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი. წესდების ახალი რედაქციით კაპიტალის 20%-ის წილის მესაკუთრე მისაღებ გადაწყვეტილებაზე გავლენას ვეღარ მოახდენს.

წესდების მოქმედი რედაქციის მე-5.5 და მე-5.6 პუნქტების მიხედვით, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა 80%-ზე მეტი წილის მესაკუთრე პარტნიორთა თანხმობა, ხოლო წესდების ახალი რედაქციის მე-14.1 და მე-14.2 პუნქტების მიხედვით კრება უფლებამოსილია, თუ მას პარტნიორთა უმრავლესობა ესწრება, გადაწყვეტილებები კი 51% წილის მესაკურე პარტნიორების მიერ მიიღება.

2014 წლის 13 თებერვალს მოპასუხე მარეგისტრირებელ ორგანოს მოსარჩელემ პარტნიორთა 2014 წლის 3 თებერვლის კრების ოქმის საფუძველზე წესდების ახალი რედაქციის რეგისტრაციის შესახებ მიმართა.

მოპასუხის 2014 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა. მოსარჩელეს დაევალა ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული წესდება და პარტნიორთა წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარედგინა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საზოგადოების წესდებით იხელმძღვანელა. წესდების ახალი რედაქცია, რომლის დარეგისტრირებასაც ცდილობდა მოსარჩელე, უშუალო გავლენას ახდენდა პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებაზე და აქედან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, წესდებაში ცვლილების შეტანა პარტნიორის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. პარტნიორი კი წესდების ახალ რედაქციას პარტნიორთა კრებაზე არ დაეთანხმა.

კომენტარი:

სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს დირექტორზე არ ვრცელდება შრომის კოდექსის ნორმები, რადგან საწარმოს პარტნიორებს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ გაათავისუფლონ დირექტორი, იმის მიუხედავად, იგი თავის მოვალეობებს კეთილსინდისიერად ასრულებს თუ არა. სასამართლომ გამიჯნა პარტნიორებისა და საწარმოს დირექტორის ურთიერთობის განსხვავებული ხასიათი შრომითი ხელშეკრულების ხასიათისაგან.

გარიგების ბათილად ცნობა, წილის მესაკუთრედ ცნობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე #2/20186-2014, 6 ნოემბერი 2015 წელი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, წილის მესაკუთრედ ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4[1] პუნქტი, 46-ე მუხლის მე-3 პუქნტი, სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 55-ე, 81.1-ე, 83-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 4 დეკემბერს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების მიხედვით, მოსარჩელე და მოპასუხე შეთანხმდნენ, რომ დააფუძნებდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მოპასუხე იქნებოდა კაპიტალის 51% წილის მფლობელი, ხოლო მოსარჩელე 49% წილის მფლობელი. მოპასუხემ აიღო ვალდებულება მოეზიდა საჭირო ფინანსები სახელმწიფოს მხრიდან შ.პ.ს-ზე გადაცემული ქონების შეძენისთვის. მოპასუხეს უნდა მოეგვარებინა წარმოების გამართული მუშაობისთვის საჭირო ნედლეულით მომარაგების საკითხი, ხოლო მოსარჩელემ აიღო ვალდებულება სწორად წარემართა საწარმოო პროცესები, უზრუნველეყო შრომის ეფექტური ორგანიზაცია. მოსარჩელე ვალდებული იყო მუშაობის დაწყებიდან სამი თვის ვადაში მონაწილეობა მიეღო კუთვნილი წილიდან გამომდინარე თანხების მოზიდვის და ნედ-

ლეულის შეძენის საკითხში. თუ იგი ვერ უზრუნველყოფდა თავისი მოვალეობების შესრულებას, მეორე მხარესთან შეთანხმებით უპირობოდ დათმობდა თავისი წილიდან გარკვეულ ნაწილს ან მთლიანად.

მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული შეთანხმება შედგენილ იქნა დაახლოებით 2014 წელს და დათარიღდა 2012 წლის 4 დეკემბრით, რადგან საწარმოს ფინანსური პოლიცია ამოწმებდა და კვალის დაფარვა სურდათ.

შ.პ.ს-ს 2013 წლის 18 ივლისის კრების ოქმის მიხედვით, მოსარჩელემ საწარმოს კაპიტალის 49% წილიდან 24% წილი უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს.

2013 წლის 25 დეკემბერს მოსარჩელემ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით 25% გაასხვისა მესამე პირზე.

მოსარჩელის მტკიცებით, მას მოტყუებით დაადებინეს გარიგება 24% წილის გასხვისებასთან დაკავშირებით 2013 წლის 18 ივლისს. მოსარჩელე ასევე ითხოვს 2012 წლის 4 დეკემბრის გარიგების ბათილად ცნობას.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2012 წლის 4 დეკემბრის შეთანხმებაში მითითებული ვალდებულებების გადანაწილება პარტნიორებს შორის საწარმოს დაფუძნებამდე არის ბათილი, ვინაიდან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პარტნიორების უფლებას შეთანხმდნენ საზოგადოების დაფუძნებამდე წილების განაწილებაზე. სასამართლომ ასევე მიუთითა იმაზე, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს მტკიცებულებებით სადავო გარიგების დადებას 2014 წელს, აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არც აქვს იურიდიული ინტერესი მოითხოვის 2012 წლის 4 დეკემრბის შეთანხმების ბათილობა, რადგან მისი ბათილობის შემთხვევაში, ის 24% წილის მფლობელი ვერ იქნებოდა.

კომენტარი:

მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმაზე, რომლის მიხედვითაც კანონი განსაზღვრავს პარტნიორთა უფლებას შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე საზოგადოების დაფუძნებამდე. აღნიშნული გარიგება იმ მოტივით, რომ საწარმო ჯერ არ დაფუძნებულა, ვერ იქნება ბათილი.

საზოგადოებიდან გასვლა და წილის მიხედვით კომპენსაციის დაკისრება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე #2/20749-2014, 19 ოქტომბერი 2016 წელი

დავის საგანი: საზოგადოებიდან გასვლა და წილის მიხედვით კომპენსაციის დაკისრება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 46.3-ე, 47-ე მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

შ.პ.ს-ს 2013 წლის 10 ივლისის პარტნიორთა კრებაზე მოპასუხეთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება წილის საბაზრო ღირებულების კომპენსაციის გზით მოსარჩელის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეებს, შ.პ.ს-ს და მის პარტნიორს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროთ 404 879 ლარის გადახდა შ.პ.ს-ს კაპიტალის 20% წილის კომპენსაციის სახით საზოგადოებიდან გასვლის სანაცვლოდ.

მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 25 მაისის დასკვნის მიხედვით, შ.პ.ს-ს 20% წილის საბაზრო ღირებულება 2016 წლის 21 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ 404 879 ლარით განისაზღვრა.

მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი შ.პ.ს. „ფინანსური მართვის ჯგუფის“ 2016 წლის 24 მაისის დასკვნის მიხედვით, შ.პ.ს. „ე“-ს კაპიტალის 100% წილის ოდენობა განისაზღვრა 307 404. 70 ლარით, 20% წილის ღირებულება განისაზღვრა 61 480. 94 ლარით, დასკვნაში აღნიშნულია, რომ 20% წილი წარმოადგენს უკონტროლო წილს და პრაქტიკის შესაბამისად მისი ღირებულება 20%-ით (12 296. 19 ლარით) შემცირდა და საბოლოოდ განისაზღვრა 49 184 ლარით.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მიერ წამოდგენილი დასკვნა, რადგან დაუსაბუთებელია დასკვნაში აღნიშნული გარემოებები საწარმოს კაპიტალის 20% წილზე, როგორც „უკონტროლო წილზე“ მითითებით ღირებულების შემცირების შესახებ, დაუსაბუთებელია დასკვნა საწარმოს შემოსავლებიდან გამომდინარე კაპტალის 20% წილის ღირებულების 49 184 ლარით და 75 თეთრით განსაზღვრის შესახებ.

სასამართლო განამრტავს, რომ მართალია, წილის გასხვისებით პარტნიორი გადის საზოგადოებიდან, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ უკრძალავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს საზოგადოები-

დან გასვლას და არც გასვლის წინაპირობებს უწესებს პარტნიორს. საზოგადოებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებიც შეუძლებელს ხდის გასვლის მსურველი პარტნიორის დარჩენას საზოგადოებაში და საქმიანობის გაგრძელებას სხვა პარტნიორებთან ერთად. საზოგადოებიდან გასვლა ხორციელდება პარტნიორის მიერ ნების გამოხატვით და გასვლის შესახებ განცხადების შეტანით.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სარჩელში მეორე მოპასუხედ მითითებული საზოგადოების პარტნიორი არის არასათანადო მოპასუხე, ვინაიდან საზოგადოებიდან გასული პარტნიორის წილის კომპენსაციას ანაზღაურებს საზოგადოება, სარჩელი წილის კომპენსაციის მოთხოვნით წარედგინება საზოგადოებას და არა პარტნიორს. შესაბამისად კომპენსაცია სასამართლომ მხოლოდ საზოგადოებას დააკისრა.

კომენტარი:

შპს-ს პარტნიორებს კანონი არ უკრძალავს საზოგადოებიდან გასვლას და მას გასვლის წინაპირობებს არ უწესებს. სასამართლომ სწორად განსაზღვრა და არასათანადო მოპასუხედ მიიჩნია საზოგადოების პარტნიორი კომპენსაციის დაკისრების ნაწილში, რადგან კომპენსაცია თავიდან ბოლომდე უნდა დაეკისროს საზოგადოებას.

გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე #2/22900-2015, 31 ოქტომბერი 2016 წელი

დავის საგანი: გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლის მე-2 პუნქტი, 54-ე მუხლის I და მე-7 პუნქტები. „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის N241 ბრძანების მე-11 მუხლი

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელეები არიან სააქციო საზოგადოების აქციონერები, რომლებიც ითხოვენ მოპასუხის – მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და რეგისტრაციამდე არსებული მონაცემების დაბრუნებას. მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ, საზოგადოების წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილებისთვის საჭიროა აქციათა 75%-ზე მეტი მფლობელის თანხმობა. აქედან გამომდინარე, 2015 წლის 14 ივლისს საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილების შესახებ.

მოსარჩელეების განცხადებით, მოპასუხემ თავდაპირველად შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება ერთ-ერთი აქციონერის მიერ წარდგენილ განცხადებაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, თუმცა, შემდეგ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე უკანონოდ განაახლა სარეგისტრაციო წარმოება და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია განახორციელა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ 2015 წლის 14 ივლისს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების მომენტისთვის მოქმედებდა საზოგადოების წესდების 2006 წლის 23 აგვისტოს რეგისტრირებული წესდება, სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილებას მხარი დაუჭირა 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერმა, რაც ცვლილების განხორციელებისთვის საკმარისი იყო.

აღნიშნული საზოგადოება საქმეში მესამე პირად ჩაერთო და განაცხადა, რომ სარჩელი უსაფუძვლო იყო.

საზოგადოების აქციონერთა 2015 წლის 19 მარტის კრების ოქმით დადგენილია, რომ მას ესწრებოდა აქციათა 97.43%-ის მფლობელი. კრების ოქმის მიხედვით, გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილების შესახებ არ იქნა მიღებული. კრების ოქმი აქციონერებს სადავოდ არ გაუხდიათ.

საზოგადოების აქციონერის ს.ს. „საქართველოს საფონდო ბირჟის“ მოთხოვნით და საქართველოს ეროვნული ბანკის დავალებით, 2015 წლის 14 ივლისს მოწვეულ იქნა საზოგადოების აქციონერთა კრება, რომელსაც ესწრებოდა აქციათა 95.38% მფლობელი აქციონერი და ნოტარიუსი. კრების ოქმში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილებები არ იყო მიღებული. კრების ოქმი აქციონერებს სადავოდ არ გაუხდიათ.

საზოგადოების აქციონერთა 2015 წლის 14 ივლისის კრების ოქმი 2015 წლის 30 ივლისს უფლებამოსილმა პირმა წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოითხოვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ცვლილებების რეგისტრაცია. მოპასუხის 2015 წლის 30 ივლისის #B15156350/3 გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, რადგან სარეგისტრაციოდ წარდგენილ აქციონერთა საერთო კრების ოქმის მიხედვით გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილებასთან დაკავშირებით არ იყო მიღებული, ხოლო საზოგადოების რეგისტრირებული წესდების მიხედვით, კრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილების განხორციელებისთვის უფლებამოსილი იყო, მაგრამ აღნიშნული საკითხი გადაუწყვეტლად ჩათვალეს, რის გამოც აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე ნოტარიუსისგან ინფორმაცია გამოითხოვეს.

მოპასუხის სურვილით 2015 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებას დაემატა პუნქტები: იმის დადგენის მიზნით, რა გარემოებებზე დაყრდნობით იქნა მითითებული კრების ოქმში, რომ წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე არ მიიღეს გადაწყვეტილება, კრების თავმჯდომარეს გაეგზავნა წერილები. წერილებზე კანონმდებლობით დადგენილ ვადაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საზოგადოების მოქმედი წესდების შესაბამისად, გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნებოდა მიღებულად.

ნოტარიუსის ინფორმაციით დადგენილია, რომ სააქციო საზოგადოების აქციონერთა 2015 წლის 14 ივლისის კრების მიმდინარეობისას და მისი შედეგების ოქმში ასახვისას, კრებაზე დასმული საკითხების გადაუწყვეტელად მიჩნევის საფუძველი იყო, კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, კრების თავმჯდომარის განცხადება, რომ მასზე წამოყენებულ საკითხებზე, საზოგადოების მოქმედი წესდების შესაბამისად, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

მოპასუხის 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება უფლებამოსილი პირის წარდგენილ 2015 წლის 30 ივლისის განცხადებაზე.

საზოგადოების 2012 წლის 3 აგვისტოს #1 კრების ოქმით დადგენილია, რომ მას ესწრებოდა აქციათა 93.9% მფლობელი აქციონერები, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა, ბ, გ, და ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად განისაზღვრა დამსწრეთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა.

2014 წლის 1 ოქტომბერს საზოგადოების დირექტორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარადგინა აქციონერთა საერთო კრების 2012 წლის 3 აგვისტოს ოქმი და წესდების ახალი რედაქცია.

მოპასუხის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2015 წლის სექტემბრის გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიღეს რეგისტრაციის შესახებ დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის 14 ივლისის აქციონერთა საერთო კრების ჩატარების მომენტისათვის მოქმედ წესდებას 2006 წლის 23 აგვისტოს რეგისტრირებული წესდება წარმოადგენდა. სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილებას 50%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერებმა დაუჭირეს მხარი, რაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილების განხორციელებისთვის საკმარისი იყო.

მოსარჩელეებს მოპასუხემ ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

სასამართლო გადაწყვეტილება:

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. მან მიუთითა 2012 წლის 3 აგვისტოს კრების ოქმზე და განაცხადა, რომ აქციონერებს სადავოდ არ გაუხდიათ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც წესდებაში შევიდა ცვლილებები 75% ხმების თანხმობასთან დაკავშირებით. აღნიშნული კრების ოქმით გათვალისწინებული ცვლილებები დარეგისტრირდა მოპასუხის მიერ საზოგადოების დირექტორის განცხადებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამეწარმეო სუბიექტის წესდება, თავისი არსით, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, შესაბამისად, მხარეები სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავენ. ასევე, აქციონერთა კრების მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ.

სასამართლომ მიუთითა მოსარჩელეთა მოთხოვნაზე, რომ დაბრუნდეს რეგისტრაციამდე არსებული მონაცემები. მისი განმარტებით ამას იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია უზრუნველყოფს.

კომენტარი:

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარეგისტრირებელმა ორგანომ აშკარად არასწორად, ძველი წესდებით იხელმძღვანელა. 2012 წლის წესდების შინაარსი აქციონერებს არ გაუხდიათ სადავოდ. საინტერესოა სასამართლოს განმარტება იმის შესახებაც, რომ სამეწარმეო სუბიქტის წესდება არის სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება და მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ.

ზიანის ანაზღაურება (კორპორაციული საფარველის გაჭოლვა)

საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე #ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

განმარტებული ნორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.6 და მე-9.6 მუხლები

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ლ. 2009“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე აქვს საგადასახადო დავალიანება, რომელიც, საურავის ჩათვლით, 2 223 370 ლარს შეადგენს. აღნიშნული დავალიანების ამოღება შპს „ლ. 2009“-დან სსიპ შემოსავლების სამსახურმა ვერ მოახერხა.

სსიპ შემოსავლების სამსახური პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ითხოვდა მოპასუხეებზე სოლიდარულად, ჯამში 2 223 370 ლარის დაკისრებას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა 786 657 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო 1 436 713 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა, რაც მან სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა, სარჩელის დაკმაყოფილება და მოპასუხეებზე თანხის სრულად – 2 223 370 ლარის ოდენობით დაკისრება მოითხოვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა,გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებით ლ. ბ-ისა და მ. ჭ-ის მიმართ სოლიდარულად 2 223 845.52 ლარის და-

კისრება მოითხოვა, რაც 475.52 ლარით აღემატება სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სარჩელი.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო გაერკვია დაეკისრებოდათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს, პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისთვის იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით.

შეზღუდული პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც მოლაპარაკების საშუალება (bargaining power) აქვთ, რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს წარმოიშობა. თუმცა ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებს, როგორებიც არიან დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორები, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ კომპანიასთან, მის დირექტორებთან და პარტნიორებთან წინასწარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მათ მიმართ დელიქტიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებების წარმოშობამდე. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო ვალდებულებების შედეგად წარმოშობილ კრედიტორზე სახელმწიფოს სახით, რომელიც, საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არასახელშეკრულებო კრედიტორების რიგს მიეკუთვნება.

რადგან მხედველობაში ჰქონდა საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათი, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიუთითონ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე, როცა ისინი შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე იურიდიული პირებთან მიმართებაში დამატებითი გარანტიების შექმნით განსაკუთრებულ ზომებს იყენებენ მათი საგადასახადო მოთხოვნების აღსასრულებლად. იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა გერმანიის ფედერალური საგადასახადო სასამართლოც, როდესაც დაადასტურა, რომ საგადასახადო ვალდებულებების აღსრულებისთვის გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება გერმანიის საკონსტიტუციო სამართლით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს.

მრავალ ქვეყანაში ასეთი დამატებითი ღონისძიების სახით გამოიყენება კომპანიის დირექტორების და, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორების პირდაპირი და უშუალო პა-

სუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება თავად არ შეუძლია.

საქართველოს კანონმდებლობა ასეთ პირდაპირ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. თუმცა მეწარმეთა შესახებ კანონი მხედველობაში იღებს კონკრეტულ შემთხვევებს, როცა კომპანიის ვალდებულებებისთვის პასუხისმგებლობა შესაძლებელია კომპანიის დირექტორებსა და პარტნიორებსაც დაეკისროთ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართლში „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის“ ან სხვაგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება დაეკისრა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისთვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუუნაროა და კრედიტორი გადახდას პარტნიორისგან ითხოვს, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პატნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოიწვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით, სამოსამართლო სამართალი განევრცო აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად ისეთი შემთხვევები მიიჩნია, როცა კომპანია პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერეგოს“ ან „ფიქციას“ წარმოადგენს.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადეკვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადეკვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან

შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისთვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნესსაქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადეკვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ეს ელემენტი ირღვევა, როცა არ ხდება დირექტორების და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორების და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა პარტნიორების და კომპანიის ქონების აღრევა ხდება, როცა კომპანიის სახსრები პარტნიორთა პირადი მიზნებისთვის გამოიყენება, ხოლო პირადი ხარჯები, ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, კომპანიის ხარჯებად მიიჩნევა, ან როცა სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება არ ხდება.

საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისგან თავის არიდების სქემების შექმნისკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.

როგორც უკვე აღინიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

საკასაციო პალატას მიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავისთავში მოიცავს არამხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკების და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით, ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსთვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისთვის. პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით გამოიყენება.

მოცემულ საქმეში კომპანიის პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

დადგენილია, რომ კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი ლ. ბ-ე ამავდროულად კომპანიის დირექტორიც არის. აღნიშნული ფაქტის და კომპანიის ვალდებულებებისთვის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია იმსჯელოს ასევე კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისთვის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზეც.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს განსაკუთრებული მოვალეობები აკისრია კომპანიის წინაშე, რომლებსაც ფიდუციური მოვალეობები ეწოდება და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალოებას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს საქმიანობა ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა, ხშირ შემთხვევაში, განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

ძირითადი მიზანი, რომლის მისაღწევადაც კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობაა მიმართული, არის მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი ამოცანა, რის გამოც ისინი კომპანიაში ინვესტიციებს ახორციელებენ, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში გამოიხატება. რაკი კომპანიას საგადასახადო ვალდებულებები ეკისრება, ზრუნვის მოვალეობა ამ ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რა მასშტაბით შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელს დასახოს და განახორციელოს საგადასახადო ოპტიმიზაციის გეგმები და სად გადის ზღვარი, რომლითაც განისაზღვრება ზრუნვის მოვალეობასთან დირექტორის ქცევის შესაბამისობა სამეწარმეო ურთიერთოებების კონტექსტში.

თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად მიაღწიონ მთავარ მიზანს – კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არ აქვს უფლება ამ გზას დაადგეს:

პირველი, გადასახადებისთვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას; მეორე, გადასახადებისთვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისთვის და „მართებული ბიზნესგადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისთვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

კომენტარი:

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლოების ისტორიაში და ზოგადად საკორპორაციო სამართლის განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. უზენაესმა სასამართლომ ფაქტობრივად მოახდინა ამერიკული კორპორაციული საფარველის გაჭოლვის (პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების) რეცეფცია. ასევე, გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების საფუძვლები. აღნიშნული გადაწყვეტილება კრედიტორების ინტერესების დაცვის მძლავრი ინსტიტუტია.

ამავდროულად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირვანდელი რედაქცია პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების საფუძვლად ითვალისწინებდა საზოგადოების ქონების შერევას სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არსრულ ფორმირებას. თუმცა შემდგომმა ცვლილებებმა აღნიშნული ჩანაწერის დერეგულაცია მოახდინა – ცნება დატოვა, განხორციელების საფუძვლები კი ამოიღო.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ პრაქტიკა დაამკვიდრა, კერძოდ, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებად მანამდე არსებული საფუძვლებიც მიუთითა და, ასევე, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სხვა საფუძვლების რეცეფციაც მოახდინა.

გადახდისუუნარობის სამართალი

მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება (შპს „არენა მშენი“) თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმე №2/1492-16, 2016 წლის 25 მარტი

მოთხოვნა: მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება; კრედიტორთა მიერ დაგვიანებით წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კრედიტორად აღიარების შესახებ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

კრედიტორთა კრებაზე აირჩიეს მომრიგებელი საბჭოს წევრები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 25 მარტს მომრიგებელი საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ გადაწყვეტილებას, საქმეში არსებულ მასალებს და მიაჩნია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად უნდა მოიწვიონ კრედიტორთა კრება.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“’ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე, 32-33-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარიღად დაადგინა 2016 წლის პირველი აპრილი.

აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, განისაზღვრა „განჩინების საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მომრიგებელი საბჭო იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების დასრულებისთანავე.

კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, მომრიგებელი საბჭო არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე იქმნება და **არსებითად** აფასებს და **წყვეტს** მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს (მოვალის რეაბილიტაციის შემთხვევაში მომრიგებელი საბჭო ასევე განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას). მომრიგებელი საბჭო შედგება სამი წევრისგან. მათგან ერთს ნიშნავს მოვალე, მეორე წევრს კრედიტორები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ, ხოლო მესამე წევრი მომრიგებელი საბჭოს პირველი 2 წევრის

მიერ აირჩევა. თუკი კრედიტორების ან მომრიგებელი საბჭოს წევრების მიერ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მომრიგებელი საბჭოს წევრს მოსამართლე ნიშნავს.

მომრიგებელი საბჭო კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე არსებით ზეგავლენას ახდენს გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობაზე – იგი უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) გაკოტრების შესახებ; ბ) რეაბილიტაციის შესახებ; გ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მომრიგებელი საბჭო 15 დღის ვადაში, საქმის მასალების შესწავლის შემდეგ იღებს. იგი სრული უფლებამისილებით სარგებლობს მოიწვიოს და ახსნა-განმარტებები ჩამოართვას მოვალეს, კრედიტორებს და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა პირს. მომრიგებელი საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდება კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „არენა მშენი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე №2/1492-16

მოთხოვნა: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 28 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს „არენა მშენის“ დირექტორმა და მოითხოვა შპს „არენა მშენის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება, ვინაიდან შპს „არენა მშენს“ არ შესწევდა უნარი დაეკმაყოფილებინა კრედიტორების ვადამოსული მოთხოვნები.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-19, მე-20, 21-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ წარმოებაში მიიღო განმცხადებლის, შპს „არენამშენის“ დირექტორის განცხადება.

აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. მოვალე საწარმოს აეკრძალა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების

შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე შეჩერდა მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და დაუშვებლად იქნა ცნობილი იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება.

ამასთან, აიკრძალა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდა ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა; მოვალეს, მეურვესა და კრედიტორებს განემარტათ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, როგორიცაა მოვალის მიერ მეურვისთვის ინფორმაციის წარდგენა, მეურვის მიერ საწარმოს ქონების შეფასება, კრედიტორთა მიერ თავიანთი მოთხოვნების წარმოდგენის ვადები და ა.შ.

განჩინებით განისაზღვრა კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარიღი, კრების დღის წესრიგი (1. მეურვის ანგარიშის მოსმენა; 2. კრედიტორად აღიარების საკითხის განხილვა; 3. მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა.), მეურვის მიერ განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“" საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას წარმოებაში იღებს იმ შემთხვევაში, თუკი ის აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. განცხადების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები ასახულია მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებში. მე-16 მუხლი ეხება მოვალის, მე-18 კი – კრედიტორის განცხადებას.

მოცემულ შემთხვევაში განცხადება შეტანილ იქნა მოვალის მიერ, შესაბამისად დასაშვებობასთან მიმართებით რელევანტურია მე-15 და მე-16 მუხლების დანაწესი, ასევე მე-6 მუხლი, რომელიც მოვალეს ბაჟის სახით 5 000 ლარის შეტანისაგან ათავისუფლებს, თუმცა ამავე მუხლით განცხადებას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნისთვის განსაზღვრული შენატანის – 5 000 ლარის სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის დამადასტურებელი ქვითარი მაინც უნდა ერთვოდეს, რათა სასამართლომ იგი დასაშვებად ცნოს.

არსებობს მე-6 და მე-17 მუხლებით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც მოვალე თავისუფლდება ყოველგვარი შენატანისგან. ეს იმ შემთხვევაში ხდება თუკი მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრებას მოითხოვს.

გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში სასამართლოს ნებისმიერი სახის დადგენილება მიიღება განჩინების სახით, რომლის არსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებშია გადმოცემული. განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩი-

ნებით საწარმოს მეურვედ უალტერნატივოდ ინიშნება აღსრულების ეროვნული ბიურო, რაც კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარეობს (მუხლი 26).

სადავოა, რამდენად იცავს ეს მიდგომა კრედიტორთა ინტერესებს, იმის გათვალისწინებით, რომ, კანონის მე-40 მუხლიდან გამომდინარე, ავტომატურად ამ განჩინებით აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორთა დაკმაყოფილებისთვის განსაზღვრული რიგითობით მე-3 რიგში ხვდება და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის ბრძანებით (№144, მუხლი 19), მისი მოთხოვნის მინიმალური ოდენობა 5 000 ლარს შეადგენს? რამდენად არის დასაშვები საჯარო სამართლის სტრუქტურის ამ ფორმით ჩარევა კერძო ბიზნესურთიერთობებში? ხომ არ იქნება უფრო გამართლებული, რომ მეურვედ კერძო ფიზიკური თუ იურიდიული პირების დანიშვნა იყოს შესაძლებელი და მათთვის გასამრჯელო თუ საფასური ხელშეკრულებით, კერძო სამართლის პრინციპების დაცვით განისაზღვროს?

მეორე მხრივ, ავტორიტეტი, მიუკერძოებლობა, გამოცდილება, კვალიფიცირებული ქეისმენეჯერები აღსრულების ბიუროს ღირსეულ მეურვედ ხდის.

ამასთან, ამ განჩინებით ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა და ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოს) დარიცხვა/გადახდა.

ამ გზით, მოვალე საწარმოს ყველა კრედიტორი თანაბარი პირობის წინაშე დგება – კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნები განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში. თუმცა, საკითხავია, რამდენად ეფექტური საშუალებაა განჩინების საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნება კრედიტორთა ინფორმირებისთვის?

მართალია, მეურვე მოვალის მიერ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კრედიტორებს მოვალის მიერ მითითებულ მისამართებზე უგზავნის შესაბამის შეტყობინებას, თუმცა ხშირად ეს ინფორმაცია არაზუსტია, კრედიტორებს შეცვლილი აქვთ ადგილსამყოფელი და ა.შ. შესაბამისად, შესაძლოა, გამართლებული იყოს 1996 წლის გაკოტრების კანონის მე-12 მუხლში გამოვლენილი წესი, რომლითაც განჩინება ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში ქვეყნდებოდა. ეს მეტად გაზრდის კრედიტორთა ინფორმირების შანსებს და ადგილობრივი პრესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

კანონის 33-ე მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმეს არსებითად მომრიგებელთა საბჭო წყვეტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეს ერთგვარი არბიტრის ფუნქცია აკისრია, გადაწყვეტილებას კი უშუალოდ მოვალე და კრედიტორები იღებენ.

გარდა ამისა, ეს განჩინება, ისევე როგორც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში მიღებული ყველა სხვა განჩინება, ერთგვარ შაბლონურ ხასიათს ატარებს – თითოეულში ერთმანეთის იდენტურად, ბლანკეტურად არის გადმოცემული საქმის წარ-

მოების თითოეული ეტაპი და საქმის მასალების შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს, რაც მკვლევართა მიერ საქმეთა შესწავლას, სამართლის განვითარებისთვის საჭირო ცოდნის დაგროვებას ართულებს.

კრედიტორთა კრების მოწვევა (შპს „არენა მშენი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე №2/1492-16

მოთხოვნა: კრედიტორთა კრების მოწვევა

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 4 მარტს 15:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულმა კრედიტორთა პირველმა კრებამ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა სრულად ვერ განახორციელა, რის გამოც შპს „არენა მშენის“ და მეურვის, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლების მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კრება უნდა შეწყვეტილიყო და კანონით დადგენილ ვადაში გაგრძელებულიყო.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ კრედიტორთა პირველი კრების გაგრძელების თარიღად 2016 წლის 18 მარტი დაადგინა.

აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, განისაზღვრა განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-13 და 22-ე პუნქტები განსაზღვრავს კრედიტორთა კრებების ხანგრძლივობას. ამ ნორმის თანახმად, კრედიტორთა კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა, თუმცა, სულ მცირე, 51%-ზე მეტის მქონე კრედიტორების არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის არა უმეტეს 4 დღით გაგრძელება.

გამონაკლისია 22-ე პუნქტით განსაზღვრული კრედიტორთა I კრება, რომლის ხანგრძლივობაა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 3 დღით შეუძლია.

აქვე უნდა განიმარტოს, რას გულისხმობს კრების ხანგრძლივობა. ტერმინი „კრება“ უნდა გავიგოთ არა როგორც ერთჯერადი შეკრება, არამედ როგორც ერთგვარი სესია, რომელიც სხდომებისგან შედგება. სხდომების რაოდენობა დაკავშირებულია პირველი კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოცულობასა და კომპლექსურობასთან. იმისათვის, რომ კანონით პირველი კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები სრულად ამოიწუროს, ის (კანონი) იძლევა საშუალებას, რომ კრედიტორთა პირველი კრება (სესია) 7 დღეს გაგრძელდეს.

ის გარემოება, რომ კანონი კრედიტორთა პირველი კრების განგრძობადობას მეტი დროის განმავლობაში უშვებს, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პირველ კრებაზე მოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო, რაც განსაკუთრებულ გულისხმიერებას და შესაბამის დროის რესურსს მოითხოვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ ითვალისწინებს რა პერიოდულობით, რა მაქსიმალური ინტერვალით შეიძლება ჩაინიშნოს კრედიტორთა კრების გაგრძელებისთვის სხდომის მოწვევის თარიღი.

განვიხილოთ წინამდებარე შემთხვევა: პირველი კრების პირველი სხდომა ჩატარდა 2016 წლის 4 მარტს, ხოლო პირველი კრების მეორე სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 18 მარტს – ორკვირიანი ინტერვალით.

ის, რომ სხდომიდან სხდომამდე დროის შუალედი კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული, შესაძლოა უკავშირდებოდეს კანონის პრეტენზიას იყოს მოქნილი და ზედმეტი რეგულირებით პროცესის ეფექტურობას არ უშლიდეს ხელს. პრაქტიკაში, მოსამართლესთან შეთანხმებით, შემდეგ სხდომამდე მოსაგვარებელი საკითხის კომპლექსურობის გათვალისწინებით, სხდომის თარიღის ჩანიშვნა ხდება, კანონიდან კი რაიმე პროცედურა სხდომის დანიშვნასთან დაკავშირებით არ იკვეთება.

ზემოაღნიშნული მიუთითებს კანონმდებლის ინიციატივაზე – განეხორციელებინა აღნიშნული საკითხის დერეგულაცია.

თუკი ჩავიხედავთ 1996 წლის გაკოტრების კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტში, ვნახავთ, რომ პირდაპირ მითითებულია – სასამართლო ვალდებულია მოიწვიოს კრედიტორთა კრება მიმართვიდან არაუგვიანეს 3 დღისა. კრედიტორთა კრება უნდა ჩატარდეს მიმართვიდან არაუგვიანეს 14 დღისა. ასეთი სახის რეგულაციამ შესაძლოა პრობლემები გამოიწვიოს მოცემულ ვადებში საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხთა ამოწურვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული კუთხით დერეგულაცია კანონმდებლის მიერ წარმატებული ნაბიჯია.

შესაძლოა, გონივრული ყოფილიყო, კრედიტორთა კრება ხმათა უმრავლესობით წყვეტდეს აღნიშნულ საკითხს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კრებები სასამართლოში, მოსამართლის ხელმძღვანელობით ტარდება, გარდაუვალს ხდის მოსამართლის სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებას, რაც კანონით კრედიტორთა კრებისთვის განსაზღვრულ კომპეტენციას სცდება.

გაკოტრების მმართველის დანიშვნა (სს „გზის მშენებელი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წელი 17 იანვრის გაჩინება, საქმე №2/34176-16

მოთხოვნა: გაკოტრების მმართველის დანიშვნა

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 7 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა სს „გზისმშენებელი №11“-ის წარმომადგენელმა – შპს „იბერიის“ გენერალურმა დირექტორმა და მოითხოვა სს „გზისმშენებელი №11“-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განცხადება მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში, მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო და კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნა 2017 წლის 17 იანვარს. კრედიტორთა პირველ კრებაზე მათ მიერ არ იქნა წარმოდგენილი გაკოტრების მმართველის კანდიდატურა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, მე-17, 27-ე 37-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და დაადგინა:

1. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო).
2. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და სასამართლოს ვებგვერდზე – www.tcc.gov.ge.
3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები. მოსამართლეების ძირითადი ფუნქცია კრედიტორთა კრებების ხელმძღვანელობა გახლავთ (მუხლი 27.1-ე, კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე), თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში,

სასამართლომ გადაწყვეტილება გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით მიიღო.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე კანონის 27-ე მუხლის 21-ე ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი.

განხილული მაგალითი 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოვლინებაა, როდესაც გაკოტრების მმართველის კანდიდატურასთან დაკავშრებით კრედიტორთა არჩევანის არარსებობის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიურო ინიშნება ამ პოზიციაზე, რაც მოიცავს უწყებაში დასაქმებულ შემფასებლებს, აუქციონის ჩატარების უფლებამოსილებას და გამოცდილ ქეისმენეჯერებს. აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური საკმაოდ მაღალია, რაც გაკოტრების მმართველის არჩეული კანდიდატურისგან განსხვავებით, არა ხელშეკრულებით, არამედ იუსტიციის მინისტრის ბრძანებითაა განსაზღვრული.

შესაბამისად, აღსრულების ბიუროს გაკოტრების მმართველად დანიშვნა, კრედიტორთა ინტერესებისთვის როგორც ხელსაყრელი, ასევე საზიანო შეიძლება იყოს და ეს, ყოველ შემთხვევაში, ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განსხვავებით მეურვეობისგან, აღსრულების ეროვნული ბიურო არ არის უალტერნატივო გაკოტრების მმართველი და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ინიშნება, თუკი კრედიტორები თავად ვერ მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან კრედიტორებს თავისუფალი არჩევანის უფლება აქვთ, ამ გარემოების ნეგატიურად შეფასება საფუძველს მოკლებულია.

კრედიტორთა პირველი კრების შეწყვეტა-გაგრძელება (შპს „გუდვილი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 ნოემბრის განჩინება, საქმე №2/13628-13

მოთხოვნა: კრედიტორთა პირველი კრების შეწყვეტა-გაგრძელება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინებით შპს „გუდვილის“ განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, დაინიშნა კრედიტორთა პირველი კრება.

კრედიტორთა კრებაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: კერძოდ, კრედიტორთა მოთხოვნების აღიარება. დღის წესრიგის მეორე საკითხზე, რომელიც მომრიგებელთა საბჭოს წევრთა არჩევას შეეხებოდა, გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, რადგან კრედიტორთა მხრიდან მომრიგებელი საბჭოს წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით კრედიტორთა პოზიციები შესაჯერებელი იყო.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

კრედიტორთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორთა პირველი კრება შეწყდეს და გაგრძელდეს კანონით დადგენილ ვადაში. სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და დაადგინა:

1. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2013 წლის 29 ნოემბერს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), №1 სხდომის დარბაზში შემდეგი დღის წესრიგით:
   1.1. მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ;
   1.2. მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვა საკითხების განხილვა;
2. განჩინება გამოქვეყნდეს „საკანონმდებლო მაცნეში“, სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე www. tcc.gov.ge.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის პროცესში ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წყდება კრედიტორთა კრებებზე. კანონის 27-ე მუხლის I პუნქტით კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე.

27-ე მუხლის მე-8 პუნქტით კრედიტორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება მასზე წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარის მოთხოვნა – 1 ხმა (დამრგვალება ხდება უმცირესისკენ) (მუხლი 27.9-ე)

როგორც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი უთითებს, კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51%, მიუხედავად იმისა, ჩაბარდათ თუ არა კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება დანარჩენ კრედიტორებს, თუ ამ კანონით სხვა რამე არ არის განსაზღვრული.

ქეისში განხილულია შემთხვევა, როდესაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების I კრედიტორთა კრება ვერ ახერხებს გადაწყვეტილების შეჯერებას კრების კომპეტენციას მინიჭებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან – მომრიგებელის საბჭოს წევრის არჩევასთან დაკავშირებით (27-ე მუხლის 23-ე პუნქტი: კრედიტორთა პირველ კრებაზე მოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო).

კანონის 27-ე მუხლის 22-ე პუნქტი კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობას 7 დღით განსაზღვრავს, რასაც ემატება 3 დღით გახანგრძლივების საშუალება კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

სწორედ ამ მუხლის საფუძველზეა მიღებული მოცემული განჩინება კრების შეწყვეტა-გაგრძელების შესახებ. კანონის არსებული ჩანაწერი საშუალებას იძლევა გონივრულ ვადებში სრულებით მოხდეს კრედიტორთა მიერ პოზიციების ჩამოყალიბება-გადააზრების უზრუნველყოფა, რათა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ნაჩქარევად არ იქნეს მიღებული.

მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება (შპს „გუდვილი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წელი 30 იანვარი განჩინება, საქმე №2/13628-13

მოთხოვნა: მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 30 იანვარს კრედიტორთა კრებაზე განხილული იქნა მომრიგებელთა საბჭოს გადაწყვეტილება შპს „გუდვილის“ მიმართ რეაბილიტაციის დაწყების შესახებ. კრედიტორებმა მხარი დაუჭირეს რეაბილიტაციის პროცედურის დაწყებას.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლო გაეცნო საქმეში არსებულ მასალებს, მოუსმინა კრედიტორთა მოსაზრებებს, მიიჩნია, რომ რეაბილიტაციის პროცედურის დაწყება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 27-ე, 28-ე, 33-ე და 43-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-284-ე მუხლებით და დაადგინა:

დამტკიცდეს 2014 წლის 13 იანვრის მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება შპს, „გუდვილის“ მიმართ რეაბილიტაციის განხორციელების პროცედურის დაწყების შესახებ;

განჩინება გამოქვეყნდეს „საკანონმდებლო მაცნეში“,სასამართლოს დაფაზე და ვებ-გვერდზე www.tcc.gov.ge.

განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

კომენტარი:

კანონის 27-ე მუხლის I პუნქტის თანახმად კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე.

27-ე მუხლის მე-8 პუნქტით კრედიტორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება მასზე წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარის მოთხოვნა – 1 ხმა (დამრგვალება ხდება უმცირესისკენ) (მუხლი 27.9-ე).

მეურვეს უფლებამოსილება უწყდება ამ კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცებისთანავე, ხოლო რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რაც რეაბილიტაციის მმართველის არჩევასა და რეაბილიტაციის პროექტის მომზადების ვადის განსაზღვრავს გულისხმობს.

კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტი რეაბილიტაციას განმარტავს, როგორც საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობას, რომელიც ამ კანონის შესაბამისად ხორციელდება და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას, უმთავრესად, მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე, სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ კრედიტორები დაეთანხმენ მომრიგებელი საბჭოს გადაწყეტილებას, თუმცა კანონი არ ითვალისწინებს მომრიგებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ კრედიტორთა პრეტენზიების წარდგენის საშუალებას. ის უბრალოდ უთითებს, რომ მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება ქვეყნდება კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით, ეს უკანასკნელი კი განჩინებების „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებას ეხება.

კანონის მე-7 მუხლი, რომელიც გასაჩივრების წესს ეხება, პირდაპირ უთითებს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით **მოსამართლის მიერ განჩინების ფორმით** მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება.

კანონის დანაწესიდან ცალსახად ვერ დაადგენთ შესაძლებელია თუ არა მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების კერძო საჩივრით გასაჩივრება, ვინაიდან გადაწყვეტილება მიღებულია არა მოსამართლის, არამედ მომრიგებელი საბჭოს მიერ, შეაბამისად, განჩინების ფორმით იგი მიღებული ვერ იქნება.

ეს საკითხი, როგორც ვხედავთ, ბუნდოვანია და თეორიულად შესაძლებელია კრედიტორთათვის საზიანოც იყოს, აქედან გამომდინარე, მივიჩნე, რომ კანონმდებლის მიერ კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, ექვემდებარება თუ არა მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას და რა ფორმით.

კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევა (შპს „გუდვილი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე №2/13628-13, 2014 წლის 14 მარტი, 2015

მოთხოვნა: კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევა

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება `გუდვილის“ გადახდისუუნარობის საქმე. მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებით საზოგადოების მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცედურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2014 წლის 25 თებერვალს განცხადებით მომართა კრედიტორის სს “თიბისი ბანკის“ წარმომადგენელმა და მოითხოვა რეაბილიტაციის მმართველსა და დირექტორს შორის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელ დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით მოწვეულ იქნეს კრედიტორთა კრება იმ პუნქტებთან მიმართებაში, რომლებიც მთლიანობაში არ იქნა დაკმაყოფილებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი, განესაზღვრა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. დადგენილ ვადაში სს „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელმა შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კრედიტორის სს „თიბისი ბანკის“ წარმომადგენლის განცხადება კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე მიიღო განჩინება კრედიტორთა რიგგა-

რეშე კრების მოწვევის შესახებ. კრების კომპეტენცია განისაზღვრა შემდეგი საკითხებით:

1.1. დაგვიანებით წარმოდგენილი კრედიტორთა მოთხოვნების აღიარების საკითხის განხილვა;

1.2. რეაბილიტაციის მმართველსა და დირექტორს შორის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელ დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა;

1.3. მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების განხილვა.

კრედიტორთა კრება ჩაინიშნა 2014 წლის 18 მარტს.

კომენტარი

კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე.

გარდა კრედიტორთა კრების ჩატარების კანონით პირდაპირ რეგლამენტირებული შემთხვევებისა, კანონი ითვალისწინებს ასევე კრედიტორთა რიგგარეშე კრებების მოწვევის შესაძლებლობას.

27-ე მუხლის მე-3 ნაწილით კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვთ მეურვეს, კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს (ფლობენ) კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, მოვალეს. რიგგარეშე კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ შეტყობინება სასამართლომ უნდა დააგზავნოს კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე. რიგგარეშე კრება უნდა გაიმართოს სასამართლოში მოთხოვნის წარდგენიდან მე-5 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კრედიტორის მიერ კრედიტორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შემთხვევა. საკითხი შეეხება რეაბილიტაციის მმართველსა და დირექტორს შორის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელ დოკუმენტში ცვლილებებისა და დაგვიანებით წარმოდგენილ კრედიტორულ მოთხოვნათა განხილვას. ბაჟი ან რაიმე სახის გადასახადი კრების მოწვევისთვის კანონით გათვალისწინებული არ არის.

თუკი ამ კუთხით 1996 წლის გაკოტრების კანონთან გავავლებთპარალელს, აღმოვაჩენთ, რომ ის ითვალისწინებდა ბაჟის გადახდას თითოეულ კრებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სახელმწიფო ბაჟი გამოიანგარიშება გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების მომენტისთვის არსებული გაკოტრების მასის ღირებულებიდან, გირავნობისა და უზრუნველყოფის უფლებების ღირებულების გამოკლებით. სახელმწიფო ბაჟი შეადგენს გაკოტრების მასის 2%-ს.

ამ მუხლის მე-3 ნაწილით ბაჟი სრული ოდენობით გადაიხდება:

ა) ზოგადად გაკოტრების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წარმართვისთვის;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან გახსნაზე უარისას;

გ) კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელ ყოველ კრებამდე განხორციელებული საქმიანობისთვის;

დ) საქმის წარმოების დამთავრებისთვის საგაკოტრებო მორიგებით ან საქმის წარმოების დამთავრებით საბოლოო განაწილების შემდეგ;

ე) საჩივრის განხილვის ყოველი წარმოებისთვის.

როგორც ვხედავთ ამ მუხლის „გ“ პუნქტი გაკოტების მასის 2%-ის ბაჟის სახით გადახდას ითვალისწინებს კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელ ყოველ კრებამდე განხორციელებული საქმიანობისთვის.

მოქმედი კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია 2 სახის ერთჯერადი გადასახადი: ბაჟი და სადეპოზიტო შენატანი. რაიმე სხვა სახის გადასახადს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცედურებთან დაკავშირებით კანონი არ ითვალისწინებს, რაც, რაღა თქმა უნდა, ხელსაყრელია როგორც მოვალის, ასევე კრედიტორებისთვის.

კრედიტორთა (რიგგარეშე) კრება არის გადახდისუუნარობის პროცესისთვის მნიშვნელოვან საკითხთა განხილვის და გადაწყვეტის საშუალება.

მოცემულ შემთხვევაში ეს საკითხია რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტი. კანონის 50.2-ე მუხლის შესაბამისად, რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას ზედამხედველობს კრედიტორთა კრება.

წინამდებარე ქეისი იმის ილუსტრაციაა, როგორ ხდება კრედიტორის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების პრაქტიკაში გამოყენება, რაც მოცემული ნორმის ეფექტურობას უსვამს ხაზს.

უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (შპს „ზუგომშენი“)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, 2016 წლის 12 თებერვლის, განჩინება, საქმე №2/198-16

მოთხოვნა: უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 9 თებერვალს შპს „ზუგომშენმა“ განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და აღნიშნა, რომ იმ დღის მდგომარეობით კომპანია არ ფუნქციონირებს, მას არც ბალანსზე, ასევე არც საკუთრებაში უძრავ-მოძრავი ქონება არ ერიცხება. შპს „ზუგომშენის“ უზრუნველყოფილი კრედიტორია სახელმწიფო ბიუჯეტი თანხით: ძირითადი თანხა – 174 517 36 ლარი, ჯარიმა – 12 191,84 ლარი, საურავი 112 268,4 ლარი. საზოგადოებას ანგარიშსწორების ანგარიში გახსნილი აქვს ბაზისბანკში, საქართველოს ბანკში და თიბისი ბანკში, თუმცა ანაგრიშზე თანხა არ ერიცხება. ორგანიზაციას

თანხა არ ერიცხება სალაროშიც. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ საზოგადოება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მისი ქონებით საპროცესო ხარჯების დაფარვას და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შპს „ზუგომშენის“ გაკოტრებას ითხოვს.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-16, მე-19, მე-20, მე-40 მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ უარი თქვა შპს „ზუგომშენის“ (ს/კ 245562467) გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

მიუთითა, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, კრედიტორებს განესაზღვრათ უფლება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ამ საწარმოს მიმართ სასამართლოში შეიტანონ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

განჩინების გამოტანიდან არაუგვიანეს 3 დღისა, მისი „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების გადახდის უზრუნველყოფა დაეკისრა მოვალეს, ხოლო განჩნების გასაჩივრებისთვის განესაზღვრა 5 დღე მისი გადაცემიდან.

კომენტარი

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (5 დღე) მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის **გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას**, **სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით**, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური პირველი რიგის მოთხოვნებია ამ კანონის მე-40 მუხლის მიხედვით. მე-6 მუხლი შეეხება საპროცესო ხარჯებს, რომლითაც ზუსტად განსაზღვრული არ არის, რა შედის მოცემულ ხარჯებში ბაჟისა და სადეპოზიტო შენატანის გარდა, რომლისგანაც მოვალე, გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 მუხლებით გათავისუფლებულია. რაც შეეხება

აღსრულების ბიუროს საფასურს, იგი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის #144 ბრძანებით, რომლის მე-9 მუხლშიც საფასურებია გაწერილი.

კრედიტორის უფლება, ასეთ საწარმოზე მოითხოვოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა (მუხლი 20.7), შეიძლება მკვდარ ნორმადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან ის არც ბაჟისგან და არც სადეპოზიტო შენატანისგან თავისუფალი არ არის, რაც ჯამში 10 000 ლარს უდრის. ისეთი საწარმოს ქონება კი, რომელიც საპროცესო ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს, 5 000 ლარზე ნაკლებია.

რაც შეეხება საწარმოს იმ ქონებას, რომელიც, მართალია, საპროცესო ხარჯებს ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ რაღაც ოდენობით მაინც არსებობს – **მე-20 მუხლის მე-10 პუნქტით** იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი 1 თვის ვადაში არ შეიტანს სასამართლოში განცხადებას და საწარმო გაკოტრებულად რეგისტრაციის გაუქმების გზით გამოცხადდება, **მოვალის ქონება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის გაუქმებამდე **ნაწილდება მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

ეს დანაწესი კრედიტორებისთვის შეიძლება ერთგვარად საზიანოდაც ჩაითვალოს, თუმცა, ვინაიდან კანონი კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მხოლოდ 1 წესს აღიარებს, რომელიც კანონის მე-40 მუხლშია გადმოცემული და მის პირველ რიგში მოცემული მოთხოვნები საწარმოს ქონებას აღემატება, პარტნიორებზე საწარმოს ამ ქონების პროპორციული გადანაწილება ერთადერთ ლოგიკურ გამოსავლად ისახება.

გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება (შპს-ს „მაგნატი 2006“ საქმე)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივნისის განჩინება

მოთხოვნა: გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 04 ნოემბრის განჩინებით შპს „მაგნატი 2006“-ის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოვალის სამეურვეო ქონების რეალიზების მიზნით 2011 წლის 30 ივლისს ჩატარდა აუქციონი, რომელზეც სს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაციამ“ შეისყიდა სარეალიზაციოდ გამოტანილ პირველ ლოტში შემავალი უძრავ-მოძრავი ქონება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის განჩინებით შპს „მაგნატი 2006“-ის სამეურვეო ქონების რეალიზაციით ამონაგები თანხა 408 000 ლარი გადაეცა შპს „მაგნატი 2006“-ის უზრუნველყოფილ კრედიტორს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.

„საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2011 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შპს „მაგნატი 2006“-ის გაკოტრების საქმე გადაეცა სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კრედიტორთა კრების 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით გაგრძელდა შპს „მაგნატი 2006“-ის ქონების მოძიება, მაგრამ გაკოტრების მმართველის მიერ ვერ იქნა მოძიებული მოვალის ქონება.

შპს „მაგნატი 2006“-ის გაკოტრების მმართველმა – სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განცხადებით მომართა სასამართლოს და გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება და სამეწარმეო რეესტრში საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მოუსმინა გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 38-42-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანა განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრს დაევალა შპს „მაგნატი 2006“-ის რეგისტრაციის გაუქმება (სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლა).

განჩნების გასაჩივრებისთვის განისაზღვრა განჩინების გადაცემიდან 5 დღე. კერძო საჩივრის შეტანა განჩინების აღსრულებას არ აჩერებს.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება თავისი არსით სრულდება საწარმოს გაკოტრებით ან რეაბილიტაციით. წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა საწარმოს გაკოტრების დასრულების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია განჩნების ფორმით.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, სამეურვეო ქონება იყიდება აუქციონის გზით, გარდა ფინანსური გიროაოს საგნისა, რომლის რეალიზაცია ხდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუქციონზე სამეურვეო ქონების გაყიდვას **კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით** ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო (მუხლი 38.2).

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის I[4] მუხლის თანახმად აღსრულების ეროვნული ბიურო გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას შეასრულებს მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქციას, **ასევე განახორციელებს სააუქციონო მომსახურებას „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით**. აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ხსენებული ბრძანების შესაბამისად, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სააუქციონო მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასური შეადგენს სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა;

როგორც ვიცით, აუქციონის ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილება აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეკუთვნის, რისთვისაც ზემოაღნიშნული საფასური გათვალისწინებულია გაკოტრების მმართველისთვის, რომელიც ბიუროს აუქციონის ჩატარების მოთხოვნით მიმართავს. საფასური, რა თქმა უნდა, საგაკოტრებო მასიდან იფარება, რაც კრედიტორების ფინანსურ ინტერესებზე ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნებოდა კერძო აუქციონების ჩატარებაც, კრედიტორები, სავარაუდოდ, გაკოტრების მმართველთან ხელშეკრულებით, ამ საფასურის ლავირებას შეძლებდნენ, შესაბამისად, მათ საშუალება ექნებოდათ მეტად შეენარჩუნებინათ მოთხოვნის დაკმაყოფილების რესურსები.

გარდა ამისა, აუქციონთან მიმართებით, კანონში არსებული ჩანაწერი „კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით“ აუქციონის ჩატარების შესახებ მოქმედ რეგულაციასთან მიმართებაში ერთობ ბუნდოვანი და უსაფუძვლოა.

კანონის 38-ე მუხლის პუნქტებში სიტყვასიტყვით გაწერილია აუქციონის ჩატარების წესი და პირობები, აუქციონის ხანგრძლივობა, ეტაპები და საწყისი ფასები.

ფაქტობრივად, აღსრულების ეროვნული ბიურო, კანონისა და იუსტიციის მინისტრის ბრძანების იმპერატიული ნორმების ზედმიწევნითი შესრულებით, ატარებს აუქციონს. შესაძლოა კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპში სწორედ კანონის დანაწესთა შესრულება იგულისხმება, თუმცა ჩემი სამართლებრივი რწმენით, კრედიტორთა ინტერესები ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა.

წინამდებარე კანონი არ იძლევა რაიმე სახის ლავირების საშუალებას ქონების რეალიზაციის პროცესთან მიმართებით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს 7-დან 10-დღემდე ხანგრძლივობით ჩაატაროს აუქციონი, ესეც იმ პირობით, თუკი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით უფრო მცირე დრო არ არის დადგენილი.

ასევე ამ მუხლის მე-11[1] პუნქტით მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

როგორც ვხედავთ, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე დამატებით საშუალებას ქონების რეალიზაციისას მოხდეს კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინება, რაც ამ ასპექ-

ტით, ვფიქრობ, არაპრაქტიკულია და კანონის მოქმედებას მიზანთან შეუსაბამო სიხისტეს სძენს.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „მარშე“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის გაჩინება საქმე №2/13642-13

მოთხოვნა: გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2013 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მიმართა შპს „მარშეს“ წარმომადგენელმა და რეაბილიტაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით ითხოვა შპს „მარშეს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება. განმცხადებელი განმარტავს, რომ 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შპს „მარშეს“ აქვს დაახლოებით 32 341 087 ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 19 000 000 ლარის გადახდის ვალდებულება უკვე დამდგარია. ამავე დროს შპს „მარშეს“ აქტივების ღირებულება არ აღემატება 22 000 000 ლარს. ამ აქტივების ძირითადი ნაწილი დებიტორული მოთხოვნებია და მისი ოდენობა 20 000 000 ლარია.

2013 წლის 24 სექტემბრის განჩინებით განმცხადებელს მიეთითა განცხადებისთვის დამახასიათებელ ხარვეზთა თაობაზე და მათი აღმოფხვრის მიზნით მოვალეს 5 სამუშაო დღის ვადა მიეცა. 2013 წლის 25 და 26 სექტემბერს, ხარვეზის გამოწორების მიზნით, მოვალემ სასამართლოს სათანადო დოკუმენტები წარუდგინა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 21-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ წარმოებაში მიიღო განმცხადებლის – შპს „მარშეს“ – განცხადება.

აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — აღსრულების ეროვნული ბიურო, მოვალე საწარმოს აეკრძალა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე.

შეჩერდა მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და დაუშვებლად იქნა მიჩნეული იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება.

ამასთან, აიკრძალა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდა ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა.

მოვალეს, მეურვესა და კრედიტორებს განემარტათ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, როგორიცაა – მოვალის მიერ მეურვისთვის ინფორმაციის წარდგენა, მეურვის მიერ საწარმოს ქონების შეფასება, კრედიტორთა მიერ თავიანთი მოთხოვნების წარმოდგენის ვადები და ა.შ.

განჩინებით განისაზღვრა კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარიღი, მეურვის მიერ განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას წარმოებაში იღებს იმ შემთხვევაში, თუკი ის აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. განცხადების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები ასახულია მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებში. მე-16 მუხლი ეხება მოვალის, მე-18 კი – კრედიტორის განცხადებას.

მოცემულ შემთხვევაში განცხადება შეტანილ იქნა მოვალის მიერ, შესაბამისად დასაშვებობასთან მიმართებით, რელევანტურია მე-15 და მე-16 მუხლების დანაწესი, ასევე მე-6 მუხლი, რომელიც მოვალეს ათავისუფლებს ბაჟის სახით 5 000 ლარის შეტანისაგან, თუმცა, ამავე მუხლით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნისთვის განსაზღვრული შენატანის – 5 000 ლარის სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის დამადასტურებელი ქვითარი მაინც უნდა ერთოდეს განცხადებას, რათა სასამართლომ იგი დასაშვებად ცნოს.

არსებობს მე-6 – მე-17 მუხლებით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც მოვალე თავისუფლდება ყოველგვარი შენატანისგან. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრებას მოითხოვს.

გადახდისუუნარობის წარმოების ფარგლებში სასამართლოს ნებისმიერი სახის დადგენილება მიიღება განჩინების სახით, რომლის არსი საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებშია გადმოცემული.

წინამდებარე საქმეში ფიგურირებს სასმართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შემთხ-

ვევა, რაც გამომდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მე-20 მუხლიდან, რომლის მოქმედი რედაქცია მოცემულია შემდეგი სახით:

თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს გამოსასწორებლად აძლევს 5 სამუშაო დღის ვადას. თუ განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში გამოასწორებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მას განმცხადებელს დაუბრუნებს.

2018 წლის პირველი იანვრიდან კი აღნიშნული მუხლს დაემატება შემდეგი ჩანაწერი: ***სასამართლო ამ პუნქტით გათვალისწინებულ განჩინებას გამოტანიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში.***

აღნიშნული სისტემის განმარტება მოცემულია მოქმედი კანონის მე-3[1] მუხლში. ამ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2012 წლის 12 ივლისს გამოქვეყნდა (დოკუმენტის ნომერი: 6604-რს).

განმარტების თანახმად გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნებას და გაცვლას ამ კანონით გათვალისწინებულ პირებს (სუბიექტებს) შორის. მასში დოკუმენტაციის გამოქვეყნება ოფიციალურ გამოქვეყნებად, გაგზავნილი დოკუმენტაცია კი – ჩაბარებულად ჩაითვლება.

სისტემის წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესი ბევრად უფრო გამჭვირვალე და ორგანიზებული გახდება, რითაც ამ პროცესში ჩაბმული ყველა პირი მეტად დაცული და თანასწორი იქნება.

გაკოტრების მმართველის დანიშვნა (სს „პარკ-პლეისი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 აგვისტოს გაჩინება, საქმე №2/11836-15

მოთხოვნა: გაკოტრების მმართველის დანიშვნა

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 19 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა მოვალე სს „პარკ-პლეისის“ დირექტორმა და მოითხოვა სს „პარკ-პლეისის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება, ვინაიდან მას (სს „პარკ-პლეისს“)არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს კრედიტორების ვა-

დამოსული მოთხოვნები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ივლისის განჩინებით განცხადება მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში, მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — აღსრულების ეროვნული ბიურო და კანონით დადგენილი წესით მოწვეულ იქნა კრედიტორთა პირველი კრება.

კრედიტორთა პირველ კრებაზე კრედიტორთა მიერ არ იქნა წარმოდგენილი გაკოტრების მმართველის კანდიდატურა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, მე-17, 27-ე 37-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და დაადგინა:

1. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ — აღსრულების ეროვნული ბიურო).
2. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს სასამართლოს ვებგვერდზე www.tcc.gov.ge და „საკანონმდებლო მაცნეში“.
3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავს მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები.

მოსამართლეების ძირითადი ფუნქცია კრედიტორთა კრებების ხელმძღვანელობა გახლავთ (მუხლი 27.1-ე კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე), თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლო ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილებასაც იღებს.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილება გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით მიიღო.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე კანონის 27-ე მუხლის 21-ე ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ მე-17 მუხლის შესაბამისად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი.

37-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო აღსრულების ეროვნულ ბიუროს ნიშნავს.

სწორედ 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის ილუსტრაციაა წინამდებარე ქეისი, როდესაც გაკოტრების მმართველის კანდიდატურასთან დაკავშრებით კრედიტორთა არჩევანის არარსებობის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო ინიშნება ამ პოზიციაზე.

განხილული მაგალითი 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოვლინებაა, როდესაც გაკოტრების მმართველის კანდიდატურასთან დაკავშრებით კრედიტორთა არჩევანის არარსებობის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო ინიშნება ამ პოზიციაზე, რაც უწყებაში დასაქმებულ შემფასებლებს, აუქციონის ჩატარების უფლებამოსილებას და გამოცდილ ქეის-მენეჯერებს მოიცავს. აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური საკმაოდ მაღალია, რაც განსხვავებით გაკოტრების მმართველის არჩეული კანდიდატურისგან, არა ხელშეკრულებით, არამედ იუსტიციის მინისტრის ბრძანებითაა განსაზღვრული.

შესაბამისად, კრედიტორთა ინტერესებისთვის, როგორც ხელსაყრელი, ასევე საზიანო შეიძლება იყოს აღსრულების ბიუროს გაკოტრების მმართველად დანიშვნა და ეს, ყოველ შემთხვევაში, ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განსხვავებით მეურვეობისგან, აღსრულების ეროვნული ბიურო არ არის უალტერნატივო გაკოტრების მმართველი და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ინიშნება, თუკი კრედიტორები თავად ვერ მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან კრედიტორებს თავისუფალი არჩევანის უფლება აქვთ, ამ გარემოების ნეგატიურად შეფასება საფუძველს მოკლებულია.

საწარმოს რეაბილიტაციის დაწყება (შპს „არენა მშენი“)

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წლის 1 აპრილი, გაჩინება, საქმე №2/1492-16

მოთხოვნა: საწარმოს რეაბილიტაციის დაწყება (მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 01 აპრილს კრედიტორთა კრებაზე განხილული იქნა მომრიგებელთა საბჭოს გადაწყვეტილება შპს „არენა მშენის“ მიმართ რეაბილიტაციის დაწყების შესახებ. კრედიტორებმა მხარი დაუჭირეს რეაბილიტაციის პროცედურის დაწყებას.

სასამართლო გაეცნო საქმეში არსებულ მასალებს, მოუსმინა კრედიტორთა მოსაზრებებს, მიიჩნია, რომ რეაბილიტაციის პროცედურის დაწყება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 27-ე, 28-ე, 33-ე და 43-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1. დამტკიცდეს 2016 წლის 01 აპრილის მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება შპს „არენა მშენის“ მიმართ რეაბილიტაციის დაწყების შესახებ;

2. განჩინება გამოქვეყნდეს „საკანონმდებლო მაცნეში“, სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე – www.tcc.gov.ge;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში, კერძო საჩივრით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტის თანახმად რეაბილიტაცია, ესაა საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის შესაბამისად ხორციელდება და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით; საწარმოს რეაბილიტაცია გადახდისუუნარობის პროცესის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელზეც გადაწყვეტილებას მომრიგებელის საბჭო იღებს.

მომრიგებელი საბჭო, როგორც პარიტეტულ საწყისებზე წარმოქმნილი კოლეგიალური ორგანო (კანონის 32.1 მუხლი), საკმაო ლეგიტიმურობით სარგებლობს ამ კუთხით გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

მოვალის მიმართ წარმოებული რეაბილიტაციის პროცესის პირველი ეტაპია რეაბილიტაციის გეგმის მომზადება. ამ გეგმის მომზადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან 60 დღეს. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ კრედიტორები.

კრედიტორები განსაზღვრავენ ასევე, ვინ უნდა იყოს რეაბილიტაციის მმართველი: კრედიტორთა კრება ამ კანონით დადგენილი წესით განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე: ბ) გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ (მუხლი 27.5)

განჩინებები რეაბილიტაციის დაწყების შესახებ ისევე ბლანკეტური ხასიათის და შაბლონურია, როგორც ყველა სხვა განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, შესაბამისად დეტალებზე მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

ერთი რამ კი უდავოა: გონივრული რეაბილიტაცია, ანუ რეაბილიტაცია, რომლის დროსაც რესურსები და საწარმოს მართვის მექანიზმები ურთიერთთანხვედრაშია, პოზი-

ტიურად აისახება ბიზნესსივრცესა და სამოქალაქო ბრუნვაზე, ვინაიდან თუკი მაღალია რეაბილიტაციის სტატისტიკა, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესრისკები მცირდება, შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელების ასპექტში ბაზარიც მეტად სტაბილური და საიმედო ხდება.

საწარმოს რეაბილიტაციის დაწყება (შპს „მარშე“)

თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წლის 28 მარტი, გაჩინება, საქმე №2/13642-13

მოთხოვნა: საწარმოს რეაბილიტაციის დაწყება (მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცება)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „მარშეს“ მიმართ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში შეიქმნა მომრიგებელი საბჭო. 2016 წლის 23 მარტს სასამართლოს წარედგინა ამ შემადგენლობის მომრიგებელი საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება მოვალე შპს „მარშეს“ რეაბილიტაციის თაობაზე.

შპს „მარშეს“ მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებისა და საკანონმდებლო დანაწესთა გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს შპს „მარშეს“ მიმართ რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შესახებ განჩინების გამოტანის საფუძველი.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 25-ე, 26-ე, 27-ე, 33-ე, 43-ე, 44-ე, 46-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მოვალე შპს „მარშეს“ (ს/კ 245587011) მიმართ დაიწყოს რეაბილიტაციის პროცესი.
2. მოწვეულ იქნეს მოვალე შპს „მარშეს“ (ს/კ 245587011) კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: ა) რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნა; ბ) რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) განსაზღვრა; გ) რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადის დადგენა.
3. კრედიტორთა კრების თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 8 აპრილი, 15 საათი (თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობა, დარბაზი №23 მდებარე მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ).
4. განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2016 წლის 1 აპრილისა. განჩინების გამოქვეყნება უზრუნველყოს

მეურვე სსიპ – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. მანვე უზრუნველყოს მოვალისა და კრედიტორებისთვის კრედიტორთა კრების დღისა და დროის შესახებ შეტყობინება. განჩინება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც.

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებულ პირთა მიერ კერძო საჩივრის თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანის გზით განჩინების გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

კომენტარი:

განჩინებები რეაბილიტაციის დაწყების შესახებ ისევე ბლანკეტური ხასიათის და შაბლონურია, როგორც ყველა სხვა განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, შესაბამისად, დეტალებზე მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

ერთი რამ კი უდავოა: გონივრული რეაბილიტაცია, ანუ რეაბილიტაცია, რომლის დროსაც რესურსები და საწარმოს მართვის მექანიზმები ურთიერთთანხვედრაშია, პოზიტიურად აისახება ბიზნესსივრცესა და სამოქალაქო ბრუნვაზე, ვინაიდან, თუკი მაღალია რეაბილიტაციის სტატისტიკა, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესრისკები მცირდება, შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელების ასპექტში ბაზარიც მეტად სტაბილური და საიმედო ხდება.

გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (სს „საქგაზი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის გაჩინება, საქმე №2/9147-14

მოთხოვნა: გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2014 წლის 2 ივნისს განცხადებით მიმართა სს „საქგაზის“ დირექტორმა და ითხოვა სს „საქგაზის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

განცხადების ავტორი განმარტავს, რომ მოვალე სს „საქგაზის“ მიმდინარე აქტივები 36 440 009 (ოცდათექვსმეტი მილიონ ოთხას ორმოცი ათას ცხრა) ლარით განისაზღვრება. მოვალის სასაქონლო-მატერიალური აქტივების ღირებულება 5 785 680 (ხუთი მილიონ შვიდას ოთხმოცდახუთი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარია, ხოლო დებიტორული დავალიანება შეადგენს 30 654 329 (ოცდაათი მილიონ ექვსას ორმოცდათოთხმეტი ათას სამას ოცდაცხრა) ლარს. ამასთან, განმცხადებლის მტკიცებით, დავალიანება კრედიტორთა წინაშე ჯამში შეადგენს 95 436 739,23 (ოთხმოცდათხუთმეტი მილიონ ოთხას ოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოცდაცხრამეტი მთელი ოცდასამი მეასედი) ლარს. ამ გარემოებებზე მითითებით განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სს „საქგაზი“ იმყოფება მძიმე

ფინანსურ მდგომარეობაში, კომპანია გამართულად ვეღარ ფუნქციონირებს და აღარ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს არცრთი ვადამოსული უზრუნველყოფილი და არაუზ-რუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა.

2014 წლის 5 ივნისის განჩინებით განმცხადებელს მიეთითა განცხადებისთვის დამა-ხასიათებელ ხარვეზთა თაობაზე და მათი აღმოფხვრის მიზნით მოვალეს 5 სამუშაო დღის ვადა მიეცა. ხარვეზის გამოწორების მიზნით მოვალემ სასამართლოს სათანადო დოკუმენტები წარუდგინა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადების წარმოებაში მიღე-ბის საკითხი და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-19, მე-20, 21-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ წარმოებაში მიიღო მოვალის, სს „საქგა-ზის“ განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ. აღნიშნული განჩინე-ბით, კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა კანონიდან გამომდინარე ყველა ქმედება, რომელიც ყოველ ამ ტიპის განჩინებაში შაბლონურად გვხვდება: მეურვედ და-ინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო, შეჩერდა მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძუ-ლებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, დაუშვებლად იქნა ცნობილი იძულებითი აღს-რულების ახალი ღონისძიებების დაწყება.

ამასთან, აიკრძალა ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდა ვალების გადახდა და პრო-ცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების დარიცხვა/გადახდა.

მოვალეს, მეურვესა და კრედიტორებს განემარტათ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, განისაზღვრა კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარი-ღი, მეურვის მიერ განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილი-სისა და ქუთაისის სასამართლოები. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახ-მად, სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას წარმოებაში იღებს იმ შემთხვევაში, თუკი განცხადება ამ კანონით დადგენილ მოთხოვ-ნებს აკმაყოფილებს. განცხადების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები ასახულია მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებში. მე-16 მუხლი ეხება მოვალის, მე-18 კი კრედიტორის განცხადებას.

წინამდებარე საქმეში ფიგურირებს სასმართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შემთხ-ვევა, რაც გამომდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მე-20 მუხლიდან, რომლის მოქმედი რედაქცია მოცემულია შემდეგი სახით:

თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს გამოსასწორებლად აძლევს 5 სამუშაო დღის ვადას. თუ განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში გამოასწორებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მას განმცხადებელს დაუბრუნებს.

2018 წლის პირველი იანვრიდან კი აღნიშნული მუხლს დაემატება შემდეგი ჩანაწერი: ***სასამართლო ამ პუნქტით გათვალისწინებულ განჩინებას, გამოტანიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში.***

აღნიშნული სისტემის განმარტება მოცემულია მოქმედი კანონის მე-3[1] მუხლში. ამ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2012 წლის 12 ივლისს გამოქვეყნდა (დოკუმენტის ნომერი: 6604-რს).

განმარტების თანახმად გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნებას და გაცვლას ამ კანონით გათვალისწინებულ პირებს (სუბიექტებს) შორის. მასში დოკუმენტაციის გამოქვეყნება ოფიციალურ გამოქვეყნებად, გაგზავნილი დოკუმენტაცია კი – ჩაბარებულად ჩაითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განცხადება შეტანილ იქნა მოვალის მიერ, მან გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვა გაკოტრება, რის შესაძლებლობასაც მოქმედი კანონი ითვალისწინებს და შესაბამისად აწესრიგებს კიდეც. კერძოდ: „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი არეგულირებს სადეპოზიტო შენატანისა და ბაჟის ოდენობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას განცხადების სასამართლოში შეტანის შემთხვევაში. ამ მუხლის მე-3 პუნქტი ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებს მოვალეს. მე-4 პუნქტი კი მიუთითებს მე-17 მუხლზე, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ განცხადებით გაკოტრების მოთხოვნის შესაძლებლობას ითვალისწინებს და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით პირდაპირ გაკოტრებას მოითხოვს, ბაჟთან ერთად (მუხლის 6.3) თავისუფლდება სადეპოზიტო შენატანისგანაც. აღნიშნული დანაწესი აშკარად ხელსაყრელი უნდა იყოს მხარეთათვის, რადგან სადეპოზიტო შენატანი მე-6 მუხლის I ნაწილის თანახმად ასრულებს შემდეგ ფუნქციას: საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ამ თანხიდან ანაზღაურდება საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა განმცხადებელს დაუბრუნდება.

თუკი შექმნილი გარემოებებიდან აშკარაა, რომ მოვალე საწარმოს რეაბილიტაციის პერსპექტივა საფუძველსმოკლებულია და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილე-

ბის ერთადერთ გონივრულ გზად გაკოტრება რჩება, ამ თანხის მოვალის მიერ დეპოზიტზე შეტანა უსაფუძვლო იქნება, ვინაიდან გაკოტრებით საქმის დასრულებისას ეს თანხა მაინც მოვალეს უბრუნდება და საგაკოტრებო მასას ემატება, რომლითაც კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება.

უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (სს „საქგაზი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმე №2/9856-15 (330210315815368)

მოთხოვნა: უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე, მოვალის გაკოტრებულად გამოცხადება და რეგისტრაციის გაუქმება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა სს „საქგაზმშენის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა – დირექტორმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სს „საქგაზმშენი“ წარმოადგენს 100%-ით სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს, რომელიც დღეისათვის არ ფუნქციონირებს. განმცხადებლის მითითებით, საწარმოს ქონების ჯამური ღირებულება სავარაუდოდ 5000 (ხუთი ათასი) ლარს არ აღემატება.

განმცხადებლის მითითებით, სს „საქგაზმშენის“ უზრუნველყოფილი კრედიტორია სახელმწიფო, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს კი წარმოადგენს საწარმოს ორი ყოფილი თანამშრომელი. მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, განმცხადებელმა მოითხოვა სს „საქგაზმშენის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 ივნისის განჩინებით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სს „საქგაზმშენს“უარი ეთქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე, რადგან მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფდა საპროცესო ხარჯების დაფარვას. ვინაიდან განჩინების გამოქვეყნებიდან კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში კრედიტორებმა სასამართლოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით არ მიმართეს, ეს ფაქტი სს „საქგაზმშენის“გაკოტრებულად გამოცხადების და სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის I, მე-5, მე-7, მე-8, მე-19, მე-20 მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ მიიღო განჩინება სს „საქგაზმშე-

ნის“ – გაკოტრებულად გამოცხადებისა და სამეწარმეო რეესტრში სს „საქგაზმშენის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სს „საქგაზმშენს“ დაევალა აღნიშნული განჩინების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია. განისაზღვრა, რომ განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე; განჩინების გამოქვეყნების ხარჯები გაიღოს მოვალემ.

კომენტარი:

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (5 დღე) მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის, **გაკოტრების დაწყების შემთხვევაში, მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას**, **სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის, განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით**, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ შეიტანა.

საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური პირველი რიგის მოთხოვნებია ამ კანონის მე-40 მუხლის მიხედვით. მე-6 მუხლი შეეხება საპროცესო ხარჯებს, რომლითაც ზუსტად განსაზღვრული არ არის, რა შედის მოცემულ ხარჯებში გარდა ბაჟისა და სადეპოზიტო შენატანისა, რომლისგანაც მოვალე, გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 მუხლებით არის გათავისუფლებული. რაც შეეხება აღსრულების ბიუროს საფასურს, იგი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის #144 ბრძანებით, რომლის მე-9 მუხლშიც საფასურებია გაწერილი.

კრედიტორის უფლება, ასეთ საწარმოზე მოითხოვოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა (მუხლი 20.7), შეიძლება მკვდარ ნორმადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან კრედიტორი არც ბაჟისგან და არც სადეპოზიტო შენატანისგან თავისუფალი არ არის, რაც ჯამში 10 000 ლარს უდრის, ისეთი საწარმოს ქონება კი, რომელიც საპროცესო ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს, 5 000 ლარზე ნაკლებია. ამის ილუსტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ მოცემული ქეისი.

რაც შეეხება საწარმოს იმ ქონებას, რომელიც, მართალია, საპროცესო ხარჯებს ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ რაღაც ოდენობით მაინც არსებობს – **მე-20 მუხლის მე-10 პუნქტით** იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი 1 თვის ვადაში არ შეიტანს სასამართლოში განცხადებას და საწარმო გაკოტრებულად რეგისტრაციის გაუქმების გზით გამოცხადდე-

ბა, **მოვალის ქონება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის გაუქმებამდე **ნაწილდება მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

ეს დანაწესი კრედიტორებისთვის შეიძლება ერთგვარად საზიანოდაც ჩაითვალოს, თუმცა, ვინაიდან კანონი კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მხოლოდ 1 წესს აღიარებს, რომელიც კანონის მე-40 მუხლშია გადმოცემული და მის პირველ რიგში მოცემული მოთხოვნები საწარმოს ქონებას აღემატება, პარტნიორებზე საწარმოს ამ ქონების პროპორციული გადანაწილება ერთადერთ ლოგიკურ გამოსავლად ისახება.

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში კრედიტორებმა არ მიმართეს სასამართლოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნით. 3 კრედიტორიდან უზრუნველყოფილ კრედიტორს წარმოადგენდა სახელმწიფო (სსიპ – შემოსავლების სამსახური), ხოლო დანარჩენი 2 კრედიტორი ყოფილი თანამშრომლები იყვნენ. ვინაიდან აღნიშნულ საწარმოში წილის 100% სახელწმიფოს ეკუთვნოდა, შესაბამისად, ამ საწარმოს სრული ქონება რეგისტრაციის გაუქმებით გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში მე-20 მუხლის მე-10 პუნქტით ისევ სახელმწიფოს რჩებოდა. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება აზრსმოკლებული იყო, ხოლო ყოფილი თანამშრომლებისთვის კი არაპროპორციულად მაღალ ხარჯებს უკავშირებოდა.

კანონის ეს ნორმა გაუმჯობესებას საჭიროებს, რადგან სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაარსებულ საწარმოში, მისი გაკოტრებისას უპირატესი დაკმაყოფილების თვალსაზრისით, დასაქმებულ თანამშრომლებს სახელმწიფო გარკვეულ გარანტიებს უნდა სთავაზობდეს.

გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება (სს „ენერგია XXI“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინება, საქმე №2/2587-08

მოთხოვნა: გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 5 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაკოტრების მმართველმა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წარმოადგინა სს „ენერგია XXI“-ის საბოლოო ანგარიში და მოითხოვა გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება და სამეწარმეო რეესტრში სს „ენერგია XXI“-ის რეგისტრაციის გაუქმება.

2015 წლის 27 ნოემბერს მოწვეული იქნა კრედიტორთა კრება, გაკოტრების მმართველის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენილის მიერ წარმოდგენილი იქნა სს „ენერგია XXI““-ის გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაზე გაკოტრების მმართვე-

ლის საბოლოო ანგარიში და მოითხოვა ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის განაწილება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშით დადგენილია, რომ სრულად არის გასხვისებული სს „ენერგია XXI"-ის კუთვნილი, გაკოტრების მმართველისთვის ხელმისაწვდომი ქონება, რის გამოც გაკოტრების მმართველს აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს ამ ეტაპზე არსებული აქტივის – ფულადი თანხის, კრედიტორებზე განაწილება და სს „ენერგია XXI"-ის გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მოუსმინა გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-9, 42-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანა განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრს დაევალა სს „ენერგია XXI"-ის რეგისტრაციის გაუქმება, (სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლა). განჩინების გასაჩივრებისთვის განისაზღვრა მისი გადაცემიდან 5 დღე.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება თავისი არსით სრულდება საწარმოს გაკოტრებით ან რეაბილიტაციით. წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა საწარმოს გაკოტრების დასრულების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია განჩინების ფორმით.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, სამეურვეო ქონება იყიდება აუქციონის გზით, გარდა ფინანსური გირაოს საგნისა, რომლის რეალიზაცია ხდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. აუქციონზე სამეურვეო ქონების გაყიდვას, **კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით,** ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო (მუხლი 38.2). ჩანაწერი „კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით" აუქციონის ჩატარების შესახებ მოცემულ კანონთან მიმართებაში ერთობ ბუნდოვანი და უსაფუძლოა. კანონის 38-ე მუხლის პუნქტებში სიტყვასიტყვით გაწერილია აუქციონის ჩატარების წესი და პირობები, აუქციონის ხანგრძლივობა, ეტაპები და საწყისი ფასები.

ფაქტობრივად, აღსრულების ეროვნული ბიურო კანონისა და იუსტიციის მინისტრის ბრძანების იმპერატიული ნორმების ზედმიწევნითი შესრულებით ატარებს აუქციონს. შესაძლოა კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპში სწორედ კანონის დანაწესთა

შესრულება იგულისხმება, თუმცა ჩემი სამართლებრივი რწმენით, კრედიტორთა ინტერესები ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა.

წინამდებარე კანონი არ იძლევა რაიმე სახის ლავირების საშუალებას ქონების რეალიზაციის პროცესთან მიმართებით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს 7-დან 10 დღემდე ხანგრძლივობით ჩაატაროს აუქციონი, ესეც იმ პირობით, თუკი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით უფრო მცირე დრო არ არის დადგენილი.

ასევე ამ მუხლის მე-11[1] პუნქტით მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო. როგორც ვხედავთ, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე დამატებით საშუალებას ქონების რეალიზაციისას მოხდეს კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინება, რაც ამ ასპექტით, ვფიქრობ, არაპრაქტიკულია და კანონის მოქმედებას მიზანთან შეუსაბამო სიხისტეს სძენს.

გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „ქედის სატყეო მეურნეობა“)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის განჩინება, საქმე №2/174

მოთხოვნა: გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ქედის სატყეო მეურნეობის“ სახელით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა კომპანიის დირექტორმა და აღნიშნა, რომ საზოგადოებას აქვს კრედიტორული დავალიანება23 141 ლარის ოდენობით, მათ შორის 2 465 ლარი წარმოადგენს საბიუჯეტო დავალიანებას. საზოგადოებას უძრავი ქონება საკუთრებაში არ ერიცხება. ასევე, კომპანიის სახელზე არ ირიცხება სატრანსპორტო საშუალებები, თუმცა ბალანსით აღირიცხება ტრაქტორი TDT55, რომელიც არ არის რეგისტრირებული საწარმოს სახელზე. მოვალის ბალანსზეა 2 დასახელების ძირითადი საშუალება ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 158 ლარი, 9 დასახელების სასაქონლო მატერიალური მარაგი საბალანსო ღირებულებით 3 888 ლარი. საზოგადოებას არ ერიცხება თანხა საბანკო ანგარიშზე. დებიტორული დავალიანება შეადგენს 9 296 ლარს და შემოსავლების სამსახურთან არსებული ზედმეტობა 861 ლარია, ჯამში კი საზოგადოების აქტივი შადგენს 14 206 ლარს.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-13, მე-14, მე-15, მე-19, 21-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე მუხლე-

ბისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ წარმოებაში მიიღო მოვალის, შპს „ქედის სატყეო მეურნეობის“ განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ. აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა ყველა კანონიდან გამომდინარე ქმედება, რომელიც ყველა ამ ტიპის განჩინებაში შაბლონურად გვხვდება: მეურვედ დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო, შეჩერდა მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, დაუშვებლად იქნა ცნობილი იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება.

ამასთან, განჩინებით აიკრძალა ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდა ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების დარიცხვა/გადახდა. მოვალეს, მეურვესა და კრედიტორებს განემარტათ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, განისაზღვრა კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარიღი, მეურვის მიერ განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას წარმოებაში იღებს იმ შემთხვევაში, თუკი ის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. განცხადების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები ასახულია მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებში. მე-16 მუხლი ეხება მოვალის, მე-18 კი – კრედიტორის განცხადებას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განცხადება შეტანილ იქნა მოვალის მიერ, მან გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვა გაკოტრება, რის შესაძლებლობასაც მოქმედი კანონი ითვალისწინებს და, შესაბამისად, აწესრიგებს კიდეც. კერძოდ: გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი არეგულირებს სადეპოზიტო შენატანისა და ბაჟის ოდენობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის შემთხვევაში. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები მოვალეს ბაჟისა და სადეპოზიტო შენატანის გადახდისგან ათავისუფლებს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საწარმოს ბალანსზე არსებული ქონება ღირებულებით 4 049 ლარი და მოვალე საწარმოს კრედიტორული მოთხოვნა 10 157 ლარის ოდენობით – აქედან 861 ლარი საგადასახადო ზედმეტობის სახით, ხოლო 9 296 დებიტორული დავალიანების სახით.

როგორც ვხედავთ, საწარმოს აქტივის არსებითი ნაწილი მოთხოვნებისგან შედგება. პრაქტიკაში ხშირია, როცა საწარმოს დებიტორული დავალიანებები აქვს დიდი ოდენობით, თუმცა მათი ხანდაზმულობის ვადა გასულია და, შესაბამისად, ამ თანხების ამოღების არავითარი ბერკეტი მოვალე საწარმოს არ გააჩნია.

მოცემულ შემთხვევაში, დებიტორული დავალიანებების გარეშეც, მოვალის ქონება საგადასახადო ზედმეტობასთან ერთობლიობაში 5 000 ლარს აჭარბებს, შესაბამისად მე-20 მუხლის მე-4 ნაწილით სახეზეა განცხადების წარმოებაში მიღების საფუძველი.

თუმცა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე საწარმოს საბალანსო ქონება 4 049 ლარი იქნებოდა, დანარჩენი აქტივი კი მხოლოდ ხანდაზმული დებიტორული დავალიანებებით განისაზღვრებოდა? მიიღებდა თუ არა საწარმოს განცხადებას სასამართლო წარმოებაში? აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან დებიტორული დავალიანება, თუნდაც ხანდაზმული, საწარმოს აქტივად ითვლება, შესაბამისად, სასამართლო არ წაართმევდა კრედიტორებს შანსს, თუნდაც ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების ამოღებით დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნები.

უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (შპს „ქედის ჩაი“)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 სექტემბრის განჩინება, საქმე №2/1235-13

მოთხოვნა: უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 აგვისტოს განცხადებით მიმართა შპს „ქედის ჩაის“ დირექტორმა კარლო თურმანიძემ და ითხოვა შპს „ქედის ჩაის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება. განმცხადებელი განმარტავს, რომ მისი დავალიანება კრედიტორთა წინაშე ჯამში 57 095,7 ლარს შეადგენს. საწარმოს დღეის მდგომარეობით შეწყვეტილი აქვს ფუნქციონირება და მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ გააჩნია. არსებულ კრედიტორულ დავალიანებათა შორის 22 543,7 ლარი წარმოადგენს უზრუნველყოფილ საგადასახადო (საბიუჯეტო) დავალიანებას. კომპანიისადმი სხვა პირთა ვალები, ასევე ძირითადი საშუალებების და სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს 1 708,83 ლარს. სხვა ქონება მოვალეს არ გააჩნია. ამ გარემოებებზე მითითებით, დირექტორი კარლო თურმანიძე ითხოვს შპს „ქედის ჩაის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი მასალები და მიიჩნია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არსებობს განცხადების წარმოებაში მიღების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო: განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ შპს „ქედის ჩაის“ არ გააჩნია არავითარი ქონება, ფულადი თანხები ანგარიშზე ანუ მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-5, მე-7, მე-8, მე-16, მე-19, მე-20, მე-40 მუხლებით, და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ უარი თქვა შპს „ქედის ჩაის“ გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ შეიტანა.

აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, კრედიტორებს განესაზღვრათ უფლება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ამ საწარმოს მიმართ სასამართლოში შეიტანონ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება. განჩინების გამოტანიდან არაუგვიანეს 3 დღისა მისი „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების გადახდის უზრუნველყოფა მოვალეს დაეკისრა, ხოლო განჩნების გასაჩივრებისთვის მისი გადაცემიდან 5 დღე განესაზღვრა.

კომენტარი:

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (5 დღე) მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ მისი შეტანის დროისთვის **გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას**, **სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით**, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ შეიტანა.

საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური ამ კანონის მე-40 მუხლის მიხედვით პირველი რიგის მოთხოვნებია. მე-6 მუხლი შეეხება საპროცესო ხარჯებს, რომლითაც ზუსტად განსაზღვრული არ არის, რა შედის მოცემულ ხარჯებში გარდა ბაჟისა და სადეპოზიტო შენატანისა, რომლისგანაც მოვალე, გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 მუხლებით არის გათავისუფლებული. რაც შეეხება აღსრულების ბიუროს საფასურს, იგი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის #144 ბრძანებით განისაზღვრება, რომლის მე-9 მუხლშიც საფასურებია გაწერილი.

კრედიტორის უფლება, ასეთ საწარმოზე მოითხოვოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა (მუხლი 20.7), შეიძლება მკვდარ ნორმადაც მივიჩნიოთ, რადგან კრე-

დიტორი არც ბაჟისგან და არც სადეპოზიტო შენატანისგან თავისუფალი არ არის, რაც ჯამში 10 000 ლარს უდრის, ისეთი საწარმოს ქონება კი, რომელიც საპროცესო ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს, 5 000 ლარზე ნაკლებია.

რაც შეეხება საწარმოს იმ ქონებას, რომელიც მართალია, საპროცესო ხარჯებს ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ რაღაც ოდენობით მაინც არსებობს – **მე-20 მუხლის მე-10 პუნქტით** იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი 1 თვის ვადაში სასამართლოში განცხადებას არ შეიტანს და საწარმო გაკოტრებულად რეგისტრაციის გაუქმების გზით გამოცხადდება, **მოვალის ქონება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის გაუქმებამდე **მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად ნაწილდება, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

ეს დანაწესი კრედიტორებისთვის შეიძლება ერთგვარად საზიანოდაც ჩაითვალოს, თუმცა, ვინაიდან კანონი კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მხოლოდ 1 წესს აღიარებს, რომელიც კანონის მე-40 მუხლშია გადმოცემული და მის პირველ რიგში წარმოდგენილი მოთხოვნები საწარმოს ქონებას აღემატება, პარტნიორებზე საწარმოს ამ ქონების პროპორციული გადანაწილება ერთადერთ ლოგიკურ გამოსავლად ისახება.

გაკოტრების მმართველის დანიშვნა (შპს „ნიუ სითი“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის გაჩინება, საქმე №2/18827-13

მოთხოვნა: გაკოტრების მმართველის დანიშვნა

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 20 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა მოვალე შპს „ნიუ სითის“ დირექტორმა და მოითხოვა შპს „ნიუ სითის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება, ვინაიდან შპს „ნიუ სითის“ არ შესწევდა უნარი დაეკმაყოფილებინა კრედიტორების ვადამოსული მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით განცხადება მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში, მეურვედ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო და კანონით დადგენილი წესით მოწვეულ იქნა კრედიტორთა პირველი კრება. სადაც კრედიტორთა მიერ გაკოტრების მმართველის კანდიდატურა წარმოდგენილი არ იქნა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-8, მე-17, 27-ე 37-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და დაადგინა:

1. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო).
2. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და სასამართლოს ვებგვერდზე www.tcc.gov.ge.
3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავს მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები. მოსამართლეების ძირითადი ფუნქცია კრედიტორთა კრებების ხელმძღვანელობა გახლავთ (მუხლი 27.1-ე, კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე), თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით სასამართლო გადაწყვეტილებასაც იღებს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილება გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით მიიღო.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მოვალე გადახდის უუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე კანონის 27-ე მუხლის 21-ე პუნქტის მიხედვით, მოვალის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი. 37-ე მუხლის მეორე პუნქტით, თუ ის კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ მათ კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო აღსრულების ეროვნულ ბიუროს ნიშნავს.

განხილული მაგალითი 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოვლინებაა, როდესაც გაკოტრების მმართველის კანდიდატურასთან დაკავშრებით კრედიტორთა არჩევანის არარსებობის შემთხვევაში ამ პოზიციაზე ინიშნება აღსრულების ეროვნული ბიურო, რაც მოიცავს უწყებაში დასაქმებულ შემფასებლებს, აუქციონის ჩატარების უფლებამოსილებას და გამოცდილ ქეისმენეჯერებს. აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური საკმაოდ მაღალია, რაც, გაკოტრების მმართველის არჩეული კანდიდატურისგან განსხვავებით, არა ხელშეკრულებით, არამედ იუსტიციის მინისტრის ბრძანებითაა განსაზღვრული.

შესაბამისად, კრედიტორთა ინტერესებისთვის როგორც ხელსაყრელი, ასევე საზიანო შეიძლება იყოს აღსრულების ბიუროს გაკოტრების მმართველად დანიშვნა და ეს ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მეურვეობისგან განსხვავებით, აღსრულების ეროვნული ბიურო არ არის უალტერნატივო გაკოტრების მმართველი და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ინიშნება, თუკი კრედიტორები შესაბამის გადაწყვეტილებას თავად ვერ მიიღებენ. აქედან გამომდინარე, ვინაიდან კრედიტორებს თავისუფალი არჩევანის უფლება აქვთ, ამ გარემოების ნეგატიურად შეფასება საფუძველს მოკლებულია.

გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება (შპს „სალთვისი-2“)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოსამართლო საქმეთა კოლეგია, 2013 წლის 3 ივლისი, განჩინება, საქმე №2/8750-11

მოთხოვნა: გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 აგვისტოს განჩინებით, განცხადება მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში, შპს „სალთვისი-2“-ის გაკოტრების მმართველად დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო.

2013 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაკოტრების მმართველმა – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წარმოადგინა შპს „სალთვისი-2“-ის საბოლოო ანგარიში.

შპს „სალთვისი-2-ის“ ქონებაზე ჩატარებული აუქციონის შედეგად ამოღებულმა და კრედიტორებზე გასანაწილებელმა თანხამ (დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის შემდგომ) შეადგინა 12 693.69 ლარი.შპს „სალთვისი-2-ის“ გადახდისუუნარობის საქმის მიმდინარეობისას სასამართლოს მიერ შედგენილ კრედიტორთა რეესტრში, პირველ და მეორე რიგის კრედიტორთა არარსებობის გამო, პირველ რიგში დაკმაყოფილებას ექვემდებარება მეურვის და გაკოტრების მმართველის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნა (საფასური). ვინაიდან სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების (169 100 ლარის) 7% შეადგენს 11 837 ლარს, მეურვის – აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური განისაზღვრება 11 837 ლარით, გაკოტრების მმართველის ფუნქციის შესრულებისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური კი ასევე განისაზღვრება 11 837 ლარით. აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური (მეურვისა და გაკოტრების მმართველის ფუნქციების განხორციელებისთვის) ჯამში შეადგენს 23 674 ლარს. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სალთვისი-2“-ის ქონებაზე ჩატარებული აუქციონების შედეგად ამოღებული და გასანაწილებელი თანხა – 12 693,69 ლარი სრულად გადაეცემა მეურვესა და გაკოტრების მმართველს – სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბი-

ურეოს. რადგან აუქციონების შედეგად ამოღებული თანხებიდან სრულად ვერ იფარება მეურვისა და გაკოტრების მმართველის საფასური, სხვა შემდგომი რიგის კრედიტორთა მოთხოვნების თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება შეუძლებელია. გაკოტრების მმართველი ითხოვს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებას და სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მოუსმინა გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 38-42-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განჩინება გამოიტანა. სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრს დაევალა შპს „სალთვისი-2“-ის რეგისტრაციის გაუქმება, (სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლა). განჩინების გასაჩივრებისთვის მისი გადაცემიდან 5 დღე განესაზღვრა. კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებს განჩინების აღსრულებას.

კომენტარი:

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება თავისი არსით სრულდება საწარმოს გაკოტრებით ან რეაბილიტაციით. წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა საწარმოს გაკოტრების დასრულების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც განჩინების ფორმითაა მიღებული.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, სამეურვეო ქონება იყიდება აუქციონის გზით, გარდა ფინანსური გირაოს საგნისა, რომლის რეალიზაცია ხდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუქციონზე სამეურვეო ქონების გაყიდვას, **კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით,** აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს (მუხლი 38.2).

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის I[4] მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას შეასრულებს მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქციას, **ასევე განახორციელებს სააუქციონო მომსახურებას „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით**. აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ხსენებული ბრძანების შესაბამისად, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სააუქციონო მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასური შეადგენს სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა;

როგორც ვიცით, აუქციონის ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილება აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეკუთვნის, რისთვისაც ზემოაღნიშნული საფასური გათვალისწინებულია გაკოტრების მმართველისთვის, რომელიც ბიუროს აუქციონის ჩატარების მოთხოვნით მიმართავს. საფასური, რა თქმაუნდა, საგაკოტრებო მასიდან იფარება, რაც კრედიტორების ფინანსურ ინტერესებზე ზემოქმედებას ახდენს. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნებოდა კერძო აუქციონების ჩატარებაც, კრედიტორები სავარაუდოდ შეძლებდნენ გაკოტრების მმართველთან ხელშეკრულებით ამ საფასურის ლავირებას, შესაბამისად, მათ საშუალება ექნებოდათ მეტად შეენარჩუნებინათ მოთხოვნის დაკმაყოფილების რესურსები.

გარდა ამისა, აუქციონთან მიმართებით, კანონში არსებული ჩანაწერი „კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით“ აუქციონის ჩატარების შესახებ მოქმედ რეგულაციასთან მიმართებაში, ერთობ ბუნდოვანი და უსაფუძლოა.

კანონის 38-ე მუხლის პუნქტებში სიტყვასიტყვით გაწერილია აუქციონის ჩატარების წესი და პირობები, აუქციონის ხანგრძლივობა, ეტაპები და საწყისი ფასები.

ფაქტობრივად, აღსრულების ეროვნული ბიურო კანონისა და იუსტიციის მინისტრის ბრძანების იმპერატიული ნორმების ზედმიწევნითი შესრულებით ატარებს აუქციონს. შესაძლოა კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპში სწორედ კანონის დანაწესთა შესრულება იგულისხმება, თუმცა ჩემი სამართლებრივი რწმენით, კრედიტორთა ინტერესები ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა.

წინამდებარე კანონი არ იძლევა რაიმე სახის ლავირების საშუალებას ქონების რეალიზაციის პროცესთან მიმართებით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს 7-დან 10 დღემდე ხანგრძლივობით ჩაატაროს აუქციონი, ესეც იმ პირობით, თუკი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით უფრო მცირე დრო არ არის დადგენილი.

ასევე ამ მუხლის მე-11[1] პუნქტით მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

როგორც ვხედავთ, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე დამატებით საშუალებას ქონების რეალიზაციისას მოხდეს კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინება, რაც ამ ასპექტით, ვფიქრობ, არაპრაქტიკულია და კანონის მოქმედებას მიზანთან შეუსაბამო სიხისტეს სძენს.

დაბოლოს, ისევ და ისევ აუქციონიდან ამოღებული თანხის განაწილებას უნდა შევეხოთ, კერძოდ, პრობლემურია საფასურის საკითხი. კანონის პირველი მუხლის თანახმად მისი (ამ კანონის) მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, **მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.**

მართალია, აღსრულების ეროვნული ბიუროც თავისი არსით საბოლოოდ კრედიტორი გამოდის, თუმცა, ვფიქრობ, კანონი, რომელიც ბიზნესსფეროში არსებული პრობლემების მოგვარების მიზანს ატარებს, სახელმწიფო სტრუქტურის ბიუჯეტის შევსებაზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული – მისი მომსახურებისთვის კაბალური საფასურების დაწესებით, არამედ უპირატესად უშუალოდ კომპანიის კრედიტორებს უნდა შეეხებოდეს, როგორც ბიზნესში ოპერირებად სუბიექტებს, რომლებიც ყოველდღიურ ბიზნესრისკებს იღებენ და ქვეყანაში საერთო ეკონომიკურ ფონს ქმნიან. წინამდებარე ქეისი ნათლად ასახავს კანონის შექმნის მიზნის მის რეალურ მოქმედებასთან შეუსაბამობას: ქონების საბაზრო ღირებულების 7-7% მეურვისა და გაკოტრების მმართველის ფუნქციის შესრულებისთვის, როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური, ჯამში 23 674 ლარი, შესაბამისად ამოღებული12 693,69 ლარი აღსრულების ეროვნულ ბიუროს საფასურის სახით სრულად გადაეცემა, ხოლო დარჩენილ კრედიტორებს მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საერთოდ არაფერი ერგებათ. ცალსახაა, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და სხვაგვარ რეგულაციას საჭიროებს.

უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე (სს „ხორშის ეთერზეთი“)

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 2015 წლის 23 ოქტომბერი, განჩინება, საქმე №2/1881-15

მოთხოვნა: უარი გაკოტრების საქმის წარმოებაში მიღებაზე

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

სს „ხორშის ეთერზეთმა“ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა, რომ სს „ხორშის ეთერზეთი“ წარმოადგენდა 100% სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს. კომპანიას, არც ბალანსზე და არც საკუთრებაში, უძრავი ქონება არ ერიცხებოდა, ვინაიდან განცხადების შემოტანის მომენტისთვის მთელი უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში იყო გადასული. საწარმოს მოძრავი ქონება ან დებიტორული მოთხოვნები არ ჰქონდა, კომპანიის ერთადერთი უზრუნველყოფილი კრედიტორი კი გახლდათ სახელმწიფო, რომელის მოთხოვნა 86 803.60 ლარს შეადგენდა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა მისი ქონებით საპროცესო ხარჯების დაფარვას და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ითხოვს სს „ხორშის ეთერზეთის“ გაკოტრებას.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-16, მე-19, მე-20, მე-40 მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ უარი თქვა სს „ხორშის ეთერზეთის“ გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ შეიტანა. აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, კრედიტორებს განესაზღვრათ უფლება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ამ საწარმოს მიმართ სასამართლოში შეიტანონ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება. განჩინების გამოტანიდან არაუგვიანეს 3 დღისა მისი საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების გადახდის უზრუნველყოფა დაეკისრა მოვალეს, ხოლო განჩნების გასაჩივრებისთვის განესაზღვრა მისი გადაცემიდან 5 დღე.

კომენტარი

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (5 დღე) მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის **გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას**, **სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმაზე და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით**, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ შეიტანა.

საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს საფასური პირველი რიგის მოთხოვნებია ამ კანონის მე-40 მუხლის მიხედვით. მე-6 მუხლი შეეხება საპროცესო ხარჯებს, რომლითაც ზუსტად განსაზღვრული არ არის, რა შედის მოცემულ ხარჯებში გარდა ბაჟისა და სადეპოზიტო შენატანისა, რომლისგანაც მოვალე, გაკოტრების მოთხოვნის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 მუხლებით არის გათავისუფლებული. რაც შეეხება აღსრულების ბიუროს საფასურს, იგი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის #144 ბრძანებით განისაზღვრება, რომლის მე-9 მუხლშიც საფასურებია გაწერილი.

კრედიტორის უფლება, ასეთ საწარმოზე მოითხოვოს გადახდისუუნარობის საქმის

წარმოების გახსნა (მუხლი 20.7), შეიძლება მკვდარ ნორმადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან კრედიტორი არც ბაჟისგან და არც სადეპოზიტო შენატანისგან თავისუფალი არ არის, რაც ჯამში 10 000 ლარს უდრის. ისეთი საწარმოს ქონება კი, რომელიც საპროცესო ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს, 5 000 ლარზე ნაკლებია. რაც შეეხება საწარმოს იმ ქონებას, რომელიც, მართალია, საპროცესო ხარჯებს ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ რაღაც ოდენობით მაინც არსებობს – **მე-20 მუხლის მე-10 პუნქტით** იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი 1 თვის ვადაში არ შეიტანს სასამართლოში განცხადებას და საწარმო გაკოტრებულად რეგისტრაციის გაუქმების გზით გამოცხადდება, **მოვალის ქონება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაციის გაუქმებამდე **ნაწილდება მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

ეს დანაწესი კრედიტორებისთვის შეიძლება ერთგვარად საზიანოდაც ჩაითვალოს, თუმცა ვინაიდან კანონი კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მხოლოდ 1 წესს აღიარებს, რომელიც კანონის მე-40 მუხლშია გადმოცემული, და მის პირველ რიგში მოცემული მოთხოვნები საწარმოს ქონებას აღემატება, პარტნიორებზე საწარმოს ამ ქონების პროპორციული გადანაწილება ერთადერთ ლოგიკურ გამოსავლად ისახება.

მოვალის გაკოტრებულად გამოცხადება და რეგისტრაციის გაუქმება (სს „ხორშის ეთერზეთი“)

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 2015 წლის 4 დეკემბერი, განჩინება, საქმე №2/1881-15

მოთხოვნა: მოვალის გაკოტრებულად გამოცხადება და რეგისტრაციის გაუქმება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით სს „ხორშის ეთერზეთს“ უარი ეთქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ვინაიდან მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფდა საპროცესო ხარჯების დაფარვას. ამასთან, კრედიტორებს განემარტათ, რომ შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსთვის სს „ხორშის ეთერზეთის“ მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების დაწყებისა და მოვალის ქონებიდან მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის გზით. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინება გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2015 წლის 29 ოქტომბერს და განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში

კრედიტორს გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოსთვის განცხადებით არ მიუმართავს.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის I, მე-5, მე-7, მე-8, მე-19, მე-20 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლების საფუძველზე დაადგინა:

1. სს „ხორშის ეთერზეთი“ (ს/ნ 239 897 858) გამოცხადდეს გაკოტრებულად და გაუქმდეს სს „ხორშის ეთერზეთის“ რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.
2. განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.
3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) განჩინების განმცხადებლისთვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მიხედვით, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის, გაკოტრების დაწყების შემთხვევაში, მოვალე თავისი ქონებით საპროცესო ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე განჩინებაში მიუთითებენ, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ შეიტანა.

როგორც მოცემულ შემთხვევაში იკვეთება, საწარმოს მიმართ კრედიტორს არ აღუძრავს გადახდისუუნარობის საქმე, შესაბამისად ასრულდა კანონის იმპერატიული დანაწესი. ასეთ შემთხვევაში, ნორმა, რომელიც რეგისტრაციის გაუქმების გზით საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადებას ითვალისწინებს, საქმის სწრაფად დასრულების ეფექტური საშუალებაა და სხვა რაიმე დამატებითმა პროცედურებმა შეიძლება საწარმოთა ოპტიმიზაციის პროცესს ხელი შეუშალოს.

გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება (შპს „ჰოდიდო“)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ოქტომბრის გაჩინება, საქმე №2/1430

მოთხოვნა: გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 7 ოქტომბერს შპს „ჰოდიდოს“ სახელით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა კომპანიის დირექტორმა და აღნიშნა, რომ საზოგადოებას აქვს კრედიტორული დავალიანება – 792 570,69 ლარის ოდენობით, საიდანაც საგადასახდო დავალიანება შეადგენს ნარჩენის სახით – 223 304,55 ლარს, ხოლო საურავი კი – 52 372,22 ლარს. განმცხადებელმა შპს „ჰოდიდოს“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა ითხოვა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა შპს „ჰოდიდოს“ დირექტორის განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-13, მე-14, მე-15, მე-19, 21-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ წარმოებაში მიიღო მოვალის, შპს „ჰოდიდოს“ განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ. აღნიშნული განჩინებით, კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა კანონიდან გამომდინარე ყველა ქმედება, რომელიც ამ ტიპის განჩინებებში შაბლონურად გვხვდება: მეურვედ დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო, შეჩერდა მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, დაუშვებლად იქნა ცნობილი იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. ამასთან, აიკრძალა ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდა ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების დარიცხვა/გადახდა.

მოვალეს, მეურვესა და კრედიტორებს განემარტათ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, განისაზღვრა კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარიღი, მეურვის მიერ განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების ვალდებულება და განჩინების გასაჩივრების წესი.

კომენტარი:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობით, ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავს მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოები. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადე-

ბას წარმოებაში იღებს იმ შემთხვევაში, თუკი ის აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. განცხადების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები ასახულია მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებში. მე-16 მუხლი ეხება მოვალის, მე-18 კი, კრედიტორის განცხადებას.

მოცემულ შემთხვევაში, რადგან განცხადება შეტანილ იქნა მოვალის მიერ, მან გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვა გაკოტრება, რის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონი და, შესაბამისად, აწესრიგებს კიდეც. კერძოდ: „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი არეგულირებს სადეპოზიტო შენატანისა და ბაჟის ოდენობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის შემთხვევაში. ამ მუხლის მე-3 პუნქტი ბაჟის გადახდისგან ათავისუფლებს მოვალეს. მე-4 პუნქტი კი მიუთითებს მე-17 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ განცხადებით გაკოტრების მოთხოვნის შესაძლებლობას და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით პირდაპირ გაკოტრებას მოითხოვს, ბაჟთან ერთად (მუხლის 6.3) იგი სადეპოზიტო შენატანისგანაც თავისუფლდება.

აღნიშნული დანაწესი აშკარად ხელსაყრელი უნდა იყოს მხარეთათვის, რადგან სადეპოზიტო შენატანი მე-6 მუხლის I ნაწილის თანახმად ასრულებს შემდეგ ფუნქციას: საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ამ თანხიდან ანაზღაურდება საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა დაუბრუნდება განმცხადებელს.

თუკი შექმნილი გარემოებებიდან აშკარაა, რომ მოვალე საწარმოს რეაბილიტაციის პერსპექტივა საფუძველსმოკლებულია და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთადერთ გონივრულ გზად გაკოტრება რჩება, ამ თანხის მოვალის მიერ დეპოზიტზე შეტანა უსაფუძვლო იქნება, ვინაიდან გაკოტრებით საქმის დასრულებისას ეს თანხა მაინც მოვალეს უბრუნდება და საგაკოტრებო მასას ემატება, რომლითაც კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება.

ქართული

1. ბურდული ირაკლი, „სააქციო სამართლის საფუძვლები“ ტომი I (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2010)
2. ბურდული ირაკლი, „სააქციო სამართლის საფუძვლები“ ტომიII (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013)
3. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/173220?.
4. დავით მაისურაძე, „სამეწარმეო განსჯის წესის განმარტებისთვის“ [2010] სამართლის ჟურნალი N1-2, 108-126
5. დავით მაისურაძე, „კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას“ (შედარებით-სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე) (გამომცემლობა „მერიდიანი“) 2015
6. მახარობლიშვილი გიორგი, „კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი“ (გამომცემლობა „მერიდიანი“) 2015
7. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლი 161, ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_BI0VP94JAElEY.
8. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, „საკანონმდებლო მაცნე“, დოკუმენტი 4 522, 28/03/2007, გამოქვეყნების თარიღი 31/03/2007, სარეგისტრაციო კოდი 240.140.000.05.001.002.087
9. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მუხლი 5, „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“, დოკუმენტი 286, 25/06/1996, გამოქვეყნების თარიღი 30/07/1996, სარეგისტრაციო კოდი 250.020.010.05.001.000.145, კანონი ძალადაკარგულია 2007 წლის 28 მარტიდან
10. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, „საკანონმდებლო მაცნე“, დოკუმენტი 577, 28/10/1994, გამოქვეყნების თარიღი 28/10/1994, სარეგისტრაციო კოდი 240.000.000.05.001.000.087
11. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი მე-16[1],
12. „საკანონმდებლო მაცნე“, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ას-1344-1362-2011, 12/12/2011

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #ას-1307-1245-2014 სსიპ შემოსავლების სამსახური შპს „ლ. 2009“-ის წინააღმდეგ [2015]
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #ას-1158-1104-2014 სსიპ შემოსავლების სამსახური მ. და გ. კ-ების წინააღმდეგ [2015]
16. ჭანტურია ლადო, „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“ (გამომცემლობა „სამართალი“) 2006
17. ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო, „*მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი*“ (მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“) 2002
18. ჰაინრიხ შტიგნერი და როინ მიგრიაული, „გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან“ (გამომცემლობა „სიესტა“) 2011
19. შპს „ტიფლისი 777“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება N1/2/1250, 2019 წლის 18 აპრილი, ქ. ბათუმი

უცხოური

1. Act on Creditors' Payment Order, ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/fi/laki/alkup/1992/19921578?search%5Btype%5D=pika&search%5Bpika%5D=1578%2F1992>.
2. Air Products and Chemicals, Inc. v. Airgas, Inc. 2011 WL 806417 (Del. Ch. 2011).
3. Awwad A. A, "Shareholders Preemptive Rights in Listed and Closely-Held Corporations and Shareholders' Protection Methods" [2017]<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2739375>.
4. Bainbridge M. S, Unocal at 20: Director Primacy in Corporate Takeovers (2006) 31(3) Delaware Journal of Corporate Law 769-862.
5. Bainbridge M. S, *Corporate Law* (2nd edn, Thomson Reuters/Foundation Press 2009) 53-54.
6. Bankruptcy Act, ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/11/101>.
7. Bankruptcy Act (120/2004; konkurssilaki), Chapter 5, Section 1. ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2004/en20040120.pdf>.
8. BebchukA. L, "The Case Against Board Veto in Corporate Takeover" in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press 2010)554-573.
9. Booth v Bunce [1865] 33 N.Y. 139 [160].

10. Cahn Aand Donald C. D, Comparative Company Law (Cambridge University Press) 2010.
11. Cede & Co. v. Technicolor, Inc. Del. Supr., 634 A.2d 345, 361 (1993).
12. Charles R.T. O'KelleyR and Robert B. Thompson, Corporations and other Business Associations (5th edn, Aspen Publishers 2006) pp. 541-542.
13. CJEU, Commission v.Kingdom of Spain [2008] Case C-338/06, ECLI:EU:C:2008:740.
14. Cox D. J and Hazen L. T, *Business Organizations Law* (4th edn,West Academic Publishing) 2016.
15. Council Directive (EEC) 77/91 on coordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, in respect of the formation of public limited liability companies and the maintenance and alteration of their capital, with a view to making such safeguards equivalent [1976] OJ L26/1 (Second Council Directive).
16. Council Regulation (EC) No 1346/2000 of 29 May 2000 on insolvency proceedings, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32000R1346&from=EN>.
17. Directive of the European Parliament and of the Council on preventive restructuring frameworks, second chance and measures to increase the efficiency of restructuring, insolvency and discharge procedures and amending Directive 2012/30/EU, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52016PC0723&from=EN>.
18. Directive 2008/94/EC of the European Parliament and of the Council of 22 October 2008 on the protection of Employees in the event of the insolvency of their employer, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008L0094&from=EN>.
19. Bankruptcy Act (120/2004; konkurssilaki), ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2004/en20040120.pdf>.
20. Finnish Act on the Ranking of Claims 1578/1992 (ფინური ვერსიაა, ინგლისური არ იძებნება, ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/fi/laki/alkup/1992/19921578?search%5Btype%5D=pika&search%5Bpika%5D=1578%2F1992>.
21. Act on the Supervision of the Administration ofBankruptcy Estates, ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1995/en19950109_20040123.pdf>.
22. Insolvency Statute, ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_inso/index.html>.
23. CJEU, Sindesmos Melon v Greek State [1992] C-381/ 89, ECLI:EU:C:1992:142.
24. Greenfield K, "There's a Forest in Those Trees: Teaching About the Role of Corporations in Society"in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy* (2nd edn, Carolina Academic Press 2010).
25. Delaware General Corporation Law.

26. Doing Business, Finland, Resolving Insolvency, იხილეთ: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/finland#resolving-insolvency>.
27. Doing Business, The World Bank. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia>.
28. Doing Business in 2004 – Understanding Regulation (2004) Copublication of the World Bank the International Finance Corporation and Oxford University Press. ხელმისაწვ-დომია: <http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB04-FullReport.pdf>.
29. Doing Business 2008 (2007) Copublication of the World Bank and International Finance Corporation. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB08-FullReport.pdf>.
30. Doing Business 2010 (2009) Copublication of the World Bank, IFC and Palgrave MacMil-lan. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB10-FullReport.pdf>.
31. Doing Business, Resolving Insolvency, ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/Methodology/Resolving-Insolvency>.
32. Doing Business 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.doingbusiness.org/en/rankings>.
33. Doing Business, The World Bank. ხელმისაწვდომია: <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia>.
34. European Parliament and Council Directive (EU) 2017/1132 relating to certain aspects of company law (codification) [2017] OJ L169/46.
35. GilsonJ. R "Unocal Fifteen Years Later (And What Can We do About It) in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press) 2010.
36. Gordon N. J, "An American Perspective on the New German Anti-takeover Law" [2002]<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=336420>.
37. Greenfield K., There's a Forest in Those Trees: Teaching About the Role of Corporations in Society, Corporate Governance, Law, Theory and Policy, edited by Joo W. T., (2nd edn, Carolina Academic Press)2010.
38. Krendl S. C and Krendl R. J, "Piercing The Corporate Veil:Focusing The Inquiry" [1978] 55(1) Denver Law Journal, 42.
39. Lipton M, "Pills, Polls, and Professors Redux" in Thomas W. Joo (eds), *Corporate Governance, Law, Theory and Policy*(2nd edn, Carolina Academic Press) 2010.
40. Model Business Corporations Act.
41. Morawetz V, "The Preemptive Rights of Shareholders" [1928]42(2) Harvard Law Review 186.
42. Nichols L. A, Shareholder Preemptive Rights [1995] 39 Bos. BAR J. 4.
43. Oesterle A. D, J. Gilbert Reese Chair and Michael E. Mortiz, *The Law of Mergers and Acquisitions* (3rd edn, Thomson/West) 2005.

44. Oesterle A. D, The Negotiation Model of Tender Offer Defenses and the Delaware Supreme Court (1986) 72(1) Cornell Law Review.
45. O'Kelley R.T. C and Thompson B. R, Corporations and other Business Associations (5th edn, Aspen Publishers) 2006.
46. Pinto R. A, "Corporate Governance: Monitoring the Board of Directors in American Corporations"[1998] 46 the American Journal of Comparative Law.
47. PortaL. R and others, "Investor Protection and Corporate Valuation" (2002) LVII The Journal of Finance.
48. Porta L. R and others, "Investor Protection and Corporate Governance" (2000) 58 Journal of Financial Economics.
49. Regulation (EU) 2015/848 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on insolvency proceedings, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32015R0848&from=EN>.
50. RESTRUCTURING OF ENTERPRISES ACT (47/1993; amendments up to 247/2007 included), ხელმისაწვდომია: <http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/1993/en19930047_20070247.pdf>.
51. Revlon, Inc. v. MacAndrews & Forbes Holdings, Inc. Delaware Supreme Court, 1986, 506 A.2d 173.
52. Rossi F, "Making Sense of the Delaware Supreme Court's Triad of Fiduciary Duties"[2005]. ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=755784>.
53. Stock Corporation Act, September 6 1965 (Federal Law Gazette I), art 186.1. ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aktg/englisch_aktg.html#p0981>.
54. Ventoruzzo M, "Issuing New Shares and Preemptive Rights: A Comparative Analysis" [2013] 12 Rich. J. Global L. & Bus, 517-518.
55. VormserI. M, "Piercing the Veil of Corporate Entity" [1912] 12 Columbia Law Review <https://ia801901.us.archive.org/8/items/jstor-1110931/1110931.pdf>.
56. William Gray, Jun., v. The President, Directors and Company of the Portland Bank [1807] 3 MASS 364.
57. Uncitral Legislative Guide on Insolvency Law, მუხლი I, ხელმისაწვდომია: <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf>.
58. Unocal Corp. v. Mesa Petroleum Co. Delaware Supreme Court, 1985, 493 A.2d 946.

დავით მაისურაძე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის დირექტორი. დავით მაისურაძეს 2009 წელს მიენიჭა კალიფორნიის დევისის უნივერსიტეტის მარტინ ლუთერ კინგის სახელობის სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის ხარისხი (Master of Laws), ხოლო 2015 წელს მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის ხარისხი.

დავით მაისურაძეს აქვს ლექციების წაკითხვის 10 წლიანი გამოცდილება, კერძოდ, კითხულობს შემდეგ საგნებს: საკორპორაციო სამართალი, საწარმოთა რეორგანიზაციები, კორპორაციული მართვა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალი. დავით მაისურაძე არის პრაქტიკოსი იურისტი და ამავდროულად აქვს მენეჯერად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. დავითი 2010-2013 წლებში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2012-2013 წლებში იყო იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორი. 2014-2016 წლებში იყო „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) ღია მიმართულების მმართველობის ხელმძღვანელი და საპარლამენტო მდივანი. ამჟამად, კოორდინირებას უწევს IDFI-ს კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამას.

დავით მაისურაძეს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

მაგდა ლაზიშვილმა 2013 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატი და 2017 წელს მოიპოვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის ხარისხი. 2014 წლიდან მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურში. მონაწილეობას იღებდა კვლევითი პროექტების განხორციელებაში და არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი.

ირაკლი შაკიაშვილი 2018 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორია და 2016 წლიდან არის ამავე სკოლის მკვლევარი. ირაკლი შაკიაშვილი არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრი.

ირინა იამანიძე 2018 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მკვლევარია. იგი არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრი.

ლუკა კოდუა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრატურის სტუდენტია. 2018 წლის მარტიდან იგი არის საერთაშორისო იურიდიული კომპანია Hogan Lovells International LLP-ის მიუნხენის ოფისის არბიტრაჟის ჯგუფის იურისტის ასისტენტი. 2017 წელს იყო კომპანია „რეალთინას“ წარმომადგენელი საქართველოში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა სასერტიფიკატო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

ISBN 978-9941-8-1949-0

9 789941 819490